

სათუნა ჩაჭიჩაძე

Khatuna Chapichadze

ნეოლიბერალიზმი და საქართველო

მონოგრაფია

Neoliberalism and Georgia

MONOGRAPH

თბილისი TBILISI

2013

UDK - 32.001+316

ჩ-272

ყველა უფლება დაცულია

All rights reserved

© ხათუნა ჩაფიჩაძე, 2013

© Khatuna Chapichadze, 2013

ელ. ფოსტა/E-mail: khatuna.khatuna@gmail.com

რედაქტორები: ვაჟა შუბითიძე, ნუგზარ ბარდაველიძე

Editors: Vazha Shubitidze, Nugzar Bardavelidze

დიზაინი, კომპიუტერული უზრუნველყოფა: ლელა ჩაფიჩაძე

Design, Computer Assistance: Lela Chapichadze

რეცენზენტები:

ვასილ კაჭარავა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამერიკის შესწავლის ინსტიტუტის დირექტორი; **ჰენრი კუპრაშვილი**, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი; **ზურაბ გამეზარდაშვილი**, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი.

Reviewers:

Vasil Kacharava, Doctor of Historical Sciences, Director of the Institute of American Studies at Iv. Javakhishvili Tbilisi State University; **Henri Kuprashvili**, Doctor of Political Sciences, Full Professor of Georgian Technical University (GTU); **Zurab Gamezardashvili**, Doctor of Philological Sciences, Full Professor of Georgian Technical University (GTU).

ISBN 978-9941-0-5745-8

წინასიტყვაობა

თქვენს წინაშეა ახალგაზრდა, პერსპექტიული მკვლევარის, სოციალური მეცნიერებების აკადემიური დოქტორის (პოლიტიკური მეცნიერებების დარგში) ხათუნა ჩაფიჩაძის ნაშრომი. ეს არის ქართულ პოლიტიკურ მეცნიერებაში პირველი მონოგრაფიული გამოკვლევა ნეოლიბერალიზმის, როგორც იდეოლოგიის, შესახებ. ავტორმა გასწავლია მნიშვნელოვანი სამუშაო, თავი მოუყარა ნეოლიბერალიზმის შესახებ უცხოურ და ქართულ მასალებს, ნაშრომებს და კრიტიკულად განიხილა ისინი. ხათუნა ჩაფიჩაძე ობიექტურად აანალიზებს ნეოლიბერალიზმის არსს, მის ძირითად მიმართულებებს და მახასიათებლებს, პოზიტიურ და ნეგატიურ მხარეებს და ხსნის იმ მიზეზებსაც, რამაც გამოიწვია თანამედროვე ნეოლიბერალიზმის ჩიხში შესვლა და ფაქტიური კრახი, მათ შორის საქართველოშიც.

ვაჟა შუბითიძე,
პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი

PREFACE

Here is the work by Khatuna Chapichadze, the young, perspective researcher, Academic Doctor of Social Sciences (Direction of Political Science). This is the first monographic research of neoliberalism as an ideology in Georgian political science. The author did significant job. She gathered foreign and Georgian materials, works, and discussed them critically. Khatuna Chapichadze objectively analyzes the essence of neoliberalism, its main directions and characteristics, positive and negative sides, and explains the reasons causing the crisis of contemporary neoliberalism and its actual collapse, in Georgia as well.

Vazha Shubitidze,
Doctor of Political Sciences

წინამდებარე წიგნი „ნეოლიბერალიზმი და საქართველო“ წარმოადგენს ერთ-ერთ პირველ მცდელობას, მეცნიერული კვლევისა და ანალიზის საშუალებით, ქართველ საზოგადოებას წარმოუდგინოს ის პოლიტიკური სიახლეები და გამოწვევები, რომელთა წინაშეც დგას ჩვენი ქვეყანა უკანასკნელ ათწლეულში.

პრობლემები, რასაც ნეოლიბერალიზმი აყენებს, ახალია, მითუმეტეს საქართველოსთვის, აქედან გამომდინარე კი, ნაკლებად შესწავლილი, ამიტომ კიდევ უფრო მეტი პასუხისმგებლობის წინაშე აყენებს ყველა მკვლევარს, ვინც ცდილობს ფარდა ახადოს და განსჯის საკითხად აქციოს ერთგვარად ტაბუდადებული თემა.

სიახლეებთან შეჭიდება, თანამედროვეობის გამოწვევების კვლევა და სავარაუდო გამოსავლების ძიება სწორედაც რომ ახალგაზრდა მეცნიერთა პლეადის უპირველესი ამოცანაა, რადგან სწორედ მათ უნევთ ახალ გარემოში მოღვაწეობა და ქვეყნისათვის სწორი ორიენტირების მიცემა. ხათუნა ჩაფიჩაძე სწორედ ამ თაობის მეცნიერია, რომელმაც პოლონეთის ერთ-ერთ საუკეთესო - კრაკოვის უნივერსიტეტში გაიარა ხანგრძლივი სტაჟირება და უშუალოდ ევროპის მაგალითზე ეზიარა ნეოლიბერალიზმის არსს. ეს გარემოება კიდევ უფრო მნიშვნელოვანსა და საინტერესოს ხდის ამ ნაშრომს.

ნეოლიბერალიზმი ბოლო ათწლეულში წარმოადგენდა საქართველოს ხელისუფლების პრიორიტეტს, თუმცა ნეოლიბერალიზმის პოლიტიკას ამკარა და საკმაოდ მრავალრიცხოვანი მოწინააღმდეგეებიც ჰყავს, რომლებიც მის ანტისაზოგადოებრივ ხასიათზე ამახვილებდნენ ყურადღებას.

არის კი საერთოდ საქართველოში ნეოლიბერალიზმი, ან კი რა ტრანსფორმირება განიცადა მან? ჩვენთან ხომ ყოველი მიმდინარეობა განსხვავებულად - ადგილობრივი კულტურის, მენტალობის, პოლიტიკური კონიუნქტურის გავლენით იცვლის თავის პირვანდელ სახეს და ხშირ შემთხვევაში უარყოფითი დანამატების სახით გვევლინება.

ხათუნა ჩაფიჩაძის წიგნში პირველადაა გააზრებული საქართველოში უკანასკნელ ათწლეულში მიმდინარე რეფორმების ნეოლიბერალური ხასიათი, თეორიული ბაზა და პრაგმატული პოლიტიკური დისკურსი. მოცემულია მცდელობა, გაანალიზდეს საერთოდ ნეოლიბერალიზმი, მისი საქართველოში ინტენსიური დანერგვის წინაპირობა და თავისებურებები. განხილულია ლიბერალიზმისა და ნეოლიბერალიზმის როგორც ქართველ მიმდევართა, ასევე მათი კრიტიკოსების ნააზრევი.

წინამდებარე წიგნის ავტორის კიდევ ერთ ღირსებად უნდა ჩაითვალოს მისი საზოგადოებრივი აქტიურობა. იგი არა მხოლოდ მკვლევარი და პედაგოგია, არამედ აქტიურად არის ჩაბმული საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სხვანაირად ალბათ წარმოუდგენელიცაა პოლიტიკის მეცნიერებით დაინტერესებული ადამიანი, რომელიც არ ცდილობს პრაქტიკული გამოყენება

მისცეს თავის თეორიულ განათლებას, ისევე, როგორც ქვეყნის სრულფასოვანი მოქალაქე, რომელიც არ ცდილობს სამოქალაქო უფლებების და თავისუფლებების განუხრელ დაცვასა და შესრულებას.

ხათუნა ჩაფიჩაძის წიგნი „ნეოლიბერალიზმი და საქართველო“ მართალია, უპირველეს წილად, განკუთვნილია უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტებისა და პედაგოგებისათვის, მაგრამ დარწმუნებული ვარ, იგი სამაგიდო წიგნი გახდება პოლიტიკის მეცნიერებით დაინტერესებული ყველა მკითხველისათვის.

ნუგზარ ბარდაველიძე,
ისტორიის აკადემიური დოქტორი

The book “Neoliberalism and Georgia” is one of the first attempts of representing for the Georgian society through scientific research and analysis those political novelties and challenges that face our country in the last decade.

Problems arisen by neoliberalism are new, especially for Georgia, and therefore, they are not studied well. This is the reason why it makes all the researchers who try to discover this tabooed topic and make it a subject of discussion: more responsible.

Dealing with novelties, researching the challenges of modernity, and seeking possible solutions are indeed one of the most important tasks for young scientists as in particular, they have to live and lead their activity in a new environment, as well as they are to shape the right reference points for the country. Khatuna Chapichadze is a scientist of this generation. She undertook a long-term fellowship programme in one of the best universities of Poland, in Krakow, and learnt the essence of neoliberalism sharing the European experience, which makes this work more significant and interesting.

Neoliberalism was a priority of the Georgian government in the last decade, though neoliberal policy has open and quite numerous opponents who indicated its antisocial character.

Is there any neoliberalism in Georgia, and/or how has it been transformed? Each direction changes its original context in a different way in Georgia under the influence of the local culture, mentality, and political conjuncture, and it frequently represents the negative phenomenon.

In the book by Khatuna Chapichadze, there are first time analyzed the neoliberal character, theoretic bases, and pragmatic political discourse of the reforms taking place in Georgia in the last decade. In this work, there is an attempt of understanding

neoliberalism in general, the preconditions and features of its intensive establishment in Georgia, as well as are discussed the ideas of Georgian supporters and critics of liberalism and neoliberalism.

One more advantage of the author of this book is her public activity. She is not only a researcher and pedagogue, but she also is involved in public life. Otherwise it is impossible to imagine a person interested in political science who is not trying to practically use its theoretical knowledge, as well as is hard to think of a valuable citizen who is not attempting to steadily protect civil rights and freedoms.

Despite Khatuna Chapichadze's book "Neoliberalism and Georgia" is first of all intended for university students and pedagogues, however, I am sure that it will become a 'must to read' for all the readers interested in political science.

Nugzar Bardavelidze,
Academic Doctor of History

შინაარსი:

თავი I: თანამედროვე ნეოლიბერალიზმი

1.1. ნეოლიბერალიზმი, როგორც თეორია და პრაქტიკა (საერთო მიმოხილვა).....	21
1.2. ნეოლიბერალიზმის პოლიტიკური განსაზღვრება.....	22
1.3. ნეოლიბერალიზმის ეფექტები.....	23
1.4. ეკონომიკური ლიბერალიზმის მხარდაჭერა.....	24
I თავის სქოლიო	28

თავი II: ნეოლიბერალიზმის ძირითადი დებულებები და მისი

თანამედროვე ქართული კონტექსტი (კრიტიკული ხედვა)

2.1. ნეოლიბერალიზმის ზოგადი კრიტიკა.....	30
2.2. ძირითადი დებულებების კრიტიკული ანალიზი.....	33
II თავის სქოლიო.....	39

თავი III: ნეოლიბერალიზმის კრიზისი

3.1. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი - ნეოლიბერალიზმის კრიზისი	40
3.2. კრიზისის არსი	42
3.3. ალტერნატივა / „გამოსავალი“ ჩვეულებრივ მოკვდავთათვის.....	46
III თავის სქოლიო.....	51

თავი IV: ნეოლიბერალიზმი საქართველოში

4.1. „ნეოლიბერალიზმის“ ქართული სამეცნიერო განმარტება.....	53
4.2. ლიბერალიზმისა და ნეოლიბერალიზმის ქართველი მიმდევრები.....	55
4.3. ლიბერალიზმისა და ნეოლიბერალიზმის ქართველი კრიტიკოსები.....	59
4.4. (ნეოლიბერალური) რეფორმები საქართველოში.....	81
ცხრილების ნუსხა.....	101
IV თავის სქოლიო	120
გამოყენებული ლიტერატურისა და სხვა წყაროების სია	129

CONTENTS:

Chapter 1: Contemporary Neoliberalism

1.1. Neoliberalism as a Theory and Practice (General Overview)	21
1.2. Political Definition of Neoliberalism	22
1.3. Effects of Neoliberalism	23
1.4. Supporting Economic Liberalism	24
Scholium of chapter 1	28

Chapter 2: Main Points of Neoliberalism and Its Contemporary Georgian Context (Critical View)

2.1. General Criticism of Neoliberalism	30
2.2. Critical Analysis of the Main Points	33
Scholium of chapter 2	39

Chapter 3: The Crisis of Neoliberalism

3.1. The World Economic Crisis - the Crisis of Neoliberalism	40
3.2. Essence of the Crisis	42
3.3. The Alternative / "Solution" for Ordinary People	46
Scholium of chapter 3	51

Chapter 4: Neoliberalism in Georgia

4.1. Georgian Scientific Definition of "Neoliberalism"	53
4.2. The Georgian Supporters of Liberalism and Neoliberalism	55
4.3. The Georgian Critics of Liberalism and Neoliberalism	59
4.4. (Neoliberal) Reforms in Georgia	81
List of tables	101
Scholium of chapter 4	120
List of literature and other materials used	129

რეზიუმე

მონოგრაფიული ნაშრომი „ნეოლიბერალიზმი და საქართველო“ შედგება: ტიტულის გვერდი, რეზიუმე, შინაარსი, ცხრილების ნუსხა, ძირითადი ტექსტი, რომელიც თავის მხრივ შედგება - შესავლის, ოთხი თავის, ცამეტი ქვეთავის, ლიტერატურის მიმოხილვის, შედეგების, დასკვნების, რეკომენდაციების, სქოლიოსა და გამოყენებული ლიტერატურისა და სხვა წყაროების სიისაგან.

ნაშრომის ზოგად დახასიათებაში - შესავალში მოცემულია გამოსაკვლევი თემის აქტუალობა, კვლევის მეცნიერული სიახლე და მისი პრაქტიკული მნიშვნელობა.

ნიგნში „ნეოლიბერალიზმი და საქართველო“ მიზნად დავისახეთ ზოგადად განვიხილოთ ნეოლიბერალიზმის, როგორც მსოფლიო დომინანტური კონცეფციის თეორიული და ინსტრუმენტალური პრაქტიკის საკითხები - და გავაანალიზოთ მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში; და ეს ყოველივე, მნიშვნელოვანი მსოფლიო და ადგილობრივი ლიტერატურის, კვლევის აქტუალობიდან გამომდინარე - პრიორიტეტულად უახლესი საერთაშორისო თუ ადგილობრივი პოლიტიკური და რაპორტული მასალების, მიმდინარე მსოფლიო და საქართველოს პოლიტიკური პროცესებისა და ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევების ანალიზის საფუძველზე.

ნაშრომის პირველი თავი „თანამედროვე ნეოლიბერალიზმი“ შედგება ოთხი ქვეთავისაგან: 1. „ნეოლიბერალიზმი, როგორც თეორია და პრაქტიკა (საერთო მიმოხილვა)“, 2. „ნეოლიბერალიზმის პოლიტიკური განსაზღვრება“, 3. „ნეოლიბერალიზმის ეფექტები“ და 4. „ეკონომიკური ლიბერალიზმის მხარდაჭერა“.

პირველ ქვეთავში საუბარია ნეოლიბერალიზმის ზოგად განსაზღვრებაზე თეორიულ და პრაქტიკულ რაკურსებში. მეორე ქვეთავში გაანალიზებულია ნეოლიბერალიზმის პოლიტიკური დეფინიცია. მესამე ქვეთავში წარმოდგენილია ნეოლიბერალიზმის ეფექტები. ხოლო, მეოთხე ქვეთავში განხილულია ე.წ. ეკონომიკური ლიბერალიზმის მხარდამჭერი შეხედულებები და კონცეფციები.

მონოგრაფიის მეორე თავი „ნეოლიბერალიზმის ძირითადი დებულებები და მისი თანამედროვე ქართული კონტექსტი (კრიტიკული ხედვა)“ მოიცავს ორ ქვეთავს: 1. „ნეოლიბერალიზმის ზოგადი კრიტიკა“ და 2. „ძირითადი დებულებების კრიტიკული ანალიზი“.

პირველ ქვეთავში გააზრებულია ნეოლიბერალიზმისადმი სხვადასხვაგვარი ზოგადი კრიტიკული მიდგომები მაშინ, როცა მეორე ქვეთავში წარმოდგენილია იდეოლოგიური კონსტრუქციის ძირითად დებულებათა კრიტიკული ანალიზი.

მესამე თავი „ნეოლიბერალიზმის კრიზისი“ შედგება სამი ქვეთავისაგან: 1. „მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი - ნეოლიბერალიზმის კრიზისი“, 2. „კრიზისის არსი“ და 3. ალტერნატივა/„გამოსავალი“ ჩვეულებრივ მოკვდავთათვის.

პირველ ქვეთავში მოცემულია მსჯელობა და დასაბუთებულია, რომ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი ფაქტობრივად კაპიტალიზმის თანამედროვე და გლობალიზებადი ფორმის - ნეოლიბერალიზმის კრიზისს წარმოადგენს. მეორე ქვეთავში საუბარია თავად ნეოლიბერალიზმის კრიზისის არსზე, ხოლო მესამე ქვეთავში შემოთავაზებულია გარკვეული ალტერნატივა კრიზისში მყოფი სისტემის სანაცვლოდ - რიგითი მოქალაქეებისათვის.

მეოთხე თავი „ნეოლიბერალიზმი საქართველოში“ მოიცავს ოთხ ქვეთავს: 1. „„ნეოლიბერალიზმის“ ქართული სამეცნიერო განმარტება“, 2. „ლიბერალიზმისა და ნეოლიბერალიზმის ქართველი მიმდევრები“, 3. „ლიბერალიზმისა და ნეოლიბერალიზმის ქართველი კრიტიკოსები“ და 4. „(ნეოლიბერალური) რეფორმები საქართველოში“.

პირველ ქვეთავში მოცემულია ცნება „ნეოლიბერალიზმის“ განმარტება ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში, რაც მართალია, ძალზე მწირია ამ თემასთან მიმართებაში, თუმცა ძალზე მნიშვნელოვანია. მეორე ქვეთავში განხილულია ლიბერალიზმისა და ნეოლიბერალიზმის ქართველ მიმდევართა შეხედულებები, მაშინ, როცა მესამე ქვეთავი წარმოადგენს ამ სისტემათა ადგილობრივი კრიტიკოსების ნააზრევის ანალიზს. მეოთხე ქვეთავში, ისევე, როგორც მთლიანად ნაშრომში საერთოდ ნეოლიბერალიზმთან დაკავშირებით, - პირველადაა გააზრებული საქართველოში უკანასკნელ ათწლეულში მიმდინარე რეფორმების ნეოლიბერალური ხასიათი, თეორიული ბაზა და პრაგმატული პოლიტიკური დისკურსი.

SUMMARY

The monographic work "Neoliberalism and Georgia" consists of: Title page, Summary, Contents, List of tables, and the main part, which includes: Introduction, four chapters, thirteen subchapters, Literature review, Outcomes of the research, Conclusions, Recommendations, Scholiums and the List of literature and other materials used.

In general review of the work, in Introduction, there is discussed the actuality of the research, novatory scientific attitudes, and the research's practical value.

In the book "Neoliberalism and Georgia", we aim to discuss the issues of theoretical and instrumental practice of neoliberalism, a globally dominant conception. We also intend to analyse the prospects of neoliberal development in Georgia. And all this is provided on the base of critical analyses of authoritative worldwide famous and local scientific literature, important reports and documentations on international, as well as on local politics, current global and Georgian political processes, and based on analyzing researches conducted by us.

The first chapter of the work - "Contemporary Neoliberalism" consists of four subchapters: 1. "Neoliberalism as a Theory and Practice (General Overview)", 2. "Political Definition of Neoliberalism", 3. "Effects of Neoliberalism", and 4. "Supporting Economic Liberalism".

In the first subchapter, there is discussed general definition of neoliberalism from theoretical and practical prisms, while in the second subchapter, there is analyzed the political definition of neoliberalism. There are evaluated effects of neoliberalism in the third subchapter. And in the fourth subchapter, there are discussed the ideas and concepts supporting economic liberalism.

The second chapter of the work "Main Points of Neoliberalism and Its Contemporary Georgian Context (Critical View)" contains two subchapters: 1. "General Criticism of Neoliberalism", and 2. "Critical Analysis of the Main Points".

In the first subchapter, there are analyzed different general critical approaches towards neoliberalism, while in the second subchapter, there is provided critical analysis of the main points of the ideological construction.

The third chapter "The Crisis of Neoliberalism" consists of three subchapters: 1. "The World Economic Crisis - the Crisis of Neoliberalism", 2. "Essence of the Crisis", and 3. "The Alternative / "Solution" for Ordinary People".

In the first subchapter, there is given the analysis of the World Economic Crisis, which in fact is proved here to be the crisis of contemporary and globalizing form of capitalism - Neoliberalism. In the second subchapter, there is discussed the essence of the crisis of neoliberalism, while in the third subchapter, there is offered some alternative of the system under the crisis, for the ordinary citizens.

The fourth chapter "Neoliberalism in Georgia" consists of four subchapters: 1. "Georgian Scientific Definition of "Neoliberalism"", 2. "The Georgian Supporters of Liberalism and Neoliberalism", 3. "The Georgian Critics of Liberalism and Neoliberalism", and 4. "(Neoliberal) Reforms in Georgia".

In the first subchapter, there is given the definition of "neoliberalism" in the Georgian scientific literature, which however is quite poor regarding this topic, though very important. In the second subchapter, there are discussed the ideas of the Georgian supporters of liberalism and neoliberalism, while the third subchapter contains analyzing of thoughts of the local critics of these two systems. In the fourth subchapter, as well as in the work about neoliberalism at large, it is the first time, when there is analyzed the neoliberal essence, theoretical basis, and pragmatic political discourse of the reforms taking place in Georgia in the last decade.

შესავალი

თემის აქტუალობა განპირობებულია იმით, რომ მიმდინარე გლობალური პროცესების, კერძოდ კი, გლობალიზაციის ფონზე, რომლის თეორიულ-კონცეპტუალურ საფუძველსაც (უკანასკნელ ხანებში თითქმის აპოგეას მიღწეული მისი უმწვავესი და შესაძლოა, საბედისწერო გლობალური კრიზისის მიუხედავად) ჯერ ისევ დომინანტურად – ნეოლიბერალური მსოფლმხედველობა წარმოადგენს თანამედროვე მსოფლიო რეალობაში, მწვავედ დგას „ერსახელმწიფოთა“ საერთაშორისო პოლიტიკასა და საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში მონაწილეობისა და თანამონაწილეობის საკითხები. მათი დე ფაქტო და დე იურე სტატუსურ ცვლილებათა, თუ ამ მხრივ არსებული მდგომარეობის ზოგადი შესწავლის გარდა საერთაშორისო პოლიტიკაში, საქართველოსათვის, როგორც ამგვარი და მცირე „ერი-სახელმწიფოსათვის“, რომლის მოსახლეობის უმრავლესობასაც ხშირად - უკიდურესი სოციალ-ეკონომიკური პრობლემები აქვს ამავდროულად, აქტიურად და შეიძლება ითქვას - პირველ რიგში დგას - შიდა სახელმწიფოებრივი (პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული თუ სამართლებრივი) პრობლემების მოგვარებისა და განვითარების საკითხები, რომელთა გადანყვეტაც უპირველეს ყოვლისა, საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი საჭიროებებიდან გამომდინარე, პარალელურად მიმდინარე გლობალური პროცესების გათვალისწინებით, ადეკვატურად უნდა განხორციელდეს.

მეცნიერული სიახლე. ჩატარებული კვლევის საფუძველზე ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში პირველად განხორციელდა ნეოლიბერალიზმის, როგორც თეორიისა და პრაქტიკის ყოველმხრივი და ღრმა შესწავლა ზოგადად და - საქართველოს მასშტაბით, და შედგა მსოფლიოსა და საქართველოში მიმდინარე ნეოლიბერალური პროცესების კრიტიკული მეცნიერული ანალიზი.

პირველადვე დაისვა საქართველოში ნეოლიბერალიზმის განვითარების პროდუქტიულობის, პრიორიტეტულობისა და პერსპექტიულობის საკითხი პროფესიონალურ და სამეცნიერო-აკადემიურ დონეზე.

მეცნიერულ მიმოქცევაში შემოტანილია სრულიად ახალი მასალები, ხშირად დაძველებული ახალი ცნებები და განსაზღვრებები (თავად თემის შესწავლის უნიკალურობიდან გამომდინარე), შემუშავებულია ახალი მეცნიერული თეორიები, და ამ ყოველივეს საფუძველზე მოცემულია თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე განზოგადებული, ნოვაციური და ორიგინალური დასკვნები და რეკომენდაციები.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა. კვლევის შედეგები აქტიურ აკადემიურ, ინტელექტუალურ და პრაქტიკულ დახმარებას გაუწევს საქართველოს პოლიტიკურ წრეებს, სახელისუფლებო სტრუქტურებს, საზოგადოებრივ ინსტიტუციებსა და სამოქალაქო სექტორის წევრებს, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებსა და ასევე, საერთაშორისო პოლიტიკურ „აქტორებს“ - სხვადასხვა „ერ-სახელმწიფოთა“ და მათ შორის, უპირველესად - საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარების თეორიულ და პრაქტიკულ მოდელებზე მუშაობისას, რაც ჯერ კიდევ აქტუალური გლობალური ნეოლიბერალიზაციის კონტექსტში მიმდინარეობს და ნებისმიერ შემთხვევაში დაკავშირებულია აღნიშნული კონტექსტის გათვალისწინებასთან. თემის შესწავლა ხელს შეუწყობს საქართველოს პოლიტიკური, ეკონომისტთა და ასევე, დიპლომატიური კადრების მომზადებასა და აღზრდას მსოფლიო გამოცდილების გააზრება-გაზიარების, ქართულ რეალობაში მისი მხედველობაში მიღებისა თუ ავთენტური მოდელების შემუშავების მხრივ.

ლიტერატურის მიმოხილვა

ნაშრომში წარმოდგენილი საკითხების გამოკვლევის აუცილებლობა დაისვა შესაბამისი სპეციალური ლიტერატურის, ახალი და უახლესი წყაროების გაცნობის, თემის აქტუალობისა და ჩვენი მათით უპირობო დაინტერესების კვალდაკვალ.

ნაშრომი ეფუძნება იმ ფართო ლიტერატურას და ურიცხვ, უახლეს საერთაშორისო მასალებსა და დოკუმენტაციას, რომლებიც წინგნზე მუშაობისას საქართველოსა და სხვა ქვეყნებში არსებობდა და მნიშვნელოვანწილად ხელმისაწვდომი იყო ინტერნეტის საშუალებითაც. ეს გახლავთ როგორც ქართული (თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ქართულენოვანი მასალები ამ შემთხვევაში ძალზე მწირია, თუ არ ჩავთვლით გარკვეულ პუბლიცისტურ წერილებს, სოციოლოგიურ კვლევებს, ხშირ შემთხვევაში სოციალურ მედიაში გამოქვეყნებულ ე.წ. პოსტებსა და მთელ რიგ დოკუმენტებს, რაც შრომაში, ანალიზისას გამოვიყენეთ), ასევე, მდიდარი უცხოენოვანი ლიტერატურა, კერძოდ: მ. ფრიდმა-

ნის, ფ. ჰაიეკის, დ. ტორსენის, ჩ. პიტერსის, ჯ. კოენის, ჯ. უილიამსონის, მ. ჩენტენოს, ჯ. რაპლის, მ. პრაზადის, ს. ჯორჯის და სხვა მეცნიერთა შრომები.

გავეცანით რა ნაშრომში გამოყენებულ მასალებს, ისინი იმ საფუძვლების მომზადებაში დაგვეხმარა, რასაც ჩვენი კრიტიკულ - ანალიტიკური კვლევა ეყრდნობა.

შედეგები

კვლევის შედეგები შემდეგნაირად შეგვიძლია წარმოვადგინოთ:

- შევისწავლეთ და წარმოვადგინეთ ნეოლიბერალიზმის კონცეფცია, მისი თეორიულ-იდეოლოგიური არსი და პრაქტიკა მსოფლიო დონეზე;
- გამოვკვეთეთ და გავაანალიზეთ საქართველოში უკანასკნელ ათწლეულში მიმდინარე ინტენსიური ნეოლიბერალიზაციის პროცესი, შესაბამისი იდეურ-კონცეპტუალური საფუძვლების მომზადება ე.წ. ინტელექტუალური და პოლიტიკური ელიტის მიერ ისევე, როგორც იმჟამინდელ მიმდინარე ნეოლიბერალური რეფორმები და პოლიტიკური ღონისძიებანი ეკონომიკურ, სოციალურ, პოლიტიკურ, კულტურულ და სამართლებრივ სფეროებში;
- მეცნიერული და მაშასადამე, ნეიტრალური და ადეკვატური პოზიციებიდან შევაფასეთ ერთის მხრივ, ნეოლიბერალიზმის ეფექტურობა რიგითი ადამიანის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე, ზოგადი მსოფლიო გამოცდილების გათვალისწინებით, - საქართველოში, ხოლო მეორეს მხრივ კი, აღნიშნული იდეურ-პრაქტიკული სისტემის სამომავლო განვითარების პოტენციალი გლობალურად და ლოკალურად;
- ჩატარებული კვლევისა და ანალიზის საფუძველზე შევიმუშავეთ შესაბამისი, კვალიფიციური დასკვნები და რეკომენდაციები - ნეოლიბერალური პოლიტიკის მიზანშეწონილობისა და განვითარების პერსპექტიულობის კუთხით.

დასკვნები

ამგვარად, აღნიშნული მონოგრაფიული ნაშრომის ფარგლებში ჩვენს მიერ ჩატარებული კომპლექსური კვლევისა და ანალიზის საფუძველზე ვასკვნით, რომ:

- უპირველეს ყოვლისა, ნეოლიბერალური თეორიისა და პოლიტიკის შესახებ არსებული უამრავი ურთიერთგამომრიცხავი, საკამათო და ხშირად ბუნდოვანი თუ უსაფუძვლო მოსაზრებების (მკვლევართა და პოლიტიკოსთაგან ძირითადად - პოლარიზებული სახით წარმოდგენილი, მხოლოდ პოზიტიური და ნეგატიური ფორმულირებებია სახეზე) მიუხედავად, რაც ასევე გლობალიზაციის პროცესის, როგორც ფაქტობრივი საერ-

თაშორისო ნეოლიბერალური პოლიტიკისა და ნეოლიბერალური პროცესის ხშირად მეტად სადავო და კრიტიკულ ხედვასაც გულისხმობს, და ე.წ. ახალი მსოფლიო წესრიგის კონტექსტში სწორედ გლობალური ნეოლიბერალიზაციის განვითარებას არცთუ იშვიათად, სწორედ რადიკალური და ფართომასშტაბიანი კრიტიციზმითაც კი განიხილავს, შეუძლებელია - მისი უგულვებელყოფა, წარმოადგენს რა, მსოფლიო პროცესს;

■ მიუხედავად სახელმწიფოების, ეკონომიკური სისტემებისა და თავად უშუალოდ ნეოლიბერალური მოდელების ავტორ-მონაწილეთა მიერ ამჟამად არსებული, შესაძლოა ითქვას, თითქმის პოსტ-კრიზისული ტალღის ფონზე დაგეგმილი და იმპლემენტირებული თავად ნეოლიბერალური სისტემის „უნყვეტობის“ არცთუ სუსტი სარეაბილიტაციო ღონისძიებებისა, აღარაფერს ვამბობთ თვითონ ნეოლიბერალ იდეოლოგთა, თეორეტიკოსთა და პრაქტიკოსთა ნააზრევისა და ნაწინასწარმეტყველეთა, ნეოლიბერალიზმის ლამის ერთადერთი მისაღებიანობისა და როგორც კერძო ადამიანთათვის, ასევე მთლიანად საზოგადოებათა, სახელმწიფოთა და მთელი მსოფლიოს ეკონომიკური ფუნქციონირებისთვის პრაქტიკულად უალტერნატივო ეფექტურ მოდელად ამ სისტემის გამოცხადების შესახებ სახეზეა, რომ 2000-იანი წლების მიწურულის მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი მის წინამორბედ, თუმცა არაკონცენტრირებულ და შედარებით სუსტ კრიზისებთან ერთად, გახლავთ ყველაზე ძლიერი დადასტურება და არგუმენტი იმისა, თუ რეალურად პრაქტიკულად ყველა (კერძო ინდივიდების, საზოგადოებების, სახელმწიფოების, საერთაშორისო-მსოფლიო) დონეზე ეკონომიკურად რამდენად მყიფე და არაეფექტური, ხელოვნურად გაბერილი, მსოფლიოს მხოლოდ ყველაზე მცირერიცხოვანი და მდიდარი წრეების პოლიტიკური ინტერესების ამსახველი და შესაბამისად, მათ მიერ კარგად ორგანიზებული და დაფინანსებული მასობრივი პროპაგანდის ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და კულტურული შედეგი გახლავთ გლობალურად ნეოლიბერალური მოდელი, აღარ აღვნიშნავთ მისი, თუნდაც ჯერ კიდევ მოსამზადებელ ეტაპზე და მთელი არსებობისა და თითქმის უალტერნატივო დომინირების განმავლობაში - დღეის ჩათვლით, არამხოლოდ კრიტიკოსთა, არამედ, მის თეორეტიკოსთა მიერ არაერთგზის, თავიდანვე ვერ-უარყოფილი და დადასტურებული უსამართლობის შესახებ ყოველ ასპექტსა და ყველა დონეზე;

■ უპირველეს ყოვლისა, თვალსაჩინოა, რომ ნეოლიბერალიზმი თავისი კლასიკური განვითარების ლოგიკით, ჩანასახოვან ეტაპზეა საქართველოში, პირველ რიგში - კულტურულ ასპექტში, სადაც მისი ერთგვარი „დაბადება“ (არასრული და გადატანითი მნიშვნელობით) და შემდგომი პროგრესი ემთხვევა პოსტ-ტრანზაციულ / ტრანსფორმაციულ პერიოდს, რასაც ქვეყანაში რეალურად ამჟამადაც აქვს ადგილი;

■ მეორეს მხრივ, უნდა შეინიშნოს, რომ მიუხედავად იმგვარი დაშვებისა, რომ ყოველთვის არ ხდება ისე, რომ ნეოლიბერალური პოლიტიკა უნივერსალურად ძირითადად დასავლური სისტემების, პოლიტიკის, სტრუქტურებისა

და მენტალობის „იმიტაციად“ განხორციელდეს ნებისმიერ ადგილას „დასავლეთის“ საზღვრებს გარეთ, სადაც ის პრაქტიკულად ხორციელდება, საქართველოში ფაქტობრივად მოწმენი ვართ ძირითადად „კლასიკური“ დასავლური ნეოლიბერალური მოდელების „იმიტაციისა“. იმავდროულად, ყოველთვის მაღალია იმის შესაძლებლობა, რომ ნეოლიბერალური პოლიტიკა შესაძლოა ადაპტირებულ იქნას ნებისმიერ ქვეყანაში სწორედ - „იმიტირების“ საშუალებით, მისი გამორჩეულად უნივერსალური და დომინანტური „ბუნებრივი“ ძალისა და მამასადამე, ასევე გამორჩეულად განმაპირობებელი ძალაუფლების გამო, ადამიანის ბუნებაში არსებული მოგების მოტივების „ბუნებრივი“ სიძლიერის უნივერსალურ დომინაციაზე დაფუძნებული ისეთი სისტემის მსგავსი ორგანული განვითარებისა და მსგავსი ღრმა ინსტალაციის თვალსაზრისით, რაც თავის მხრივ, ნეოლიბერალური საბაზრო ეკონომიკის ფუნდამენტიცაა, და რაც ასევე ეყრდნობა ტრადიციულად მზარდად პროგრესირებადი პოტენციალის მქონე ტექნოლოგიურ შესაძლებლობებს, რომელთაც ნეოლიბერალური პოლიტიკა ტრადიციულად ეფექტურად იყენებს ხოლმე განსაკუთრებით - მრავალფეროვანი მედია-ტექნოლოგიების ფორმით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნეოლიბერალური მოდელების დომინანტური, „ბუნებრივი“ ძალა და არსებითი უნივერსალიზმი მათი წარმატებული და ანალოგიური განვითარების შესაძლებლობის პოტენციალს ნამდვილად ქმნის ნებისმიერ კულტურასა და საზოგადოებაში, სადაც პირვანდელი სტრუქტურების თვით „იმიტირებაც“ სრულიად არასაჭიროა, რადგანაც ნეოლიბერალური მოდელების უნივერსალიზმი ლამის ყოველთვის განაპირობებს მსგავს, თითქმის ანალოგიურ შედეგებს;

- ამასთან, მიუხედავად სოციალისტური სულისკვეთების ბუნებრივად სულ უფრო მზარდი გავლენისა მსოფლიოში, გლობალური ნეოლიბერალური ლობის მდიდარი მატერიალური და ძალადობრივი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, საკმაოდ მაღალი ალბათობაა იმისა, რომ ზემოხსენებული მზარდი „უნივერსალიზმის“ (ნეოლიბერალიზმის ერთგვარი „ბირთვი“ აქ) ეფექტები განაპირობებს სწორედ უნიფიკაციის პროცესის დომინაციასა და მის სულ უფრო მზარდ დონეს, რასაც ადგილი აქვს, როგორც მაკრო-რეგიონალურ - ევროპულ, ასევე ზოგადად მსოფლიო კონტექსტში. ამჟამად მიმდინარე მოვლენების ფონზე, რეგიონის მასშტაბით ქვეყანათა კულტურები სულ უფრო ემსგავსებიან ერთმანეთს და აქვთ გაერთიანების ტენდენცია ერთ რეგიონალურ კულტურულ კონტექსტში;

- საქართველოში ნეოლიბერალიზმის კულტურულ ასპექტებთან მიმართებაში ამჯერად ბოლო, თუმცა არა უკანასკნელ ეტაპზე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად დიფერენციაციებისა, რასაც ევროპის ქვეყნების თავისთავად განსხვავებულ და რიგ შემთხვევებში - ეკლექტურ კულტურებში აქვს ადგილი მაკრო-რეგიონალურ დონეზე, და, რომელთაც ამ შემთხვევაში გავიაზრებთ, როგორც რეაქციებს - უნიფიკაციის პროცესზე, ამჟამინდელი და საკმაოდ სტაბილური მდგომარეობით, ისინი (დიფერენციაციები) რეალურად მნიშვნელოვნად სუსტია, ვიდრე უნიფიკაცია, და შესაძლებელია იმგვარი

დიაგნოზისა და პროგნოზის გაკეთება, რომ მოხდება მათი ერთგვარი შენოვა, გადახარშვა და მონელება („აბსორბცია“) - ინტენსიურად უნიფიცირებადი რეგიონალური კულტურის მიერ, რომელიც სულ უფრო გარდაიქმნება მზარდად უნიფიცირებადი გლობალური კულტურის ანალოგად და ნაწილად. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ისინი (დიფერენციაციები) არ დაკარგავენ თავისი - განსხვავებულობის შინაარსს, მაგრამ ეს უკანასკნელი (განსხვავებები) მხოლოდ თავის რეზისტენტულობის (წინააღმდეგობის) ძალას დაკარგავს და განეიტრალდება ახლებურად დაბალანსებული უნიფიცირებული გლობალური კულტურის ახალ რაოდენობით და ხარისხობრივ მოცემულობაში / სუბსტანციაში;

- თანამედროვე საქართველოში წინამორბედი ხელისუფლების მიერ განხორციელებული ყოველმხრივი იდეოლოგიური და პრაქტიკული პოლიტიკური კურსი ატარებდა ცალსახად - ნეოლიბერალურ ხასიათს, და ამდენად, შეესატყვისებოდა მსოფლიოში დომინანტურ იდეურ და ფუნქციონირებად ეკონომიკურ, სოციალურ, პოლიტიკურ, კულტურულ და სამართლებრივ ნეოლიბერალურ სისტემასა და პროცესს, იმ ნეოლიბერალიზმისა, რომელიც ამავე დროულად, ამჟამინდელი გლობალიზაციის პროცესის ფორმა და შინაარსია;

- მიუხედავად გლობალური ნეოლიბერალური პროცესებით ნაკარნახევი, საერთაშორისო თანამეგობრობის ძირითად გადაწყვეტილებების მიმღებ ნეოლიბერალ „აქტორთა“ მიერ „გარედან“ ფართოდ რეკომენდირებული და საგარეო მონიტორინგით ერთგვარად კონტროლირებადი, ხოლო - სახელმწიფოს შიგნით კი - წინამორბედი მთავრობის აპრიორულად ნეოლიბერალური, ყოველმხრივი პოლიტიკური კურსით შეპირობებული და შეიძლება ითქვას, ყოველი ასპექტიდან პირდაპირ მორგებადი პოტენციალის მქონე პოზიციებისა, რითაც ნეოლიბერალიზმის საფუძვლიანად დასამკვიდრებლად და განსავითარებლად საქართველოში - ლოგიკური მიზეზ-შედეგობრიობით, ძალზე ნოყიერი ნიადაგი შეიქმნა, შეიძლება ითქვას, რომ ქართული საზოგადოების ნეოლიბერალიზაციის პროცესი არც ისე წარმატებულად განვითარდა (რაც, სავარაუდოა, რომ გლობალიზაციის მიმართ პატარა მასშტაბის და ხანგრძლივი ისტორიული წარსულის მქონე ერი-სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი ბუნებრივი ანტი-გლობალისტური რეაქციებიც იყოს განპირობებული, რომელთაც საფუძვლად უპირველეს ყოვლისა - კულტურული (ნეოლიბერალიზმისთვის არცთუ მთლად ხელსაყრელი ტრადიციები, წეს-ჩვეულებები და ა.შ.) და მენტალური ფაქტორები უდევს, და არამხოლოდ ანტი-გლობალისტური რეაქციებით) და ნაკლებ მოსალოდნელია, რომ როგორც მინიმუმ, ჩვენს მიერ განჭვრეტად მომავალში, ამ მცდელობებმა სიცოცხლისუნარიანი და სამომავლო განვითარების პერსპექტივების მქონე ეფექტური გრძელვადიანი შედეგები გამოიღოს - მიუხედავად იმისა, შესუსტდება თუ გაძლიერდება მსოფლიოში მიმდინარე პროცესების გათვალისწინებით ამგვარი ნეოლიბერალიზაციის მცდელობები საქართველოში. ამის მიზეზები - ჯერ ისევ საკმაოდ ძლიერი და სიცოცხლისუნარიანი ქართული ტრადიციული ეთნოფსიქოლოგიური ფაქტორების გარდა, რომლებიც ნეოლიბერალიზმის ფესვმოსაკიდებლად

საბოლოო ჯამში - მაინცდამაინც სახარბიელო ნამდვილად არაა, გახლავთ ასევე ის ბუნებრივი წინააღმდეგობები, კერძოდ, სოციალურ-ეკონომიკური უსამართლობითა და ჩაგვრით გამოწვეული და არაკონტროლირებადი მასიური, საზოგადოების უდიდესი უმრავლესობის სახალხო პროტესტის სტაბილურობა და მისი პრაქტიკულად უმართავი და ჩაუცხრობადი ხასიათი, რასაც ნეოლიბერალიზმი ინვესტს მთელს მსოფლიოში, თითოეულ ქვეყანასა და მათ შორის, საქართველოშიც (ნეოლიბერალიზმის აგრესიული „არაბუნებრიობა“, ხელოვნურობა, ძალადობრიობა და მაშასადამე, არასიცოცხლისუნარიანობა - რადგან ძალადობრივად, მითუმეტეს, უმრავლესობის ნების წინააღმდეგ, რაიმეს ხანგრძლივად შენარჩუნება ზოგადად შეუძლებელია). 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგები სწორედ ამ მასშტაბური წინააღმდეგობის ერთ-ერთი გამოძახილიცაა;

- 2008-2009 წლების მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი გახლავთ ზოგადად ნეოლიბერალიზმის (და არა - მთლიანად კაპიტალიზმის, - მისი სხვადასხვა ახალ გარემოებებში ადაპტაციის მაღალუნარიანობის გამო) კრიზისის გამოვლინება (აღნიშნული კრიზისი მიჩნეულია ნეოლიბერალური სისტემისთვის ფაქტობრივად საბედისწეროდ). იმ ყოველივეს გარდა, რის შესახებაც წინა პუნქტში გვქონდა საუბარი, ამგვარი გლობალური ნეოლიბერალური რეალობა შესაბამის ასახვას ჰპოვებს საქართველოში მისი (ნეოლიბერალიზმის) განვითარების ალბათობის მაჩვენებლებზე, რომლებმაც კრიზისის შემდეგ - განსაკუთრებით მნიშვნელოვნად დაიკლო;

- ქართული საზოგადოების, ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა საზოგადოების (ამ უკანასკნელ შემთხვევაში - მზარდი და სიცოცხლისუნარიანი) ნეოლიბერალიზაციისთვის ნაყოფიერი პერსპექტივების არსებობის შემთხვევაშიც კი, საქართველოს (და მსოფლიოს) მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა, ისევე, როგორც ზოგადად პროგრესული ინტელექტუალების უმრავლესობა და ასევე, რაც შეიძლება ითქვას, რომ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია - ახალგაზრდობის უდიდესი ნაწილი, რომელიც კაცობრიობის მომავალია, - რბილად რომ ვთქვათ - არ ემხრობიან, ხოლო ბოლოდროინდელი გლობალური („უოლ-სტრიტის აქციის“ მეთაურობით) თუ ლოკალური (2012 წლის ოქტომბრის არჩევნებისწინა, მაგრამ განსაკუთრებით - შემდგომი პერიოდი) თუ მოვლენების მიხედვით, აქტიურ პროტესტს უცხადებენ იმ ნეოლიბერალურ დისკრიმინაციასა და ჩაგვრას, რისი პირდაპირი თუ არაპირდაპირი მსხვერპლნიც თავად არიან. ამასთან, თანამედროვე ახალგაზრდობა - პოლიტიკურად და სოციალურად აღარაა პასიური, როგორც ბოლო 30 წლის განმავლობაში გახლდათ, არამედ - სულ უფრო და უფრო აქტიურდება, რაც მართლაც სერიოზული დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა - ნარმატიული ნეოლიბერალური რეჟიმების პირობებში პოლიტიკურად და სოციალურად აპათიური ახალგაზრდობის ათეული წლების განმავლობაში არსებობის ფაქტის საპირისპიროდ (ანუ, გარკვეული პერსპექტივების არსებობის თუნდაც თეორიული დამკვიდრების პირობებშიც, რადგანაც მსოფლიოსა და საქართველოს მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა - ნეოლიბერალური დისკურსის მსხვერპლია (რაც ეხება იმგვარ

ფუნდამენტურ სასიცოცხლო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ხშირ შემთხვევაში პირდაპირ შეუძლებლობას - ადამიანთა უდიდესი უმრავლესობისათვის, როგორცაა კვება და ელემენტარული სოციალური დაცვის გარანტიები), გლობალური საზოგადოების აღნიშნული უმრავლესობა - წინააღმდეგია, და დღესდღეობით უკვე საკმაოდ „ხმამალა“ და ორგანიზებულად ებრძვის ნეოლიბერალურ სისტემას.).

რეკომენდაციები

ზემოაღნიშნული დასკვნებიდან გამომდინარე და შესაბამისი პროგნოზირების ჩატარების საფუძველზე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემდეგი რეკომენდაციების წარმოდგენა:

- რაც ეხება შექმნილი მძიმე, რიგითი ადამიანის, საზოგადოებრივად და სახელმწიფოებრივად უსარგებლო და უპერსპექტივო ნეოლიბერალური მდგომარეობიდან გამოსავალს და მისი ალტერნატივის შემუშავება-რეალიზაციას, ამ მხრივ უპირველეს ყოვლისა – წინააღმდეგობის კამპანიის წარმოებაა აუცილებელი მსოფლიო საზოგადოებათა უმრავლესობის – სახალხო კლასების მხრიდან, რამაც პირველ რიგში კაპიტალისტთა კლასების აბსოლუტურად თითიდან გამოწვეულ პროპაგანდას უნდა გაუძლოს და, მისი უსაფუძვლობიდან გამომდინარე დაძლიოს იგი – კაპიტალისტთა მოწინააღმდეგეების მისამართით ვითომდა ნაციონალისტობის, რეაქციონერობისა და პროტექციონისტობის შესახებ, და უნდა მოახერხოს ქვეყნებს შორის თავისუფალი ვაჭრობის რეგულაცია არა „მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის“ პრინციპთა, არამედ იმ პრინციპთა გარშემო, რომლებიც ამ ქვეყანათა და ზოგადად სახალხო კლასთა ინტერესებისა და სარგებლიანობის მიხედვით გულისხმობს სახელმწიფოებს შორის თავისუფალ სავაჭრო მოლაპარაკებათა პრაქტიკის საფუძველზე მათი და მსოფლიო სავაჭრო ვაჭრობის სისტემის ორგანიზებას. ამდენად, ამგვარი ალტერნატივა, შეიძლება ითქვას – თანამედროვე, თუნდაც იმავე სკანდინავიის ქვეყნებში უკვე კარგად აპრობირებული ევროპული სოციალიზმის სახით, როგორც კარგად ვხედავთ, სრულიად არ გულისხმობს უმდიდრესი უმცირესობის აბსოლუტური უმრავლესობის მიერ მათ მოწინააღმდეგეთა ხედვისათვის დაბრალებულ იზოლაციონიზმს, ქვეყნებს შორის პრაქტიკულად საზღვრების ჩაკეტვასა და საგარეო ვაჭრობის შეზღუდვას, არამედ, როგორც ზემოთ წარმოდგენილი მსჯელობებიდანაც ჩანს, სრულიად საპირისპიროს კიდევ, მხოლოდ - ადამიანთა, საზოგადოებათა და სახელმწიფოთა, და არა გამორჩეულად და ერთპიროვნულად - მხოლოდ უმდიდრესი უმცირესობის ინტერესთა შესაბამისად;

- საქართველოს მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობისათვის - უპირველეს ყოვლისა, სოციალურ და ეკონომიკურ სფეროებში, ნეოლიბერალური პოლიტიკის განხორციელების პირობებში მიღებული მძიმე და დესტრუქციული შედეგების დაძლევის, პრიორიტეტულად სწორედ აღნიშნული მიმართულებებით ადეკვატური და სოციალურად ორიენტირებული სისტემის მშენებლობის აუცილებლობის კუთხით, ნეოლიბერალიზმის

ნაცვლად, რომლის განვითარების პერსპექტივები ისევე საეჭვოა, როგორც კიდევ უფრო ძლიერად - ამგვარი კურსის გატარების სურვილი - მსოფლიო და საქართველოს მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის მხრიდან, საჭიროა - თანამედროვე სოციალიზმზე, როგორც ნეოლიბერალიზმის ერთადერთ მართებულ და ღირსეულ ალტერნატივაზე ფოკუსირება;

- სოციალიზმის საქართველოსათვის შესაბამის მოდელებზე მსჯელობისა და მათი შემუშავებისას, მიზანშეწონილად მიგვაჩნია სანიმუშო მოდელად ავილოთ - „სკანდინავიური სოციალიზმის“ მოდელი, რომელიც პრაქტიკულად - „იდეალურადაა“ მიჩნეული სხვა სოციალისტურ თუ სოციალურად ორიენტირებულ მოდელებს შორის;

- სასარგებლოდ მიგვაჩნია საქართველოში განსაკუთრებით - ბოლო პერიოდის განმავლობაში ჩამოყალიბებული „მემარცხენე“ თეორიულ-ინტელექტუალური და კონცეპტუალური, თუ სხვადასხვა ორგანიზაციული და სოციალური რესურსების გამოყენება სახელმწიფოს, ხელისუფლებისა, თუ ზოგადად პოლიტიკოსთა მიერ - საქართველოს სამომავლო განვითარების, განსაკუთრებით - შიდა ორიენტირებსა და მიმართულებებზე მუშაობისას;

- ძალზე პროდუქტიულად გვესახება ნაშრომში ჩვენს მიერ განხილული თანასწორობის ორი ვერსიის სინთეზის (საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფო) „დასავლური“ სოციალ-დემოკრატიული პრაქტიკის საფუძველზე შექმნილი თეორიისა და „მრავალხმოვანი პარადიგმის“ „მემარცხენე“ კონცეფციის როგორც იდეურ-თეორიული ასპექტების, ასევე - პრაქტიკულ-პრაგმატული კომპონენტების გამოყენება საქართველოს სამომავლო განვითარების სოციალისტური მოდელის (ან მოდელთა) შემუშავებისას.

თავი I. თანამედროვე ნეოლიბერალიზმი

1.1. ნეოლიბერალიზმი, როგორც თეორია და პრაქტიკა (საერთო მიმოხილვა)

ნეოლიბერალური მიმდინარეობა თანამედროვე მსოფლიოში ფაქტობრივად დომინანტურია და ერთ-ერთი ყველაზე პრიორიტეტულია სხვა მიმდინარეობათა თუ იდეოლოგიათა შორის. აქედან გამომდინარეობს თემის უზარმაზარი აქტუალობაც. ნეოლიბერალიზმი აღმოცენებულია კლასიკური ლიბერალიზმის პრინციპებიდან და წარმოადგენს ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებების საფუძველზე შექმნილ ახალ პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და იდეურ სისტემას.

ნეოლიბერალიზმი ენციკლოპედიაში განმარტებულია, როგორც გვიანი მე-20 საუკუნის ფილოსოფია, რომელიც კლასიკური ლიბერალიზმის ხელახალ განსაზღვრებას წარმოადგენს. მსოფლმხედველობა ფაქტობრივად წარმოიშვა ეკონომიკის შესახებ არსებული ნეოკლასიკური თეორიების გავლენის შედეგად. ცნებას - „ნეოლიბერალიზმი“ ხშირად იყენებენ ამ დოქტრინის კრიტიკოსები, რომელთაგან ერთ-ერთის განცხადებით, „თვითონ ნეოლიბერალიზმის კონცეფცია ლიტერატურაში არაზუსტი შეგონების წყაროდ და არასასურველი ტენდენციების ამსახველად იქცა.“[1]

ნეოლიბერალური პოლიტიკის ღერძული პრინციპებია: თავისუფალი „მარკეტი“ და თავისუფალი ვაჭრობა. ამ პოლიტიკის მთავარი საერთაშორისო და გლობალური მხარდამჭერი და დამცველი გახლავთ: საერთაშორისო სავაჭრო პალატა პარიზში, რომლის განსაზღვრულ სავაჭრო და კომერციულ მანდატსაც წარმოადგენს:

„საერთაშორისო ვაჭრობისა და ინვესტიციებისათვის ბარიერების იმდენად განადგურება, რომ ყველა ქვეყანამ შეძლოს მოგების მიღება ცხოვრების გაუმჯობესებული პირობებისაგან, მზარდი სავაჭრო და საინვესტიციო ნაკადების საშუალებით“[2].

ამერიკის შეერთებულ შტატებში ნეოლიბერალიზმი უკავშირდება პოლიტიკურ მოძრაობასაც, რომლის წარმომადგენელმა და წევრმა „მემარცხენეებმა“ (კერძოდ, მაიკლ კინსლიმ, რობერტ კაუსმა და რენდალ როთენბერგმა) თავისუფალი ვაჭრობის შესახებ იმგვარი დებულებები და იდეები წამოაყენეს, როგორცაა: თავისუფალი საბაზრო („სამარკეტო“) ეკონომიკა და რეფორმა კეთილდღეობის შესახებ[3];[4].

ტერმინი „ნეოლიბერალიზმი“ არ შეიძლება აღრეულ იქნას ცნებასთან „ახალი ლიბერალიზმი“, რომელიც ასევე წარმატებით გამოიყენება შეერთებულ შტატებში.

12. ნეოლიბერალიზმის პოლიტიკური განსაზღვრება

ფართო გაგებით, ნეოლიბერალური პოლიტიკა გულისხმობს ეკონომიკაზე ერთმნიშვნელოვანი სახელმწიფო კონტროლის გადაცემას კერძო სექტორისათვის [5].

ფასადურად იგი გულისხმობს უფრო მეტად ეფექტური მთავრობების უზრუნველყოფას საერთაშორისო მასშტაბით და სახელმწიფოთა ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების გაუმჯობესებაზეა ორიენტირებული. ნეოლიბერალური პოლიტიკის შესახებ განსაზღვრებითი განაცხადის ავტორად – ჯონ უილიამსონს მიიჩნევენ, რომელმაც თავისი ხედვა ე. წ. ვაშინგტონის კონსენსუსში ჩამოაყალიბა [6]. ეს დოკუმენტი წარმოადგენს ნეოლიბერალური პოლიტიკის უმთავრეს პრინციპთა ჩამონათვალს, რომელიც, სავარაუდოდ, ვაშინგტონში დაფუძნებულ საერთაშორისო ეკონომიკურ ორგანიზაციათა შორის (საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF) და მსოფლიო ბანკი) შეთანხმებით იქნა მოწონებული და მიღებული.

უილიამსონის ჩამონათვალი ათ ძირითად დებულებას მოიცავს:

- ფისკალური პოლიტიკა;
- სუბსიდირებიდან (განსაკუთრებით, „ბუნდოვანი სუბსიდირებიდან“) საზოგადოებრივი ხარჯების გადამისამართება ძირითადი ეკონომიკური განვითარებისა და ასევე, იმგვარი მომსახურების სფეროების მიმართულებით, როგორცაა, მაგალითად, სოციალური მომსახურება – დაბალი სოციალური ფენისათვის, საშუალო განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და ინფრასტრუქტურული ინვესტირების სასარგებლოდ;
- საგადასახადო რეფორმა – საგადამხდელო ბაზის გაფართოება და მარგინალური საგადასახადო ტარიფების შემცირება;
- „ბაზრისადმი“ („მარკეტისადმი“) ინტერესის ზრდა, - პოზიტიური მნიშვნელობით;
- კონკურენტუნარიანი სავალუტო ბრუნვა;
- ვაჭრობის ლიბერალიზაცია – იმპორტთა ლიბერალიზაცია, განსაკუთრებული აქცენტირებით – რაოდენობრივი შეზღუდვების (ლიცენზიები და ა.შ.) გაუქმებაზე. აუცილებელია, ნებისმიერი სახის სავაჭრო ურთიერთობის საკანონმდებლო დაცვა, და ასევე, შედარებით სტაბილური სავაჭრო ტარიფების უზრუნველყოფა;
- პირდაპირი საგარეო ინვესტირების შიდა ლიბერალიზაცია;
- სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაცია;

- დერეგულაცია – საბაზრო და კონკურენციის შემზღვეველი რეგულაციების გაუქმება იმ სფეროების გარდა, რომლებიც უსაფრთხოების, გარემოსა და მომხმარებლის დაცვას გულისხმობს;
- აქვე მნიშვნელოვანია, საფინანსო ინსტიტუციებზე ფრთხილი ზედამხედველობის უზრუნველყოფა და ქონებრივი უფლებების ლეგალური დაცვა.

13. ნეოლიბერალიზმის ეფექტები

ნეოლიბერალურმა მოძრაობამ სხვადასხვა ასპექტში საბოლოოდ შეცვალა მსოფლიო ეკონომიკა, თუმცა, ზოგიერთი ანალიტიკოსის აზრით, მსოფლიო ლიბერალიზაციის ის ხარისხი, რომელიც ნეოლიბერალური თეორიისა და პოლიტიკის განხორციელების შედეგად იქნა მიღწეული, ხშირად გადაჭარბებულადაა შეფასებული. გასული ოცდაათი წლის განმავლობაში მომხდარი ცვლილებები, თუმცადა, სახეზეა და არაბუნდოვანია [7], მაგალითად:

- საერთაშორისო ვაჭრობისა და საზღვრებშორისი კაპიტალის ნაკადთა ზრდა
- სავაჭრო-კომერციული ბარიერების გაუქმება
- თავდაცვის სისტემის დანახარჯების შემცირება, თუმცა ეს ფაქტი რამდენად მიენერება გლობალური ნეოლიბერალური პოლიტიკის განხორციელებას, თავისთავად - საკამათოა იმდენად, რამდენადაც თავის მხრივ, ე. წ. მშვიდობის ინტერვენციის დამკვიდრება ზოგადად, „ცივი ომის“ დასრულებას უკავშირდება.
- საჯარო სექტორში დასაქმების შემცირება
- ყოფილი სახელმწიფო საწარმოების პრივატიზაცია
- სახელმწიფოთა ეკონომიკური კეთილდღეობის მნიშვნელოვანი მასშტაბით გადასვლა მოსახლეობის მაღალშემოსავლიანი და ეკონომიკური ელიტის ხელში [8].

სხვა ცვლილებები, რომელთა შესახებ მსჯელობაც ამ ნაშრომის კრიტიკულ ხედვაში გვაქვს გააზრებული და წარმოდგენილი, მეტად საკამათოა.

- სახელმწიფოთა მთავრობების რაოდენობრივი მოცულობის შემცირება; ამკარაა, რომ მთავრობათა პოლიტიკა არ გამოიჩინეს საბითუ-

მო ვაჭრობის მაღალი მასშტაბებით, რის გამონაკლისსაც წარმოადგენენ გამორჩეულად მსხვილი დანახარჯების მქონე ხელისუფლებები, რომელთა დანახარჯების პროცენტული წილი “საერთო შიდა პროდუქტის” (GDP) მოცულობაში ფაქტობრივად, გლობალურად უცვლელია 1980 წლიდან. სამთავრობო დანახარჯების უმეტესი შეზღუდვები, რასაც ადგილი ჰქონდა 1990-იან წლებში, დროებით მოვლენას წარმოადგენდა.

▪ დანახარჯები - სოციალური უზრუნველყოფის სექტორში. დღეს-დღეობით, სახელმწიფოთა მთავრობების უდიდესი ნაწილი უფრო მეტს ხარჯავს ჯანდაცვის, განათლების, სოციალური უსაფრთხოებისა და უზრუნველყოფის, ასევე, საბინაო მშენებლობის სფეროში. თუმცა, ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ მოსახლეობები საზოგადოდ გაიზარდა და ერთგვარად „დახნოვანდა“ მაღალი ეკონომიკური შემოსავლების მქონე განვითარებულ და მდიდარ ქვეყნებში. გარდა ამისა, მომსახურების (სერვისის) ზოგიერთი სფერო, როგორცაა, მაგალითად, ჯანდაცვისა და განათლების სექტორები – ამერიკის შეერთებულ შტატებში, ასევე საკმაოდ არაეფექტურადაა ორგანიზებული.

14. ეკონომიკური ლიბერალიზმის მხარდაჭერა

ცხოვრების სტანდარტები

ნეოლიბერალიზმის თეორიისა და პოლიტიკის მომხრეები დავობენ შემდეგ საკითხებზე:

- იმაზე რომ, ეკონომიკური თავისუფლების მაღალი დონე სრულ კორელაციაშია და განაპირობებს ცხოვრების მაღალ სტანდარტებს;

- რომ, ეკონომიკური თავისუფლების მაღალ ხარისხს მივყავართ ინვესტიციების ზრდამდე, უახლესი და ეფექტური ტექნოლოგიის გავრცელებამდე, ინოვაციებისა და მომხმარებელთა მოთხოვნილებებისადმი ადეკვატური პასუხისმგებლობის, მზაობისა და შესატყვისობის დამკვიდრებამდე;

- მრავალი განვითარებადი ქვეყნის მთავრობებმა ვერ გაართვეს თავი და/ან მოახდინეს მათი ეკონომიკური დომინანტურობის ექსპლუატაციური გამოყენება ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში;

- სახელმწიფოთა ეკონომიკების მიკრო-მართვის მრავალი მთავრობის მცდელობები, მაგალითად, სატარიფო და სახელმწიფო ინვესტიციების პოლიტიკის გატარება - ხშირად არასწორად გახლდათ მიმართული, არ იყო დროში ადეკვატურად გათვლილი, მწირად განხორციელდა და არასასურველი ფორმებიც კი მიიღო, გამოიღო რა მოულოდნელი არცთუ პოზიტიური შედეგები. მრავალ ნეოლიბერალთა ღრმა რწმენით, საზოგადოდ მთავრო-

ბას არ აქვს უნარი მართოს იმდენად უზარმაზარი სოციალური სისტემა, როგორცაა, მაგალითად, სახელმწიფო ეკონომიკა;

- სახელმწიფო და საზოგადოებრივ საკუთრებაში მყოფმა საწარმოებმა უამრავი მოქალაქის თანხა დაკარგეს;

- 1970-იანი წლების მანძილზე სახელმწიფოს მიერ კონტროლირებულმა ეკონომიკამ ქვეყნებში უუნარობა და დაუცველობა გამოავლინა შოკური ეკონომიკური ვითარებების მიმართ და მსოფლიოს ეკონომიკურ სისტემას მოუწია გაეძლო – მაღალ-ინფლაციური რეცესიული პროცესებისათვის, სწორედ იქამდე, სანამ არ მოხდა საბაზრო ლიბერალიზაცია. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამჟამინდელ მსოფლიო ფინანსურ კრიზისამდელი გლობალური ეკონომიკური აღმავლობის მხოლოდ ერთ-ერთ მიზეზად ასახელებენ საბაზრო ლიბერალიზაციას ნეოლიბერალები, სხვა ფაქტორების: ტექნოლოგიური განვითარებისა და „ცივი ომის“ დასრულების გვერდით.

„ბედნიერება“

ნეოლიბერალიზმის თეორეტიკოსები და ამ პოლიტიკის მხარდამჭერნი „ჰერიტიჯისა და ფრეიზერის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის“ მიხედვით შეფასებულ ეკონომიკური თავისუფლების მაღალ ხარისხს ზოგიერთი ინდივიდის მიერ მაღალი თვითდეკლარირებული პირადი ბედნიერების განპირობების ერთ-ერთ უმთავრეს კრიტერიუმად თვლიან [9].

„მშვიდობა“

ნეოლიბერალიზმის მიმდევართა აზრით, არსებობს გარკვეული მკაფიო კავშირი ეკონომიკური თავისუფლების მაღალ ხარისხსა და მშვიდობას შორის. „თავისუფალი ბაზრის (მარკეტის)“ მხარდამჭერი – „კატოს ინსტიტუტის“ [10] ძალზე საინტერესო კვლევასა და მოხსენებაზე დაყრდნობით, თვით ყველაზე აფექტური მოკლევადიანი სისხლიანი კონფლიქტების დროსაც კი, ამ კონფლიქტების მოგვარების ოპტიმალურ მეთოდად ეკონომიკური თავისუფლებას ასახელებენ, რომელიც 54-ჯერ უფრო მეტად ეფექტური ფაქტორია აღნიშნულ შემთხვევაში, ვიდრე თვით – დემოკრატია (ამ უკანასკნელის ხარისხის გაზომვისას – „დემოკრატიის კოეფიციენტის“ მასშტაბებში) [11].

პოლიტიკური თავისუფლება

მილტონ ფრიდმანმა თავის ცნობილ ნაშრომში: „კაპიტალიზმი და თავისუფლება“ (1962 წ.) განავითარა თეორია, რომლის თანახმადაც, ეკონომიკური თავისუფლება, რომელიც თავისთავად ზოგადად თავისუფლების მნიშვნელოვანი და აუცილებელი კომპონენტია, ამასთან წარმოადგენს აუცილებელ პირობას – პოლიტიკური თავისუფლებისათვის. ამ ავტორის სამართლიანი შენიშვნით, ეკონომიკურ საქმიანობაზე ცენტრალიზებული სახელმწიფო კონტროლის არსებობას ყოველთვის ახლდა თან - პოლიტიკური რეპრესიები.

ფრიდმანის მოსაზრებით, თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის ტრანზაქციების არაკონტროლირებადი და ვოლუნტარული ხასიათი, ისევე, როგორც მისი (საბაზრო ეკონომიკის) ფართო მრავალფეროვანი ბუნება, ფუნდამენტურ საფრთხეს უქმნის რეპრესიული პოლიტიკური ლიდერების ძალაუფლებას და მნიშვნელოვნად ამცირებს ზოგადად იძულებითი პოლიტიკის განხორციელების ალბათობასა თუ თავად იძულების კატეგორიას. ეკონომიკურ საქმიანობაზე ცენტრალიზებული კონტროლის გაუქმების მეშვეობით ხორციელდება სწორედ ეკონომიკური ძალაუფლების გამიჯვნა პოლიტიკური ძალაუფლებისაგან, რაც თავის მხრივ, ამ ორ სფეროს შორის კავშირის ურთიერთდაბალანსების საშუალებას აჩენს. ამავდროულად ფრიდმანი ღრმად დადარწმუნებული, რომ კონკურენტული კაპიტალიზმი განსაკუთრებით სასარგებლოა – უმცირესობათა ჯგუფების კეთილდღეობისათვის, რადგანაც არაპერსონიფიცირებული საბაზრო სისტემა და „სამარკეტო ძალები“ ადამიანებს იცავენ მათი ეკონომიკური საქმიანობისას, აბსოლუტურად არაკონტექსტური და შრომით საქმიანობასთან კავშირში არმყოფი ფაქტორების საფუძველზე დისკრიმინაციისაგან [12].

ყოველივე ზემოთქმულთან მიმართებაში გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომელიც ფრიდმანის ნეოლიბერალურ ექსპერიმენტს და შესაბამისად, მის ამგვარ საინტერესო გამოცდილებას უკავშირდება; მან აღნიშნული ე. წ. ნეოლიბერალური ექსპერიმენტი ჩილეში განახორციელა, სამხედრო დიქტატურისა და მწვავე სოციალური რეპრესიის პირობებში.

ფრიდრის ჰაიეკმა თავის წიგნში: „გზა – მონობისაკენ“ (1944 წ.) განაცხადა, რომ „ეკონომიკური კონტროლი – ადამიანის ცხოვრების მხოლოდ ერთი სექტორის კონტროლი კი არ არის, რომლის დანარჩენი ნაწილებისაგან გამოცალკევებაც შეიძლება, არამედ, იგი ჩვენთვის ყველაფრის საშუალების კონტროლია.“ [13]

რეალისტური ხედვიდან გამომდინარე, უნდა გავიაზროთ, რომ თავად ნაკლებად ეფექტური მთავრობის სისტემის ფუნქციონირებამ, რომელიც დასუსტებულია - გაძლიერებული ეკონომიკური დამოუკიდებლობის ფონზე, შესაძლოა გარდაუვალი და არასასურველი საბაზრო ელემენტების ჩამოყალიბება მოგვცეს, რომელთა მართვაც ვერ იქნება მარტივი, თუნდაც, რომ ისინი ზიანის მომტანი იყოს თვით ეკონომიკის, მოქალაქეებისა და გარემოსათვის.

ინდივიდისათვის განკუთვნილ სტატისტიკური მოქალაქის უფლებებით აღჭურვილ და რაციონალიზებულ „კორპორაციას“, როგორც თავად – იდეას, ნეოლიბერალიზმი სახელმწიფოს მოქალაქეთა საშუალო თანასწორობასთან აკავშირებს და უთანაბრებს იმდენად, რამდენადაც, მას ეკონომიკურ სფეროში დიდი ძალაუფლება, ხოლო – იურისპრუდენციულ რეალობაში ფაქტობრივად თანაბარი სამოქალაქო უფლებები გააჩნია. ამ თვალსაზრისით, სახელმწიფო შესაძლოა იმავე დოზით იყოს „ერთეულის“ (ამ შემთხვევაში, სრულფასოვანი სამართლებრივი სამოქალაქო ერთეულის

– კორპორაციული ერთობის) უფლებათა შემზღვეველი - სახელმწიფო შეზღვევების სისტემისა და მექანიზმების საშუალებით, როგორც მოქალაქის (ადამიანის) პირადი უფლებებისა და თავისუფლებების დამრღვევი (იმ უფლებათა და თავისუფლებათა, რომელიც ყოველ ადამიანს დაბადებითვე აქვს მინიჭებული).

სახელმწიფო-ცენტრისტული მიდგომა

სახელმწიფო-ცენტრისტული მიდგომა არ არის მიჩნეული კრიტიკულ პოზიციად ნეოლიბერალიზმისადმი, თუმცა, იგი ნამდვილად ემთხვევა იმ კრიტიკულ თვალსაზრისს, რომ ნეოლიბერალური იდეები მოქნილი ლიბერალური რეცეპტია – კეინსიანიზმის „გასაფანტად“ „გამონერილი“. სახელმწიფო-ცენტრისტული მიდგომის მომხრეები თვლიან, რომ ნეოლიბერალიზმი არის „საბაზრო სისტემაში სახელმწიფოს როლის შეზღვევის მცდელობა – დაბალი საგადასახადო კვეთების, სოციალურ სფეროში დანახარჯების შემცირების, დერეგულაციისა და პრივატიზაციის საშუალებით.“ [14]. თუმცადა, ე. წ. სახელმწიფო-ცენტრალისტები დავობენ და ამტკიცებენ, რომ ნეოლიბერალიზმი ჩამოაყალიბებს არა კლასობრივი ცნობიერების მქონე კაპიტალისტების მიერ მხარდაჭერილმა და დაფინანსებულმა კაპიტალისტურმა პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა, ეკონომისტებმა, ეკონომიკურმა დეპარტამენტებმა, „მოაზროვნე ძალებმა“ და პოლიტიკოსებმა, როგორც ამას – ნეოლიბერალიზმის კრიტიკოსები თვლიან, არამედ – სახელმწიფო აქტიორებმა, რომლებიც პოლიტიკური მენარმეები იყვნენ. სახელმწიფო-ცენტრისტი თეორეტიკოსები თვლიან, რომ ნეოლიბერალიზმი გავრცელდა იმდენად, რამდენადაც იგი უკეთესად პასუხობს ამომრჩეველთა ინტერესებს. ისინი ძალზე მკაფიოდ ეწინააღმდეგებიან ნეოლიბერალიზმის კრიტიკოსებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ნეოლიბერალიზმი დამკვიდრდა და გავრცელდა მისი მოხერხებული, წარმატებული შეფუთვითა და იმ პოლიტიკის წყალობით, რომელმაც წარმატებული და მომხიბვლელი პროპაგანდისა და კარგად ორგანიზებული პოლიტიკური მექანიზმების გამოყენებით დაამკვიდრა და გაავრცელა იგი, მუდმივად გასძახოდა რა საზოგადოებას, რომ „ალტერნატივა არ არის.“

სახელმწიფო-ცენტრისტი სოციოლოგის, მონიკა პრაზადის მტკიცებით (2006 წ.), ნეოლიბერალიზმი დომინანტური გახდა იქ, სადაც (ფედერალური) საგადასახადო სისტემა პროგრესირებდა, სადაც ინდუსტრიული პოლიტიკა „მტრული“ იყო – ბიზნესის მიმართ, ხოლო – კეთილდღეობა, მხოლოდ ღარიბებთან ასოცირდებოდა. მისი აზრით, ეს გახლდათ ნეოლიბერალიზმის წარმატების საფუძველი ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთში, ისევე, როგორც საფრანგეთსა და გერმანიაში. თუმცადა, საფრანგეთსა და გერმანიაში ეროვნული მთავრობების საგადასახადო პოლიტიკა რეგრესისკენ იყო მიმართული, ინდუსტრიული პოლიტიკა კეთილგანწყობილი გახლდათ – ბიზნესის მიმართ, ხოლო – კეთილდღეობის სახელმწიფოს იდეა ფართოდ იყო – საშუალო კლასისათვის სარგებლის მომტანად

აღიარებულ-ცნობილი და სწორედ ამ ფენაზე ორიენტირებული. შესაბამისად, ამ ორ ქვეყანაში, აშშ-სა და დიდი ბრიტანეთისაგან განსხვავებით, ნეოლიბერალიზმის იდეებით არც ბიზნესმენები ყოფილან გატაცებულნი და არც მოსახლეობის საშუალო ფენები. პრაზადის თანახმად, ნეოლიბერალიზმი კორექტული გახლდათ მოსამსახურეთა კლასის მხარდამჭერი პოლიტიკის მიმართ – კაპიტალისტთა ინტერესების არცთუ სასარგებლოდ, და იგი სწორედ დამოუკიდებელმა სახელმწიფო აქტიორებმა ჩამოაყალიბეს. უმეტესი პოლიტიკური სოციოლოგი დაეთანხმება, თუმცაღა, იმას, რომ მხოლოდ ხელოვნურ მეთოდოლოგიურ არჩევანს შეეძლო მიეცა ნება ნეოლიბერალიზმის დამკვიდრებისათვის – აშშ-ში, რომლის პოლიტიკაც სწორედ კაპიტალისტური ინტერესების გამტარებლად კი არა, არამედ – მოსამსახურეთა კლასის მხარდამჭერად ითვლებოდა საზოგადოდ (თუნდაც რომ – „ახალი გარიგება“ შემდგარიყო - სისტემის ძირეულად შესაცვლელად). სახელმწიფოს ავტონომიურობის თემა ძალზე მგრძნობიარე თემაა უმრავლესი კლასობრივად სენსიტიური ისტორიკოსი-მკვლევარებისათვის, განსაკუთრებით – აშშ-თან მიმართებაში; მსჯელობისას მეთოდოლოგიური არჩევანის გაკეთება, როგორცაა მაგალითად, სოციალურ-დემოკრატიული ქვეყნების გამოტოვება პრაზადის ანალიზიდან, რასაკვირველია, შესაბამისადაც აისახა აღნიშნული სოციოლოგის ნაშრომში.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი განსხვავება კლასიკურ ლიბერალიზმსა და ნეოლიბერალიზმს შორის მდგომარეობს იმაში, რომ მაშინ, როდესაც კლასიკური ლიბერალიზმი სახელმწიფოს როლის მინიმუმამდე შემცირებასა და მის ჩანაცვლებას ქადაგებდა – კერძო კაპიტალით, ნეოლიბერალიზმი მოწოდებულია იმისაკენ, რომ გააძლიეროს და განავრცოს კერძო კაპიტალის როლი სწორედ - სახელმწიფოს საშუალებით და ამით იგი ავტორიტარულ და მისი (კერძო კაპიტალის) ინტერესების ერთგულ თანაშემწედ გადააქციოს [15].

I თავის სქოლიო:

1. Thorsen, D., Lie, A., “What is Neoliberalism?”, Department of Political Science, University of Oslo, 1980, pp 10-16.
2. www.iccwbo.org, ukanasknelad iqna gadamowmebuli - 30.05.2009.
3. Peters, C., A Neoliberal's Manifesto, The Washington Monthly, May 1983, pp 8-18.
4. Klein, E., Interview with Charles Peters, A Neoliberal Education, The Washington Monthly, May 2007.
5. Cohen, J.N., “The Impact of Neoliberalism, Political Institutions and Financial Autonomy on Economic Development, 1980–2003” Dissertation, Department of Sociology, Princeton University. Defended June 2007. pp 62-100.

6. Williamson, J., "What Washington Means by Policy Reform" in John Williamson, ed. *Latin American Adjustment: How Much Has Happened?* (Washington, DC: Institute for International Economics, 1990, pp 50-67.
7. Cohen, J.N., Centeno, M., "Neoliberalism and Patterns of Economic Performance" *Annals of the American Academy of Political and Social Science*, 2006, 606(1), pp 32-67. DOI:10.1177/0002716206288751.
8. Rapley, J., *Globalization and Inequality: Neoliberalism's Downward Spiral*. Boulder: Lynne Rienner, 2004.
9. In Pursuit of Happiness Research. Is It Reliable? What Does It Imply for Policy?, The Cato institute. April 11, 2007."The mission of the Cato Institute is to increase the understanding of public policies based on the principles of limited government, free markets, individual liberty, and peace."
10. In Pursuit of Happiness Research. Is It Reliable? What Does It Imply for Policy?, The Cato institute. April 11, 2007."The mission of the Cato Institute is to increase the understanding of public policies based on the principles of limited government, free markets, individual liberty, and peace."
11. Chapter2: Economic Freedom and Peace, *Economic Freedom of the World 2005*.
12. Friedman, M., *Capitalism and freedom*, The University of Chicago. ISBN 0226264211, 2002, pp 8-21.
13. Hayek, F., *The Road to Serfdom*, University Of Chicago Press; 50th Anniversary editio, ISBN 0226320618, 1944, p. 95.
14. Prasad, M., *The Politics of Free Markets: The Rise of Neoliberal economic Policies in Britain, France, Germany, & The United States*, Chicago: University of Chicago Press, 2004, pp 23-27.
15. Kumar, R., "Right to Education Bill" *Radical Notes*, February 2, 2009, pp 4-15.

თავი II. ნეოლიბერალიზმის ძირითადი დეზულეგაზი და მისი თანამედროვე ქართული კონტექსტი (კრიტიკული ხედვა)

2.1. ნეოლიბერალიზმის ზოგადი კრიტიკა

ცნება „ნეოლიბერალიზმი“ ნებისმიერ მსოფლიო-სამეცნიერო ლიტერატურაში განმარტებულია, როგორც გლობალური საბაზრო ლიბერალიზმისა (კაპიტალიზმის) და თავისუფალი სავაჭრო პოლიტიკის განხორციელების საერთაშორისო ქსელი. ხშირად ტერმინი გამოიყენება „გლობალიზაციის“ ცნების შემცვლელად; ხოლო პრაქტიკულ პოლიტიკაში, ნეოლიბერალური მიმართულების მთავარ და უმსხვილეს „აქტორებად“ მიჩნეულნი არიან — „ტრანსნაციონალური კორპორაციები“ (რა თქმა უნდა, „მსოფლიო ბანკთან“ და „საერთაშორისო სავალუტო ფონდთან“ ერთად) [1].

ნეოლიბერალიზმი დიდი ტრადიციების მქონე ლიბერალურ-დემოკრატიული მიმდინარეობის უახლესი ფორმაა, რომელიც უფრო მეტად ადაპტირებულია თანამედროვე გლობალურ პოლიტიკურ სივრცეში და შეესაბამება მსოფლიო პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების დღევანდელობას, თუ მომავალს.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი თეორეტიკოსის მიერ ე.წ. სოციალურ ლიბერალიზმად სახელდებული „ეკონომიკური ლიბერალიზმი“ - „ნეოლიბერალიზმი“ [2] - ამავე თეორეტიკოსების განმარტებით, უფრო მეტადაა სოციალურად ორიენტირებული, ვიდრე კლასიკური ლიბერალიზმი. ამ კონცეფციით, მისთვის ამოსავალია სოციალურ-ლიბერალური სინთეზის თანამედროვე ევროპული თეზა. ეს უკანასკნელი ემყარება თანაბარ შესაძლებლობათა თავისუფალი სამოქალაქო საზოგადოების შექმნის იდეას, რომელიც უნდა დაეფუძნოს სოციალურ სამართლიანობას; სოციალური სამართლიანობა გულისხმობს სოციალური სოლიდარობისა და სოციალური პარტნიორობის ინსტრუმენტების სისტემის შექმნას [3].

ამ ტიპის ნეოლიბერალური კონცეფციით, რომელიც ექსკლუზიური იშვიათობაა და რომელსაც აქტიურად დაეთანხმნენ ქართველი ნეოლიბერალეზმელები, რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს - სხვა ევროპულ და საერთოდ, დასავლურ კლასიკურ ნეოლიბერალურ (არსით წმინდა - კაპიტალისტურ) პრინციპებთან ერთად, თავისუფალი საზოგადოება შეუძლებელია მშვიდობიანად და ეფექტურად ცხოვრობდეს სოციალური უსამართლობის პირობებში, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში შეუძლებელია სოციალურ-პოლიტიკური სტაბილურობის მიღწევა [4]. სოციალური უსამართლობის გარემოში ერთის მხრივ, უმცირესობას - თავისუფალ მდიდრებს და პრივილეგირებულებსა და, მეორეს მხრივ, თავისუფალ ღარიბ-ღატაკთა (რომლებიც უმრავლესობას წარმოადგენენ; დღეს საზოგადოების აბსოლუტური უმ-

რავლესობა ჩვენს ქვეყანაში ამგვარ მდგომარეობაშია სწორედ) შორის მუდმივად იარსებებს ან პრივილეგირებული უმცირესობის მიერ დიქტატურის დამყარების, ან პირიქით, ლატაკი უმრავლესობის მიერ სოციალური დესტაბილიზაციის წარმართვის საფრთხე.

ამდენად, „ნეოლიბერალიზმის“ ზემოგანხილული უიშვიათესი ინტერპრეტაციის თანახმად, აღნიშნული იდეურ-პრაგმატული სისტემა უმნიშვნელოვანეს ფაქტორად ასახელებს სოციალური სამართლიანობის იდეის პრაქტიკული განხორციელების ამოცანას თანამედროვე თავისუფალ სამოქალაქო საზოგადოებაში.

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ყოველივე ზემოგანხილული წარმოადგენს კლასიკური ლიბერალიზმის გადამუშავებულ და ნეოლიბერალიზმის ადრეულ თეორიებს, რომლებიც თავისი მსოფლმხედველობრივი ხასიათის გამო, თავად ეკონომიკური (საბაზრო) ლიბერალიზმისთვის უტოპიური და არარეალური აღმოჩნდა.

თუკი ფუნდამენტურად გავეცნობით ნეოლიბერალიზმის უკვე ჩამოყალიბებულ და დღეს ფაქტობრივად უპირობოდ აღიარებულ პრინციპებს, ჩვენთვის მკაფიოდ გახდება ნათელი, თუ რას წარმოადგენს სინამდვილეში - აღნიშნული ფენომენი, როგორც თეორიულად, ასევე პრაქტიკულადაც.

უკანასკნელი 30-35 წლის განმავლობაში გლობალურად განვითარდა ნეოლიბერალური პოლიტიკა. ეს პერიოდი ითვლება აღნიშნული სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის პრაქტიკული რეალიზაციის ხანად, თუმცა სინამდვილეში, ნეოლიბერალური მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბება დაიწყო მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, როდესაც 1944 წელს, ბრეტონ-ვუდსში საფუძველი ჩაეყარა დღესდღეობით ისეთ უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო ინსტიტუტებს, როგორებიცაა „საერთაშორისო სავალუტო ფონდი“ (IMF) და მსოფლიო ბანკი (World Bank); მათი სამუშაო მანდატი ითვალისწინებდა მხოლოდ აქტიურ კონსულტაციურ და პრაქტიკულ დახმარებას იმჟამად ომის შედეგად განადგურებული საერთაშორისო ეკონომიკური სივრცისათვის, კერძოდ კი მიზანი გახლდათ ამ ინსტიტუტების მხრიდან მსოფლიო რეკონსტრუქციისა და განვითარებისათვის ზრუნვა, შესაძლებლობების ფარგლებში. იმ პერიოდისათვის ვერავინ წარმოიდგენდა, თუ აღნიშნული ორგანიზაციები შემდგომ მოიპოვებდნენ უფლებებს, შესაძლებლობებსა და იმგვარ ძალაუფლებას, რომელიც თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის პრაქტიკულ მართვაში გამოიხატება.

თუკი ნეოლიბერალურ განვითარებას გლობალიზაციის მიმდინარეობის ადეკვატურად და ან იდენტურად აღვიქვამთ, როგორადაც გარკვეული თვალსაზრისით შესაძლებელია მისი (ნეოლიბერალიზმის) განხილვა, უნდა აღინიშნოს, რომ პირველი მსოფლიო წესრიგის წარმოშობის ბუნებრივ მცდელობას ადგილი ჰქონდა ჯერ კიდევ მე-18 საუკუნის მეორე ნახევრიდან. ამ პროცესებს დასაბამი მისცა იმგვარმა ინტელექტუალურმა ბაზისმა,

რომლის ერთ-ერთ უმსხვილეს და ცენტრალურ ბირთვსაც წარმოადგენდა ცნობილი ინგლისელი ეკონომისტის – ადამ სმიტის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომი „ერების სიმდიდრე“ (“The Wealth of Nations“) 1776 წელს წიგნში განხილულია ქვეყნის ეკონომიკურ საქმიანობაში სახელმწიფოს მონაწილეობის საკითხი და მკაცრად გაკრიტიკებული ე.წ. სახელმწიფო ინტერვენცია კომერციულ და ვაჭრობით ურთიერთობებში. ა. სმიტი, რომელმაც უდავოდ ყველაზე მკაფიოდ ჩამოაყალიბა თავისი ნეგატიური დამოკიდებულება აღნიშნული პოლიტიკის მიმართ და, რომელიც, უდავოდ, ერთადერთი არ გახლდათ ამ თვალსაზრისით, თავის წიგნში ყველაზე ხმაამალა და არგუმენტირებულად შეეცადა დაესაბუთებინა ქვეყნის ეკონომიკაში სახელმწიფო ინტერვენციის შეზღუდვის, ეკონომიკის ლიბერალიზაციის, თავისუფალი ვაჭრობის და თავისუფალი კონკურენციის აუცილებლობის თეზისები. თუმცა ეს ყოველივე სწორედ კლასიკური ლიბერალიზმის წარმოშობისა და განვითარების ისტორიაა; მაგრამ ჩვენთვის საინტერესო - ამ ეტაპზე გახლავთ გლობალური წესრიგის შექმნის თემატიკაც, რომელიც ემთხვევა სწორედ კლასიკური ლიბერალიზმის გავრცელებისა და მისი საერთაშორისო აღიარების პერიოდს. პირველ მსოფლიო წესრიგს, ან უფრო სწორად, მისი შექმნის მცდელობას ფაქტობრივად ბოლო მოელო პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე, რომელმაც იმჟამინდელ გლობალურ საზოგადოებას სერიოზული შოკი მიაყენა და დაუკარგა მშვიდობის საერთაშორისო ინტერვენციის კლასიკური ლიბერალური ილუზიები.

თუ შეიძლება ასე ითქვას, მეორე, მაგრამ ამჯერად, რეალური გლობალური წესრიგის შექმნა დაიწყო მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ და ეს პერიოდი ლოგიკურად დაემთხვა სწორედ ნეოლიბერალური ტენდენციების გაძლიერებისა და მისი დომინანტობის ან უკვე, ყველაზე აქტიურ თანამედროვე ფაზებს.

ნეოლიბერალური ისტორიისათვის აგრეთვე უმნიშვნელოვანეს ამოსავალ მოვლენას წარმოადგენდა XX საუკუნის 30-იანი წლების აშშ-ს სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის სურათი. მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყანაში ეკონომიკური ლიბერალიზმის იდეები ჯერ კიდევ 1800-იან და ადრეულ 1900-იან წლებში უკვე საკმაოდ პოპულარული გახლდათ, 1930-იანი წლების „დიდმა დეპრესიამ“, რომელიც გამოხატავდა იმ პერიოდის ამერიკის, მის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე მძიმე ეკონომიკურ და სოციალურ კრიზისს, ცნობილ ეკონომისტს – ჯონ მეინარდ კეინსს შეაქმნევინა ახალი თეორია, რომლის მიხედვითაც, ლიბერალიზმი თავისი არსით და პრაქტიკულად, კაპიტალისტური მსოფლმხედველობაა. კაპიტალისტური ეკონომიკა, რომელიც კრიზისს განიცდის, ფეხზე წამოდგომისა და განვითარებისათვის აუცილებლად საჭიროებს სახელმწიფოს ჩარევას ქვეყნის ეკონომიკაში - მისი საზოგადო რეგულირების კუთხით. (აქ საუბარია, კონკრეტულად, დასაქმების პროცენტულად და შეძლებისდაგვარად მასობრივ ზრდაზე. კეინსი ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობის აღებისაკენ მოუწოდებს სახელმწიფო ხელისუფლებას და მის მთელ რიგ სტრუქტურებს, აგრეთვე ცენტრალურ ბანკებს).

აღნიშნულმა მსოფლმხედველობამ ძალზე დიდი და ფაქტობრივად, გადამწყვეტი გავლენა იქონია ა.შ.შ-ს პრეზიდენტ ფრანკლინ-დელანო რუზველტის „ახალ კურსზე“, რომელმაც თავისი სახელწიფოზე ორიენტირებული ლიბერალური და სოციალურად მიზანმიმართული პოლიტიკის განხორციელებითაც, რეალურად, გამოიყვანა აშშ საშინელი კრიზისიდან და უფრო მეტიც, გააუმჯობესა მოსახლეობის ცხოვრების დონე.

სწორედ ამ მოვლენების განვითარების შემდგომ გახდა პოპულარული ფაქტობრივად - სოციალური ლიბერალიზმის პრაქტიკული აუცილებლობის საჭიროების შესახებ მოსაზრებები ევროპაშიც და დანარჩენ მსოფლიოშიც.

ნეოლიბერალიზმის თეორიის თემაზე შექმნილ უზარმაზარ მსოფლიო ლიტერატურაში მისი განვითარებისა და პრაქტიკული განხორციელების ყველაზე აქტიურ ფაზას „ელიტარული ეკონომიკის 30 წელს“ უწოდებენ.

2.2. ძირითადი დეზულეზების კრიტიკული ანალიზი ნეოლიბერალიზმის ძირითადი დეზულეზები მოიცავს:

1. „მარკეტის (საბაზრო) კანონი“

იგი გულისხმობს თავისუფალი კერძო სანარმოს (წარმოების) ლიბერალიზაციას და გათავისუფლებას ყოველგვარი მარწუხებისა და მუხრუჭებისაგან, რაც, უპირველეს ყოვლისა, გამყარებული იქნება სამართლებრივად. თვითონ სახელმწიფო უნდა უწყობდეს ხელს ამგვარი სისტემის უზრუნველყოფას, მიუხედავად იმისა, თუ რა მასშტაბის სოციალური დეზინტეგრაცია შეიძლება ამან გამოიწვიოს (მხედველობაშია მიღებული სოციალური უთანასწორობის ზრდის უმართავი ტემპები და საზოგადოების ფენებს შორის ქონებრივი უთანაბრობის ნიადაგზე გაუცხოვების პრობლემა). აგრეთვე, აღნიშნული დეზულეზები ითვალისწინებს გახსნილობისა და სრული მზაობისათვის გარკვეული გარანტიების შექმნას საერთაშორისო ვაჭრობისა და ინვესტიციების რეჟიმის განვითარების თვალსაზრისით. ამ პროცესებიდან გამომდინარე, თავისთავად იგულისხმება ხელფასების მასშტაბური შემცირება და მოსამსახურეთა ფენის უფლებათა ფაქტობრივი და ხშირად ტოტალური უგულვებელყოფაც. ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნა „სამარკეტო კანონისა“ მდგომარეობს იმაში, რომ არ არსებობდეს ტარიფების კონტროლი სავაჭრო პროდუქციაზე (საქონელზე). აუცილებელია კაპიტალბრუნვისა და საქონელბრუნვის, ასევე, მომსახურების (სერვისების) სფეროს სრული და შეუზღუდავი თავისუფლება. საზოგადოების უმრავლესი ნაწილის დარწმუნება, რომ ყოველივე ზემოაღნიშნული ბუნებრივი, და უფრო მეტიც, საყოველთაოდ მომგებიანია, წარმოადგენს ნეოლიბერალური პოლიტიკის პიარ(PR)-ურთიერთობის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას. ნეოლიბერალური გაგებით, „დერეგულირებული ბაზარი – არის საუკეთესო გზა ეკონომიკური ზრდის გაუმჯობესებისათვის, რომელიც საყოველთაო მოგებას მოიტანს“ [5].

2. სოციალური მომსახურების (სოციალური უზრუნველყოფის) სფეროების სახელმწიფო დაფინანსების მაქსიმალური შეზღუდვა.

დებულება მოიაზრებს სოციალური უზრუნველყოფის ყველა სექტორის, მათ შორის განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ისედაც თავისთავად შეზღუდული სახელმწიფო ფინანსირების შემცირებას (მოსახლეობის დაბალ სოციალურ საფეხურზე მდგომი ჯგუფებისათვის სახაზინო დახმარების მინიმუმამდე დაყვანას, აგრეთვე, გზების, ხიდებისა და წყალმომარაგების სისტემების პრიორიტეტულად სახელმწიფო მეთვალყურეობის მინიმალიზაციას). ყოველივე ეს კვლავაც ეკონომიკაში სახელმწიფოს მონაწილეობის როლის მაქსიმალური შემცირების ნეოლიბერალური თეზის სახელით ხორციელდება. ამავდროულად უნდა აღინიშნოს, რომ მეწარმეები და ბიზნესმენები არასდროს არ არიან წინააღმდეგნი სახელმწიფო სუფსიდიებისა და საერთოდ, ბიზნესისათვის დაწესებული საგადასახადო შეღავათების [6].

3. „დერეგულაცია“

აღნიშნული დებულება გულისხმობს ნაკლებშემოსავლიანი სფეროების, მაგალითად, გარემოს დაცვისა და სხვა მსგავსი სფეროების სახელმწიფო რეგულაციის სისტემის შეზღუდვასა და შემცირებას. მოსამსახურეთა უფლებების დაცვის საკითხი ფაქტობრივად იგნორირებულია [7].

4. „პრივატიზაცია“

იგი გულისხმობს სახელმწიფო საწარმოებისა და მომსახურების (სერვისების) სექტორის მასობრივ გასხვისება-მიყიდვას კერძო ინვესტორის წარმომადგენლებისათვის. ეს პროცესი ეხება პრიორიტეტულ (მიზნობრივ, ანუ სტრატეგიულ) საწარმოებს, რკინიგზას, აეროპორტებს, ელექტრომომარაგებას, წყალმომარაგების სისტემას, სკოლებს, საავადმყოფოებს, თვით ბანკებსაც კი. პრივატიზაცია ხორციელდება შემოსავლების გაზრდის, სახელმწიფოში ეკონომიკური ზრდის ეფექტურობისა და მაღალხარისხიანი მომსახურების უზრუნველსაყოფად, რაც, როგორც ნეოლიბერალები შენიშნავენ, საყოველთაო საჭიროებითაა ნაკარნახევი [8]. რეალურად კი, აღნიშნული პროცესის მიზანიც და შედეგიც მდგომარეობს კაპიტალის უფრო და უფრო მცირე რაოდენობის ადამიანების ხელში გადასვლაში. პროდუქციაზე ფასები მატულობს და ამავდროულად, საზოგადოების უმრავლესობის ცხოვრების დონე უფრო მეტად ქვეითდება.

საბაზრო ლიბერალიზმის თეორიაში არსებობს ე.წ. ბუნებრივი მონოპოლიების ცნება. ეკონომისტთა განმარტებით, „ბუნებრივი მონოპოლია“ არის მომსახურებისა და წარმოების ყველა ის სფერო, რომელსაც სახელმწიფო ახორციელებს [9].

5. ტერმინების: „სახელმწიფო საკუთრება“, „სახელმწიფო პროდუქცია“,

„სოციალური ერთობები“ გაუქმება და მათი ჩანაცვლება ცნებითა და კონცეფციით: „ინდივიდუალური პასუხისმგებლობა“.

ნეოლიბერალური თეორიისა და პოლიტიკის ეს მიმართულება განაპირობებს საზოგადოების უღარიბესი ფენების სოციალური დეზინტეგრაციისათვის გარდუვალ ხელშეწყობას [10]. ნეოლიბერალები ყოველთვის ეძებენ თავის გასამართლებელ არგუმენტებს იმ მძიმე სოციალურად უთანასწორო რეალობის წინაშე, რაც გამოწვეულია პრაქტიკული ნეოლიბერალური პოლიტიკით. საზოგადოების ღატაკი ნაწილისათვის სოციალური უზრუნველყოფის სახელმწიფო რეგულირების მინიმალიზაციას [11] ისინი ამართლებენ სოციალური დარვინიზმის ამოსავალი პრინციპებით, ჯუნგლებში ყველაზე ძლიერის გადარჩენისა და სუსტის დაღუპვის კანონზომიერების საფუძველზე, ღრმად არიან დარწმუნებულნი და მოიშველიებენ აგრეთვე, ადამიანთა ბუნებრივი უთანასწორობის იდეას.

ნაკლებმძღებულთა წარუმატებლობები ნეოლიბერალთა დიდი ნაწილის გაგებით, ხშირად აიხსნება თავად მათი „სიზარმაცით“. შემოდის უპირობოდ „წარუმატებლის“ („ლუზერის“) გაგება. ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი მარგარეტ ტეტჩერი თავის დოქტრინაში: „ალტერნატივა არ არის“ („TINA, There Is No Alternative“) აღნიშნავდა: „ჩვენი ამოცანაა მხარი დაგუჭიროთ სოციალურ უთანასწორობას და დავინახოთ, რომ ტალანტები და შესაძლებლობები წარმოადგენს ნაჩუქარ გასაღებს. იგი უზრუნველყოფს მოგებას - ყველა ჩვენთაგანისათვის“ [12].

ნეოლიბერალიზმის დეფინიციისას, მის ამოსავალ პრინციპებს შორის ყველაზე მთავარი გახლავთ სწორედ – კონკურენციის იდეა. ნეოლიბერალური აზრით, „მარკეტი“ - იმდენად ბრძენია და ისეთივე უნივერსალური, როგორც ღმერთი; რომ უხილავ ხელს შეუძლია გამოარჩიოს ღირებულები და „კარგი“ - არსებული უამრავი არაღირებულისა და „ცუდისაგან“ [13].

მთავარი განსხვავება ლიბერალიზმსა და ნეოლიბერალიზმს შორის გახლავთ ის, რომ განსხვავებით კლასიკური და თუნდაც, „სამარკეტო“ (საბაზრო) ლიბერალიზმისაგან, ნეოლიბერალური პოლიტიკის საბაზისო თეორიული მოდელი რადიკალურად აყენებს საკითხს „ბაზრის“, „სამარკეტო“ სისტემის, საქონელწარმოებისა და საქონელბრუნვის, თავისუფალი ვაჭრობისა და თავისუფალი კონკურენციის სრული უნივერსალობის შესახებ; თუკი კლასიკური ლიბერალური და „სამარკეტო“ ლიბერალიზმის ხედვით, „სამარკეტო ურთიერთობები“ და საერთოდ, „მარკეტის“ სისტემა არის საშუალებები, მექანიზმები მთავარი მიზნის მისაღწევად – მენარმემ თუ ბიზნესმენმა მიიღოს უფრო მეტი მოგება და სწორედ აქედან გამომდინარე, საერთო ცხოვრების დონეც ამაღლდეს სახელმწიფოსა და მთელს სოციუმში, ნეოლიბერალურ მსოფლმხედველობას უკვე აღარ აინტერესებს ის, თუ რატომ არსებობს „მარკეტი“ - პრაქტიკული გაგებით. ნეოლიბერალიზმისათვის „ბაზარი“ - თავად თვითმიზანია. სხვაგვარად რომ ვთქვათ,

„მარკეტმა“ უნდა იარსებოს „მარკეტისათვის“ - ასეთია კლასიკური ნეო-ლიბერალური გაგება.

მაშინ, როდესაც კლასიკურ ლიბერალურ ფილოსოფიაში საზოგადოებრივი ცხოვრების მიმართ ზოგადღირებულებით მიდგომაზე საუბრისას ლიბერალი მოაზროვნეები პრაქტიკულად უარყოფენ სოციალისტების რაიმე მკაცრად განსაზღვრული და პრაგმატული მორალური ფასეულობების არსებობის აუცილებლობას და როგორც აპრიორი, თანასწორად აღიარებენ ყოველი ადამიანის ღირებულებას კონკრეტული საზოგადოებისა და საერთოდ, კაცობრიობისათვის (აქედან გამომდინარე, ადამიანთა უფლებებისა და ადამიანის მიერ საკუთარი შეხედულებების საჯაროდ გამოხატვის ფასეულობაა კლასიკური ლიბერალიზმის ერთ-ერთი ამოსავალი დებულება (აღარ ვსაუბრობთ ისეთ ზოგად ლიბერალურ ღირებულებებზე, როგორიცაა მაგ. ზოგადად თავისუფლება, თანასწორობის ყოვლისმომცველი კლასიკურ-ლიბერალური თეორია, დემოკრატიის, სამოქალაქო საზოგადოების, სამართლებრივი სახელმწიფოსა და ა.შ. იდეები)), ნეოლი-ბერალიზმიც თითქოსდა გმობს მომხმარებლური ეთიკის ღირებულებების პრიმატულობას (მითუმეტეს, კონკრეტული ეთიკური ფასეულობების სისტემის პრიმატულობას), თუმცა თავად იგი ქმნის, შეიძლება ითქვას, ახალ, მკაცრად ცალსახად ორიენტირებულ ფასეულობათა სისტემას, რომელიც ზოგ შემთხვევაში, ამკარად სცილდება მხოლოდ ღირებულებითი დამოკიდებულების ხასიათს და, ზოგჯერ მას თითქმის რელიგიზირებული ბუნებაც აქვს. ამგვარი ექსტრემალური აზროვნებითი მოდელის მაგალითი ნეოლიბერალიზმში გახლავთ, ე.წ. კიბერლიბერალიზმი [14].

ჩვეულებრივ კი, ზოგადად ნეოლიბერალიზმის მთავარი მორალური პრინციპები შემდეგნაირად შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ:

1. „იცხოვრე და იმოქმედე საბაზრო („მარკეტის“) სისტემასთან შეთანხმებულად“.

2. „საბაზრო სისტემის ფარგლებში იმოქმედე ისე, რომ ხელი შეუწყო აღნიშნულ სისტემასთან სხვათა შეთანხმებულ ცხოვრებასა და მოქმედებასაც, რადგან სხვათა თანამონაწილეობისათვის ხელშეწყობაც შენი პიროვნული დამსახურებაც უნდა იყოს.“

3. „სხვა არავითარი მიზნები და ამოცანები არ დაისახო, რაც სამარკეტო სისტემის ფარგლებს გარეთ მოიაზრება“ [15].

ლოგიკურად, თუკი ყველა ადამიანი, მთელი საზოგადოება და მთელი კაცობრიობა ამგვარი მენარმეობრივი პრინციპებისა და საერთოდ, „სამარკეტო“ სისტემის ღირებულებათა უდავო და უპირობო პრიმატულობით იცხოვრებს და იმოღვაწეებს მხოლოდ, ადვილი წარმოსადგენია, რომ სამყარო გახდება ისეთი, როცა არამარტო სანარმოო საქონელი და მომსა-

ხურების სფეროები იქნება „სამარკეტო ავტორიტეტებთან“ შეთანხმებული თანამოქმედებისა და თანაცხოვრების პროდუქტი და მისგან გამომდინარე, არამედ, ყველა ადამიანი და მთელი სოციალური ცხოვრებაც. „საბაზრო ლიბერალიზმის“ მომხრეებზე მეტად და დაჟინებით, სწორედ ნეოლიბერალები უწევენ ერთგვარ პროპაგანდას იმგვარ ფსევდო „ჰეროიკულ“ მოსაზრებას, როგორცაა რადიკალური ნეოლიბერალური შეხედულება – მენარმისა და „საბაზრო სისტემის“ იდეალურობისა და სრული უნივერსალობის შესახებ.

ერთგვარი მაგალითი პრაქტიკული ნეოლიბერალური პოლიტიკის საარჩევნო ტექნოლოგიების სისტემაში გახლდათ, მაგალითად, 1998 წელს გერმანელი ბიზნესმენის როსტ შტოლმანის გამოსასვლელი სიტყვა, რომელიც მთლიანად ნეოლიბერალური მიდგომებით იყო გაჟღენთილი. შტოლმანის იდეოლოგია ემყარებოდა თეზისს: „იყავი იმაზე უკეთესი, ვიდრე შეგიძლია“. [16] როსტ შტოლმანის აღნიშნულმა გამოსვლამ გადამწყვეტი როლი ითამაშა 1998 წლის გერმანიის ნაციონალურ არჩევნებში.

მიუხედავად იმისა, რომ ნეოლიბერალური თეორიაც და თვითონ ნეოლიბერალური პოლიტიკაც პრაქტიკული კრიტიკისათვის უამრავ სამართლიან საფუძველს იძლევა (ნეოლიბერალიზმის კრიტიკული ასპექტები), ნეოლიბერალური განვითარების რადიკალიზაციის თეორეტიკოსებისა და თავად ამგვარი პოლიტიკის მომხრეთა პროგნოზები ამავე დროს, თითქოს მთლად რეალურად არ გვესახება; რადგანაც ადამიანური ბუნებისა და ზოგადად ადამიანური ფაქტორების არსებობის უნივერსალობა ისტორიულად არასდროს დარღვეულა სოციალური განვითარების წრილში, და ადამიანის, როგორც სუბიექტის სრული ინსტრუმენტალიზაციის პერსპექტივა ოდნავ გადაჭარბებულად შეიძლება მოგვეჩვენოს, ისევე, როგორც – „კიბერლიბერალიზმის“ „მავნე და დამღუპველი“ ტენდენციების ტოტალური გავრცელების რეალურობა.

ნეოლიბერალიზმის ზოგადი დებულებები (თეორიული კონტექსტი) და ნეოლიბერალური პოლიტიკის პრაქტიკული მიმართულებები გამომდინარეობს მსოფლიო პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების დღევანდელი დან, არის მისი ადეკვატური და თავად, გლობალიზაციის პროცესის თანმხლები. მოვლენათა ზუსტი პროგნოზირება, რა თქმა უნდა, შეუძლებელია, მაგრამ, ტექნოლოგიებისა და საერთოდ, ცხოვრების საშუალებათა ტექნიკური პროგრესის თუნდაც სუპერევოლუცია, არ იძლევა საბაბს, ვიფიქროთ საზოგადოებისა და ადამიანის, შესაბამისად, სამყაროს ისეთ „მაშინიზაციაზე“, როგორც ამას განმარტავს და მოელის ნეოლიბერალიზმის რადიკალური მიმდინარეობა – „კიბერლიბერალიზმის“ სახით და, რომლის სრული განხორციელებაც საკმაოდ ბევრ თანამედროვე მოაზროვნეს სწამს.

ნეოლიბერალურ თეორიაში არსებობს არა მხოლოდ წარმოებული პროდუქციის, მომსახურების სხვადასხვა ფორმების, წარმოების საშუალებ-

ბებისა და თავად სამუშაო ძალის (ადამიანების), არამედ, აგრეთვე, „იდეების (შეხედულებათა) მარკეტიც“.

თანამედროვე გლობალიზებად მსოფლიოში ყოვლისმომცველად და ყველგან აქტუალურია სწორედ „მარკეტი“ და „სამარკეტო ურთიერთობები“. ამგვარი ნეოლიბერალური მსოფლიო სინამდვილის უფრო მეტი და მეტი ინტენსიფიკაციის ფონზე, საინტერესო განსახილველია, ნეოლიბერალიზმისა და გლობალიზაციის ე.წ. იდენტიფიკაციის (ანალოგიურობის) საკითხიც.

რაც შეეხება საქართველოში ნეოლიბერალური, პირველ რიგში - იდეოლოგიის გაზიარების მდგომარეობას, უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ პოლიტიკურ სივრცეში, მის პოლიტიკურ სისტემაში 2002 წლის შემოდგომაზე შეიქმნა და იუსტიციის სამინისტროში რეგისტრაციაში გატარდა პოლიტიკური ორგანიზაცია - „საქართველოს ნეოლიბერალური პარტია“, თუმცა დღეს აღნიშნული პარტია პრაქტიკულად - აღარ ფუნქციონირებს.

ამ პარტიის პროგრამა და კონკრეტულად, მისი ე. წ. ნეოლიბერალური პროექტი საქართველოსათვის, რომელიც ორგანიზაციის მთავარი იდეოლოგიური და სამოქმედო დოკუმენტი გახლდათ, ეფუძნებოდა კლასიკური ლიბერალიზმისა და დემოკრატიული მსოფლმხედველობის უახლეს ინტერპრეტაციას. დოკუმენტი, რომელიც მკაცრად იყო სოციალურად ორიენტირებული, და ხშირ შემთხვევაში, ბუნებრივია, ემიჯნებოდა ტრადიციულ ლიბერალურ-დემოკრატიულ კონცეფციას, ასევე კრიტიკულად აღიქვამდა ზოგადნეოლიბერალური თეორიის ბევრ მიმართულებასაც, გათვალისწინებული გახლდათ ქართული ყოფიერებისა და პოლიტიკურ-ეკონომიკური სივრცის თავისებურებებიც, რაზეც, ამ ორგანიზაციის შეხედულებით, შესაძლებელი იქნებოდა აპელირება ნეოლიბერალიზმისა და მსოფლიოს გლობალური განვითარების ტენდენციების გავრცელებისა და განვითარებისას საქართველოში.

ცალკე განხილვის საგანია - „**ახალი მსოფლიო წესრიგი**“-ს საკითხი **ნეოლიბერალიზმის ხანაში**, რომელიც დღეს კვლავ აქტიურად დგას საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში, როგორც ახალი თეორიული მსჯელობისა და გადაწყვეტის, ასევე, მისი პრაქტიკული რეალიზაციის თვალსაზრისით. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ სწორედ 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდეგ - აშკარად, ე.წ. ერთპოლუსიანი მსოფლიოს ორ ათეულ წელზე მცირე ხნის არსებობა დასრულდა და დადგა ბიპოლარული ან მულტიპოლარული მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბების პერსპექტივები.

II თავის სქოლიო:

1. Thorsen, D., Lie, A., "What is Neoliberalism?", Department of Political Science, University of Oslo, 1980, pp 30-39.
2. Thorsen, D., Lie, A., "What is Neoliberalism?", Department of Political Science, University of Oslo, 1980, pp 30-39.
3. Тема №12, Либеральная и Социал-демократическая идеология, 30-е октября, 2002 г. ст. 2-3.
4. „ნეოლიბერალური პროექტი საქართველოსათვის“, საქართველოს ნეოლიბერალური პარტია, თბ., 2002 წ. გვ. 4.
5. Thorsen, D., Lie, A., "What is Neoliberalism?", Department of Political Science, University of Oslo, 1980, pp 30-39.
6. Thorsen, D., Lie, A., "What is Neoliberalism?", Department of Political Science, University of Oslo, 1980, pp 30-39.
7. Thorsen, D., Lie, A., "What is Neoliberalism?", Department of Political Science, University of Oslo, 1980, pp 30-39.
8. Thorsen, D., Lie, A., "What is Neoliberalism?", Department of Political Science, University of Oslo, 1980, pp 64-72.
9. George, S., Global Exchange, Global Economy; A Short History of Neo-Liberalism; Twenty Years of Elite Economics and Emerging Opportunities for Structural Change, Conference on Economic Sovereignty in a Globalising World, Bangkok, 24-26 March 1999, p. 3.
10. Thorsen, D., Lie, A., "What is Neoliberalism?", Department of Political Science, University of Oslo, 1980, p. 31.
11. Thorsen, D., Lie, A., "What is Neoliberalism?", Department of Political Science, University of Oslo, 1980, p. 44.
12. George, S., Global Exchange, Global Economy; A Short History of Neo-Liberalism; Twenty Years of Elite Economics and Emerging Opportunities for Structural Change, Conference on Economic Sovereignty in a Globalising World, Bangkok, 24-26 March 1999, pp. 3-4.
13. George, S., Global Exchange, Global Economy; A Short History of Neo-Liberalism; Twenty Years of Elite Economics and Emerging Opportunities for Structural Change, Conference on Economic Sovereignty in a Globalising World, Bangkok, 24-26 March 1999, p. 4.
14. <http://web.inter.nl.net/users/Paul.Treanor/neoliberalism.html>, უკანასკნელად იქნა გადამონმეებული - 31.05.2009.
15. <http://web.inter.nl.net/users/Paul.Treanor/neoliberalism.html>, უკანასკნელად იქნა გადამონმეებული - 31.05.2009.
16. <http://web.inter.nl.net/users/Paul.Treanor/neoliberalism.html>, უკანასკნელად იქნა გადამონმეებული - 31.05.2009.

III. თავი: ნეოლიბერალიზმის კრიზისი

3.1. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი - ნეოლიბერალიზმის კრიზისი

როგორც ნაშრომის წინა თავიდანაც დავასკვნით, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი - თავად ნეოლიბერალიზმის კრიზისის გამოხატულებაა.

ზოგიერთი პოლიტიკური მეცნიერისა და ეკონომისტის მოსაზრებით, მიმდინარე გლობალური ეკონომიკური კრიზისის წყარო გახლავთ ნეოლიბერალური კაპიტალიზმის ამერიკული მოდელი ან უფრო კონკრეტულად, თანამედროვე „ინდივიდუალიზმის“ დოქტრინა (laissez faire), რომელიც კომერციულ საქმიანობაში შეუზღუდავ თავისუფლებას გულისხმობს, განსაკუთრებით - კერძო ინტერესებისათვის (დოქტრინა ასევე გულისხმობს ინდიფერენტულობას ან ჩაურევლობას, განსაკუთრებით - სხვათა საქმეებში) [1]. ლოგიკურად, აღნიშნული პროცესი არ უნდა შეხებოდა სოციალური „სამარკეტო“ ეკონომიკის ქვეყნებს, ნეოლიბერალიზმის ანგლო-ამერიკული მოდელის მქონე ქვეყნებისგან განსხვავებით. ინტენსიურ შოკს, რომელიც მსოფლიომ გამოსცადა ეკონომიკური კრიზისის შედეგად, შესაძლოა ადგილი ჰქონოდა მხოლოდ მრავალრიცხოვანი პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და ტექნოლოგიური გარემოებების დამთხვევის შედეგად. ამ უკანასკნელი ფაქტორის გარეშე წარმოუდგენელი გახლდათ მოვლენების მსგავსი განვითარება, რადგანაც ინტერნეტის გარეშე ვერაფერი მოხდებოდა. მოცემულ პირობათა ურთიერთგადაფარვა სპეციფიკური გზით, რომელმაც მოახდინა კრიზისთან დაკავშირებული მოვლენებისა და პროცესების აკუმულაცია, შესაძლებელი იყო მხოლოდ ღირებულებათა, ინსტიტუციებისა და პოლიტიკის სპეციალური კომბინაციის ქვეშ; ყოველივე აღნიშნული კი, ნეოლიბერალიზმის ამერიკული მოდელისთვისაა დამახასიათებელი.

პირველი და ძირითადი გახლავთ ის, რომ ნეოლიბერალიზმი აშკარად გადაჭარბებულად აფასებს ინდივიდუალიზმის ძალას, მიზანსა და სარგებლიანობას. ის ყოველგვარი საჭიროების გარეშე მხარს უჭერს სიხარბეს - ამ მანკის ამაღლებით - ეკონომიკურად ცაში ამტყორცნელ ღირსებამდე. ის უგულვებელყოფს ეკონომიკის სოციალური ერთობის ასპექტებს და ადამიანებს კი არ აღიქვამს ეკონომიკური მოღვაწეობის ცენტრად, არამედ, მათ ნაცვლად - ფულს. იმდენად, რამდენადაც ფასეულობებია მსჯელობის საგანი, ნეოლიბერალიზმს მივყავართ თითქმის ყველაფრის - ფულის ღირებულებად „თარგმნამდე“ - გადაქცევამდე, მას შემდეგ, რაც ამ დოქტრინის მიხედვით, შესაძლებელი და მნიშვნელოვანია ყველაფრით ვაჭრობა, რასაც სარგებელის მოტანა შეუძლია - მოლოდინების ჩათვლით. რასაკვირველია აქ ირაციონალური მოლოდინებიც იგულისხმება.

ინსტიტუციური კუთხით, ნეოლიბერალიზმმა მთავრობა, მისი მარეგულირებელი უფლებამოსილებით, აქცია ერთგვარ ნომერ პირველ საზოგადოების მტრად. უნდა აღინიშნოს, რომ მასმედიის არაჩვეულებრივი გამოყენებით, რაც საზოგადოებრივი აზრის მანიპულირებას გულისხმობს და

სამწუხაროდ, სოციალურ მეცნიერებათა ექსპერტების, განსაკუთრებით, ეკონომისტთა რამოდენიმე ჯგუფის საზოგადოებრივი აზრის შემქმნელი შესაძლებლობის გამოყენებით, ის ხორცს ასხამს მცირე და სუსტი მთავრობის არსებობის იდეას და ამცირებს მის ინტერვენციებს სპონტანურ „სამარკეტო“ პროცესებში. თუმცა, ხანგრძლივი წარმატება შესაძლებელია მხოლოდ ბაზრის უხილავი ხელის ძალის ინტელიგენტური სინერგიისა და მთავრობის ხილული რაციონალური აზროვნების წყალობით. აღნიშნული ხორციელდება განსაკუთრებით, თუმცა არა ექსკლუზიურად, ახლადწარმოქმნილ „სამარკეტო“ ქვეყნებში. ინსტიტუციური ინტერვენცია თანამედროვე კაპიტალიზმის აუცილებელი შედეგია. მიუხედავად ამისა, ეს პრინციპი არ გახლავთ მიღებული ნეოლიბერალიზმის მიერ, მისი ფასეულობებისა და ყველაზე მეტად, მისი ფოკუსის წყალობით - სპეციალური ინტერესთა ჯგუფების მოსამსახურებლად.

უნდა აღინიშნოს, რომ ნეოლიბერალური პოლიტიკა ერთმანეთში ურევს საკუთარ მიზნებსა და მეთოდებს. ეკონომიკური პოლიტიკის მიზანი არის სიცოცხლისუნარიანი, ხანგრძლივი განვითარება. იგი სიცოცხლისუნარიანი უნდა იყოს არამხოლოდ ეკონომიკურად, არამედ, აგრეთვე სოციალურად და ეკოლოგიურად. დაბალი ინფლაცია, პოზიტიური საპროცენტო მაჩვენებლები, ბალანსირებული ბიუჯეტი, ფიქსირებული ან თვითრეგულირებადი ვალუტის გადამცვლელი კურსი და რასაკვირველია, მაღალი გადასახადები - ესენი გახლავთ რეალურად მართებული პოლიტიკის ინსტრუმენტები და საშუალებები. შეუძლებელია რომელიმე ეკონომიკური სტრატეგიის ან პოლიტიკის ინდექსებისადმი დაქვემდებარება, რომლებიც პრაქტიკულად მხოლოდ ილუსტრირებას უკეთებენ მოვლენებსა და პროცესებს აღნიშნული სფეროებიდან. ელიტათა ვიწრო ჯგუფების ფინანსური სიმყარის გასაუმჯობესებლად საზოგადოების უმრავლესობის ხარჯზე, ნეოლიბერალიზმი საგარეო და საშინაო პოლიტიკაში იყენებს იმგვარ ექსპრესიულ ლიბერალურ იდეებს (ისინი, სხვათაშორის, საზოგადოდ მართლაც რომ ყოველთვის მხარდაჭერილი უნდა იყოს), როგორც გახლავთ თავისუფლება (liberty) და დემოკრატია (democracy), კერძო საკუთრება (private ownership) და მენარმეობა (entrepreneurship), კონკურენცია (competition) და ეკონომიკური თავისუფლება (economic freedom). თუმცა, ამგვარ იდეათა, კერძოდ კი, საზოგადოებრივი კეთილდღეობის იდეათა მხარდაჭერა ერთის მხრივ, ხოლო მეორეს მხრივ, მათი გამოყენება უმცირესობის სასარგებლოდ - უმრავლესობის ხარჯზე, სინამდვილეში, სულ სხვადასხვა რამაა. ყველაფერთან ერთად, მსოფლიო ეკონომიკის მიმდინარე უნესრიგობები არამხოლოდ უბრალოდ ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის სიმპტომებია. სირთულეები დაიწყო სერიოზული ფინანსური კრიზისით, რომელიც სწრაფად გავრცელდა მრეწველობაზეც. პროდუქციის წარმოების დინამიკა დაიმსხვრა და ბევრ ქვეყანაში განადგურების სტადიაში შევიდა. ამჟამად, კრიზისი ვრცელდება ცხოვრების სოციალურ სფეროზე, საიდანაც ის ნელ-ნელა იწყებს გავლენის მოხდენას აგრეთვე - პოლიტიკურ სფეროზე. თითქოს აღნიშნული საკმარისი არ ყოფილიყო, ე. წ. მეხუთე სფეროს - კულ-

ტურის (ღირებულებათა, პრინციპებისა და იდეოლოგიის) კრიზისიც იწყებს სხვადასხვა სფეროს კრიზისებთან შერწყმას.

თუმცადა, ყოველივე ზემოაღნიშნულის მიუხედავად, ერთის მხრივ შეიძლება ითქვას, რომ ეს არ გახლავთ კაპიტალიზმის ზოგადი კრიზისი იმ თვალსაზრისით, რომ ამ სისტემას დროის განმავლობაში სპეციალური ადაპტაციის შესაძლებლობები განუვითარდა. აღნიშნული დაამტკიცა ნარსულის ბევრმა შემთხვევამ და ამგვარადაც იქნება, როგორც ჩანს, ხილვად მომავალშიც. თუმცა, მიმდინარე კრიზისი - ნეოლიბერალური მოდელის ფუნდამენტური მოშლაა. იმ დროისათვის, როცა კრიზისი აშკარა გახდა, ეს მოდელი ახერხებდა საკმაოდ კარგად ფუნქციონირებას, დროდადრო თვით არაჩვეულებრივადაც კი - საზოგადოებრივი აზრისა და პოლიტიკის პრაქტიკაში მანიპულირების მეშვეობით. აღნიშნული აშკარად თვალშისაცემი გახლდათ ყველგან, სადაც კი ნეოლიბერალური ტენდენციები დომინირებდა - აშშ-ს რეიგანის დროინდელი ეკონომიკის (Reaganomics) პერიოდიდან მოყოლებული, დიდი ბრიტანეთის „ტეტჩერიზმის“ (Thatcherism) პირველობის განმავლობაში, ლათინური ამერიკის ქვეყნების გავლით, რომლებმაც ნება დართეს „ვაშინგტონის კონსენსუსის“ შემოღებას - 1990-იან წლებში, რუსეთში - ელცინის მმართველობისა და პოლონეთის „თერაპიის გარეშე შოკის“ პერიოდით დამთავრებული - პოსტ-კომუნისტური ტრანსფორმაციის დასაწყისში.

ამჟამად მნიშვნელოვანი გახლავთ ნეოლიბერალური დოქტრინის პრევენცია მსოფლიო ეკონომიკის ძირითადი ტრაექტორიის კვლავაც განმსაზღვრელი ფუნქციურობისაგან, რადგანაც იგი მუდმივად ცდილობს გლობალური პოლიტიკური და ეკონომიკური შოუს კვლავაც დირიჟორობას მცირე კოსმეტიკური ცვლილებებისა და უმნიშვნელო რეგულირებების შემდეგ. არსებობს პრაქტიკულად მხოლოდ ერთი რაციონალური გზა წინსვლისაკენ, რაც მდგომარეობს პოსტ-მშპ-ური (მშპ - მთლიანი შიდა პროდუქტი) ეკონომიკისკენ სვლაში იმისგან დამოუკიდებლად, რომ ჩვენ ფაქტობრივად უკვე ვცხოვრობთ პოსტ-მშპ-ური ეკონომიკის პირობებში. ჩვენის აზრით, ექსპერტთა უმრავლესობის სრულიად მართებული წარმოდგენითა და რეკომენდაციებით, ეკონომიკის განვითარების ახალი პარადიგმა უნდა ემყარებოდეს, როგორც მინიმუმ, ინტერდისციპლინარულ და არაორთოდოქსალურ მიდგომას - ე. წ. ახალი პრაგმატიზმის[2] ხაზის გარშემო.

3.2. კრიზისის არსი

ნეოლიბერალიზმის მიმდინარე კრიზისის გასააზრებლად კვლავ უნდა დავუბრუნდეთ თავად ცნება „ნეოლიბერალიზმის“ განმარტებას. როგორც მკვლევართა უმრავლესობა ასაბუთებს, ნეოლიბერალიზმზე საუბრისას თანამედროვე კაპიტალიზმი მიიღება მხედველობაში; ნეოლიბერალიზმი პრაქტიკულად - კაპიტალიზმის განვითარების ახალი ეტაპია, რომელიც დაახლოებით 1980-იანი წლებიდან იღებს სათავეს იმგვარ დიდ სახელმწი-

ფოებში, როგორებიცაა დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფო და ამერიკის შეერთებული შტატები.[3] აღნიშნული თეორიულ-პოლიტიკური კურსი შემდგომ განხორციელებულ იქნა ფაქტობრივად მთელს ევროპაში, მოგვიანებით კი - იაპონიასა და შემდგომ, ზოგადად მსოფლიო მასშტაბით. ამგვარად, ნეოლიბერალიზმი - კაპიტალიზმის განვითარების ახალი ფაზაა, რომლისთვისაც პირდაპირ რომ ვთქვათ, სპეციფიკური ტიპის ძალადობაა დამახასიათებელი. კაპიტალიზმის განვითარების აღნიშნული ახალი ეტაპი ძირითად მიზნად ისახავდა იმ ადამიანთა შემოსავლების აღდგენასა და განუზომელ ზრდას, რომლებიც თავისი შემოსავლების ოდენობისა და სოციალური სტრატეგიკაციის მიხედვით - უმაღლეს კლასს მიეკუთვნებიან. ამ თვალსაზრისით, ნეოლიბერალიზმი ძალზე წარმატებული გახლდათ და მისი განვითარება, შეიძლება ითქვას, აღნიშნული ტრანექტორიით მიემართებოდა 2008-2009 წლების მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისამდე, რომელიც, ფაქტობრივად, თავად ნეოლიბერალიზმის კრიზისს წარმოადგენს. აღნიშნული კრიზისის განმაპირობებლად იქცა მშრომელთან მიმართებაში ახალი დისციპლინის შემოღება, რაც მისი მსყიდველობითი უნარის შეზღუდვა-შესუსტებას ითვალისწინებდა. ეს ყოველივე ნეოლიბერალური გლობალიზაციის ფონზე მიმდინარებოდა, რაც მსოფლიო მასშტაბით თავისუფალ ვაჭრობას, კაპიტალის თავისუფალ ბრუნვასა და ახალი ეკონომიკური პოლიტიკის გატარებას გულისხმობს.

ისმის კითხვა - თუ რატომ შეძლო უმაღლესმა სოციალურმა სტრატეგიამ მიეღწია წარმატებისათვის ნეოლიბერალური პოლიტიკის შემუშავება-იმპლემენტაციის თვალსაზრისით კონკრეტულ პერიოდში მაშინ, როცა მიუხედავად რაოდენობრივი სიმცირისა (ისინი, როგორც წესი, შეადგენენ საუკეთესო შემთხვევაში საზოგადოების მხოლოდ 5, ხოლო ძირითადად - 1 ან 2%-ს), მათ ყოველთვის სურთ და ძალუძთ საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალიზაცია? ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, რამ განაპირობა ერთ კონკრეტულ პერიოდში ნეოლიბერალიზმის წარმატება?

საქმე იმაში გახლავთ, რომ ე.წ. დიდი დეპრესიისა და II მსოფლიო ომის შემდეგ, ომის შემდგომ პირველი ათწლეულების განმავლობაში პოლიტიკური მდგომარეობა სრულიად განსხვავებული გახლდათ, რადგან გლობალური მასშტაბით იმგვარ მნიშვნელოვან სოციალურ მოძრაობას ჰქონდა ადგილი, როგორიც გახლდათ კლასობრივი ბრძოლა; სახეზე იყო მუშათა წინააღმდეგობა არამხოლოდ შეერთებულ შტატებში, არამედ, ზოგადად მთელს მსოფლიოში. ამგვარად, კაპიტალისტური წრეები იძულებულნი იყვნენ სერიოზულ კომპრომისებზე წასულიყვნენ. თუმცა 1970-იან წლებში დიდმა გლობალურმა სტრუქტურულმა კრიზისმა, რომელსაც ადგილი განსაკუთრებით იმ ქვეყნებში ჰქონდა, სადაც საერთო ინფლაცია და მასთან დაკავშირებული პროცესები მიმდინარეობდა, კლასობრივი ბრძოლისა და კონფრონტაციის ახალ ფაზას დაუდო სათავე, რომელშიც კაპიტალისტური კლასები წარმატების გზაზე სწრაფად მიიწევდნენ წინ. მათ მოახერხეს იმ ახალი სოციალური წესრიგის იმპლემენტაცია, რომელიც უფრო მეტად

შეეფერებოდა მათ ინტერესებს. შექმნილ მდგომარეობას მუშათა მხრიდან დიდი წინააღმდეგობა შეხვდა, რაც დიდ ბრიტანეთსა და შეერთებულ შტატებში მასშტაბურ გაფიცვებში გამოიხატებოდა. ამგვარად, ინგლისში - მარგარეტ ტეტჩერისა და აშშ-ში - რონალდ რეიგანის ადმინისტრაციის პირობებში, კლასობრივი ბრძოლის ახალი, შედარებით მცირე ეტაპი დაიწყო, რომელშიც სახალხო ძალები დამარცხდნენ, ხოლო უმაღლესმა, კაპიტალისტურმა კლასებმა გამარჯვება მოიპოვეს. მათ შესაძლებლობა მიეცათ ახალი - ნეოლიბერალური სოციალური წესრიგი ჩამოეყალიბებინათ. ყოველივე აღნიშნულს რაღა თქმა უნდა, კავშირი ჰქონდა ინდუსტრიალიზაციასა და შრომისუნარიანობის ხარისხის ზრდასთან „მესამე სამყაროს“ განვითარებად ქვეყნებში, სადაც გაცილებით იაფი მუშა-ხელია. ნეოლიბერალიზმის მეთოდებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გახლავთ გლობალიზაცია, კერძოდ კი - ნეოლიბერალური გლობალიზაცია, რაც გულისხმობს საზღვრების გახსნას ვაჭრობისა და კაპიტალბრუნვისათვის; ეს უკანასკნელი კი, მსოფლიოს ნებისმიერ ადგილას ინვესტირების შესაძლებლობას ნიშნავს. სწორედ ამ პროცესს აქვს ჩვენს რეალობაში ადგილი. მაგალითად, თუკი შევადარებთ შრომის ანაზღაურებას აშშ-სა და ვიეტნამში, შეერთებული შტატებისაგან უმძაფრესი განსხვავებით, ვიეტნამსა და გვატემალაში ისევე, როგორც სხვა განვითარებად ქვეყნებში, ქარხნის მუშა თვეში გამოიმუშავენ დაახლოებით - 50 ამერიკულ დოლარს.[4] ამდენად, ნეოლიბერალიზმი რასაკვირველია, ყველა მომუშავეს კონკურენციის პირობებში აყენებს მთელს მსოფლიოში, რაც რაღა თქმა უნდა, ძალზე ძლიერ გავლენას ახდენს კაპიტალისტური კლასების მხრიდან მომუშავეთა ხელფასების, მათი მსყიდველუნარიანობის და ნებისმიერი ტიპის სოციალური დაცვის მექანიზმების გაკონტროლების შესაძლებლობაზე, მაგალითად, ჯანდაცვის, უმუშევართა შეღავათების და ა.შ. სფეროში. ამგვარად, აღნიშნული - ნეოლიბერალიზმის მხოლოდ ერთი ასპექტია და ცხადია, ნეოლიბერალიზმი არ გახლავთ მხოლოდ ნეოლიბერალური გლობალიზაცია; ის აგრეთვე არის კორპორაციის მართვის ახალი მეთოდი. ამჟამად, ნეოლიბერალიზმის პირობებში კორპორაციები მხოლოდ ერთი მიზნით იმართება, განსაკუთრებით, აშშ-ში, რაც საფონდო ბირჟაზე მათი აქციების ღირებულების მაქსიმალურ ზრდას გულისხმობს. თუკი სტატისტიკურ მონაცემებს გადავხედავთ, აქციონერები და სხვა კაპიტალისტური წრეები მართლაც ძალზე დიდ წარმატებას აღწევდნენ ამ მიმართულებით[5], რადგანაც, 2008-2009 წლების მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისამდე საფონდო ბირჟის ინდექსები და აქციონერთა შორის დივიდენდთა განაწილება განუზომლად იზრდებოდა. სწორედ ეს ქმნიდა ხელოვნურად, საპნის ბუშტებივით გაბერილ კაპიტალსა და კორპორაციებს.

2000-იანი წლების მიწურულის მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის განმაპირობებელ ფაქტორებს შორის გახლავთ ნეოლიბერალიზმის კიდევ ერთი ასპექტი, ე.წ. ფინანსიალიზაცია (financialization), რაც ფინანსური მექანიზმების განუზრდელ განვითარებას გულისხმობს, რომელთა მეშვეობითაც კაპიტალისტები უზარმაზარ თანხებს იგებენ. თუმცა, აღნიშნუ-

ლისათვის მთავარ პირობას „დერეგულაცია“ წარმოადგენდა. იმდენად, რამდენადაც ფინანსური სექტორის აქტივობა „დერეგულაციამდე“ შეზღუდული გახლდათ სხვადასხვა წესებითა და რეგულაციებით, რაც ფაქტობრივად „დიდი დეპრესიის“ მემკვიდრეობა იყო, კაპიტალისტურმა კლასებმა თანდათანობით გაანადგურეს ამგვარი „რეგულაცია“. ამგვარად, კაპიტალისტების მიერ ლობირებული და განხორციელებული „დერეგულაცია“ მუდმივი პროცესია, თუმცა კრიზისამდე მან განუზომელი ზრდა დაიწყო; მაგალითად, თუკი გავიხსენებთ 2000 წელს, ის მართლაც რომ გარკვეული შეზღუდვებით აღინიშნებოდა კაპიტალისტებისათვის, მაგრამ 2000 წლის შემდეგ, სტატისტიკური მონაცემებით, ყველა ფინანსური მექანიზმი აბსოლუტურად წარმოუდგენელი ტემპებით ვითარდება[6], რაც მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ერთ-ერთი განმაპირობებელი გახლდათ. ამის ერთ-ერთი მაგალითია დღესაც, საბერძნეთის შრომის ბაზარზე მიმდინარე მოვლენები. სწორედ აღნიშნულ პერიოდში მოხდა სიმდიდრის მასობრივი გაღიწობა ხალხის უმრავლესობიდან - ზემოაღნიშნული 2-3%-სკენ, კაპიტალისტთა კლასებისაკენ. შემოსავლების დეკლარაციებში არსებული მონაცემები ამაზე აშკარად მეტყველებს[7], რაც, მართლაც რომ ძალზე ძლიერი მექანიზმია, რომელსაც პრესა ხშირად „უთანასწორობის ზრდას“ უწოდებს. თუმცა, ეს ფაქტობრივად კლასობრივი ფენომენია. „მემარჯვენეები“ აღნიშნულ მოვლენას შემდეგი არგუმენტებით პასუხობენ, რომ საზოგადოდ, უთანასწორობა ყველასათვის მომგებიანი, ბუნებრივად მზარდი ფენომენია, რაც შეიძლება პირდაპირ ითქვას, რომ აშკარა პროპაგანდაა მხოლოდ, რომელსაც რეალობასთან არავითარი კავშირი არ აქვს.

სიმდიდრის მასობრივი გაღიწობა მოსახლეობის უმრავლესობიდან - კაპიტალისტებისკენ ნეოლიბერალიზმის მოცემულ პერიოდში რეალურად ე.წ. სუბსტანდარტული კრაზისა და „დიდი შეზღუდვისაკენ“ მიმავალი პროცესია. ამგვარ პერსპექტივას შეიძლება ითქვას, ორი ტიპის ფაქტორები განაპირობებენ. ერთი ტიპის გარემოებები უფრო მეტად „ფინანსიალიზაციას“ უკავშირდება, რაც ფინანსური მექანიზმების გარკვეულ ლიმიტამდე განვითარებასა და შემდგომ, დროის პერსპექტივაში ლოგიკურად მათ ერთგვარ აფეთქებას გულისხმობს. ყოველივე აღნიშნული კი გლობალიზაციას უკავშირდება, რადგანაც ამ უკანასკნელის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი გახლავთ ფინანსური გლობალიზაცია. ამასთან, აღნიშნულ პროცესში რთულია ფინანსური და არაფინანსური მექანიზმების ერთმანეთისაგან გარჩევა, ხოლო, მეორეს მხრივ კი, გლობალიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია სწორედ ფინანსური მექანიზმების გლობალიზაცია, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ.

მეორე ტიპის, ასევე ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტორები ამერიკის ეკონომიკაში დამკვიდრებულ ერთგვარ გაუნონასწორობლობას, კერძოდ კი, გლობალიზაციის ფონზე გამეფებულ ვაჭრობის დეფიციტს უკავშირდება; ფაქტია, რომ აშშ-ს ეკონომიკაში იმპორტსა და დანარჩენი მსოფლიოსაგან პროდუქციის შესყიდვას უფრო დიდი და მასშტაბური ადგილი უჭირავს,

ვიდრე ექსპორტსა და გაყიდვებს. აღნიშნული კი ქვეყნის მასშტაბით შიდა მეურნეობაში დავალიანების ზრდასთანაა დაკავშირებული, რაც ამჟამად მთავრობის დავალიანებებს გულისხმობს. ამგვარად, ყოველ შემთხვევაში ამერიკის ეკონომიკაში 2008-2009 წლების ეკონომიკური კრიზისის განმავლობაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს კაპიტალისტური კლასების მომხმარებლობის - ე.წ. კონსიუმერიზაციის ერთგვარი აფეთქება წარმოადგენს.

ის, თუ რა ალტერნატივა შეიძლება განიხილებოდეს ნეოლიბერალიზმის საპირწონედ და თუ რა გამოსავალი არსებობს ჩვეულებრივ მოკვდავთათვის ნეოლიბერალიზმის კრიზისის ფონზე, ანუ ის, რაც რეკომენდირებულია, რომ ამომრჩევლებმა თავის პოლიტიკოსებს წაუყენონ მოთხოვნად, ამ ყოველივეზე თავის შემდგომ ნაწილში გვექნება საუბარი.

3.3. ალტერნატივა/„გამოსავალი“ ჩვეულებრივ მოკვდავთათვის

რა შეუძლია მოითხოვოს ნეოლიბერალური კრიზისის პირობებში თავისი ქვეყნის პოლიტიკოსებისაგან ჩვეულებრივმა მოსამსახურე ადამიანმა, რომელიც კანადაში, აშშ-ში, ერთ-ერთ ევროპულ ქვეყანაში ან მით უფრო, თუნდაც თუკი საქართველოში ცხოვრობს?

ამ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად უპირველეს ყოვლისა, ის შეგვიძლია გავიხსენოთ, თუ რის შესახებაა ნეოლიბერალიზმი, რაც პირველ რიგში მოსახლეობის უმდიდრესი ფრაქციების შემოსავლის უზარმაზარ ზრდასა და განახლებას გულისხმობს. ამჟამად ამ მექანიზმმა მიგვიყვანა მთავარი კრიზისის მთავარ კატასტროფამდე. და ისმის კითხვა, თუ რას აკეთებს ამ დროს მდიდარი უმცირესობა? ისინი კრიზისის ხარჯების ხალხზე ტრანსფერირებასა და მისი გარემოებების საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ გამოყენებას ცდილობენ, კერძოდ, საკუთარი შემოსავლების გასაზრდელად. ამდენად, რაც უბრალო ხალხს და ყველა ჩვენგანს სჭირდება, ეს ცხადია გახლავთ - მოსახლეობის მხრიდან წინააღმდეგობის გაწევა. ამ უკანასკნელმა სრულიად უნდა უარყოს მსგავსი ტიპის კრიზისის ნებისმიერი ფასის ანუ იმის საკუთარ მხრებზე გადატანა და გადახდა, რაც მის მიერ არ გახლდათ გამოწვეული. ნამდვილად საინტერესო იქნებოდა ამ შემთხვევაში ლათინური ამერიკის ქვეყნის მაგალითის განხილვა; 2001 წელს არგენტინაში ადგილი ჰქონდა ძალზე მწვავე და ძირითად კრიზისს. ახლავე შეგვიძლია განვმარტოთ, თუ რა მოხდა ამ ქვეყანაში; | მსოფლიო ომის მიწურულს მსყიდველობითი უნარიანობა ანუ ნებისმიერი პროდუქტის შეძენის უნარიანობა საათში მაგალითად, \$ 100-ის ოდენობის გამომუშავების პირობებში - 1974 წლისათვის გაიზარდა და გახდა - \$ 220. დღევანდელი მონაცემებით კი, აღნიშნული ციფრი მხოლოდ \$ 95-ს შეადგენს.[8] საქმე იმაში გახლავთ და აღნიშნული მხოლოდ იმის მაჩვენებელია, რომ, თუკი მთავრობას,

საზოგადოებასა და მის უმაღლეს კლასებს სურთ კრიზისის გარემოებების გამოყენება მათზე დაქირავებული მუშის მსყიდველობითი უნარიანობის ინტერვენირებისათვის, მათ შეუძლიათ ამის გაკეთება აბსოლუტურად საშინელი და შიშის მომგვრელი საშუალებებით. აქ არ იგულისხმება, რომ ისინი ახლა ორად გაყოფენ მომუშავეს მსყიდველობით უნარიანობას საბერძნეთსა ან აშშ-ში. მოცემული კონტექსტი მხოლოდ იმას გულისხმობს, რომ ამგვარი ამბები ხდება სამყაროში. ამგვარად, მუშა უნდა იყოს ძალზე ფრთხილი და ყოველთვის მომზადებული იმისთვის, რათა წინ აღუდგეს მიმდინარე მოვლენებს. მომუშავენი არ არიან პასუხისმგებელნი ამჟამინდელ კრიზისზე და მდიდართა ფენები იყენებენ მიმდინარე კრიზისს იმისთვის, რათა თავისი ტვირთი აკიდონ სახალხო კლასებს მათთვის კიდევ უფრო მეტად და უფრო ფართო ხარისხით ნეოლიბერალიზმის დასაძალებლად. მაშასადამე, რაც ახლა საჭიროა, რასაკვირველია გახლავთ - წინააღმდეგობის განევა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ძალზე მარტივია ამგვარი მოწოდებების გაკეთება მაგალითად, აკადემიური ინსტიტუტიდან - უნივერსიტეტიდან და იმის თქმა, რომ „თქვენ (ან ჩვენ ყველას ერთად) გვჭირდება მიმდინარე მოვლენებისათვის წინააღმდეგობის განევა და ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ყოველი ჩვენთაგანისათვის“[9]. რეალური სირთულე - აღნიშნულის გაკეთება გახლავთ, რაც, როგორც ყველასთვის ნათელია, საკმაოდ სახიფათოა.

ამგვარად, საჯარო პოლიტიკის კუთხით ისმის კითხვა - მაგალითად, თუნდაც იმავე აშშ-ში, როგორც ნეოლიბერალური პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად აკვანში ან ნებისმიერ სხვა ქვეყანაში, რა უნდა მოითხოვონ რიგითმა ადამიანებმა თავისი პოლიტიკოსებისაგან - ეკონომიკასთან მიმართებაში?

აღნიშნულ შეკითხვაზე საპასუხოდ ალბათ - რეგულაციის ანუ ფინანსური მექანიზმის შეზღუდვის მოთხოვნის მოხმობა დაგვჭირდება, რადგანაც სწორედ მისი საპირისპირო პრაქტიკა გახლდათ ამჟამინდელი კრიზისის ერთ-ერთი განმსაზღვრელი. და რასაკვირველია, საზოგადოების უმდიდრესი ნაწილი - უმაღლესი კლასები, მთელი რიგი ინსტიტუციები, ბანკები და ა. შ. ეწინააღმდეგებიან ამგვარ პოლიტიკას. ამ დროს კი, სწორედ მისი რეგულირება გახლავთ სასიცოცხლოდ აუცილებელი. რეალურად სრულიად დაუშვებელია უმდიდრეს უმცირესობას მიეცეს თავისუფლად მოქმედების საშუალება, რადგანაც ეს სინამდვილეში ძალზე სახიფათოა. და ამგვარი მოქმედების შედეგები, როგორც ცხადად ვხედავთ, შემდეგ, მსგავს შემთხვევაში - სახალხო კლასებმა უნდა იწვეიონ თავის თავზე. ეს გახლავთ ერთი ასპექტი. თუმცა, აგრეთვე კვლავ გასათვალისწინებელია - ნეოლიბერალური გლობალიზაციის, როგორც მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში ინვესტირებისა და ინდუსტრიის დელოკაციის შესაძლებლობის შეზღუდვა. ჩვენის მოსაზრებით, აღნიშნული შეზღუდვა აუცილებელია, რადგანაც ყველა ვხედავთ, თუ რა ხდება მაგალითად, იმავე აშშ-ში, სადაც ინდუსტრია პრაქტიკულად ქრება და თანაც, ქრება საშინელი სისწრაფით. ყველასათვის ცნობილია ავტომობილის და სხვა წარმოებათა ამგვარი ისტორია. ამჟამად,

მანუფაქტურული ინდუსტრია აშშ-ში ქვეყანაში წარმოების მხოლოდ 10%-ს შეადგენს[10] და ის ქრება აბსოლუტურად წარმოუდგენელი მასშტაბებით.

მაშასადამე, კვლავ ისმის კითხვა, თუ როგორ უნდა მოხდეს ამ ყოველივეს მართებული გადამისამართება ან განხორციელება? ამერიკელები პრაქტიკულად ყოველ წამს საუბრობენ ინდუსტრიის განადგურებაზე, თუმცა ისინი ამას ხელფასების საკითხს აბრალებენ. ასე, რომ, რა იქნება გამოსავალი?

აღნიშნული აშშ-ს ზუსტი მაგალითია და აქ ნამდვილად მოქმედებს ლოგიკა. აშშ-სგან განსხვავებით, ბევრ სხვა ქვეყანაში ხელფასები 10-ჯერ, 20-ჯერ დაბალია[11]. აღსანიშნავია, რომ ლოგიკის თანახმად, თუკი აშშ-ს სურს საკუთარი ინდუსტრიის შენარჩუნება, მან აუცილებლად უნდა შეამციროს ხელფასები. ეს გახლავთ სწორედ მაგალითად, არგენტინის ისტორია. ამდენად, ნამდვილად აუცილებელია – წინააღმდეგობის კამპანიის ორგანიზება და საგულისხმოა, რომ თუნდაც მინიმუმ ამჟამად, მაგრამ აბსოლუტურად საჭიროა ადგილობრივი ინდუსტრიის დაცვა. აღნიშნული, სწორედ რომ დიდი ტრანსნაციონალური კორპორაციების ინტერესებს უპირისპირდება, თუმცა ის შესაძლოა ემსახუროს იმ სხვა კორპორაციების ინტერესებს, რომლებიც ჯერ კიდევ აშშ-ს ტერიტორიაზე აწარმოებენ თავის პროდუქციას. წინააღმდეგობის კამპანიაში მონაწილეობა ნიშნავს იმას, რომ დიდი ტრანსნაციონალური კორპორაციები აუცილებლად უწოდებენ მათი პოლიტიკის მონაწილეობას „ნაციონალისტებს“, „რეაქციონერებსა“ და ა. შ.[12] თუმცა, ისმის კითხვა, თუ რაში მდგომარეობს არსებული სისტემის ლიბერალობა? თუკი ავიღებთ მაგალითად, ევროპას, აშშ-ზე რომ აღარაფერი ვისაუბროთ, შეუძლებელია კონკურენციის დაშვება მაგალითად, რუმინელ და ფრანგ მომსახურეებს (მუშებს) შორის. რატომაა ეს ასე? იმიტომ, რომ საათში შრომის საშუალო ანაზღაურება საფრანგეთში არის - \$ 28, მაშინ, როდესაც რუმინეთში – მხოლოდ \$ 3[13]. ასე რომ, გამოდის, რომ აშშ-ს პროგრესი მდგომარეობს მის ინტერნაციონალობაში. იგი ხელს უწყობს საზღვრების გახსნას სახელმწიფოებს შორის და როცა ის ხსნის საზღვარს მაგალითად, რუმინეთსა და საფრანგეთს შორის, ამ პოლიტიკის შედეგები კარგად ხდება თვალსაჩინო ნეგატიურ კონტექსტში, კერძოდ, უპირველეს ყოვლისა, ფრანგი მუშებისათვის. ამ თვალსაზრისით, აღნიშნული კურსი - სრულიად მიუღებელია. მეორეს მხრივ კი, შესაძლოა მსგავსი პრაქტიკა რაღაც კუთხით სასარგებლოა რუმინელი, ჩინელი ან სხვა განვითარებადი ან ნაკლებ განვითარებული ქვეყნების მუშებისათვის, მაგრამ ამგვარი ტენდენციები ამზადებენ საშინელ მომავალს პრაქტიკულად ნებისმიერი ანუ ყველა ქვეყნის მუშათა კლასისათვის მთელს მსოფლიოში. მსგავსი მომავალი იქნება არა დასაქმების უსაფრთხოებისა და / ან სოციალური წარმოების მომავალი, არამედ, ის იქნება საზოგადოებრივად ყოვლად უსამართლო და სახიფათო ნეოლიბერალური მომავალი, რომელიც ექსპორტირებული იქნება იმგვარ ქვეყნებში, როგორცაა მაგალითად, რუმინეთი ან ჩინეთი. შესაძლოა ამგვარი პოლიტიკა მოკლევადიან პერსპექტივაში დაეხმაროს ამ განვითარებადი ან ნაკლებ განვითარებული ქვეყნების მუშებს, თუმცა –

უფრო განვითარებული ქვეყნების მუშათა მდგომარეობის ხარჯზე. თუმცა, მთლიანობაში ამგვარი საზღვრების გახსნისა და მათი ნაშლის პოლიტიკა მართლაც რომ შემზარავ მომავალს უმზადებს მსოფლიოს ყველა მომუშავეს. ეს მომავალი იქნება ნეოლიბერალური მსოფლიოს, უთანასწორობის, სოციალური დაცვის არარსებობისა და უზომო ექსპლუატაციის მომავალი.

მაგრამ, ამგვარ შემთხვევაში ხომ არ ვვარდებით ისევ ნაციონალისტური სავაჭრო ომების მდგომარეობაში? ანუ, ხომ არ არსებობს რაიმე სხვა ალტერნატივა / გამოსავალი შექმნილი მძიმე ნეოლიბერალური ვითარებიდან? მაგალითად, რუმინეთსა და / ან სხვა ქვეყნებში ე. წ. იუნიონიზაციის საკითხი ანუ პროტექციონიზმის პოლიტიკა ხომ არ მიგვიყვანს რაიმე იმ ნეგატიურ შედეგებამდე, როგორც თუნდაც თეორიულად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ თავად ცნება „პროტექციონიზმის“ თავიდანვე განსაზღვრული უარყოფითი კონტექსტის გამო?

აღნიშნული გახლავთ სწორედ აშშ-სა და სხვა განვითარებული ქვეყნების მთავრობათა პროპაგანდის თემა. ზემომოხმობილი არგუმენტი გახლავთ ის, რასაც სწორედ ეს უკანასკნელი აცხადებენ, როცა მათი პოლიტიკის მოწინააღმდეგეებს უწოდებენ „ნაციონალისტებს“, „რეაქციონერებსა“ და „პროტექციონისტებს“ [14]. მაგრამ აბსოლუტურად შეუძლებელია ყველა საზღვრის გახსნა ქვეყნებს შორის, რომლებიც სრულიად უთანასწორონი არიან. რასაკვირველია, პრობლემა მოცემულ კონტექსტში არ არის „ნაციონალიზმი“ - ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით; პრობლემა – ქვეყნებს შორის ურთიერთგაცვლების ორგანიზებაა. რასაკვირველია, აქ არ იგულისხმება საგარეო ვაჭრობის შეჩერება, ეს სრული სისულელე იქნებოდა. „მესამე მსოფლიოს“ ანუ განვითარებადი ქვეყნები საჭიროებენ საკუთარი პროდუქციის ექსპორტს. ამდენად, ის, რაც საჭიროა რომ განხორციელდეს, გახლავთ - მოლაპარაკების გზით შეთანხმების მიღწევა სხვადასხვა ქვეყნებს შორის - ყოველ მათგანში სახალხო კლასების ინტერესთა საფუძველზე. და ამის რეალიზაცია სრულიად შესაძლებელია. აქ არ იგულისხმება, რომ უნდა მოხდეს პირდაპირი გაგებით – ბანანების დათესვა და მოყვანა მაგალითად, საფრანგეთში. აშშ-სა და სხვა მეტ-ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს სჭირდებათ იმპორტის გაზრდა მაშინ, როცა იმავდროულად საჭიროა აღნიშნული სახელმწიფოების მიერ მთელ რიგ პროდუქციათა ექსპორტიც. თუმცაღა, ეს უკანასკნელი უნდა განხორციელდეს არა „მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის“ პრინციპის მიხედვით, არამედ, განვითარების სხვადასხვა დონეზე მყოფ ქვეყნებს შორის სავაჭრო შეთანხმებაზე მოლაპარაკების საფუძველზე – სხვადასხვა სახალხო კლასებისა და ქვეყნების ორმხრივი სარგებლიანობის გათვალისწინებით, რადგანაც დისკურსი - „თქვენ ხართ პროტექციონისტები და ნაციონალისტები“ - ზუსტად მარგარეტ ტეტჩერისეული „ალტერნატივა არ არის“ (There is no alternative - TINA) პრაქტიკის ტოლფასია. აქ ლოგიკა შემდეგში მდგომარეობს; ადამიანი ან ნეოლიბერალია და იგი 100%-ით კაპიტალისტური კლასების ინტერესთა სასარგებლოდ

მოქმედებს, და ან (ნეოლიბერალიზმისადმი) რეაქციონერია. პიროვნულად ჩვენ შეგვიძლია უარი განვუცხადოთ მოცემულ მოდელს, რადგანაც არსებობს სხვა (სხვაგვარი) სამყარო და ადამიანთა ორგანიზაციის აბსოლუტურად განსხვავებული წყობა, რაც გახლავთ სწორედ „გლობალიზაციის შემცვლელი მოძრაობის“ ერთ-ერთი ძირითადი „მესიჯი“. პრაქტიკულად, ექსპერტთა უმრავლესობაც დაგვეთანხმება, რომ არსებობს სხვადასხვა ხალხებს შორის მსოფლიოს ორგანიზების სხვა ფორმა, ვიდრე გახლავთ – ნეოლიბერალური მოდელი, რადგანაც ეს უკანასკნელი საზოგადოებათა მხოლოდ - უმაღლესი კლასების ინტერესებს ემსახურება.

და ბოლოს, მნიშვნელოვანია შევეხოთ ამერიკელი პოლიტიკური მეცნიერის, თავის დროზე აშშ-ს ნეო-კონსერვატორების ერთგვარი „ნებინერას“, „ისტორიის დასასრული“-ს ავტორის, ფრენსის ფუკუიამას მოსაზრებას ნეოლიბერალიზმის მიმდინარე გლობალური კრიზისის თაობაზე. იგი პრაქტიკულად საკუთარ ადრინდელ შეხედულებას უპირისპირდება, რომ სსრკ-ს დაშლის შემდეგ არსით ნეოლიბერალური - ლიბერალური დემოკრატია ტრიუმფალური მსოფლიო მოდელი გახდა, და თავისი ბოლო პერიოდის კვლევებში ამტკიცებს, რომ კაპიტალიზმისა და გლობალიზაციის ხარვეზები საფრთხეს უქმნის ზოგადად დემოკრატიულ მოდელს და უკვირს, თუ, რატომ არ აქტიურობენ ამ ვითარებაში „მემარცხენეები“. ფუკუიამა, შეიძლება ითქვას, სერიოზულად არ აღიქვამს „დაიკავე უოლსტრიტის აქციასა“ და მის მონაწილეთა ანტი-ნეოლიბერალური ძალისხმევების ეფექტურობას, და ტრადიციულად კვლავ - ლიბერალურ დემოკრატიას ასახელებს ერთადერთ ყველაზე ოპტიმალურ გლობალურ მოდელად, მიუხედავად თუნდაც მისი, რბილად რომ ვთქვათ, სერიოზული პრობლემებისა და უმწვავესი კრიზისისა[15].

ამგვარად, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უპირველეს ყოვლისა, ამჟამინდელი მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი გახლავთ თავად ნეოლიბერალიზმის ყველაზე მწვავე კრიზისის გამოვლინება. მიმდინარე, პირველ რიგში - ეკონომიკურ-სოციალური პროცესები და ისტორიული გამოცდილება თუმცაღა ამტკიცებს, რომ ახლანდელი მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი არ გახლავთ თავად კაპიტალიზმის ზოგადი კრიზისი იმ კუთხით, რომ აღნიშნულ სისტემას დროთა მანძილზე და სხვადასხვა მძიმე განსაცდელთა წინაშე თავდაცვის არაჩვეულებრივი მექანიზმები აქვს გამომუშავებული, რაც თითქმის ნებისმიერ, თუნდაც ყველაზე კრიტიკულ პირობებშიც კი ადაპტაციის სხვადასხვა ახალი და განვითარებადი ფორმების ჩამოყალიბებაში გამოიხატება ტრადიციულად, თუმცა აქ პრაქტიკულად ვეღარ ვიგულისხმებთ მსოფლიო ორგანიზაციის ნეოლიბერალურ მოდელს (თანამედროვე კაპიტალიზმს), რომელიც ცხადია, რომ არსებული ფორმით ვეღარ განაგრძობს არსებობას და სულ მცირე, ფაქტობრივად ძირფესვიან მოდიფიკაციას თუ დაეყრდნობა სამომავლოდ.

ძალზე მნიშვნელოვანი გახლავთ ასევე იმის გააზრებაც, რომ ნეოლიბერალური მოდელი, როგორც მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა უბრალოდ უფრო თვალნათლივ აჩვენა და, რაც, ამავე დროს ძალზე ბუნებრივი შედეგი გახლდათ ნეოლიბერალური, უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკური პოლიტიკისა, პრაქტიკულად ვერ ამართლებს პირველ რიგში ეკონომიკურ და ფინანსურ კონტექსტში (განუხრელი და სულ უფრო მზარდი „დერეგულაციის“ - ფინანსური მექანიზმების განუზომელი და მათი გარკვეულ ლიმიტამდე ზრდის შემდეგ, გარდაუვალი აფეთქების გამო - თუნდაც მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის სახით) და მით უფრო, გლობალიზაციის ფონზე, რომლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფორმაა - ფინანსური და ეკონომიკური მექანიზმების ან კონკრეტულად „ფინანსიალიზაციის“ გლობალიზაცია ისევე, როგორც, ასევე კაპიტალისტური წრეების მიერ დომინანტურად განპირობებული კონსიუმერიზმი - სულ მცირე, აშშ-სა და სხვა განვითარებულ ქვეყნებში, რაც ეკონომიკის სიცოცხლისუნარიანობისა და მისი განვითარებისათვის აუცილებელ ექსპორტ-იმპორტის ბალანსს არღვევს ამ ქვეყნებში, კერძოდ კი, ხშირად ადგილი აქვს ექსპორტის სიმცირესა და იმპორტის პრევალირებას. გარდა ეკონომიკურ-ფინანსური თვალსაზრისით უპერსპექტივობისა, რაც უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოებრივად, საზოგადოებრივად და ზოგადასაკაცობრიოდ უპერსპექტივობასა და მეტიც, ძალზე სერიოზულ საფრთხის შემცველობას გულისხმობს, წამგებიანობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ნეოლიბერალური მოდელი თავისი არსით პირველ რიგში ჰუმანურობისა და ადამიანის კეთილდღეობაზე ორიენტირებული ფასეულობისა და მისი ამომავლობის კუთხით – ასევე სრულიად მიუღებელი და გაუმართლებელია, რისი თვალსაჩინო გამოხატულებაცაა განუხრელი „უთანასწორობის ზრდა“ და საზოგადოების უმრავლესობის სულ უფრო მზარდი გადატაკება ნეოლიბერალურ გარემოში.

III თავის სქოლიო:

1. <http://blogs.worldbank.org/developmenttalk/node/595>, უკანასკნელად იქნა გადამონმე-ბული - 16.09.2011.
2. <http://blogs.worldbank.org/developmenttalk/node/595>, უკანასკნელად იქნა გადამონმე-ბული - 16.09.2011.
3. http://therealnews.com/t2/index.php?Itemid=74&id=31&jumival=4962&option=com_content&task=view, უკანასკნელად იქნა გადამონმე-ბული - 16.09.2011.
4. http://therealnews.com/t2/index.php?Itemid=74&id=31&jumival=4962&option=com_content&task=view, უკანასკნელად იქნა გადამონმე-ბული - 16.09.2011.
5. http://therealnews.com/t2/index.php?Itemid=74&id=31&jumival=4962&option=com_content&task=view, უკანასკნელად იქნა გადამონმე-ბული - 16.09.2011.
6. http://therealnews.com/t2/index.php?Itemid=74&id=31&jumival=4962&option=com_content&task=view, უკანასკნელად იქნა გადამონმე-ბული - 16.09.2011.

7. http://therealnews.com/t2/index.php?option=com_content&task=view&id=31&Itemid=74&jumival=4963, უკანასკნელად იქნა გადამონმეზული - 16.09.2011.
8. http://therealnews.com/t2/index.php?option=com_content&task=view&id=31&Itemid=74&jumival=4963, უკანასკნელად იქნა გადამონმეზული - 16.09.2011.
9. http://www.tgsnopec.com/uploadedFiles/Shared_Files/PDFs/ProductionDataHandout.pdf, უკანასკნელად იქნა გადამონმეზული - 16.09.2011.
10. <http://hdr.undp.org/en/statistics/?gclid=CPWOyMCwoasCFYy-zAodxx6sFg>, უკანასკნელად იქნა გადამონმეზული - 16.09.2011.
11. http://therealnews.com/t2/index.php?option=com_content&task=view&id=31&Itemid=74&jumival=4963, უკანასკნელად იქნა გადამონმეზული - 16.09.2011.
12. <http://hdr.undp.org/en/statistics/?gclid=CPWOyMCwoasCFYy-zAodxx6sFg>, უკანასკნელად იქნა გადამონმეზული - 16.09.2011.
13. http://therealnews.com/t2/index.php?option=com_content&task=view&id=31&Itemid=74&jumival=4963, უკანასკნელად იქნა გადამონმეზული - 16.09.2011.
14. http://therealnews.com/t2/index.php?option=com_content&task=view&id=31&Itemid=74&jumival=4963, უკანასკნელად იქნა გადამონმეზული - 16.09.2011.
15. <http://www.presage.tv/?m=society&AID=9768>, უკანასკნელად იქნა გადამონმეზული - 7.02.2012.

IV თავი: ნეოლიბერალიზმი საქართველოში

4.1. „ნეოლიბერალიზმის“ ქართული სამეცნიერო განმარტება

იმისათვის, რათა დაწვრილებით განვიხილოთ და წარმოვაჩინოთ, თუ რას ნიშნავს ნეოლიბერალიზმი ქართულ სინამდვილეში, უპირველეს ყოვლისა, საჭიროდ მიგვაჩნია აქვე მოვიტანოთ თავად ამ იდეოლოგიის განმარტება ქართულენოვან ენციკლოპედიებსა თუ სხვა, ძირითადად სამეცნიერო-განმარტებით წყაროებში.

„ვიკიპედიის“ თავისუფალი ქართულენოვანი ენციკლოპედიის (საერთაშორისო უნივერსალური ენციკლოპედია) მიხედვით, „ნეოლიბერალიზმი მიუთითებს პოლიტიკურ-ეკონომიკურ ფილოსოფიაზე, რომელიც უარყოფს სახელმწიფოს ჩარევას (ინტერვენციას) ადგილობრივ ეკონომიკაში. ის ყურადღებას ამახვილებს თავისუფალ საბაზრო მეთოდებზე, საწარმოთა ფუნქციონირებაში ნაკლებ შეზღუდვებსა და საკუთრების უფლებებზე. საგარეო პოლიტიკაში ნეოლიბერალიზმი უპირატესობას ანიჭებს უცხოეთის ბაზრების გახსნას პოლიტიკური მეთოდებით, ეკონომიკური ზენოლის, დიპლომატიური და/ან სამხედრო ინტერვენციის გამოყენებით. ბაზრების გახსნაში მოიაზრება თავისუფალი ვაჭრობა და მუშახელის საერთაშორისო სპეციალიზაციის მიხედვით დაყოფა.“[1]

„ვიკიპედია“ აღნიშნავს, რომ ნეოლიბერალიზმი მულტილატერულ პოლიტიკურ ზენოლას უჭერს მხარს იმგვარი საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობით, როგორებიცაა საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაცია და მსოფლიო ბანკი. ის ასევე ქადაგებს ეროვნული მთავრობების როლის მინიმუმამდე დაყვანას. ნეოლიბერალური ფილოსოფიის საყრდენი თეორიაა პრაქტიკულად კეინსიანიზმი, რომლის „უხილავი ხელი“ მთავრობის პირდაპირ ინტერვენციაზე უფრო ეფექტურად მოქმედებს. ე.წ. კორპორაციული ეფექტურობის გასაუმჯობესებლად ის მოუწოდებს პროფკავშირთა პოლიტიკის ზეგავლენის (მაგალითად, მინიმალური ხელფასის ზღვარი ან მუშახელის კოლექტიური მოლაპარაკების უფლება) უარყოფას ან მინიმუმამდე დაყვანას.[2]

ენციკლოპედიის განმარტებით, ნეოლიბერალიზმი ეწინააღმდეგება სოციალიზმს, პროტექციონიზმსა და მწვანეთა მოძრაობას უცხოეთის ბაზრებში. ადგილობრივად ის პროტექციონიზმს, როგორც ასეთი, არ უარყოფს, თუმცა გამოიყენებს მხოლოდ, როგორც მოლაპარაკებებში ზენოლის მეთოდს, რათა აიძულოს უცხო ქვეყნები საკუთარი ბაზრის, მისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი, ლიბერალიზაცია მოახდინონ. ნეოლიბერალიზმი ხშირად წინააღმდეგობაში მოდის თანასწორუფლებიან ვაჭრობასა და სხვა ისეთ მოძრაობებთან, რომელთა მოსაზრებით, მუშახელის უფლებებსა და სოციალურ თანასწორობას პრიორიტეტი უნდა ენიჭებოდეს საერთაშორისო ურთიერთობებსა და ეკონომიკაში.[3]

ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული ადგილობრივი რესურსის, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის CIVIL ენციკლოპედიური ლექსიკონის განმარტებით, ნეოლიბერალიზმი „ჩამოყალიბდა ეკონომიკური ლიბერალიზმის ფარგლებში. მას ხშირად განიხილავენ, როგორც ეკონომიკურ თეორიას. ნეოლიბერალების მიზანია არ დაუშვან სახელმწიფოს ჩარევა ქვეყნის ეკონომიკაში და თავისუფალი ბაზრის ფუნქციონირებაში. სახელმწიფოს პრეროგატივად რჩება ზომიერი მონეტარული რეგულირების ფუნქცია.“[4] გარდა ამისა, სახელმწიფო წარმოადგენს საგარეო ბაზრებზე გაღწევის ინსტრუმენტს იმ შემთხვევებში, როდესაც სხვა ქვეყნები ხელს უშლიან თავისუფალ ვაჭრობას. ნეოლიბერალური ეკონომიკის ერთ-ერთი განმსაზღვრელი გამოვლინებაა პრივატიზაცია, რისი ნათელი მაგალითიცაა დიდ ბრიტანეთში მარგარეტ ტეტჩერის კაბინეტისა[5] და რასაკვირველია, უნდა დავამატოთ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში რონალდ რეიგანის მიერ გატარებული რეფორმები.

ნეოლიბერალების მიერ გავრცელებული ერთ-ერთი უმთავრესი, შეიძლება ითქვას, მითის მიხედვით, აღნიშნული იდეოლოგია ამტკიცებს შემდეგს: „მოახდინეთ ეკონომიკის რეფორმა ლიბერალური, საბაზრო ინსტიტუტების საფუძველზე და თქვენ მიიღებთ აყვავებულ ეკონომიკას.“[6]

საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის კუთხით, ნეოლიბერალიზმი დღეს გავრცელებული ერთ-ერთი პარადიგმული მიდგომაა ანუ იგივე ნეოლიბერალური ინსტიტუციონალიზმი. ის ნეორეალიზმთან ერთად, დღევანდელი საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის წამყვანი დოქტრინაა. ნეოლიბერალიზმი აერთიანებს „კომერციულ“ (ვაჭრობისა და მშვიდობის კავშირი), „რესპუბლიკურ“ (დემოკრატიისა და მშვიდობის კავშირი) და „სოციოლოგიურ“ (ინტეგრაციის აუცილებლობა) ლიბერალიზმს.[7] ნეორეალიზმისაგან განსხვავებით, ნეოლიბერალიზმი მეტ ყურადღებას უთმობს არა საერთაშორისო კონფლიქტს, არამედ თანამშრომლობას. გარდა ამისა, ნეოლიბერალები უსაფრთხოების ცნებას უფრო ფართოდ განმარტავენ, ვიდრე ნეორეალისტები და მასში სამხედრო კომპონენტის გარდა ეკონომიკურ, გარემოს დაცვით და სხვა ელემენტებსაც აერთიანებენ. ნეოლიბერალები იზიარებენ ნეორეალისტების ძირითად მოსაზრებებს საერთაშორისო სისტემის ანარქიულობისა და სახელმწიფოს, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების მთავარი მოქმედი პირის შესახებ, მაგრამ მეტ ყურადღებას უთმობენ აპრიორულად ისეთ „აქტორებს“, როგორებიც ტრანსნაციონალური კორპორაციები და საერთაშორისო ორგანიზაციებია. თავის მხრივ ნეორეალისტები მიიჩნევენ, რომ ნეოლიბერალები აზვიადებენ საერთაშორისო ინსტიტუტებისა და საერთაშორისო რეჟიმების როლს საერთაშორისო ურთიერთობებში.[8]

„ვიკიპედიის“ თავისუფალი ქართულენოვანი ენციკლოპედიის „საერთაშორისო ურთიერთობების“ განყოფილების „პოზიტივისტური თეორიების“ ქვეთავში მოცემული „ნეოლიბერალიზმის“ გამარტებით, იგი ცდილობს

ლიბერალური შეხედულებების გადასინჯვას ნეორეალისტური მტკიცების საფუძველზე და აღიარებს სახელმწიფოთა განსაკუთრებულ როლს საერთაშორისო ურთიერთობებში, მაგრამ ამასთანავე მიუთითებს არასამთავრობო „აქტორებისა“ და ინტერნაციონალური ორგანიზაციების როლზეც. [9] აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ნეოლიბერალიზმის ერთ-ერთი აპოლოგეტი ჯოზეფ ნაი თვლის, რომ სახელმწიფოები ერთიანდებიან აბსოლუტური მოგების მიღების მიზნით.[10] ცივი ომის პერიოდში გლობალური ურთიერთდამოკიდებულების ფონზე ნეოლიბერალისტები თავიანთ თეორიას უწოდებდნენ ლიბერალურ ინსტიტუციონალიზმსაც, რაც ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფოებს აქვთ თავისუფალი არჩევანის გაკეთების უფლება საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ხალხის სუვერენიტეტის უფლების დაბლოკვის მიუხედავად. ნეოლიბერალიზმი ასევე შეიცავს ეკონომიკურ თეორიასაც, რომელიც საუბრობს სახელმწიფოს როლზე თავისუფალ ბაზრებზე მონოპოლიების ჩამოყალიბების წინააღმდეგ.[11]

4.2. ლიბერალიზმისა და ნეოლიბერალიზმის ძირითადი მიმდევრები

2003 წლის ნოემბრის „ვარდების რევოლუციისა“ და მისით განპირობებული 2004 წლის იანვარსა და მარტში ჩატარებული ხელახალი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების შემდგომი პერიოდიდან მოყოლებული, როდესაც საქართველოს ხელისუფლებაში მიხეილ სააკაშვილი და მის მიერ შექმნილი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ მოვიდა, 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე ჩვენს ქვეყანაში აქტიურად ხორციელდებოდა წინამორბედი სახელისუფლებო წრეების მიერ პრიორიტეტულად მიჩნეული, მსოფლიო მასშტაბით დომინანტური ნეოლიბერალური პოლიტიკური კურსი. რევოლუციის შედეგად ხელისუფლებაში მოსული და / ან მის წარმომადგენლებთან დაახლოებული ინტელექტუალური და მოაზროვნე, და ამავდროულად, საზოგადოებრივად აქტიური პირების აბსოლუტური უმრავლესობა, რომელთაც ძირითადად სხვადასხვა პოპულარული საზოგადოებრივი და არასამთავრობო ორგანიზაციებისა თუ რიგი ინსტიტუციების (საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“, განსაკუთრებით, თავისუფლების ინსტიტუტი და მისი შვილობილი სტუდენტური მოძრაობა „კმარა“, „ღია საზოგადოების ინსტიტუტი“, ტელეკომპანია რუსთავი 2 და სხვა) წევრები წარმოადგენდნენ თუ წარმოადგენენ დღესაც, სწორედ ნეოლიბერალური შეგნების და აპრიორულად მხოლოდ ამგვარი პოლიტიკის განხორციელების მომხრეა. აღნიშნული პირები, რომლებიც განსაკუთრებით აქტიურად სწორედ რომ მესამე სექტორში (საზოგადოებრივი და არასამთავრობო ორგანიზაციების სექტორი) მოღვაწეობენ ან ხელისუფლებიდან წამოსვლის თუ იმავე სივრცეში სხვადასხვა თანამდებობებზე მუშაობის პარალელურად კვლავ განაგრძობდნენ თუ განაგრძობ-

ბენ მოღვაწეობას, სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობაში საკუთარი პიროვნული ღვაწლის შეტანის იმედებით თუ თუნდაც საკუთარი იდეების სოციალური მასშტაბით პოპულარიზაციის იდეებით შთაგონებულნი, აქტიურად ცდილობდნენ და დღესაც ცდილობენ ნეოლიბერალური შეხედულებებით დატვირთული, მსგავსი მონოდებებითა და წინამორბედი სახელისუფლებო პოლიტიკის მხარდამჭერი და იდეურად ამხსნელ-განმამტკიცებელი საკუთარი თუ სხვადასხვა ავტორთა კომპილაციური ნააზრევის, უმეტესად სტატიების თუ სულ მცირე, ბლოგების სახით პუბლიკაციას სამოქალაქო საზოგადოების საკითხებზე მომუშავე სხვადასხვა პოპულარულ ბეჭდურ თუ ვირტუალურ მედიაში, მთელ რიგ ორგანიზაციულ, ქსელურ თუ პირად საიტებზე, უპირატესად კი, სოციალურ ქსელებში (Facebook, Twitter, Youtube, LinkedIn). თავისთავად პიროვნული თუ ორგანიზაციული სახის საზოგადოებრივი აქტიურობა ან მთელი რიგი სოციალური აქტივობების ორგანიზება რომ მართლაც საშური საქმეა ჩვენს სინამდვილეში ჯერ კიდევ ჩანასახის თუ მაქსიმუმ, ინფანტილურ სტადიაში მყოფი ქართული სამოქალაქო საზოგადოების მართლაც რომ განვითარებისათვის, ამაზე, ჩვენის აზრით, არავინ დავობს, თუმცა სოციალურად რამდენად შესატყვისი, საზოგადოებრივ საქმიანობებზე რამდენად ორიენტირებული ან მათი შესაბამისია ზემოაღნიშნულ ორგანიზაციათა თუ მათი ცალკეული „ვარსკვლავების“ საავტორო თუ ღიად კომპილაციური ტექნიკით შესრულებული პუბლიკაციები, ეს მართლაც ძალზე მნიშვნელოვანი საკითხი გახლავთ – სამოქალაქო სექტორის და მითუმეტეს, მისი ყველაზე ხილვადი თუ „გაპიარებული“ ნაწილის, როგორც ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი, ავტორიტეტული და ინტელექტუალურ დისკურსში მოღვრილი ფაქტორის უდავოდ დიდი მნიშვნელობიდან გამომდინარე საზოგადოებრივი დემოკრატიზაციის მხრივ და ამ გზაზე.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სახელისუფლებო, თავდაპირველად ლიბერტარიანიზმით ნასაზრდოები და საბოლოოდ რადიკალური ნეოლიბერალური ფორმით ჩამოყალიბებული კურსის განმმარტებელ-მხარდამჭერი თუ საყოველთაო/გლობალური პროპაგანდით „ინსპირირებული“ თანამედროვე ქართული ე.წ. ლიბერალური და ნეოლიბერალური საზოგადოებრივ-პოპულარული იდეების საილუსტრაციოდ და მათ გასააზრებლად უმჯობესად მიგვაჩნია არა თავად ან უკვე ყოფილი ხელისუფლების წევრთა, ხშირ შემთხვევაში ყოფილი „არასამთავრობოელების“ თუ თანამდებობიდან წასვლის შემდეგ კვლავ ამ სექტორში დაბრუნებული ან ჯერ კიდევ მხოლოდ „არასამთავრობოელთა“ მოსაზრებების განხილვა მათი მრავალრიცხოვანი პუბლიკაციებისა თუ უბრალოდ სოციალური ქსელების „პოსტების“ მიხედვით, რომელთა ლიბერალური თუ ნეოლიბერალური არჩევანიც, სხვათაშორის, მთლად და არამხოლოდ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სახელისუფლებო სიმპათიების ქონა-არქონით განისაზღვრება (საქართველოში, სხვა, განსაკუთრებით პოსტ-საბჭოთა და ასევე, პოსტ-სოციალისტური ქვეყნების მსგავსად, ზოგადად დომინანტური გახლავთ სწორედ ნეოლიბერალური ცხოვრების, პოლიტიკისა და მენტალობის მოდელები, ისევე, როგორც ამ იდეოლოგიის მქონე პოლიტიკური

პარტიებიც და რასაკვირველია, საქართველოში არამხოლოდ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ გახლავთ ნეოლიბერალური იდეოლოგიის მქონე პარტია, რაზეც სხვა ქვეთავში ქვემოთ უფრო ვრცლად გვექნება საუბარი), არამედ, ამ შემთხვევაში უპირატესობას მივანიჭებდით ერთ-ერთი რიგითი ლიბერალი ახალგაზრდის, ნანა ბერუაშვილის სტატიის: „რას ნიშნავს იყო ლიბერალი და რატომ ლიბერალიზმი?“ განხილვას, რომელიც პოპულარულ ქართულ „ლიბერალურ ვებ-საიტზე“ - azrebi.ge[12] დაიბეჭდა. აღნიშნული სტატია შეგვიძლია ავიღოთ ერთგვარ ეტალონად (აქვე უნდა დავსძინოთ, რომ ქართულ ენაზე და ჩვენს ქვეყანაში ნეოლიბერალიზმის, როგორც იდეოლოგიის თუ პრაქტიკის კვლევაზე ზოგადად, ხოლო საქართველოსთან მიმართებაში კონკრეტულად, მხოლოდ წინამდებარე ნაშრომი გახლავთ ამგვარი პრეცედენტი) - საშუალო-სტატისტიკური ქართველი ლიბერალის და მითუმეტეს ახალგაზრდა ლიბერალის თუ ნეოლიბერალის ნააზრევისა და საერთოდ აზროვნების სტილის დასახასიათებლად დღევანდელ საქართველოში, რის საფუძველსაც დაახლოებით ერთნაირი სულისკვეთების, შინაარსისა და ლოგიკური სტრუქტურის თუ მოყვანილი არგუმენტაციის ტიპური ხასიათი გვაძლევს ჩვენს განსაკუთრებით, „მონინავე ინტელექტუალურ“ წრეებში. აქვე აღსანიშნავია, რომ ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სივრცეში, მიუხედავად იმისა, რომ თითქოსდა ესმით, თუნდაც მექანიკურად და ზერელე ფორმალობით (თუნდაც ყურმოკვრით), მაგრამ მაინც – განსხვავება ლიბერალიზმსა და ნეოლიბერალიზმს შორის, მაგრამ რეალურად თვით ზემომოყვანილი ავტორისაც კი არ იყოს (იგი ტერმინოლოგიურად ანსხვავებს მაინც ამ ორ სიტყვას - მისი სხვა თანამოაზრეებისაგან განსხვავებით), აღნიშნული ცნებების დეფინიციის სირთულესთან ერთად, დღემდე სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს მათ შორის არსებული, ხშირად ფუნდამენტური განსხვავებების გარჩევა და ცოდნა. რაც ეხება პირადად ზოგიერთი საზოგადოებრივ-პოლიტიკური „ინტელექტუალური“ ფიგურის წამყვან იდეოლოგიურ თეზებსაც, ამ თემას უფრო ფართოდ, ჩვენს ქვეყანაში გატარებული ნეოლიბერალური რეფორმების გაშუქებითა და მათი ანალიზით ცალკე შევხებით, რადგანაც ნაგულისხმევ პირთა ნეოლიბერალური იდეების დემონსტრირება ყველაზე საუკეთესოდ სწორედ წინამორბედი ხელისუფლების მიერ გატარებულ ნეოლიბერალურ რეფორმებში აისახება, რომელთა ავტორებად ხშირ შემთხვევაში სწორედ ზემოგანხილული თეორეტიკოსები ან ყოფილ სახელისუფლებო თანამდებობებზე ამჯერად უკვე „მოპრაქტიკე“ პირები გვევლინებიან, „ნაციონალური“ ხელისუფლების ორბიტის მიღმა დარჩენილ მსგავსი იდეოლოგიით გაჯერებულ ცალკეულ ენთუზიასტთა გარდა.

ლიბერალიზმისა და ნეოლიბერალიზმის ქართველ აპოლოგეტებს შორის ვფიქრობთ, საინტერესო იქნება ლიტერატურათმცოდნის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის, ზაალ ანდრონიკაშვილის შეხედულებების განხილვა, რაც ასევე მეტ-ნაკლებად ტიპური გახლავთ თანამედროვე საქართველოს ინტელექტუალურ წრეებში გავრცელებული და ამავე ორბიტაზე, თუმცა არამხოლოდ, „მეინსტრიმული“ ლიბერალური და ნეოლიბერალური შეხედულებებისა.

www.meskhi.net-ზე გამოქვეყნებულ სტატიაში „შემობრუნების წერტილი“, ზაალ ანდრონიკაშვილი საზოგადოებრივი აზროვნების იმგვარ ასპექტზე ამახვილებს ყურადღებას, როგორცაა პოლიტიკური აზროვნება პოსტ-საბჭოურ და პოსტ-რევოლუციურ (2003 წლის ნოემბრის „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ) საქართველოში. ახალგაზრდა ქართველი ინტელექტუალი თავის პუბლიკაციას რუსეთთან ომის შემდგომ ჩვენს საზოგადოებაში მიმდინარე, შეიძლება ითქვას, ინტენსიფიცირებული მენტალური პროცესების ანალიზით იწყებს და ხაზს უსვამს ომამდე მართლაც რომ დიდი ხნით გადადებული წარსულის გადაფასებისა და მომავლის განსაზღვრის აუცილებლობას ჩვენი სოციუმის მიერ.

ნამდვილად ვეთანხმებით ზაალ ანდრონიკაშვილს იმაში, რომ „ვარდების რევოლუცია“ თითქოს იმისთვის იყო მოწოდებული, რომ ტრანსფორმაციის პროცესი, რომელიც ვერც გამსახურდიას პრეზიდენტობისას (მას ტრანსფორმაციისა და მოდერნიზაციის კონცეფცია საერთოდ არ ჰქონია) და ვერც შევარდნაძის პერიოდში (მას თანამედროვე სახელმწიფოს შესახებ წარმოდგენა კი ჰქონდა, მაგრამ ბრეჟნევის ეპოქის კორუფციული გარიგებების ჩვევა ახალ დემოკრატიულ „რჯულზე უფრო უმტკიცესი აღმოაჩნდა“) ვერ განხორციელდა, ხარისხობრივად სხვა საფეხურზე აეყვანა. სრულიად სამართლიანად აფასებს ავტორი, რომ შეიძლება და რასაკვირველია ეს ასეა, რომ ბევრი გვაქვს სადაო პოსტ-რევოლუციურ ნეოლიბერალურ ეკონომიკურ კონცეფციასთან, მაგრამ მართლაც რომ უდავოა ერთი რამ; კერძოდ ის, რომ ის მოდერნიზაციის ერთ-ერთი შესაძლო პროექტია სხვა პროექტებს შორის. დასამკვიდრებელი ნეოლიბერალური ეკონომიკური მოდელისათვის დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო მისი პოლიტიკური იმპლიკაციებიც, კონკრეტულად კი, სახელმწიფოს მინიმალური ჩარევა ეკონომიკურ პროცესებში და ასევე საზოგადოების ბევრი სხვა სფეროს, მაგალითად, მასმედიის მაქსიმალური თვითრეგულირება - სახელმწიფოს მხრიდან ნულოვანი ან მინიმალური კონტროლის ფონზე. თუმცა ნეოლიბერალური ეკონომიკური მოდელი პოლიტიკურ პლანში საბჭოთა საზოგადოებრივი პოლიტიკური აზროვნების გადმონაშთებს წააწყდა და მასთან კონფლიქტშიც მოვიდა.[13]

სტატიაში აღნიშნულია, რომ ქართული პოლიტიკა, რომლის სინამდვილეშიც, ან უკვე ყოფილ ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის ამ კუთხით მინიმალური განსხვავებაა, ხოლო იმჟამინდელი ოპოზიციის უდიდეს უმრავლესობას ამ მხრივ ჩემპიონობას ვერავენ ჩამოართმევს, ზოგადად წარსულზეა ორიენტირებული და არა მომავალზე.

ძალზე მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ წარსულზე ორიენტაცია პოსტ-რევოლუციურ საქართველოში სიმბოლოების დონეზე კი აისახა, მაგრამ ეს სიმბოლოები ერთის მხრივ პოლიტიკური აზროვნების გამოხატულება იყო და არის, მეორეს მხრივ, პოლიტიკური აზროვნების განვითარებას დაღს ასვამს და მის მოდერნიზაციას ხელს უშლის. ქართული პოლიტიკური აზროვნების ტრადიციულ სიმბოლოებს შორის ძალზე მნიშვნელოვანი გახლავთ: დავით

აღმაშენებლის, წმინდა გიორგისა და პრომეთეს პრაქტიკული ფეტიშიზაცია; კონკრეტულად კი, დავით აღმაშენებლის საფლავზე ფიცი, როგორც პრეზიდენტის საინაუგურაციო ცერემონიის ნაწილი, წმინდა გიორგისა და პრომეთეს ძეგლები თბილისში - ძალზე კონკრეტული პოლიტიკური აზროვნების ნიშნებია[14], რომლებიც თანამედროვე მოდერნიზაციის პროექტისათვის ვერც სიმბოლურ დონეზე და ვერც ამ სიმბოლოებიდან გამომდინარე, შიდა ან საგარეო პოლიტიკური აზროვნების დონეზე ვერც დაგვაკმაყოფილებს და ვერც გამოგვადგება. სამწუხაროდ, ეს ფაქტი არც პოსტ-რევოლუციურ პოლიტიკურ ელიტას გაუაზრებია და ამ მხრივ, იგი გამსახურდიასა და შევარდნაძის პოლიტიკის გამგრძელებლად მოგვევლინა.

4.3. ლიბერალიზმისა და ნეოლიბერალიზმის ქართველი კრიტიკოსები

თანამედროვე ქართულ აკადემიურ, პუბლიცისტურ, ბეჭდურ თუ ვირტუალურ ინტელექტუალურ სივრცეში არსებული იმ მწირი მასალების; წიგნების, სტატიების, ბლოგ-პოსტებისა (სხვადასხვა ვებ-გვერდებსა და სოციალურ ქსელებში) თუ ჩანაწერების ფონზე, რაც ნეოლიბერალიზმის პრობლემატიკაზე დღემდე შექმნილა ჩვენი ქვეყნის მასშტაბით, უდავოდ პრევალირებადი და ამავდროულად ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო იდეურ-თეორიული და პრაგმატულ-ანალიტიკური დამოკიდებულება ნეოლიბერალიზმის მიმართ გახლავთ მისი და „დასავლურ“ სამყაროში მისი წინამორბედი დომინანტური იდეოლოგიის - ლიბერალიზმის (ამ უკანასკნელის შემთხვევაში ხშირად ნამდვილად გაცილებით ზომიერი, ზოგ შემთხვევაში რადიკალური, თუმცა არცთუ საკმაოდ (მხოლოდ იშვიათად) არგუმენტირებული, მაგრამ ძირითადად სუსტი და მეტ-ნაკლებად ზომიერი (ლიბერალიზმს საქართველოში, როგორც განსაკუთრებით სხვა პოსტ-საბჭოთა და პოსტ-სოციალისტურ ქვეყნებში, ინტელექტუალთა და საზოგადოების „პროგრესულად“ ნოდებულ ნაწილს შორის უფრო მეტი მხარდამჭერი ჰყავს, ძირითადად მათთვის დამახასიათებელი პოსტ-საბჭოთა და პოსტ-სოციალისტური კომპლექსებიდან გამომდინარე, ვიდრე კრიტიკოსი)), ხოლო ნეოლიბერალიზმის შემთხვევაში, საკმაოდ მძაფრი და ანტაგონისტური კრიტიკა.

თუ ერთგვარი თანაგრძნობით აღვსილი არა, ზოგადად კლასიკური ლიბერალიზმის მიმართ საკმაოდ ზომიერი, ხოლო ნეოლიბერალიზმისადმი ძლიერი კრიტიკით გამოირჩევა ახალგაზრდა ქართველი პუბლიცისტის, თავისი მრწამსით სოციალისტ თორნიკე ჭუმბურიძის ბლოგ-პოსტი *Artes Neoliberalis* (ქართულ ენაზე - „ნეოლიბერალური ხელოვნება“), რომელიც 2011 წლის 11 იანვარს დაიბეჭდა www.tooantagonist.blogspot.com-ზე.

პუბლიკაციის ავტორი ქართველ „მემარჯვენე“ ლიბერალებს სრულიად მართებულად აკრიტიკებს და მათ მიერ ორმაგი სტანდარტების ქონაზე უსვამს ხაზს, რის მაგალითადაც სხვებთან ერთად, მოჰყავს - საფრან-

გეთში ისლამური თავშეშლების აკრძალვის გამო მათ მიერ ატეხილი აჟიოტაჟი (რომელმაც საქართველომდეც მოაღწია), მაშინ, როცა ყოფილი „სოციალისტური ბანაკის“ რამდენიმე ქვეყანაში კომუნისტური სიმბოლიკის აკრძალვა მათ არ გაუპროტესტებიათ, პირიქითაც კი[15].

ბლოგ-პოსტში ავტორი აქცენტს ლიბერალიზმის კლასიკურ თეორიასა და „ნეოლიბერალიზმის“ მნიშვნელობას შორის განსხვავებაზე აკეთებს, სადაც ცხადად ჩანს მისი სრულიად სამართლიანი და თანაგრძნობითი დამოკიდებულება სწორედ ლიბერალიზმის კლასიკური თეორიის მიმართ, რომელსაც ძალზე მნიშვნელოვანია, რომ კიდევ ერთხელ ხაზი გავუსვათ, რომ სრულიად მართებულად და ბევრი მისი თანამოაზრე ქართველ ანტი-ლიბერალთა თუ ანტი-ნეოლიბერალთა, ან თუკი გნებავთ, ძირითადად სწორედ „მემარცხენეთა“ და სოციალისტთა მოსაზრებებისაგან განსხვავებით, თორნიკე ჭუმბურიძე სწორედ თანასწორობისა და სოციალური სამართლიანობის უზრუნველყოფის არსობრივად „მემარცხენე“ ჭრილშიც განიხილავს. აღნიშნული მსჯელობა ძალზე საინტერესო და მნიშვნელოვანია თანამედროვე ქართული და სხვათა შორის არა მარტო ქართული სინამდვილისთვის, იმდენად, რამდენადაც განსაკუთრებით ჩვენს ეპოქაში, როგორც წესი, ნაკლებად ხდება ლიბერალიზმის ამგვარი ნეიტრალური განხილვა, სადაც არა მხოლოდ მის არსობრივად „მემარჯვენე“ ფასეულობებისათვის ამოსავალი ნაწილის შინაარსზე აპელირებენ, არამედ, აგრეთვე თანასწორობისა და სოციალური სამართლიანობის, როგორც ფასეულობების შემცველ იმ ნაწილზეც, რომელიც თავისი არსით „მემარცხენე“ შეხედულებებისათვის ფუნდამენტური პრინციპების გამომხატველი და დამცველია. კონკრეტულად კი, პუბლიკაციის ავტორი სხვა მრავალი თანამედროვე ქართველი თუ უცხოელი მემარცხენისა და სოციალისტის მსგავსად, გვერდს კი არ აუვლის, არამედ იხსენებს „კლასიკური ლიბერალიზმის მამად“ აღიარებული ადამ სმიტის შემდეგ შეხედულებას, რომ „მდიდრებმა წილი უნდა გაიღონ საზოგადოებრივი ხარჯებისათვის. არა უბრალოდ მათი შემოსავლების პროპორციული წილი, არამედ ამ თანაფარდობაზე მეტიც.“[16] თორნიკე ჭუმბურიძე ასევე თვალებს არ ხუჭავს „ლიბერალიზმის მესამე ფაზის“ წარმომადგენელი ლეონარდ ჰობსჰაუზის ამოსავალი, სრულიად „მემარცხენე“ სულისკვეთების შემცველი მოსაზრების ბლოგ-პოსტში მოტანაზე, როგორც გახლავთ მისი დევიზი: „სრული თავისუფლება სრულ თანასწორობას გულისხმობს“[17]. ავტორი კვლავაც იხსენებს „კეთილდღეობის სახელმწიფოს“ იდეის შემქმნელ სოციალ-ლიბერალ ლოიდ ჯორჯსა და ბევერიჯს და თუნდაც „მემარჯვენეებად“, მაგრამ ამავდროულად, „ლიბერალებად“ წოდებულ ჩვენს თანამედროვე ქართველ ინტელექტუალებს არსობრივად ადამ სმიტის, ლეონარდ ჰობსჰაუზის, ლოიდ ჯორჯისა თუ ბევერიჯის იდეებისაგან სრულიად შორს რომ დგანან და უპირისპირდებიან კიდევაც მათ, პირდაპირ იმ შესატყვისი ზედსართავი სახელით მოიხსენიებს, რომლითაც კლასიკურად მთელს ცივილიზებულ მსოფლიოში აღნიშნავენ მსგავსი მოსაზრებების მქონე ადამიანებს და მათ სრულიად ადეკვატურად, „ნეოლიბერალებს“ უწოდებენ. ჭუმ-

ბურიძეს აქვე ახსენდება მარიო ვარგას ლიოსას მართლაც რომ წუნუნი და პროტესტი ტერმინ „ნეოლიბერალიზმთან“ მიმართებაში, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ ლიოსა, მისი სხვა თანამოაზრეების მსგავსად, მათ შორის, ცხადია, ქართველი თანამოაზრეების მსგავსადაც, სწორედაც რომ ნეოლიბერალია და არა ლიბერალი (ლიოსას და სხვებსაც „რატომღაც“ ძალზე მნიშვნელოვნად მიაჩნიათ, რომ სწორედ „ლიბერალებად“ იწოდებოდნენ და არა „ნეოლიბერალებად“, როგორც გახლავთ სინამდვილეში მათი მრწამსი). კერძოდ, ლიოსა „ნეოლიბერალიზმის“, როგორც თავად ტერმინის ნარმოშობას ლიბერალიზმის მოწინააღმდეგეთა ერთგვარ ფანდს უკავშირებს, რომელთა მიზნადაც იგი იმას ასახელებს, რომ ვითომდაც ამ „ტრიუკით“ („ნეოლიბერალიზმის“ ცნების შემოღება) მათ სურდათ ლიბერალიზმი „დაცინვის დამანგრეველ იარაღად ქცეულიყო“ [18] და „ლიბერალიზმის თეორია სემანტიკურ უაზრობად ექციათ“-ო [19].

პუბლიკაციის ავტორი სრულიად მართებულად აღნიშნავს, რომ ნეოლიბერალიზმი, მათი ნაშრომების მიერ პოლიტიკური მნიშვნელობის შექცენამდე, ორი სრულიად მარგინალი მეცნიერის, ფრიდმანისა და ჰაიეკის მოძღვრებებზე აგებული იდეოლოგიაა, სადაც პრაქტიკულად მართლაც რომ სრულიად პარადოქსულადაა შერწყმული ერთი შეხედვით თითქოსდა სრულიად საპირისპირო ხასიათის მიმართებები (პარადოქსულობაც, ბუნებრივია, აქედან გამომდინარეობს), როგორც გახლავთ მაგალითად, „სრული ეკონომიკური თავისუფლების“ მიღწევის რევოლუციური მიზნები და მეორეს მხრივ, ტრადიციული ინსტიტუტების კონსერვატორული პატივისცემა, ან მაგალითად, „სახელმწიფოს მინიმიაციის“ ლამის მართლაც რომ ანარქისტული პროექტი და მისი ასევე საკრალური აღქმა და ნარკოტიკების ლეგალიზაციისა და არატრადიციული ქორწინების აკრძალვის მოთხოვნების თანაარსებობა [20] (მსგავსი შიდა წინააღმდეგობრიობისათვის ხაზგასმა ნეოლიბერალიზმში ამგვარი სახით - უიშვიათესი შემთხვევაა ნეოლიბერალიზმის არა მარტო ქართველ, არამედ, გლობალურ მკვლევართა თუ კრიტიკოსთა მხრიდან). როდესაც ჭუმბურიძე ხაზს უსვამს ნეოლიბერალიზმის, როგორც თუნდაც თეორიის ერთგვარ პარადოქსულობასა და ერთი შეხედვით მის წინააღმდეგობრივ ბუნებას, აქ აღარაა გაკეთებული იმგვარი განმარტება, რომელიც მხოლოდ ნეოლიბერალიზმის სრულფასოვანი შესწავლის შემდეგ თუ შეიძლება ხელმისაწვდომი და გონსაწვდომი გახდეს ადამიანისათვის; აქ საუბარია კერძოდ იმაზე, რომ ნეოლიბერალიზმი, როგორც აპრიორი, ყველაფერს, ნებისმიერ საკითხს მხოლოდ „სრული ეკონომიკური თავისუფლების“ მოპოვებისა და მაქსიმალური ეკონომიკური მოგების მიღების ინტერესებიდან უყურებს და, აქედან გამომდინარე, შეიძლება მან მხარი დაუჭიროს ან დაუპირისპირდეს რომელიმე ფასეულობას, თემას თუ მოვლენას ძალზე კონკრეტული კონტექსტების, ქვეყნებისა თუ დროითი (შეიძლება ითქვას, კონკრეტულ სივრცესა და დროში არსებული) კონკრეტული მოცემულობების გათვალისწინებითა და მათი მაქსიმალური ეკონომიკური კეთილდღეობის მიღების შესაძლებლობათა ნეოლიბერალთათვის აბსოლუ-

ტურად ქცეულ მიზნებთან მორიგება-შეთანხმების შესაძლებლობებიდან გამომდინარე. ზემოთქმულიდან გამომდინარე, აღარ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ნეოლიბერალიზმმა მაგალითად ერთ ქვეყანაში მხარი დაუჭიროს არატრადიციულ ქორწინებას, და ეს მისი არა რაიმე ფასეულობის ქონაზე და ან ამ უკანასკნელისადმი ერთგულებაზე მიუთითებს, არამედ, ცხადია, რომ ეკონომიკურად ეს ასეა მისთვის მომგებიანი ამ ქვეყანაში, ამ მოცემულ დროში, ხოლო შესაძლოა ამავე დროს მაგალითად, სხვა ქვეყანაში - სრულიად საპირისპიროდ, პირიქით, არატრადიციული ქორწინების აკრძალვას დაუჭიროს მხარი და ეს პოზიცია აშკარად მიანიშნებს, რომ მაშასადამე, მისთვის მოცემულ მომენტში ასეა ამ ქვეყანაში ეკონომიკურად მომგებიანი. თუმცა უბრალო სტატისტიკისათვის და არა ნეოლიბერალიზმის ღირებულებრივი დახასიათებისათვის უნდა აღინიშნოს, რომ მაგალითად, კონკრეტულად არატრადიციულ ქორწინებას რაც შეეხება, ძირითადად ეს საკითხი ნეოლიბერალიზმისთვის მხარდაჭერის ფორმით უფრო მომგებიანია, ვიდრე მისი ოპონირების მხრივ, რადგანაც ეკონომიკურ მოგებაზე ორიენტირებული აღნიშნული იდეოლოგია ყველა ბაზრის ათვისებას ცდილობს ყოველგვარი უმცირესობების ბაზართა ჩათვლით და ამ ჯგუფების კომოდიფიცირების გაზრდისა და შესაბამისად, საკუთარი შემოსავლების გადიდების მიზნით, აქტიურად აწარმოებს საკმაოდ მომგებიან ბიზნესს ჰომოსექსუალთა, ფერადკანიანთა, რეპერთა, როკერთა და სხვადასხვა უმცირესობებისა თუ სუბკულტურების საბაზრო საქიროებათა გაზრდისა და შესაბამისი პროდუქციით მათი დაკმაყოფილების გზით. ამ ყოველივეს თუ დავეყრდნობით, მაშასადამე, გამოდის, რომ საერთოდ ნეოლიბერალიზმში ნებისმიერი სხვა ფასეულობის სტაბილური არსებობა და მონაწილეობა სრულიად კითხვის ნიშნის ქვეშ დგება, გარდა „სრული ეკონომიკური თავისუფლების“ მიზნების ბაზისის - ფულისა და მატერიალური კეთილდღეობის, და რაც შესაძლოა მაქსიმალური სიმდიდრის მოხვეჭისა, როგორც ერთადერთი უცვლელი და აბსოლუტური ღირებულებისა, რომელიც შეიძლება ითქვას, რომ სულ მცირე, გადაჭარბებულად, ხოლო საერთოდ კი, ხელოვნურადაა იდეოლოგიზირებული. რაც შეეხება დანა-რჩენ „ნეოლიბერალურად“ მიჩნეულ ფასეულობებს თუ თანაფასეულობებს, ისევე, როგორც სხვა იდეოლოგიურ კონცეპტებს, ყველა მათგანის ამ იდეოლოგიაში არსებობის და მის მიერ მხარდაჭერის თუ უკუგდებისა და დაპირისპირების მდგომარეობა პირდაპირპროპორციულია კონკრეტულ ქვეყანასა თუ სხვა სივრცეში და კონკრეტულ დროით პერიოდში ამ სხვა დანარჩენ ფასეულობათა თანხვედრისა - თეორეტიკოს თუ პრაქტიკოს ნეოლიბერალთაგან შეიძლება ითქვას, რომ სწორედ პირდაპირ ფულადი მოგების მიღების შესაძლებლობებთან, სადაც რასაკვირველია, მოგებადი თანხების რაოდენობრივ გრადაციებსა და შესაბამისად, კონკრეტული იდეოლოგიური კონცეპტების ნეოლიბერალიზმის მიერ მხარდაჭერის ხარისხს შორის პირდაპირი კავშირია. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მე აქვე შემოვიტანდი „ნეოლიბერალიზმის“ ცნების ძალზე გამარტივებულ და მისი შინაარსის ყველასათვის ადვილად გასაგებ სინონიმად ტერმინ „მა-

მონიზმს“ (მამონი - მითოლოგიური და რელიგიური ენციკლოპედიებისა და ლექსიკონების მიხედვით, სიმდიდრის, სიხარბისა და ცდუნებათა ღმერთი ან დემონია ზოგიერთი ძველი ხალხებისათვის[21]).

ნეოლიბერალიზმზე მსჯელობისას ავტორი ახდენს ნეოლიბერალთათვის ძალზე ავტორიტეტული და საყვარელი ავტორის, კარლ პოპერის სიტყვების ციტირებას, რომელთა მიხედვითაც, იდეოლოგია „აზროვნების ყოვლისმომცველი და დახურული სისტემაა“[22], რომელსაც ნებისმიერ საკითხზეც აქვს სათქმელი და თავისი ყველა წარუმატებლობის ახსნასაც ახერხებს.[23]

კლასიკური ლიბერალიზმისაგან განსხვავებით, რომელსაც მრავალი ჰუმანისტური ღირსება აქვს, როგორც ზემოთაც ვისაუბრეთ, ჭუმბურიძე ხაზგასმით მიაჩნძნებს ნეოლიბერალიზმის სრულიად ანტიჰუმანურ და ჩვეულებრივი მოკვდავისათვის მტრულ შინაარსზე, რომელიც კვლავაც კლასიკური ლიბერალიზმის საპირისპიროდ, „ეგალიტარული იდეებით შეპყრობილი ჰუმანისტების მოძღვრება არ არის“[24]. მთელს მსოფლიოში მის უკან სანარმოო, ფინანსური, პოლიტიკური ელიტები და მათ კმაყოფაზე მყოფი ინტელექტუალები დგანან - ის უკიდურესი უმცირესობა, რომლისთვისაც მას სიკეთე მოაქვს. ამიტომაც, ეკონომიკური თეორიებითა და მაღალი იდეალებით ვითომდა გამყარებულობის მიუხედავად, ნეოლიბერალთა მოთხოვნები ამ უმცირესობის ინტერესთა დაცვამდე დადის.[25]

ქართული ნეოლიბერალური ჯგუფის ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი სამხედრო შესყიდვებს ლობირებს და ჯგუფი ძალზე შთაგონებულია მილიტარისტული პერსპექტივით, თუნდაც პიროვნების თავისუფლების შეზღუდვისა და ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის ხარჯზე. აღნიშნული ნეოლიბერალი „ინტელექტუალები“ თუ მათი პრაქტიკოსი თანამოსაქმეები - დამქირავებლები თუ არა, მათი ინტერესების ამსახველნი უდავოდ არიან და ამდენად, ჰუმანურ შრომით კანონმდებლობას, სოციალური დაცვის სხვა მექანიზმებს, რომლებიც დაქირავებულებთან თანაბარ პირობებში ჩააყენებენ, მათი მოტყუების საშუალებას არ მისცემენ, ეკონომიკისათვის საზიანოდ აცხადებენ. თუ მათგან რომელიმე კერძო უნივერსიტეტის მფლობელია, კონკურენტის - სახელმწიფო უმაღლესი განათლების არსებობა არ მოსწონს. ყბადაღებულ „სახელმწიფო ფინანსირების“ თემასთან კვლავაც ორმაგი სტანდარტებით აღსანიშნავ მათ დამოკიდებულებას კი, ყველაზე კარგად მორიგი ნეოლიბერალი „ინტელექტუალის“ ლექსო მაჭავარიანის ერთი მაგალითი აჩვენებს; 2010 წლის ივლისში გამოქვეყნებულ სტატიაში „ვინ გადაცურავს ზღვას“[26] მისი ავტორი ამტკიცებდა, „რედუქციონი“ მიმართ სიმპათიის მიუხედავად, არავითარი სურვილი არ მაქვს - თავისუფლების მოედანზე გამართულ საახალწლო კონცერტზე ტოტო კუტუნოს ნაცვლად, ტომ იორკი ვნახო, თუ ეს ღირსშესანიშნავი და ქვეყნის ისტორიაში ოქროს ასოებით ჩასანერი მოვლენა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით დაფინანსდება“[27] და „არ ვთვლი მართებუ-

ლად სახელმწიფოს მიერ კინოს, თეატრების, გალერეების და ტრიაბალური ცეკვისა და სიმღერის ანსამბლების სუბსიდირებასო“[28]. ხოლო, იმავე წლის დეკემბერში კი არაფერი ჰქონდა საწინააღმდეგო, რომ იმავე საახალწლო კონცერტზე მისი კოლეგები და მეგობრები „დერვიშები“ გამოვიდნენ. უფრო მეტიც, რამდენჯერმე აღნიშნა ამ ფაქტით უზადო კმაყოფილების შესახებ[29]. ნამდვილად მოძველებული ამბავია: როცა სახელმწიფო სხვებს ართმევს მათ სასარგებლოდ, სიკეთეა, როცა პირიქით - ბოროტება. ისინი კი, ვინც ასეთ მიდგომას არ იზიარებს და ეწინააღმდეგება, „სხვის ხარჯზე ცხოვრების მოყვარულნი“, „სოციალური პარაზიტები“ ან, უფრო უარესი, სოციალისტები არიან. სხვათა შორის, არც „ერთი კლასის ინტერესების საერთო ეროვნულად გამოცხადება“ ახალი რამ, რაც სოციალისტებმა ყველაზე უკეთ იციან.[30]

ნეოლიბერალიზმის კრიტიკა მარცხნიდან (ქართველი ავტორები)

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი ნეოლიბერალიზმის კრიტიკისას გახლავთ მისი არგუმენტების კრიტიკა „სოციალური კეთილდღეობის სახელმწიფოს“ წინააღმდეგ. ამ მხრივ, უცხოელ კრიტიკოსთა გარდა განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით ქართველ „მემარცხენე“ ორიენტაციის ავტორებს, რომელთაც რიგ შემთხვევებში სრულიად გამორჩეული და, შეიძლება ითქვას, უნიკალური კონტრიბუცია ეკუთვნით ზოგადად ნეოლიბერალიზმის კრიტიკაში. ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და ფასეული ნააზრევი ამ კუთხით გახლავთ ქართველი პოლიტოლოგისა და ისტორიკოსის, ზვიად ავალიანის სტატია, სახელწოდებით - „ნეოლიბერალიზმის ყალბი არგუმენტები სოციალური კეთილდღეობის სახელმწიფოს წინააღმდეგ“[31], რომელიც ქართველ ინტელექტუალთა ერთ-ერთ ყველაზე სახელგანთქმულ ელექტრონულ რესურსში - www.european.ge დაიბეჭდა 2011 წლის 13 ივნისს.

სტატიაში ავტორი წარმოგვიდგენს „ლიბერალური ეკონომიკური მსოფლმხედველობის მთავარ „არგუმენტს““[32] საყოველთაო სოციალური კეთილდღეობის წინააღმდეგ, რომ თითქოს საყოველთაო სოციალური კეთილდღეობა მოითხოვს მატერიალური სახსრების, ავალიანის მიერ ნეოლიბერალთა ციტირებით, „ხელოვნურ“[33] გადანაწილებას სოციალურად დაუცველი ფენების სასარგებლოდ, რაც თავის მხრივ განაპირობებს ეკონომიკის „დამუხრუჭებას“[34]. უნდა აღინიშნოს, რომ ზვიად ავალიანი ტერმინ „ლიბერალურ“-ს, „მემარცხენეთა“ და, მე დავაკონკრეტებდი, რომ კერძოდ, რადიკალ „მემარცხენეთა“ აბსოლუტური უმრავლესობის მსგავსად, ფაქტობრივად „ნეოლიბერალურის“ სანაცვლოდ იყენებს, რაც კიდევ ერთხელ გამოხატავს აღნიშნული ჯგუფის ზოგადად არცთუ სახარბიელო დამოკიდებულებას უპირველეს ყოვლისა, ლიბერალიზმის მიმართ, რომელსაც ამ ჯგუფის წევრები მხოლოდ „მემარჯვენე“ იდეოლოგიად აღიარებენ და პრაქტიკულად ნეოლიბერალიზმთან ათანაბრებენ, ხოლო მის (ანუ, ლიბერალიზმის) მეორე - „მემარცხენე“ ნაწილს - სოციალური

სამართლიანობისა და თანასწორობის ფასეულობების განმსაზღვრელი მნიშვნელობის შესახებ თუნდაც იმავე - სრულფასოვანი თავისუფლების მიღწევის თვალსაზრისით, რაც მაგალითად, თორნიკე ქუმბურიძისათვის სრულიად ნათელი ფაქტია და მასზე საუბარი მისთვის პრინციპული საკითხია ნეიტრალურობის და არატენდენციურობის კუთხით, ტრადიციულად, საერთოდაც გვერდს უვლიან.

ზვიად ავალიანის მიერ წარმოდგენილ ნეოლიბერალიზმის მთავარ „არგუმენტს“ რომ დავუბრუნდეთ - საყოველთაო სოციალური კეთილდღეობის წინააღმდეგ, უნდა შევნიშნოთ, რომ აღნიშნული საკმაოდ გავრცელებული ბრალდებაა, რაზეც ნამდვილად ღირს სერიოზული მსჯელობა.

სტატიის ავტორი წარმოდგენილი ბრალდების ანალიზისას სამართლიანად აქცევს ყურადღებას იმას, რომ პუბლიკაციაში მოხსენიებული „ლიბერალი“ ანუ ნეიტრალურ ენაზე რომ გადმოვიტანოთ, - ნეოლიბერალი მოაზროვნეები თავიდანვე ანუ საკითხის დასმისთანავე სისტემის მთავარ მიზნად ზოგადად რატომღაც - ეკონომიკის ზრდას აცხადებენ. და მაშასადამე, რაც ხელს უშლის ეკონომიკის ზრდას, თავისთავად ის ნეგატიურად ითვლება და პირიქით. ამ ეტაპზე არაა საჭირო იმის გარკვევა, თუ რამდენად მართებულია ეს ლოგიკა თუნდაც ეკონომიკური თვალსაზრისით, არამედ ავალიანის ხაზის მიხედვით, დავსვათ რამდენიმე, მართლაც რომ უფრო მნიშვნელოვანი და ძირეული კითხვა, რომელთაგან პირველი ასე უღერს: „- სად, ვინ და როდის შეთანხმდა იმაზე, რომ საზოგადოების უმთავრესი მიზანი სწორედ ეკონომიკის (ვთქვათ, გამოშვებული პროდუქციისა და განეული მომსახურების) განუხრელი ზრდა უნდა იყოს?“[35] ან, „რა უფრო მნიშვნელოვანია საზოგადოებისთვის: სოციალური სამართლიანობა, თუ ერთობლივი შიდა პროდუქტის არითმეტიკული ზრდა, რაც სულაც არ არის აუცილებელი პროპორციულად აისახოს ქვეყანაში არსებული ყველა სოციალური ფენის მატერიალურ მდგომარეობაზე?“[36] უფრო შორს თუ გავყვებით მართებულად მოვლენათა განვითარების ლოგიკურ ხაზს, ამგვარი შეკითხვაც დადგება დღის წესრიგში; კერძოდ კი, რა მოუვა ზემოგანხილულ ლოგიკაზე დაფუძნებულ სისტემას მაშინ, როცა ეკონომიკა მიაღწევს ერთგვარ „ზრდის ბუნებრივ ბარიერს“[37], რაც ნებისმიერი ქვეყნისა და საერთოდ ჩვენი პლანეტის რესურსების შეზღუდულობის გამო სრულიად გარდაუვალია? როგორც ახალგაზრდა პოლიტოლოგი აბსოლუტურად ადეკვატურად მიუთითებს, ნამოჭრილ შეკითხვებზე „ლიბერალებს“ პასუხი ან ზოგადად არ აქვთ, ან მათი პასუხები ერთგვარ „ჩაკეტილ წრეზე“[38] ტრიალებენ, როცა ეკონომიკის (აქ ემზ ან იგივე მშპ იგულისხმება) ზრდა რატომღაც ავტომატურად(?) გამოინვევს ყველა პრობლემის გადაჭრას ახალი სამუშაო ადგილების შექმნით და ა.შ. თუმცა, იმას, თუ როდის, ვინ და სად დაამტკიცა, რომ მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა ავტომატურად ნიშნავს მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ამას არავინ ხსნის.[39]

განსაკუთრებით ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ უფრო მეტიც კი, ცნობილია, რომ ეშპ (მშპ), გადაანგარიშებული თუნდაც თითოეულ მოქალაქეზე (GDP Per Capita) აბსოლუტურად არაფერს გვატყობინებს ამა თუ იმ საზოგადოების სოციალურ მდგომარეობაზე. ამის მიზეზი გახლავთ ის, რომ აღნიშნული გაანგარიშების დროს ქვეყანაში შექმნილი მთლიანი მატერიალური სიმდიდრე, ანუ პროდუქცია და მომსახურება, უბრალოდ იყოფა ამავე პერიოდში მოცემულ ქვეყანაში მოსახლე ადამიანთა რაოდენობაზე და გამოიანგარიშება ერთგვარი „საშუალო არითმეტიკული“ თითოეული ინდივიდისათვის. მაგრამ აქ მნიშვნელოვანია ის და ამგვარ საშუალო არითმეტიკულს აზრი მაშინ ექნებოდა მხოლოდ - საზოგადოებაში არსებული სიმდიდრე მართლაც თანაბრად რომ ნაწილდებოდეს თითოეულ ადამიანზე. სინამდვილეში, როგორც ჩვენთვის ყველასთვის კარგადაა ცნობილი, ამგვარი გადანაწილება არც ერთ საზოგადოებაში არ ხდება. ხოლო ლიბერტარიანული ანუ არსით ნეოლიბერალური სისტემა ყველაზე შორს დგას ამგვარი თეორიული მოდელისაგან. თვალსაჩინოებისთვის შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ორი საზოგადოება ან ქვეყანა, სადაც ვთქვათ, პირველში მატერიალური დოვლათი ნაწილდება თითქმის თანაბრად, ხოლო მეორეში კი - ძალზე არათანაბრად. თუკი დავუშვებთ, რომ ორივე ზემოხსენებული საზოგადოება თანაბარი რაოდენობის მთლიან შიდა პროდუქტს ქმნის ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით, ამ შემთხვევაში ზვიად ავალიანი სვამს შეკითხვას, თუ რისი მთქმელი იქნება მოცემული სტატისტიკა. როგორც თავადვე სრულიად მართებულად პასუხობს ამ კითხვას, ეს სტატისტიკა მხოლოდ იმას გვეუბნება, რომ მოცემულმა ქვეყნებმა დროის ერთსა და იმავე მონაკვეთში თანაბარი რაოდენობის მატერიალური დოვლათი შექმნეს, თუმცა ამავედროულად ის არაფერს გვამცნობს იმაზე, თუ რომელ ქვეყანაში როგორი სოციალური სისტემაა ჩამოყალიბებული. ერთი და იმავე მოცულობის მშპ-ს პირობებში, ერთი ქვეყანა შეიძლება სოციალური კატასტროფის პირას იდგეს, ხოლო მეორე კი - საყოველთაო სოციალური კეთილდღეობის მდგომარეობას უახლოვდებოდეს.[40]

ფაქტობრივი ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ სრულიად რეალურად შეიძლება მოხდეს იმგვარი რამ, რომ უფრო მეტიც, საზოგადოებამ შესაძლოა გაცილებით ნაკლები მოცულობის მშპ-ს პირობებშიც კი გაუხსნროს ფორმალურად უფრო მდიდარ ქვეყანას, თუ მას უფრო სამართლიანი გადანაწილების პრინციპები ექნება შემუშავებული. ამგვარი მაგალითის მონახვა ადვილად შეიძლება თუნდაც დღევანდელ მსოფლიოში. საყოველთაოდაა ცნობილი, რომ მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატები ნამდვილად უფრო მდიდარი ქვეყანაა, თუნდაც მშპ-ს ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით, ვიდრე ვთქვათ, სკანდინავიის რომელიმე ქვეყანა, მაგალითად, შვედეთი ან ისლანდია. ფორმალურად, რასაკვირველია, აშშ ერთ სულ მოსახლეზე ქმნის მეტ სიმდიდრეს, ვიდრე ზემოაღნიშნული ქვეყნები, მაგრამ, ამის მიუხედავად, რა თქმა უნდა, არავის შეუძლია ამტკიცოს, რომ ამერიკის თითოეული მოქალაქე უფრო დაცულია სოციალურ ასპექტში, ვიდრე შვედეთის, დანიის თუ ისლანდიის.[41] ამის მიზეზი უბრალოდ გახ-

ლავთ ის, რომ ქვეყანაში შექმნილი სიმდიდრე თითოეულ საზოგადოებაში ნაწილდება, როგორც კარგად მოგვეხსენება, არა საშუალო არითმეტიკულის (სოციალური სამართლიანობისა და თანასწორობის კუთხით მართლაც რომ - სამწუხაროდ), არამედ, სოციალური პოლიტიკის მიხედვით.

როგორც სტატიის ავტორი შენიშნავს, ამრიგად, ჩვენთვის ნათელია, რომ წარმოების ზრდა თავისთავად არ შეიძლება იყოს „ხსნა“. გარდა იმისა, რომ აღნიშნული მეთოდი ადრე თუ გვიან უცილობლად „შეეჯახება“ ბუნებრივ ზღვრებს, რასაც არაერთხელ ჰქონია ადგილი კაცობრიობის ისტორიაში, იგი სრულიად არ შეიცავს თავის თავში სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხს. შესაძლოა, ეს დიდ გაოცებასაც კი იწვევდეს, მაგრამ ზოგჯერ პირიქითაც კი შეიძლება მოხდეს და ეს დიდი ალბათობაა, მოხდეს სწორედ იმ პირობებში, სადაც წარმოების ზრდა თვითმიზნადაა გამოცხადებული. ამ შემთხვევაში ინვესტიციათა მოზიდვის მიზნით, სახელმწიფო ყოველნაირად ცდილობს შრომის კოდექსი და სხვა რეგულაციები ინვესტორის ანუ დამსაქმებლის ინტერესებს „შეუხამოს“. ეს ბუნებრივიცაა, ინვესტიცია მიემართება იქ, სადაც სახელფასო დანახარჯების ჩათვლით - წარმოების ხარჯები ყველაზე მცირეა; და ისმის ლოგიკური შეკითხვა იმის შესახებ, თუ რა კავშირი აქვს ეკონომიკის ამგვარ „გამოცოცხლებას“ მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობასთან. ერთადერთი რამ, რაც ამგვარი პოლიტიკით ფორმირდება არის ე.წ. დამსაქმებლის ეკონომიკა, რომელშიც ეკონომიკის მთავარი კანონია - „მუშაობა ნებისმიერ ხელფასზე“ [42]. ზვიად ავალიანის რეალისტური ჩანართით [43], სწორედ ამგვარი სისტემის დანერგვას ცდილობდნენ ბოლო ათწლეულის განმავლობაში საქართველოში.

ძალზე სამართლიანად და მნიშვნელოვნად მიგვაჩნია სტატიის ავტორის განცხადება, რომ სინამდვილეში სოციალური სოლიდარობა, რასაკვირველია, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იყოს რაიმე „მუხრუჭი“ თუნდაც ეკონომიკის სტაბილური ზრდისათვის, არამედ, პირიქითაც კი, მსოფლიოს უახლესი ისტორია კარგად აჩვენებს, რომ ყველაზე მწვავე ფორმის ეკონომიკური კრიზისები სწორედაც რომ ნეოლიბერალიზმის პრინციპებზე დამყარებულ ეკონომიკურ სისტემებში ჩნდება. ხოლო, სოციალური სოლიდარობის თუნდაც რაღაც ფორმით შემცველი სისტემები მთელი მსოფლიოს მასშტაბით ყოველთვის ყველაზე „უკრიზისო“ ეკონომიკურ მოდელებად მიიჩნეოდნენ. ამ მსჯელობიდან გამომდინარე, ცხადია, რომ ზვიად ავალიანი მთელ რიტორიკას სოციალური სოლიდარობის პირობებში ინდივიდთა მხრიდან „ეკონომიკური საქმიანობის მოტივაციის დაკარგვის“ შესახებ „დამსაქმებლის ეკონომიკის“ გამართლებასა და გამყარებას მიანერს მხოლოდ [44], რაც, ჩვენის ღრმა რწმენით, ნამდვილად არ გახლავთ საფუძველს მოკლებული მტკიცება.

იმის წარმოდგენას, თუ სად შეიძლება მიგვიყვანოს ეკონომიკის მექანიკურ ზრდაზე, ანუ რეალურად, იმავე „დამსაქმებლის ეკონომიკაზე“ მსგავსმა აქცენტების გაკეთებამ, ბუნებრივად მივყავართ მოსახლეობის მასო-

ბრივი ლუმპენიზაციის გარდუვალობამდე, რაც, სამწუხაროდ, მხოლოდ დროის საკითხია. ნებისმიერ ხელფასად მუშაობა მხოლოდ იმიტომ, რომ, როგორც ავალიანი ახდენს ციტირებას, „სახლში ჯდომით ამ ცოტასაც არავინ გაძლევს“ [45] - მართლაც რომ ყველაზე სახიფათო და ამორალური სვლაა, რის გამომუშავებასაც ადამიანებზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების მოსახდენად სტატიის ავტორი, დიდი ეჭვი ჩნდება, რომ სრულიად მართებულად, პირდაპირ ნეოლიბერალიზმს მიაწერს. საშინელი იმიტომ, რომ კლასიკური ლოგიკით მას მართლაც რომ ვერ შეეწინააღმდეგები; ლოგიკურად, ჯობია ადამიანს ჰქონდეს ცოტა, ვიდრე საერთოდ არ ჰქონდეს არაფერი. მართალია ისიც, რომ „შინ ჯდომით“ ცოტასაც არავინ მოგცემს, მაგრამ აღნიშნული ლოგიკა რკინისებურია და სხვა ალტერნატივა არც გააჩნია მართლაც ნებისმიერი ანაზღაურების შემთხვევაში; ანუ, თუ ადამიანს ხელფასი ჰყოფნის თუნდაც მგზავრობის ხარჯების დასაფარად და ამას გარდა, თუნდაც რამე მაინც რჩება, არ აქვს მნიშვნელობა ამ მორჩენილი თანხის ოდენობას, ზემოხსენებული ლოგიკით, მუშაობა უკვე „ღირს“, იმდენად, რამდენადაც, „სახლში ჯდომით“ ამ „ცოტასაც“ არავინ მისცემს ადამიანს გამოუმუშავებლად [46]. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ზვიად ავალიანისათვის ცხადია, რომ ამგვარ ლოგიკაზე დაფუძნებული სისტემა არა მარტო ვერ გააუმჯობესებს სოციალურ ფონს, არამედ, სრულიად მოსალოდნელი და ლოგიკურია, რომ ეტაპობრივად გაანადგურებს კიდევაც ყველა იმ მიღწევას, რისთვისაც აქამდე კაცობრიობას სოციალურ კონტექსტში მიუღწევია.

სტატიის ბოლოს ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ზემოგანხილულ, არცთუ სახარბიელო პერსპექტივას სწორედ ზემოხსენებული ანტი-მეცნიერული „არგუმენტები“ განაპირობებს სოციალური სოლიდარობის წინააღმდეგ, რასაც - რთულია, რომ არ დავეთანხმოთ. აქვე უღერს ჩვენი საზოგადოებისადმი ავალიანის გაფრთხილებაც, რომ ის, რისი მოწმენიც ვიყავით ამ უახლოეს წარსულში საქართველოში, ნამდვილად ჯერ მხოლოდ დასაწყისად შეიძლება შეგვეფასებინა.

ქართულ რეალობაში, ნეოლიბერალიზმის მძაფრი „მემარცხენე“ კრიტიკის თვალსაზრისით, მეტად საინტერესო და კომპლექსური ხასიათის გახლავთ ზოგადად, თანამედროვე ქართველი მწერლის, სამოქალაქო და ადამიანის უფლებათა აქტივისტის, ირაკლი კაკაბაძის შემოქმედება, რომელშიც მიგვაჩნია, რომ ძალზე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს www.shokoladi.ge-ზე გამოქვეყნებულ მის სტატიას „ნეოლიბერალიზმის კრიტიკა ოცდამეერთე საუკუნეში“ [47].

პუბლიკაციაში ავტორი 1970 - 1980-იანი წლების ჩილეს ყოფილი დიქტატორის, ნეოლიბერალ პინოჩეტის 16-წლიანი უსასტიკესი დიქტატორული მმართველობის მაგალითზე (1973 წელს სამხედრო ხუნტამ გენერალ პინოჩეტის ხელმძღვანელობით, ჩილეში სახელმწიფო გადატრიალება მოახდინა და ქვეყნის პრეზიდენტის, „მემარცხენე“ და სოციალისტი სალვადორ

ალიენდეს ხელისუფლება ძალადობრივად დაამხო, ხოლო თავად პრეზიდენტი კი მოკლეს) საუბრობს ნეოლიბერალიზმის ძალადობრივ, აბსოლუტურად უსამართლო და ანტი-ადამიანურ ბუნებაზე. როგორც ცნობილია, პინოჩეტის სამხედრო პოლიციურმა რეჟიმმა ეკონომიკური ნეოლიბერალიზმის სახელით ქვეყანაში ტერორის კამპანია გააჩაღა, რომელსაც ათასობით უდანაშაულო ადამიანი შეენირა. ამ ყველაფრის იდეოლოგიური გამართლება ის გახლდათ, რომ ჩილე არ მოხვედრილიყო „კომუნისტების“ მმართველობის ქვეშ. აღსანიშნავია, რომ სამხედრო ხუნტის მმართველობის პირველი წლებიდანვე დიქტატურას და ტერორს უკვე ბევრი კონსერვატიული პოლიტიკოსიც დაუპირისპირდა. პინოჩეტის ხელისუფლებაში მოსვლიდან უკვე სამი წლის შემდეგ, ჩილეს პოლიტიკურ წრეებში უკვე შეთანხმდნენ, რომ ქვეყანაში სამხედრო დიქტატურა მძვინვარებდა. თუმცა, ეს დიქტატურა საკუთარ თავს „დემოკრატიის და ლიბერალური ეკონომიკური ღირებულებების დამცველად“ [48] ასალებდა (ტერმინ „ლიბერალურს“ ირაკლი კაკაბაძე, სხვა რადიკალი „მემარცხენეებისა“ და სოციალისტების მსგავსად, პრაქტიკულად, ცნება „ნეოლიბერალიზმის“ აღსანიშნავად იყენებს.). პინოჩეტმა ამერიკიდან სასწრაფოდ ჩაიყვანა ჩიკაგოს ეკონომიკური სკოლის სტუდენტები, რომელთაც მილტონ ფრიდმანის იდეების განხორციელება უმაღლვე დაინყეს და გლობალურ, ტრანსნაციონალურ კორპორატიულ წრეებში ჩილე უცებ ცნეს „ლიბერალურ, თავისუფალი ეკონომიკის მქონე წარმატებულ ქვეყნად“ [49]. ის მრავალრიცხოვანი დახვრეტები, დაპატიმრებები, უდანაშაულო ადამიანთა წამება და მთლიანად ამგვარი ტერორისტული რეჟიმი ეკონომიკის „ლიბერალი“ მამებისათვის არაფერს ნიშნავდა, რადგანაც ისინი კომუნისტებს უმკლავდებოდნენ და როგორც ძველი ლიბერალური გამოთქმა ამბობდა: „კარგი კომუნისტი მხოლოდ მკვდარი კომუნისტია“ [50] და აქედან გამომდინარე, საღვადო ალიენდეს (რომელიც მხოლოდ სოციალისტი იყო და არა კომუნისტი, მაგრამ ამას „მემარჯვენე“ ექსტრემისტებისათვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონია) და მისი ათასობით მომხრეს მკვლელობა, იმჟამინდელი „ლიბერალური“ კორპორატიული ელიტის აზრით, თითქოს აუცილებელი პირობა იყო ჩილეს დემოკრატიული განვითარებისათვის, რადგანაც მათთვის დემოკრატიზაციის უპირველესი ნიშანი სწორედ – პრივატიზაცია და ეკონომიკური ექსპლუატაცია იყო. [51]

პინოჩეტის სისხლიანი ტერორისტული რეჟიმის და მისი უსასტიკესი ნეოლიბერალური ეკონომიკური რეფორმების დაწვრილებითი მიმოხილვის დროს, სტატიის ავტორი დეტალურად იხსენებს ჩილელი დიქტატორის მიერ არა მხოლოდ საკუთარ ქვეყანაში, არამედ, მის ფარგლებს გარეთაც მისი მტრების ტერორისტული აქტების საშუალებით ამოხოცვას (არგენტინაში მოკლეს ხუნტის ამბოხებელი გენერალი, ხოლო ვაშინგტონში, ქალაქის ცენტრში ბომბით მოკლეს ჩილეს ყოფილი ელჩი აშშ-ში – ორლანდო ლეტელიერი თავის თანაშემწესთან ერთად. ეს გახლდათ ერთ-ერთი პირველი საგარეო ტერორისტული აქტი, რომელიც ამერიკაში მოხდა და თვით რესპუბლიკელებიც კი აღაშფოთა, დემოკრატებზე რომ აღარაფერი

ვთქვათ.). ძალზე მნიშვნელოვანი გახლავთ პუბლიკაციაში იმაზე აქცენტის გაკეთება, რომ მიუხედავად ხელსაყრელი პირობებისა (ის, რომ პინოჩეტი ამერიკის გენერალური პროკურატურის გამოძიებამ ჯერ ვერ დააპატიმრა გარკვეული შეფერხებების, კერძოდ კი, მაგალითად, ამერიკის ხელისუფლებაში რესპუბლიკელთა მიმოსვლის გამო; ცივი ომიც სსრკ-ს დამარცხებით დამთავრდა; რეიგანის მიერ ნაქებმა „გლობალურმა კაპიტალიზმმა“ გაიმარჯვა და ეკონომიკური ნეოლიბერალიზმის ჩექმით დამამკვიდრებელ პინოჩეტსაც თითქოს მხოლოდ მადლობა და მისი ნეოლიბერალი მოკავშირეებისაგან, მათ შორის დღემდე არიან პოსტ-საბჭოთა ქართველი ნეოლიბერალები, მისთვის „გმირის“ უკვე მინიჭებული ტიტული ელოდა ისტორიისაგან), აშშ-ს გენერალური პროკურორის ასისტენტმა, თავად პინოჩეტისგან „კოლოდ“ წოდებულმა ლოურენს ბარსელამ ლეტელიერის მკვლელობის საქმის გამოძიება ბოლომდე მიიყვანა და საბოლოოდ, ამერიკის გენერალური პროკურატურის გარდა, სხვა სახელმწიფოთა გენერალური პროკურატურების საერთაშორისო მოთხოვნით, პინოჩეტი ჯერ დიდ ბრიტანეთში ვიზიტისას დააკავეს, ხოლო ბოლო ეტაპზე, ჩილეში გაასამართლეს (კაკაბაძის მიხედვით, დამოუკიდებელი მართლმსაჯულების სისტემა – უთუოდ ლიბერალიზმის ღირსებაა[52] და ისტორიამაც მას განაჩენი გამოუტანა, როგორც, სისხლიანი დიქტატურის მეთაურს და არა, როგორც „ლიბერალური ეკონომიკური ღირებულებების“[53] დამამკვიდრებელ გმირს. როგორც კაკაბაძე სრულიად სამართლიანად ამტკიცებს, ისტორია ბევრად უფრო სამართლიანად სჯის, ვიდრე ნებისმიერი იდეოლოგია და ის ყოველთვის თავის ადგილს უჩენს „რობესპიერებს, ნაპოლეონებს, ტალეირანებს, ჰიტლერებს, სტალინებსა თუ სხვა მმართველებს“[54], რომელთაც პროპაგანდის მანქანა ან მთლიანად განადიდებს, ან კი მიწასთან ასწორებს.

ბევრი თანამედროვე სოციალური მეცნიერის აზრით, რომელსაც სტატიის ავტორიც უბამს მხარს, ძალადობის მთავარი მიზეზი საზოგადოებაში არსებული უთანასწორობაა – ეროვნულ, ეთნიკურ, სქესობრივ, რასობრივ, სექსუალურ, რელიგიურ თუ სხვა ნიადაგზე. კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რომელსაც კაკაბაძე თითქმის ყველასგან განსხვავებით ახსენებს, გახლავთ კლასობრივი საკითხი.[55] ჩვენი თანამედროვე „მეინსტრიმული“ მედია პრაქტიკულად არ ახსენებს კლასობრივ პრობლემას, თითქოს იგი აღარ არსებობს და ვითომც ღარიბი და ღატაკი ადამიანები აღარ არიან. ამას წერს არა მარტო „ულტრამემარჯვენე“ კონსერვატიული, არამედ, ზომიერად პროგრესული და ლიბერალური პრესაც, მათ შორის – New York Times და Washington Post[56].

ირაკლი კაკაბაძის მოსაზრებით, ნეოლიბერალიზმის ერთ-ერთი უდიდესი მიღწევაა მე-20 საუკუნის II ნახევარში უმცირესობათა უფლებების დაცვის საქმეში მომხდარი დადებითი ცვლილებები. თუმცა, ავტორი ნეოლიბერალურ ელიტას უმცირესობათა უფლებების „დაცვისას“ - უმრავლესობის, ყველაზე მეტად დაჩაგრული მასის, კლასობრივი იერარქიის უდაბლესი ფენის, შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ ე.წ. ხელშეუხებელთა კასტის, მივიწყებას

საყვედურობს. კიდევ ერთხელ შეგვიძლია სტატიის ავტორს დავემონმოთ, რომ საზოგადოების ამ უდიდესი ნაწილის შესახებ ლიბერალურ პრესაში გაცილებით ნაკლებს შევიტყობთ, ვიდრე, მაგალითად, იმავე სხვადასხვა უმცირესობების შესახებ. აღსანიშნავია ისიც, რომ სამწუხაროდ, 21-ე საუკუნის „იდენტობის პოლიტიკამ“ პრაქტიკულად მთლიანად გამოაძევა საკუთარი დისკურსიდან – კლასობრივი საკითხი, რაც ასევე საკმაოდ უარყოფითად მეტყველებს თანამედროვე ნეოლიბერალებზე.[57]

როგორც კარგად მოგვეხსენება, დღევანდელი ყველაზე ავტორიტეტული და ანგარიშგასანევი მოაზროვნეები თანამედროვე ნეოლიბერალურ მოდელს სასტიკად აკრიტიკებენ მისი ანტიჰუმანური ბუნების, მილიარდობით დამშეული, ლატაკი და დაუცველი ადამიანის გამო, რომელთა რაოდენობასაც იგი კატასტროფულად ზრდის. ამასთან, ყურადსაღებია 1960-იანი წლების ამერიკის სამოქალაქო უფლებათა მოძრაობის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ლიდერის, მალკოლმ იქსის სიტყვები, რომ რასიზმთან ბრძოლაში ზოგჯერ ლიბერალ მელას კონსერვატორი მგელი მირჩენიაო[58]. თუმცა, აქვე უნდა დავამატოთ, რომ დღევანდელ ტრანსნაციონალურ კორპორაციათა სამყაროში კონსერვატორიცა და ლიბერალიც პრაქტიკულად ნეოლიბერალიზმის სამსახურში დგას, ხოლო 21-ე საუკუნეში ალტერნატივა კარგად არ მოსჩანს, ირაკლი კაკაბაძის აზრით. მიუხედავად ამისა, ავტორს ერთგვარი ოპტიმიზმი კენ განაწყობს უკანასკნელ ხანებში საქართველოში წარმოქმნილი ახალგაზრდა „მემარცხენეთა“ ჯგუფი, რომლისთვისაც, მაგალითად, სოციალური დარვინიზმი - მიუღებელია.[59] ქვეყანაში, სადაც ჯერ კიდევ შეჯიბრია იმაზე, თუ ვინ უფრო „მემარჯვენე“ და რადიკალურ ნიშას აირჩევს, ხსენებული ჯგუფის გაჩენა, მართლაც რომ, პროგრესული მოვლენაა.

ირაკლი კაკაბაძის მეორე სტატიაში, სახელწოდებით „რამდენ ადამიანს კლავს დღეში ნეოლიბერალიზმი“[60], ავტორმა კვლავ მწვავე პრობლემა – კლასობრივი საკითხის არსებობა-არარსებობის თემა დააყენა დღის წესრიგში.

სტატიის ცენტრალურ პრობლემას წარმოადგენს იმის გარკვევა, თუ, რამდენად სასიცოცხლო მნიშვნელობისაა „ლიბერალური“ ეკონომიკური მოდელისათვის მისი დოგმატური პრინციპი, რომ ეკონომიკის ფუნქციონირებისათვის აუცილებელია გარკვეული რესურსების უკმარისობა და, ამასთან, რამდენად რეალურია თავად რესურსების უკმარისობა დღეს. ამ კითხვებზე პასუხისას, სტატიის ავტორი მსჯელობს, რომ ცხადია, უკმარისობა ბუნებრივად არსებობს დედამიწაზე, რომ ხშირად – დრო ან რესურსები უკმარისია, თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი და ყურადსაღებია ნეოლიბერალური ეკონომიკის ის პრინციპები, რომ უკმარისობის არარსებობის შემთხვევაში, ის მაინც უნდა გამოიგონოს თურმე ადამიანმა, რადგან თითქოს კმარი რესურსების პირობებში, ადამიანი არ მუშაობს. ნეოლიბერალური ეკონომიკის ამგვარი მიდგომა, თავისთავად, ემყარება ადამიანის ბუნების

შესახებ საკმაოდ რეაქციულ შეხედულებას, რომ ადამიანი თავისთავად – ზარმაცი არსებაა და თუკი არ შია, თურმე, არ მუშაობს. რა თქმა უნდა, მუშაობისათვის ადამიანს სჭირდება ერთგვარი სტიმულირება, მაგალითად, დროის უკმარისობის ან ბუნებრივი კატაკლიზმების არსებობა, მაგრამ ის, რომ უკვე მე-20 საუკუნის 50-იანი წლებიდან კაცობრიობამ მოაგვარა საკვებისა და მედიკამენტების უკმარისობის პრობლემა, უდაო ფაქტია. დღეისათვის, სწორედ „ბაზრის“ ინტერესების დაცვის მოტივით, ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის მთავრობები სრულიად სოციალისტურ „სუფსიდირების“ პოლიტიკას მიმართავენ იმისათვის, რომ არ დაეცეს საჭმლის ფასი. უკანასკნელ წლებში კი მთლიანად განხორციელდა საკვების კომოდიფიკაცია საჭმლის სავალუტო ბირჟაზე გასაყიდად. აქედან გამომდინარე, მთელს მსოფლიოში გაიზარდა საკვების უკმარისობა.

ირაკლი კაკაბაძის მიერ მოყვანილი სტატისტიკის მიხედვით, გაეროს ბავშვთა უფლებების დაცვის სააგენტოს Unisef-ის ცნობით, სილატაკისა და შიმშილის მიზეზით დღევანდელ პოსტ-მოდერნულ და ნეოლიბერალურ მსოფლიოში ერთ დღეში 22 000 ბავშვი კვდება, ანუ თანამედროვე ნეოლიბერალური ეკონომიკის სამყარო ყოველ 4 წამში ერთ ბავშვს კლავს და ყოველ წელს დაახლოებით 8,1 მილიონი ბავშვი კვდება სილატაკის მიზეზით, რომელთა შესახებაც მასმედიისაგან ინფორმაცია ჩვენ არ მოგვეწოდება, მაშინ, როცა ნეოლიბერალური პრესა უხვად გვანვდის ინფორმაციას სხვადასხვა პოპ-ვარსკვლავებზე, მაგალითად, ბრიტნი სპირსზე, მადონაზე, ან თუნდაც ჩრდილოეთ კორეის ბირთვულ პროგრამაზე თუ სხვადასხვა არჩევნებზე სხვადასხვა ქვეყნებში[61]. WFO-ს ცნობით, დღეს მთელს მსოფლიოში 925 მილიონი ადამიანი შიმშილობს, რაც დაახლოებით, ყოველი მეექვსე ადამიანია. ეს ხდება მაშინ, როცა უამრავი ფული იხარჯება ფერმერთა სუფსიდირებაზე.[62]

სტატიის ავტორი დაგვემონშება, რომ ნეოლიბერალური სისტემის აპოლოგეტი ეკონომისტები ამბობენ, რომ არ არსებობს ფინანსური სახსრები, რომლებიც ეყოფა მსოფლიოს ამ უდიდესი კლასობრივი პრობლემის მოგვარებას.[63]

მართლაც, არის თუ არა რესურსების უკმარისობა დედამინაზე ამჟამად, ამის გასარკვევად ირაკლი კაკაბაძე ოფიციალურ მონაცემებსა და სტატისტიკას იშველიებს, რომლებიც მხოლოდ რეგისტრირებული და ადგილობრივი მთავრობებისაგან გახლავთ მიღებული. გაეროს განვითარების პროგრამამ ჯერ კიდევ 1998 წელს გააკეთა მოკვლევა სილატაკისა და ხარჯვის პრიორიტეტების შესახებ მსოფლიოში და მეტად საინტერესო დასკვნებიც გამოაქვეყნა; საყოველთაო სილატაკისა და ჯანდაცვის პრობლემის დასაძლევად საჭირო იყო 13 მილიარდი აშშ დოლარი წელიწადში. ქალთა პრევენციული მედიცინისა და ოჯახური დაგეგმვის საკითხების მოგვარებისათვის კი 12 მილიარდი დოლარი. მსოფლიოში ყველა ადამიანისათვის წყლისა და სანიტაციის ხელმისაწვდომობის საკითხის გადაწყვეტისათვის 9 მილიარდი

აშშ დოლარი და საყოველთაო განათლებისათვის - 6 მილიარდი აშშ დოლარი. მთლიანად, ამ ყველაზე მტკივნეულ პრობლემათა მოგვარებისათვის საჭირო გახლდათ 40 მილიარდი დოლარი.[64] ახლა კი ისმის კითხვა, უკმარისი იყო თუ არა ეს რესურსები? იმავე წელს მხოლოდ კოსმეტიკურმა ბიზნესმა აშშ-ში 8 მილიარდი დოლარის მოგება ნახა, რაც საყოველთაო განათლების რეფორმისთვის საჭირო თანხაზე 2 მილიარდი დოლარით მეტია. მარტო ევროპაში ნაყინის ინდუსტრიამ 11 მილიარდის ბრუნვას მიაღწია. ხოლო, სიგარეტის მოხმარებამ კი, რომელიც ჯანმრთელობისათვის საზიანოა, 50 მილიარდ დოლარს მიაღწია, ანუ 10 მილიარდით მეტს, ვიდრე მთელი მსოფლიოს მასშტაბით რესურსების უკმარისობის აღმოფხვრას სჭირდებოდა. ამასთან, ალკოჰოლის ბიზნესზე მხოლოდ ევროპაში 105 მილიარდი დოლარი მოდის, ხოლო, რაც ეხება ადამიანის მკვლევლობის კიდევ ერთ საშუალებას - ნარკოტიკების ბიზნესს, ამ არალეგალური ბიზნესის შემოსავალმა იმავე წელს - 400 მილიარდი დოლარი შეადგინა, ანუ ზუსტად 10-ჯერ უფრო დიდი თანხა, ვიდრე კაცობრიობის საარსებო მინიმუმია. და ბოლოს, ადამიანების მკვლევლობის პირდაპირ საშუალებასთან, იარაღით ვაჭრობასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ იმავე წლის ოფიციალური მონაცემებით, იარაღის ბიზნესის შემოსავალმა 780 მილიარდი დოლარი შეადგინა[65], რაც ყველაზე მაღალ მაჩვენებელს წარმოადგენდა იმჟამად. ანუ, როგორც გამოდის, იარაღით ვაჭრობის დაახლოებით ერთი მეთვრამეტედი კაცობრიობის საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფას ახდენდა. კიდევ ერთი, ალბათ ყველაზე ლოგიკური კითხვა ჩნდება: რამდენჯერ გააჟღერდა ეს მართლაც ტრაგიკული სიტუაცია 1998 წელს მსოფლიო პრესაში? უნდა ითქვას, რომ მხოლოდ რამდენჯერმე და ისიც - გაკვრით. არადა, აღნიშნული ციფრები გაეროს განვითარების პროგრამის მიერაა მოპოვებული. ხოლო, სამაგიეროდ, იმავე 1998 წელს ამერიკული და მსოფლიო პრესა აჭრელბეული გახლდათ მონიკა ლევინსკის გარშემო ატეხილი სკანდალით, რასაც ასეული ათასობით პუბლიკაცია მიეძღვნა[66]. ამდენად, დისკურსი მთლიანად გადავიდა ყვითელი პრესის რელსებზე, მაშინ, როცა ამდენი ბავშვი და უდანაშაულო ადამიანი იღუპებოდა შიმშილით.

სტატისის ფინალურ ნაწილში ავტორი ხაზს უსვამს ორთოდოქსალურ-რი მარქსიზმ-ლენინიზმისა და სხვა კლასობრივი თეორიების დახვეწის აუცილებლობას და სინანულით აღიარებს იმას, რომ ტრადიციულმა მარქსიზმმა ადამიანის იდენტობის უგულვებელყოფა გააკეთა იმდენად, რამდენადაც მან მთლიანად გამოტოვა ეროვნული, რელიგიური, სექსუალური, რასობრივი თუ სხვა კუთვნილების საკითხები, რამაც, ბუნებრივია, გამოიწვია ერთის მხრივ ნაციონალისტებისა და რელიგიური ფუნდამენტალისტების, ხოლო მეორეს მხრივ კი, ჰომოსექსუალებისა თუ სხვა უმცირესობათა სამართლიანი უკმაყოფილება. ამ მოვლენების საილუსტრაციოდ ირაკლი კაკაბაძეს მოჰყავს იმ დისკრიმინაციის მაგალითი, რომელსაც განმანათლებლური რაციონალობის სახელით ახორციელებდა ბიურგერული საზოგადოება ე.წ. სულიერად ავადმყოფების და სხვა სახის ქრონიკულ კონდიციაში მყოფი ადამიანების მიმართ, რაც კარგადაა აღწერილი, მაგალითად, მიშელ ფუკოს „სიგიჟის ის-

ტორიაში“, რომელსაც პუბლიცისტი დროულად იხსენებს. როგორც მოგვეხსენება, საბჭოთა იმპერიაში პრაქტიკულად ყველას, ვინც ოფიციალური ხაზისაგან განსხვავებულად ფიქრობდა, ფსიქიატრიულ დაწესებულებაში ათავსებდნენ და ფაქტობრივად, მის იზოლირებას ახდენდნენ გაურკვეველი დროით, ხშირად მთელი ცხოვრებითაც. შესანიშნავად გვახსოვს თუნდაც ნაზი შამანაურის და სხვათა ისტორია. აღსანიშნავია, რომ ამ მხრივ მთლად განსხვავებული მდგომარეობა არც კაპიტალისტურ ამერიკაში იყო, რისი არაჩვეულებრივი მაგალითიცაა კენ კიზის შესანიშნავი რომანი „გადაფრენა გუგულის ბუდეზე“. მართლაც ძალზე მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ, როგორც ტრადიციულმა ბიურგერულმა ჰუმანიზმმა, ასევე მარქსიზმმაც ვერ შეძლო იდენტობის საკითხის გადაჭრა და განსხვავებული ადამიანებისათვის თანასწორუფლებიანი სტატუსის მინიჭება. სწორედ ამიტომაც მარქსიზმი არაჩვეულებრივად და მართებულად გააკრიტიკეს პოსტ-მოდერნული პერიოდის მოღვაწეებმა: დელიოზმა, გატარმა, დერიდამ, ფუკომ და სხვებმა. [67] იმის გამო, რომ ადამიანური განსხვავებულობის მიღება ტრადიციული მარქსიზმისათვის რთული აღმოჩნდა, იდენტობის პოლიტიკაზე დაფუძნებული ჯგუფებმა, უპირველეს ყოვლისა, ნაციონალისტებმა და რელიგიურმა ფუნდამენტალისტებმა მოახერხეს და მარცხნიდან გენდერისა და რასიული თეორიებით მომაგრებული ზურგი გაიმადრეს.

როგორც ირაკლი კაკაბაძე თავის სხვა პუბლიკაციებშიც მიანიშნებს ბოლო 20 წლის განმავლობაში კლასობრივ პოლიტიკაზე საუბრის თითქმის სრულ მარგინალიზაციასა და ამ თემის მხოლოდ აკადემიის ჩარჩოებში მოქცევის შესახებ, რის ფონზეც „მეინსტრიმულ“ მედიაში საქმე ისე წარმოჩინდა, თითქოს აღარც არსებობს სილატაკის პრობლემა, პუბლიცისტი ასევე შენიშნავს, რომ სიტუაცია ოდნავ შეიცვალა 2008 წლის ფინანსური კრიზისის შემდეგ, რადგანაც ეს უკანასკნელი თეთრკანიან მოსახლეობასაც შეეხო, ანუ, მათ, ვინც დისკურსის განსაზღვრის კულტურულ ჰეგემონიას ფლობს. სწორედ ამის შემდეგ მოხერხდა და დაიწყო იდენტობის პოლიტიკიდან საუბრის ნელ-ნელა გადაყვანა - კლასობრივ საკითხებზე, თუმცა ამისათვის შესაბამის ტერმინზე ჯერ არ შეთანხმებულან. ირაკლი კაკაბაძის მოსაზრებით, ამ შემთხვევაში გრამშის „სუბალტერნი“ [68] ყველაზე მისაღები და გამოსადეგი ტერმინია, რადგანაც ის თანამედროვე დროში გაცილებით მეტს მოიცავს, ვიდრე მარქსისტული კლასიკური „პროლეტარიატი“. ამავდროულად, ავტორი ყურადღებას ამახვილებს ასევე იმაზეც, რომ დღევანდელი პრობლემები და გამოწვევები გაცილებით უფრო მწვავეა, ვიდრე ეს მარქსს წარმოედგინა. მარქსი მაინც ყველაფერს ევროპულ ქრილში უყურებდა და მას ვერ წარმოედგინა, რომ ნეოკოლონიალური პოლიტიკის შემდეგ შეიძლებოდა ამხელა უზარმაზარი გაჭირვება გაჩენილიყო ე.წ. მესამე მსოფლიოს ქვეყნებში, რადგანაც მის დროს ეს უკანასკნელი - არ არსებობდა და ჯერ კიდევ ერთი სამყარო იყო [69].

რაც შეეხება „სუბალტერნის“ განთავისუფლების კონკრეტულ სქემას, ის ჯერ კიდევ ჩანასახის მდგომარეობაშია, თუმცა თანდათან იკრებს ძალებს.

კაკაბაძის ობიექტური დასკვნით, საქართველოს პრობლემათა უმეტესობა სწორედაც, რომ სუბალტერნულია, მიუხედავად იმისა, რომ ქართველებს ტრადიციულად ძალზე უჭირთ იმის აღიარება, რომ ოდესმე შესაძლოა მესამე მსოფლიოს ვეკუთვნოდეთ. ფაქტია, რომ კლასობრივი საკითხისა და სილატაკის დაძლევის სერიოზული პროგრამის შემუშავების გარეშე, ვერც ერთი პოლიტიკური დოქტრინა ვერ შეძლებს ჩვენი ქვეყნის უმძიმესი კრიზისიდან გამოყვანას. უკანასკნელი მონაცემებით, საქართველოში, როგორც მინიმუმ, 800 000 სუბალტერნის ნევრია.[70] სამწუხაროდ, მათი რაოდენობა - იზრდება. ამდენად, კლასობრივი საკითხი თავისი თანამედროვე ინტერპრეტაციით, - ირაკლი კაკაბაძის მოსაზრებით, ხელახლა უნდა შემოვიდეს ქართულ ლექსიკონსა და დისკურსში, ოღონდაც სსრკ-საგან განსხვავებით, ამ პრობლემის ნამდვილად გადაჭრის ჯანმრთელი ამბიციით.[71]

ნეოლიბერალიზმის „მემარცხენე“ პოზიციებიდან კრიტიკის კუთხით, ძალზე საინტერესოა ახალგაზრდა ქართველი სოციალისტის, ლევან აბაშიძის სტატია „ნეოლიბერალური „ნარმატების ისტორია“ - ჩილე და ისრაელი“[72], რომელიც მან 2011 წლის 27 სექტემბერს გამოაქვეყნა - www.european.ge-ზე.

სტატიის ავტორი აქცენტს აკეთებს პოლიტიკურ ეკონომიკასა და სოციოლოგიაში ხშირად გამოვლენად კლიშეზე იმასთან დაკავშირებით, რომ, როგორც წესი, ეკონომიკურ კრიზისებს სოციალურ მლეღვარებამდე მიყვავართ. იურგენ ჰაბერმასი თავის ძალზე მნიშვნელოვან ნაშრომში „კრიზისის ლეგიტიმაცია“ წერდა, რომ კაპიტალიზმის კრიზისი - სწრაფადვე გადაიზრდება წარმომადგენლობითი დემოკრატიის კრიზისში, რა თეორიის აშკარა მტკიცებულებაც ვიხილეთ უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში ესპანეთსა და საბერძნეთში განვითარებული მოვლენების სახით, სადაც მილიონობით ადამიანი გამოვიდა თავის მიერ არჩეული პოლიტიკური წარმომადგენლების წინააღმდეგ და მათ ნაცვლად პირდაპირ დემოკრატიას ითხოვდა.

თუმცა, როგორც ლევან აბაშიძე სრულიად მართებულად შენიშნავს, მგზნებარე მასობრივმა დემონსტრაციებმა ჩილესა და ისრაელში, სრულიად სხვა მდგომარეობა დაგვიხატეს. ესპანეთისა და საბერძნეთისაგან განსხვავებით, სადაც ეკონომიკა სტაგნაციას განიცდის და უმუშევრობის პროცენტული მაჩვენებელი დასაშვებ ზღვარს მნიშვნელოვნად გადასცდა, აღსანიშნავი ისაა, რომ ჩილესა და ისრაელში ეკონომიკის მდგრადი ზრდა, ხოლო უმუშევრობის დაბალი დონე შეინიშნება. მიუხედავად ამისა, ამ ქვეყნებში ცხოვრება უმრავლესობისათვის, ანუ დაბალი და საშუალო კლასის წარმომადგენელთათვის, მზარდად გაუსაძლისი ხდება. ამის შედეგად კი, ე.წ. ნეოლიბერალური „ნარმატების ისტორია“ - ჩილესა და ისრაელის სახით, აქამდე უპრეცედენტო სოციალური პროტესტების სამიზნე ხდება.[73] ისრაელის პრემიერ ნეთანიაჰუსა და ჩილეს პრეზიდენტის, პინერას პოპულარობა სულ უფრო იმსხვრევა და უახლოესი პერიოდი მართლაც რომ გარდამტეხი შესაძლოა აღმოჩნდეს ამ ქვეყნების ბრძოლაში - სოციალური სამართლიანობისათვის.

საინფორმაციო ინტერნეტ გაზეთის, „გარდიანის“ მტკიცებით, ჩილეს საპროტესტო მოძრაობა გახლავთ შედეგი იმისა, რომ დიდი ხნის მთვლემარე ჩილელი ახალგაზრდობა აღსდგა „მემარჯვენე“ თავისუფალი ბაზრის იდეოლოგიის წინააღმდეგ, რომელიც ჩილეს ყოველდღიურ ცხოვრებაში დომინირებს, რისი ნათელი მაგალითიც იყო წესი კერძო ჰოსპიტლებში, სადაც 100%-ით მეტი დამატებითი გადასახადია დანესებული არასამუშაო დროს დაბადებულ თითოეულ ახალშობილ ბავშვზე.[74] მართლაც რომ ამგვარივე აუტისტური ნეოლიბერალური იდეაა, რომ განათლება და ჯანდაცვა ჩვეულებრივ სამომხმარებლო სერვისებად ითვლება და არა საზოგადოებრივ სიკეთედ, რომლის უზრუნველმყოფიც, სამართლიანობის თვალსაზრისით, სახელმწიფო უნდა იყოს. ჩილელი მეამბოხეები სწორედ ამ ყოველივეს აპროტესტებენ. იმავე „გარდიანის“ ინფორმაციით, აღსანიშნავია, რომ ჩილეს პრეზიდენტი პინერა ქვეყნის მართვას ბიზნესის მართვის პრინციპებით და ტექნოკრატების მეშვეობით ცდილობს, რამაც, ბუნებრივია, ჩილელთა უმრავლესობის უკმაყოფილება - არსებული, ისედაც ნეოლიბერალური სისტემის მიმართ, გაზარდა. პრეზიდენტის რეიტინგი 26%-მდე დაეცა, რაც ყველაზე დაბალი მაჩვენებელია ხელისუფლებისათვის 1990 წლის შემდეგ. ამის საპირისპიროდ კი, სტუდენტებს - მოსახლეობის უმრავლესობა, კერძოდ კი, 71% უჭერს მხარს.[75]

ისრაელელთა პროტესტი - სოციალური სამართლიანობის მოთხოვნით, ისრაელის უძველესმა ყოველდღიურმა გაზეთმა - Haaretz-მა „საშუალო კლასის ამბოხებად“ შეაფასა. ერთ-ერთი სტუდენტური ლიდერის განცხადებით, ეს გახლდათ პროტესტი „უკანასკნელი სამი ათწლეულის მანძილზე არსებული უკიდურესი ეკონომიკური ნეოლიბერალიზმის მიმართ“[76]. აღნიშნული პერიოდის მანძილზე, ისრაელის ეკონომიკური ზრდის შედეგად დაგროვებული რესურსების მიმართ სულ უფრო მცირდებოდა მოსახლეობის ფართო ფენების ხელმისაწვდომობა, ხოლო მთელი ეს სიმდიდრე კი ულტრა მდიდარი ოლიგარქიული ელიტის ჯიბისაკენ მიემართებოდა. როგორც აბაშიძე აღნიშნავს, ეს პროცესი კარგად აღწერს ეკონომიკური დივერგენციის პროცესს, რომელმაც ახლა უკვე მყარად გაიდგა ფესვი ისრაელის ეკონომიკურ ლექსიკონში „გაუმძლარი კაპიტალიზმის“[77] (Piggish Capitalism) სახე-ლით. ამგვარი გაუმძლარი კაპიტალისტური პოლიტიკის შედეგად, ერთ დროს ეგალიტარული ისრაელი, დღესდღეობით მეორე ყველაზე უფრო მეტად უთანასწორო ქვეყნად იქცა განვითარებულ სამყაროში და მხოლოდ ოდნავლა ჩამორჩება აშშ-ს. მაგალითისათვის უნდა ითქვას, რომ, როცა მილიონერები მდიდრულ სანაპიროებზე სახლებს ყიდულობენ, რომლებიც ნელინადის უდიდესი ნაწილის მანძილზე ცარიელია, საშუალო კლასს, სულ უფრო მეტად უჭირს და ესპობა შესაძლებლობა, რომ საბინაო უზრუნველყოფაზე ხელი მიუწვდებოდეს. 2008-დან 2010 წლამდე პერიოდში ფასები 35%-ით გაიზარდა, მაშინ, როცა ამ დროის მანძილზე ხელფასების ოდენობა უცვლელი დარჩა. ბევრმა ოჯახმა იძულებით დატოვა საკუთარი სახლები, ხოლო 30-დან 40 წლამდე ასაკის ადამიანები ძველებურად იძულებული გახდნენ - მშო-

ბლების ფინანსურ მხარდაჭერაზე იყვნენ დამოკიდებული, იმის მიუხედავად, მუშაობენ თუ არა ისინი[78].

ლევან აბაშიძეს სრულიად ვეთანხმებით იმაში, რომ ისრაელისა და ჩილეს საპროტესტო მოძრაობები კარგად აჩვენებს, რომ გლობალური კაპიტალიზმის კრიზისი ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის მომცველ ყოველგვარ ფისკალურ-ფინანსურ კრიზისზე მეტია. ჯო სტიგლიცის არ იყოს, კაპიტალიზმი იდეოლოგიურ კრიზისს უახლოვდება და კონკრეტულად ჩილესა და ისრაელში გამძვინვარებული პროტესტები მართლაც რომ სრულიად ფანტავს უიმედო რწმენას ნეოლიბერალური ეკონომიკისა და ბაზრის თვითრეგულირებად ბუნებასთან დაკავშირებით, თვით - ეკონომიკური ზრდისა და დაბალი უმუშევრობის პირობებშიც კი. ყოველივე აღნიშნული ადასტურებს ესპანეთის 15M მოძრაობის საკვანძო ლოზუნგს, რომ „ეს არ არის კრიზისი - ეს სისტემაა“[79]. ძალიან მნიშვნელოვანია იმის კარგად გააზრება, რომ მსოფლიოს რიგითი მოქალაქეებისათვის კაპიტალიზმი კი არ გახლავთ კრიზისში, არამედ თავად კაპიტალიზმია მათთვის კრიზისი, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ, მითუმეტეს, სოციალურ მეცნიერებს, ნამდვილად ძალგვიძს ვიკამათოთ კაპიტალის ლოგიკასა თუ კაპიტალიზმის კრიზისზე.

როგორც სტატიის ავტორი სრულიად ლოგიკურად და მართებულად მიუთითებს, ნეოლიბერალური საბაზრო ფუნდამენტალიზმის პრობლემა მხოლოდ ის არ არის, რომ იგი ფინანსურ კრიზისსა და ეკონომიკურ რეცესიას განაპირობებს, მისი შედეგია ასევე შემოსავლების ძალზე არათანაბარი რედისტრიბუცია და სიმდიდრის სულ უფრო მცირე ჯგუფების ხელში კონცენტრირება.[80] ამგვარ ვითარებაში დაბალი და საშუალო კლასის წარმომადგენლები პრაქტიკულად, მუდმივი კრიზისის მდგომარეობაში იმყოფებიან, მაშინაც კი, როცა ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები, კერძოდ კი, ეკონომიკური ზრდა, მშპ და უმუშევრობა, ზომიერ ფარგლებშია. ფაქტია, რომ ისრაელისა და ჩილეს საპროტესტო აქციები მძლავრ სიგნალს უგზავნიან რეფორმისტულ სოციალ-დემოკრატიულ პარტიებს ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში, რომელთა ნაწილი კვლავ ეჭვქვეშ აყენებს კაპიტალიზმისათვის უკვე ახლო მომავალში მოსალოდნელ წარუმატებლობას და ფიქრობს, რომ მას შემდეგ, რაც ეკონომიკური ზრდა განახლდება, ყველაფერი ნეოლიბერალიზმისათვის ხელსაყრელ და მისთვის ნორმალურ რიტმში დაბრუნდება. თუმცა, 2011 წლის აგვისტოში ბრიტანეთის ქუჩებში მიმდინარე არეულობებმა კარგად გვიჩვენა, რომ ნეოლიბერალური კაპიტალიზმი მთელი რიგი სტრუქტურული პრობლემების წინაშე დგას, რომლებიც ასე მარტივად, მაგალითად, მხოლოდ კეინსიანური დეფიციტური ხარჯებისა და ზრდის განახლების საშუალებებით[81] - ვერ მოგვარდება.

ლევან აბაშიძის დასკვნით[82], მაშასადამე, მთელი მსოფლიოს წინაშე დგას არა მხოლოდ ფინანსური კრიზისიდან გამოსვლის ამოცანა, არამედ მთავარი მიზანი, ლოგიკურია, რომ უნდა იყოს კრიზისიდან გამოსვლა - ახალ, ტრანსფორმირებულ საზოგადოებად, რომელშიც პოლიტიკოსები

სრულად გააცნობიერებენ ერთადერთ საკუთარ მოვალეობად - ფართო საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე ზრუნვას, ხოლო იდეოლოგიური ტრანს-ფორმაციის გარეშე კი ყველა ლიდერი რისკის ქვეშაა, რომ ნეთანიაჰუსა და პინერას ბედი გაიზიაროს.

ირაკლი კაკაბაძის სტატია - „პირდაპირ უოლ სტრიტიდან: ნეოლიბერა-ლიზმის ახალი კრიზისი“ [83] ამერიკაში „დაიკავე უოლ სტრიტის“ (Occupy Wall Street) აქციის განხილვას ეძღვნება. [84]

ირაკლი კაკაბაძეს სრულიად ვეთანხმებით, რომ ნეოლიბერალური ნეს-რიგის წინააღმდეგ მიმართული ამგვარი მასშტაბის აქცია მე-20 საუკუნის 60-იანი წლების შემდეგ აშშ-ში არ ყოფილა. ეს არ გახლავთ უბრალოდ ომის მოწინააღმდეგეთა ან რომელიმე, თუნდაც ძალზე დიდი ინტერესთა ჯგუფის აქცია, რომელიც, ნეოლიბერალურ კონტექსტში საუკეთესოდ ჯდება, არამედ, ავტორი იტალიელი მარქსისტი სოციოლოგისა და პოლიტიკური ფილოსოფოსის, ანტონიო ნეგრის ტერმინ „Swarm-ს“ [85] („გროვა“) იყენებს და აცხადებს, რომ აღნიშნული მოძრაობა გახლავთ - Swarm-ის ტიპის ახალი სოციალური მობილიზაციის დასაწყისი ამერიკაში, სადაც წინა წლების მოდელისაგან განსხვავებით, ასეთი მოძრაობა მთლიანად ავტონომიური და მკაცრად დეცენტრალიზებულია. მონაწილეებს შორის სჭარბობენ - თეთრკანიანი ინტელექტუალები, რომელთა უმრავლესობაც, საინტერესოა, რომ - ახალგაზრდაა. კაკაბაძის სრულიად მართებული შეფასებით, ეს დასავლურ ცნობიერებაში ნამდვილად ახალი ტალღა გახლავთ, რომელიც ეძებს ბურჟუაზიული უკმარისობის აზროვნების ალტერნატივას. ავტორის თქმით, ახალი დემონსტრანტები ახალი ტექნოლოგიებით, კერძოდ კი, თუნდაც ინტერნეტით არიან შეიარაღებულნი, რომელიც ინფორმაციის თავისუფლად გავრცელების საშუალებას იძლევა და სწორედ ის გახლავთ ნეგრისა და ჰარტის ახალი რევოლუციური სტრატეგიის საფუძველი [86]. და ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ჯორჯ სორელის მიერ მე-20 საუკუნის დასაწყისში დაყენებული „საყოველთაო გაფიცვის“ იდეა, მართლაც, არც თუ ისე უტოპიური ჩანს დღეს, ინტერნეტისა და სოციალური ქსელების ეპოქაში.

უნდა ითქვას, რომ უოლ სტრიტის პრობლემა, რასაკვირველია, არა მარტო ამერიკელების პრობლემაა და ის „არაბულ გაზაფხულთან“, ლონდონის მოვლენებთან, საბერძნეთის, იტალიისა და პორტუგალიის ეკონომიკურ კრიზისებთანაცაა დაკავშირებული, რადგანაც ყოველი ამ მოვლენათაგანი - ნეოლიბერალური ელიტების პრაქტიკულად განუსაზღვრელმა სიხარბემ წარმოშვა. კაკაბაძე ყურადღებას ამახვილებს მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის პირველ პირთაგან გაკეთებულ განცხადებაზე იმასთან დაკავშირებით, რომ დღეს მსოფლიო 2008 წლის ფინანსური კრიზისის განმეორებას უახლოვდება, თუმცა ამჯერაზე, კოლაფსის დადგომის შემთხვევაში, მდგომარეობიდან გამოსვლა ბევრად რთული იქნება, რადგან სახელმწიფოებს უკვე ამოეწურათ დიდი ფინანსური რეზერვები - ვითარებასთან გასამკლავებლად.

კიდევ ერთ კრიზისზე საუბრობს ირაკლი კაკაბაძე სტატიაში; ეს გახლავთ - სულიერი კრიზისი იმ სამყაროში, სადაც თითქმის ყველაფერი „გასაქონლებულია“ (ინგლისური ტერმინიდან - commodified) და ადამიანის ეგზისტენციური შიშები იზრდება.[87]

როგორც ავტორი აცხადებს, უოლ სტრიტის პრობლემა - მთელი მსოფლიოს პრობლემაა და დღეს ჩვენ ყველანი - მსოფლიოს მოქალაქენი ვართ, ხოლო თანასწორობის ბიბლიურ პრინციპს კი - ალტერნატივა, მართლაც რომ, არ გააჩნია, რადგან ღმერთის თუ განგების წინაშე - მდიდარი და ღარიბი თანასწორია. სწორედ ეს გახლავთ უოლ სტრიტის პროტესტის მთავარი პრინციპი.[88]

ქართული ნეოლიბერალიზმის კრიტიკა მარცხნიდან (ქართველი ავტორები)

„ვარდების რევოლუციის“ შედეგად საქართველოს ხელისუფლებაში მოსული „რევოლუციური“ მთავრობა თავისი წინამორბედისა და სხვა დანარჩენი ქართული მთავრობებისაგან განსხვავებით, ცალსახად „დასავლურ“, ან უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ამერიკულ და შესაბამისად, მკვეთრად ნეოლიბერალურ გზას დაადგა, რაც ადამიანთა ცხოვრების ყველა სფეროში მძაფრად აისახა, მაგრამ, განსაკუთრებით მან თავის ძირითად, ანუ ეკონომიკურ სექტორს შეუტია, რაც ყოფით დონეზე, როგორც პრაქტიკულად ყველა სამომხმარებლო საქონელზე, ასევე, თვით პირველადი მოხმარების საგნებზე ფასების კატასტროფული აწევით, ფულის მსყიდველუნარიანობის დაცემით, ფაქტობრივად მთელი ეკონომიკისა და ისედაც მიზერული მასშტაბის წარმოების სრული მონოპოლიზაციით და ელიტარული კორუფციის შექმნით გამოიხატა. ამან სულ უფრო შეამცირა სამუშაო ადგილების რიცხვი და გაზარდა თავისთავად ცხადია, მოსამსახურეთა ფენისა და თუნდაც - მიკრო მენარმეთა უმუშევრობის დონეც კი.

აღნიშნული პრობლემების გარშემო ქართველი, განსაკუთრებით „მემარცხენე“ მსოფლმხედველობის მქონე ინტელექტუალები, მწერლები და სამოქალაქო „აქტორები“ სხვადასხვა კრიტიკულ წერილებს, ბლოგ-პოსტებს, კომენტარებსა თუ სხვა ტიპის პუბლიკაციებს აქვეყნებდნენ და აქვეყნებენ ადგილობრივ ბეჭდურ თუ ვირტუალურ მედიაში, რომელთა რიცხვიც, შესაძლოა, ჯერ ისეთი შესაშურიც არ არის, როგორც სხვა, უფრო მოდურ და ნეოლიბერა-ლურ და ძირითადად პოპულისტურ პათეტიკაზე თუ „ყვითელ“ „სკანდალურობაზე“ დაფუძნებული სტატიებისა, მაგრამ ის რაოდენობაც კი ძალზე მნიშვნელოვანია, რომ არსებობს - ქართული საზოგადოების მძაფრი ჯერ ისევ პოსტ-საბჭოური, თუნდაც დეკლარირებული ანტი-სოციალისტური ვნებებიდან გამომდინარე. ხსენებულ პუბლიკაციებს შორის ჩვენი ყურადღების ორბიტაში მოექცა: ლევან აბაშიძის მორიგი სტატია - „ქართული ნეოლიბერალიზმი - კრიმინალური მონოპოლიების ბუდე“[89] და ირაკლი კაკაბაძის პუბლიკაცია - „მარქსის ქართველი აჩრდილი / ბურჟუა ლიბერალების კრიტიკა მარცხნი-

დან” (სტატიის ავტორთან ერთად ჩვენი საერთო შეფასებით, დღეს რუსეთი, საქართველო და პრაქტიკულად, მთელი ყოფილი სსრკ - რეაქციული ოლიგარქიული აზროვნების ცენტრებია მთელს მსოფლიოში)[90].

შეგვიძლია ხმამაღლა და უნივერსალურ დონეზე განვაცხადოთ, რომ ნეოლიბერალიზმის ფილოსოფიის ერთ-ერთი ყველაზე დანაშაულებრივი ნაწილი ისაა, რომ ეს პოლიტიკური ფილოსოფია აუცილებლად მიიჩნევს ადამიანების დამშევას და სილატაკეს. ცხადია, უკმარისობა ბუნებაში უხვად არსებობს, მაგრამ დღევანდელი ტექნიკური პროგრესის პრიობებში ხშირად ეს უკმარისობა თვითონ ადამიანების მიერაა შექმნილი. უამრავი საკვები პროდუქტები იყრება დღეს, მაშინ, როდესაც შეიძლება ეს პროდუქტები იმ 925 მილიონ ადამიანს გაეგზავნოს, რომელიც შიმშილობს. ამასობაში კი, უკვე რამდენიმე წელია, მსოფლიოს ფინანსურმა ბაზრებმა საჭმლის კომოდიფიკაცია მოახდინეს. იმისათვის, რომ ადამიანებმა იმუშაონ, სულაც არ არის აუცილებელი ექვსიდან ერთი ადამიანი შიმშილით მოვკლათ. ეს ძალიან მარტივი პასუხია სილატაკის მეტად რთულ შეკითხვაზე. ნეოლიბერალიზმის ქართული ალტერნატივა არსებობს, ამბობს ირაკლი კაკაბაძე, - არავინ დაგვაჯეროს, რომ ეს შეუძლებელია. ამისათვის გვერდზე უნდა გადაიდოს ნეოკოლონიალური დამოკიდებულება და მორჩილი ყმის პოზიციიდან თავისუფალი ადამიანის პოზიციაში გადანაცვლება აუცილებელი. არ აქვს მნიშვნელობა, თუ ვისი ყურმოჭრილი ყმაა ადამიანი - რუსის თუ ამერიკელის, საბჭოთა ბოლშევიკის თუ მილტონ ფრიდმანის იდეოლოგიით მონამლული ნეოლიბერალის. შინაარსი ერთი და იგივეა. „ჩვენ უნდა გადავლახოთ პოსტ-ჰომო-სოვეტიკუსის კომპლექსი და ახალი პარადიგმა მოვძებნოთ. ამის გარეშე ჩვენ ვერ ვავარძელებთ არსებობას - ცხოვრებას ინოვაციის გარეშე აზრი არ აქვს.“[91]

და ბოლოს, ჩვენის აზრით, ბოლო წლების განმავლობაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პუბლიცისტიკური წერილი, რაც ქართულ და არამხოლოდ, ქართულ სივრცეში დაბეჭდილა, გახლავთ ირაკლი კაკაბაძის „სიყვარულის დოქტრინა საქართველოსთვის ღია წერილი ბიძინა ივანიშვილს და “ქართულ ოცნებას”“[92], რომელშიც ავტორი საქართველოში იმჟამად შექმნილი ნეოლიბერალურ-ოლიგარქიული სახელმწიფო სისტემის ერთადერთ სამართლიან, „ადამიანურ“ და ეფექტურ ალტერნატივად მსოფლიოს მთელ რიგ სახელმწიფოებში უკვე აპრობირებული (მაგალითად, აშშ-ში - ობამას ადმინისტრაციის სოციალური რეფორმები, ინდოეთში - მაჰათმა განდის „სვადემის“ სოციალურად „კონსტრუქციული პროგრამა“, ნორვეგიის სოციალურ-დემოკრატიული მოდელი - პირველ რიგში, - სოციალური უსაფრთხოების ფონდის ფუნქციონირების პირობებში, თურქეთისა თუ ბრაზილიის სოციალურად სოლიდარული მოდელები), უპირველეს ყოვლისა - სოციალურ სამართლიანობასა და სოლიდარობაზე დაფუძნებული მოდელის ერთგვარი ქართული ორიგინალური ვარიანტის - „მრავალჟამიერის“ (იგივე - ე.წ. მრავალხმოვანი პარადიგმა) კულტურაზე დაყრდნობილ ორიენტირს გვთავაზობს, რომელსაც პუბლიცისტი ფილოსოფიურად - „სიყვარულის დოქტრინის“ გლობალურად აქტუალური და საჭირო მოდელის ფარგლებში მოიაზრებს.

4.4. (ნეოლიბერალური) რეფორმები საქართველოში

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შედეგად საქართველოს ხელისუფლებაში მოსული „რევოლუციური“, როგორც მხოლოდ მისი ხელისუფლებაში მოსვლის შემდგომ დაბეჯითებით გაირკვა, თავისი არსით - ნეოლიბერალური, პოლიტიკური ჯგუფი ჩვენი ქვეყნის ნეოლიბერალიზაციის აქტიურ გზას დაადგა. ამ პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი გამოვლინება გახლავთ ის რეფორმები, თავისი შინაარსითა და დანიშნულებით ცალსახად - ნეოლიბერალური, რომლებიც ამ მართლაც - „რეფორმატორულმა“ მთავრობამ განახორციელა ქვეყანაში, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობის ოფიციალური გარეკანიც და „ფასადიც“ ისევე პირდაპირ ნეოლიბერალურია, როგორც თითოეული და ყოველი მათგანის არსიც.

საქართველოში უკანასკნელ ათწლეულში მიმდინარე ნეოლიბერალური რეფორმების ამ ეტაპზე ზოგადი მიმოხილვისათვის (თითოეულ ნეოლიბერალურ რეფორმას ჩვენს ქვეყანაში - ქვემოთ დანვრილებით მიმოვიხილავთ) საინტერესო წყაროს წარმოადგენს საქართველოს ან უკვე ყოფილი მმართველი პარტიის, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებული „საქართველოს 16 გამარჯვება, რომელიც ვარდების რევოლუციამ მოგვიტანა (23 ნოემბერი, 2005)“ [93]. აქ ჩამოთვლილი 16 „გამარჯვებებიდან“ 5 - თავისი შინაარსითა და გარეგანი ფორმით ცალსახად ნეოლიბერალურ რეფორმას წარმოადგენს, ხოლო რაც ეხება დანარჩენს, ისინიც თუ არ ჟღერენ პირდაპირ ნეოლიბერალურ პოლიტიკასთან ასოცირებულად, თავისი არსით - მოცემული იდეოლოგიის ფორმატს კარგად სრულყოფენ და მას პასუხობენ.

ზემოაღნიშნულ „გამარჯვებათა“ და რეფორმათა ჩამონათვალიდან პირდაპირ ნეოლიბერალურად და ნაშრომის მოცემულ ნაწილში განსახილველად გამოვყოფთ შემდეგს:

- გზები და ინფრასტრუქტურა (სიაში 4)
- საერთაშორისო ავტორიტეტი (სიაში 6)
- გაუმჯობესებული ბიზნეს-გარემო (სიაში 7)
- პოლიციის რეფორმა (სიაში 8)
- განათლების დიდი რეფორმა (სიაში 9)
- აღმშენებლობა (სიაში 10)
- ძლიერი ჯარი (სიაში 14)

რაც ეხება ჩამოთვლილი პუნქტების განმარტებას, ამ ეტაპზე მხოლოდ მათი ორიგინალური წყაროდან მოწოდებული მასალის გაშუქებით შემოვიფარგლოთ, რაც საქართველოში იმჟამად მიმდინარე რეფორმებისა თუ სხვა წინამორბედი სამთავრობო მიზნობრივი ღონისძიებების მხოლოდ ოფიციალური ვერსიის, ანუ, ამ შემთხვევაში, თავად - „რეფორმატორთა“ ინტერპრეტაციის ჩვენებას ისახავს მიზნად. მართალია, არსებული მასალა მხოლოდ ზოგად და არცთუ ისე უხვ ინფორმაციას გადმოგვცემს, და არა - უფრო ღრმასა და დეტალურს, მითუმეტეს, რომ საკითხს ჩვენც მხოლოდ ზოგადად ვეხებით აქ, მაგრამ, ჩვენის დაკვირვებით, აღნიშნული მომენტიც - ნიშანდობლივია და არ გახლავთ - შემთხვევითი; კერძოდ კი, ეს შესაძლოა დაკავშირებული იყოს ქართული მოსახლეობისა თუ საერთოდ მკითხველთა უდიდესი უმრავლესობისათვის არცთუ მთლად სასურველი დეტალების (მაგალითად, რეფორმათა თუ სხვა მსგავსი მიზნების მქონე ღონისძიებათა განხორციელების ხშირად - ძალადობრივი ფორმები) მიწოდების სურვილის ლოგიკურ არ ქონასთან „რეფორმატორთა“ მხრიდან, ასევე, გადმოცემული ფაქტების იმ პოპულისტურ პათეტიზაციასთან, რომლისთვისაც სწორედ აღნიშნული ფორმატია მხოლოდ სრულიად შესატყვისი.

მაშასადამე, ზემოხსენებულ ნეოლიბერალურ მიდნევათა შვიდეულის ოფიციალური ინტერპრეტაცია ამგვარია:

„4. გზები და ინფრასტრუქტურა

ბოლო 25 წლის მანძილზე საქართველოში არ ყოფილა ერთდროული აღმშენებლობის ასეთი მასშტაბი. მთელ ქვეყანაში იგება გზები და უმჯობესდება ინფრასტრუქტურა. შენდება ხიდები და 30 წლის განმავლობაში პირველად აშენდა გვირაბი.“[94]

„6. საერთაშორისო ავტორიტეტი

არნახულად განმტკიცდა საქართველოს საერთაშორისო ავტორიტეტი. რევოლუციის შემდეგ უცხოელ სტუმართა რაოდენობა გაორმაგდა, მსოფლიოს არც ერთი სხვა ქვეყნის სახელი არ ინვესტორულად ჯვრის, ნმინდა გიორგისა და ვარდების ასოციაციას.

7. გაუმჯობესებული ბიზნეს-გარემო

გამარტივდა საგადასახადო კოდექსი; შემცირდა გადასახადები; გამარტივდა ლიცენზირება; შეიქმნა ბიზნესის განვითარების უკეთესი პირობები; ქვეყანაში შემოდინება დაიწყო დიდმა ინვესტიციებმა; იხსნება სანარმოები და ჩნდება ახალი სამუშაო ადგილები კერძო სექტორში.

8. პოლიციის რეფორმა

რევოლუციური რეფორმის შედეგად ქართული პოლიცია ხალხის სამსახურში ჩადგა! დამყარდა წესრიგი და კანონის წინაშე ყველა თანასწორი

გახდა. პირველად პოსტ-საბჭოთა სივრცეში, მოქალაქეთა უსაფრთხოებას პატიოსანი, კარგად განვრთნილი, კარგად აღჭურვილი და მოტივირებული პოლიციელები იცავენ.

9. განათლების დიდი რეფორმა

განხორციელდა განათლების რევოლუციური რეფორმა. პირველად საქართველოს ისტორიაში ახალგაზრდები თავისი ცოდნითა და მონდობებით დამსახურებულად გახდნენ სტუდენტები. ჩაწყობა, კომისიის წევრების მოქრთამვა და პროტექცია, რისთვისაც გასულ წლებში ათეულობით მილიონის ოდენობის ქრთამი იხდებოდა, წარსულს ჩაბარდა! ყველას მიეცა თანაბარი შანსი ცოდნით გაიკვალოს მომავალი!

10. აღმშენებლობა

ნათდება, შენდება და ლამაზდება საქართველოს ქალაქები. მთელი ქვეყნის ყველა დიდ ქალაქში კეთილმოწყობის სამუშაოები წელს უფრო დიდი მასშტაბებით მიმდინარეობს, ვიდრე ბოლო 15 წლის განმავლობაში ერთად აღებული. ...

... 14. ძლიერი ჯარი

პირველად საქართველოს ისტორიაში საქართველოს იცავს ძლიერი, კარგად განვრთნილი და ორგანიზებული, კარგად აღჭურვილი და შეიარაღებული არმია.“[95]

რაც შეეხება იმჟამინდელი ხელისუფლებისა და მმართველი პარტიის წევრთა სხვა ოფიციალურ შეფასებებს, ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ საქართველოში წარმატებით მიმდინარეობდა თანამედროვე გამოწვევების შესაფერისი საზოგადოებრივი და პოლიტიკური სისტემის ფორმირება, თუმცა, მათივე მტკიცებით, ჯერჯერობით ყველა პროცესი შეუქცევადი არ გამხდარა. შესაბამისად, მათი აზრით, საჭირო იყო აღებული კურსის შენარჩუნება და ხელისუფლებაში „ვარდების რევოლუციის“ შედეგად მოსული პოლიტიკური ძალის დარჩენა[96].

ათი წლის წინანდელი „ვარდების რევოლუციის“ ერთ-ერთი აქტიური მონაწილე, რესპუბლიკური პარტიის წევრი, დავით ზურაბიშვილი კი შემდეგნაირად აფასებს რევოლუციის შედეგებს: „მაშინ ვიყავით ჩამოუყალიბებელი, დიდწილად, დეზინტეგრირებული სახელმწიფო. ახლა ვართ ტიპიური ავტორიტარული რეჟიმის გზაზე დამდგარი სახელმწიფო. ასევე გვაქვს დაკარგული ტერიტორიები, გვყავს ახალი ლტოლვილები, ანუ საგარეო და საშინაო პრობლემები, რომლებიც გვეკონდა, არსებითად არც ერთი არ გადაჭრილა. მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა კვლავ სიღატაკეში ცხოვრობს.“[97] დავით ზურაბიშვილის თქმით, ყველა ამ პრობლემას 2008 წლის აგვისტოს შემდეგ საქართველოს ტერიტორიაზე რუსული სამხედრო ბაზების დაბრუნებაც დაემატა. „ვარდების რევოლუციის“ მონაპოვარს

ასევე კრიტიკულად აფასებს „გაერთიანებული დემოკრატიების“ ლიდერი - ირაკლი ალასანიას, თუმცა ის დადებით მომენტებსაც გამოყოფს[98].

საქართველოში ბოლო ათი წლის მანძილზე მიმდინარე ნეოლიბერალური რეფორმების შესახებ მოვლენებიდან მეტ-ნაკლებად დისტანცირებული ექსპერტის მოსაზრებათა წარმოსადგენად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია განვიხილოთ საერთაშორისო მშვიდობის კარნეგის ფონდის ექსპერტის, თომას დე ვაალის შეხედულებები, რომლებიც მეტწილად საქართველოს ეკონომიკისა და დემოკრატიის პერსპექტივათა გარშემო ფოკუსირდება.

თომას დე ვაალის მოსაზრებით, საქართველო პოსტ-საბჭოთა სივრცეში საინტერესო შემთხვევაა. ის ნონკონფორმისტია და ყოველთვის იყო განსხვავებული. ერთის მხრივ, მას პლურალიზმის ძლიერი ტრადიცია აქვს, თუმცა აღსანიშნავია, რომ დე ვაალის აზრით, ეს არ გახლავთ სრული დემოკრატიის მსგავსი და მას შესაძლოა უფრო „ცოცხალი პარლამენტისა და თავისუფალი პრესის ტრადიცია“[99] ვუნოდოთ. ექსპერტის მიხედვით, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ერთგვარი პარადოქსული სიტუაციის მოწმენი გავხდით, რადგანაც ქვეყნის ახალგაზრდა, მოდერნიზატორი და დინამიური ან უკვე ყოფილი მთავრობა, რომელმაც უამრავი რეფორმა წამოიწყო, როგორც სჩანს, ამავე დროს - ერთპარტიულ სახელმწიფოს ქმნიდა. ოპოზიციური პარტიები საქართველოში სუსტი იყო, ხოლო პარლამენტი კი - ნაკლებად გავლენიანი. მთავრობა აკონტროლებდა რეგიონალურ მთავრობებს და მის მხარდამჭერ მთავარ სატელევიზიო არხებს. თუმცა, ისეთ ქვეყნებთან შედარებით, როგორცაა, მაგალითად, სომხეთი, აზერბაიჯანი და რუსეთი, საქართველო - მაინც პლურალისტურია.

საქართველოს ეკონომიკის განვითარების ვარიანტების მიმოხილვისას დე ვაალის მაგალითად მოჰყავს სამკუთხედი - საქართველოს განვითარების შესაძლებლობების განსამარტად. პირველ კუთხეს ექსპერტი პირობითად - „ძველ საქართველოს“ უწოდებს, როდესაც საქმე ეხება კულტურას, - ყველას, ვინც საქართველოში ჩადის, ძველი საქართველო ურჩევნია: საზოგადოება, ადამიანებთან შეხვედრა, არაჩვეულებრივი ძველი ტრადიციები და გასაოცარი ძველი მართლმადიდებლური ტაძრები, მაგრამ, როცა საქმე ეხება არა კულტურას, არამედ, სოციალურ მოდელს, ყველაფერი ოჯახის გარშემო ტრიალებს, რაც ექსპერტის აზრით, ნიშნავს ნეპოტიზმს, იმისკენ მონოდებას, რომ ადამიანებმა უცხოეთში წასვლისგან თავი შეიკავონ (დე ვაალის დამონებით, მართლმადიდებლური ეკლესიის პატრიარქმა ილაპარაკა ასე), აბსოლუტურად არატრანსპარენტულ ბიზნეს-პრაქტიკას - აი ამ ტიპის ქცევას ბევრი და მისდევდა საქართველოში. სამკუთხედის მეორე კუთხეს დე ვაალიმ „სინგაპური“ დაარქვა, რაზეც პრეზიდენტიც საუბრობდა. მან ის სთქვა, რომ „კავკასიაში სინგაპურის“ შექმნა სურს. ჩვენს ქვეყანაში, ამავდროულად, ექსპერტის მიხედვით, კიდევ არსებობს ულტრა-ლიბერალური ჯგუფი, რომელიც ისე ფიქრობს, როგორც ბევრი აშშ-ში - მასიური დერეგულაცია, ყველაფრის პრივატიზაცია და თავისუფალი ინვესტიციები მთელი მსოფლიოდან. აღნიშნულმა მოდელ-

მა ევროპისა და საქართველოს ეკონომიკის ზოგიერთ სექტორში წარმატებას მიაღწია, მაგრამ, სხვა სექტორებში იგივე ვერ შესძლო, თუმცა ჯგუფი ჯერ კიდევ საკმაოდ გავლენიანი იყო. სამკუთხედის მესამე კუთხე გახლდათ - „ევროპის კავშირი“, რომელიც ხანგრძლივი პროცესია, კერძოდ კი, ინსტიტუტების მშენებლობა, რეგულაციების შემოღება, სტანდარტების დაცვა და დემოკრატიული ანგარიშვალდებულება, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყანა ნელა მიუახლოვდება ევროკავშირს. სწორედ ამ მოდე-ლით განვითარდნენ - ბალტიისპირეთის ქვეყნები. როგორც დე ვაალი ამბობს, საქართველოს მაშინდელ მთავრობას თითქოს სამივე კუთხესთან ჰქონდა ფლირტი, განსაკუთრებით კი, სინგაპურსა და ევროკავშირთან, თუმცა მისივე მართებული დასკვნით, რეალურად ვერ ჩამოყალიბდა. სინგაპურისა და ევროკავშირის მოდელები საკმაოდ შეუთავსებელია. ერთი გულისხმობს მასიურ დერეგულაციას და ნეოლიბერალურია, მეორე - რეგულაციასა და ინსტიტუტების მშენებლობას. დე ვაალი ამ ვითარებას ნასესხები ტერმინით - „იოგა ბერას“ (პოპულარული ამერიკელი სპორტსმენი) სტრატეგიებით აღნიშნავს, როდესაც გზაჯვარედინზე მისული, სამივე მხარეს აპირებს წასვლას. ხოლო, საქართველოს კი, ამჟამად ჯერ კიდევ არ გადაენწყობა, რომელ გზას დადგომოდა.[100]

იმაზე, თუ რომელი გზა უნდა აერჩია საქართველოს, დე ვაალი მოგვიგებს, რომ მიუხედავად „სინგაპურიზაციის“ ნეოლიბერალური მოდელის ჩვენი წინამორბედი ნეოლიბერალური მთავრობისა და ბიზნეს-ელიტისათვის მიმზიდველი ჟღერადობისა, საქართველო მაინც ძალიან აგრარული ქვეყანაა. ის არც ერთი თვალსაზრისით არ არის დიდი ცენტრი და სწრაფი მოდერნიზაციის შესაძლებლობებიც საკმაოდ მცირე აქვს. გეოგრაფიულად ეს ევროპული ქვეყანაა, მისი მეზობლები ევროპისაკენ იხრებიან, მას დასაყრდენი სჭირდება, განსაკუთრებით რუსეთთან მისი პრობლემების გამო და ამიტომ, ექსპერტის დასკვნით, ევროკავშირი მისთვის საუკეთესო მოდელი უნდა იყოს, მაგრამ აღნიშნული ნამდვილად გულისხმობს ძალაუფლების მონოპოლიის ნაწილის დათმობას და არა მართვის იმ არაფორმალურ სტილს, რომელიც ყოფილ მმართველ ელიტას მოსწონდა, თუმცა დე ვაალის მაინც მიაჩნია, რომ ეს გახლავთ გეზი, რომელიც მათ უნდა აერჩიათ. ექსპერტის მოსაზრებით, საქართველოს ამ მიმართულებით წასასვლელად ბრიუსელისაგან და აშშ-საგან მეტი დახმარება და მხარდაჭერა სჭირდება, კომუნიკაციის უკეთესი სტრატეგია. ეს მიდგომა, ნათელია, რომ ბევრ მტკივნეულ რეფორმას მოითხოვს, რეფორმებს, რომლებიც საჭიროებს ფულს და რთულია მოსახლეობისათვის, მაგრამ მოსახლეობამ გვირავის ბოლოს სინათლე უნდა დაინახოს და ამ გზას უნდა გაუყვეს.

ექსპერტი დასკვნით ეტაპზე მიუთითებს[101], რომ მიუხედავად საქართველოს მიერ რეფორმებისკენ გადადგმული ნაბიჯებისა, „ნაციონალურმა“ მმართველმა ელიტამ ბევრი არაფერი გააკეთა იმისთვის, რომ მდგრადი მოდელი შეექმნა, ხოლო იმაზე, რომ საქართველოს აღნიშნული მთავრობათვის ქმედებებთან დაკავშირებით ანგარიშვალდებულები უნდა ყოფილიყო, პასუხისმგებლობა ვაშინგტონსა და ბრიუსელს ეკისრება.

ნეოლიბერალური ეკონომიკური და სოციალური რეფორმები

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში მნიშვნელოვანი ნეოლიბერალური ეკონომიკური და სოციალური რეფორმები განხორციელდა. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს იმჟამინდელი ოფიციალური შეფასებით, აღნიშნული რეფორმები მიმართული გახლდათ მიმზიდველი სამენარმეო გარემოს ჩამოყალიბებისკენ, რაც უცხოური ინვესტიციების შემოდინების, ახალი სამუშაო ადგილების შექმნის, ეკონომიკის ყველა დარგში სამენარმეო აქტივობის ზრდისა და, სამინისტროს მოსაზრებით, ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების საფუძველს წარმოადგენს[102].

ქვეყანაში განხორციელებული ინსტიტუციონალური რეფორმების შედეგად, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ჩამოყალიბდა უფრო მეტად ეფექტიანი, პროფესიონალური და წინანდელთან შედარებით, მეტად გამჭვირვალე საჯარო სამსახური. ეკონომიკის ნეოლიბერალური დერეგულირებისკენ მიმართული პოლიტიკის შედეგად კი, მნიშვნელოვნად შემცირდა სახელმწიფოს მიერ რეგულირებადი სფეროების რაოდენობა, ხოლო გამარტივდა რეგულირების პროცედურები. ჩვენი საკვლევი თემატიკის კუთხით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქვეყანაში იმჟამად განხორციელებული პრივატიზაციის პოლიტიკა, რამაც ხელი შეუწყო განსაკუთრებით - პირდაპირი უცხოური და ასევე, ადგილობრივი ინვესტიციების, და ამასთან, კერძო სექტორის როლის ზრდას ქვეყნის ეკონომიკაში.

სამინისტროს მაშინდელი ოფიციალური განცხადებით, საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი გახლდათ ქვეყანაში კერძო მენარმეობის განვითარება - მისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნის გზით. ეკონომიკური რეფორმები მიმართული იყო ლიბერალიზაციასა და კერძო სექტორის განვითარებაზე დაფუძნებული ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფისაკენ, რომელი მიმართულებითაც საქართველოს იმჟამინდელმა ხელისუფლებამ გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები:

ა) ლიბერალური საგადასახადო პოლიტიკა- საგადასახადო სისტემაში უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში განხორციელებული რეფორმების შედეგად, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ერთ-ერთი ლიბერალური გახდა ევროპის მასშტაბით. შემცირდა გადასახადთა რაოდენობა 21-დან 6-მდე (2004-2008 წ.წ.) და ასევე, საგადასახადო განაკვეთები. საქართველოში იმჟამად მოქმედი საგადასახადო კოდექსის მიხედვით, ამოქმედდა 6 გადასახადი, მათ შორის 5 - საერთო სახელმწიფო და 1 - ადგილობრივი. აღსანიშნავია, რომ 2007 წელს საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებების შედეგად, მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა საგადასახადო სისტემაში. კერძოდ, 2008 წლის 1 იანვრიდან გაუქმდა სოციალური გადასახადი და შეიქმნა ერთიანი საშემოსავლო გადასახადი (2008 წ. - 25%; 2009 წლიდან - 20%), ხოლო მოგების გადასახადის განაკვეთი შემცირდა 20%-დან 15%-მდე. გადასახადის განაკვეთი

დივიდენდებსა და პროცენტებზე შეადგენდა 5%-ს, ნაცვლად 2005 წელს არსებული 10%-სა. [103]

ბ) საბაჟო რეფორმა- საქართველოს საბაჟო კოდექსის მიხედვით, მნიშვნელოვნად გამარტივდა საბაჟო პროცედურები. საბაჟო ტარიფების რეფორმის შედეგად, გამარტივდა და შემცირდა საგარეო ვაჭრობასთან დაკავშირებული ხარჯები. საიმპორტო ტარიფების რაოდენობა გაუქმდა პროდუქციის დაახლოებით 90%-ზე და ამასთან, ამოქმედდა მხოლოდ 3 სახის ტარიფი (0%, 5%, 12%), ადრე არსებული 16-ის ნაცვლად. საბაჟო გადასახადები დანესდა მხოლოდ ზოგიერთი სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე და სამშენებლო მასალებზე. გარდა ამისა, ქვეყანაში არ ამოქმედდა რაოდენობრივი შეზღუდვები (ქვოტები) იმპორტსა და ექსპორტზე.

გ) ბიზნესის ლიცენზირების/ნებართვების მოდერნიზებული სისტემა- ლიცენზირებისა და ნებართვების სისტემის რეფორმირების შედეგად, ლიცენზირებისა და ნებართვების რაოდენობა 84%-ით შემცირდა. ლიცენზირებისა და ნებართვების საჭირო გახდა მხოლოდ მაღალი რისკის შემცველი პროდუქციისა და მომსახურების, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და სპეციფიკური საქმიანობის წარმოებისათვის. მნიშვნელოვნად გამარტივდა ლიცენზირებისა და ნებართვების გაცემის პროცედურები, დამკვიდრდა „ერთი სარკმლის“ და „დუმილი თანხმობის ნიშანია“ პრინციპი.

დ) თავისუფალი ინდუსტრიული ზონა- ქვეყანაში საინვესტიციო გარემოს კიდევ უფრო ლიბერალიზაციისა და, შესაბამისად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიზნით, მიღებულ იქნა კანონი „თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ“, რომლის თანახმად, ასეთი ზონა შესაძლებელი გახდა შექმნილიყო 10 ჰექტარზე მეტ ტერიტორიაზე, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, მისივე, ან ინვესტორის ინიციატივის საფუძველზე. ზონაში ამოქმედდა განსხვავებული საგადასახადო რეჟიმი, გამარტივდა რეგისტრაციისა და სხვა პროცედურები. [104]

ე) სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია- საქართველოს იმჟამინდელი მთავრობის მიერ საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებისა და კერძო ინვესტიციების მოზიდვისათვის, უკანასკნელ ათწლეულში მიმდინარე ნეოლიბერალურ რეფორმათაგან მნიშვნელოვანია 2004 წელს დაწყებული პრივატიზების პროცესი, რომლის უმთავრესი მიზანი გახლდათ სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი ობიექტების განსახელმწიფოებრიობა, საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების ოფიციალური ვერსიის თანახმად [105] - ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტიმულირებისათვის (აღნიშნული, ძირითადად, ცალკეულ მდიდართა ეკონომიკური განვითარების სტიმულირებას გულისხმობდა რეალურად), კერძო სექტორის ზრდისა და განვითარებისათვის, ადგილობრივი, მაგრამ განსაკუთრებით, უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის, ქვეყანაში არსებული რესურსების ეფექტიანი გამოყენებისთვის და ა.შ.

მოცემული დროის ქართველ, ძირითადად, ოპოზიციონერ პოლიტიკოსთა თითქმის სრულ სპექტრში და ზოგადად, ქართული საზოგადოების უმრავლესობაში საკმაოდ დიდი აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია საქართველოს მაშინდელი მთავრობის მიერ დაწყებულმა ინტენსიურმა პრივატიზაციის პროცესმა, რომელიც, გარდა წმინდა პროცედურული და ამკარა სამართლებრივი დარღვევებისა, არც თუ ისე იშვიათად, აქამდე არსებული ლოგიკურად სრულიად გამართული კანონმდებლობის სერიოზული ცვლილებების ნაჩქარევად და, სამწუხაროდ, ამ ნაბიჯების საზოგადოებრივი საჭიროებების კონტექსტში დაუსაბუთებლად გატარების ფონზე მიმდინარეობდა.

ქართულ სოციუმში განსაკუთრებულ ეჭვებს აღძრავდა ხოლმე განსაკუთრებით - სტრატეგიული დანიშნულების ობიექტების პრივატიზაციის საკითხი, რომელთა რაოდენობაც იმჟამინდელი „ულტრალიბერალურად“ ნოდებული - ნეოლიბერალური ხელისუფლების პირობებში, ჩვევისამებრ, კატასტროფულად შემცირდა საპრივატიზაციოდ აკრძალული სახელმწიფო ქონების ნუსხიდან; მოცემულ სიაში სახელმწიფოსა და საზოგადოებისათვის იმგვარი სასიცოცხლოდ და ხშირად - მათი უსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვან ობიექტებზეც იხილავთ ქართულ, განსაკუთრებით, „ნაციონალური“ მთავრობისაგან შედარებით ვერ კონტროლირებად ელექტრონულ მასმედიაში თავისუფალ ინფორმაციას, როგორებიც გახლავთ, მაგალითად, რკინიგზა, საფოსტო კავშირი, წყალმომარაგების სისტემების სათავე ნაგებობები, სახელმწიფო რეზერვის სისტემაში არსებული ობიექტების სამობილიზაციო მარაგი, ძვირფასი ლითონების მარაგი, სამთავრობო კავშირის ტექნიკური საშუალებები, აკვატორია, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები, სახელმწიფო ორგანოთა ადმინისტრაციული შენობები, სახელმწიფო სასაფლაოები და სხვ[106].

გარდა ზემოაღნიშნულისა, სტრატეგიული ობიექტების პრივატიზებას აქტიურად ეწინააღმდეგებოდა იმჟამინდელ ქართველ ოპოზიციონერ პოლიტიკოსთა ნაწილი, მაგალითად, „ქრისტიან-დემოკრატების“ ლიდერი - გიორგი თარგამაძე, იმ მოტივითაც, რომ აღნიშნული ობიექტების წილებისა და აქციების პრივატიზება კავკასიაში პოტენციურად დამატებითი დაძაბულობის შემომტანი ფაქტორია, რადგან აქ იკვეთება რუსეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანის ინტერესებიც.[107]

და ბოლოს, აუცილებლად უნდა შევეხოთ სხვა ქვეყნების გამოცდილებას პრივატიზაციის კუთხით, რაც ასე ცალსახად არაა გადაწყვეტილი ამ პროცესის, ანუ თავად პრივატიზაციის სასარგებლოდ, როგორც ეს ჩვენს შემთხვევაში გახლდათ. მაგალითად, დასავლეთ ევროპული სახელმწიფოების უმეტესობაში - სტრატეგიული ობიექტები და ბუნებრივი მონოპოლიები, როგორებიცაა, მაგალითად, ელექტროენერგია, გაზი, წყალი, კავშირგაბმულობა, რკინიგზა და სხვა, არაა გასხვისებული არცერთ ფიზიკურ თუ იურიდიულ სუბიექტზე არც ქვეყნის შიგნით და მითუმეტეს, უცხოურ კომპანიებზე. მათ უმრავლესობაში ეს სფეროები და ობიექტები - სახელმწიფო საკუთრებაშია.

ზოგიერთ უიშვიათეს შემთხვევაში, მაგალითად, რკინიგზა - შვედეთში, დიდ კერძო კომპანიას ეკუთვნის, თუმცა, ამგვარი შემთხვევები, მითუმეტეს, სკანდინავიის სოციალური ეკონომიკის ქვეყნებში - მართლაც რომ, უიშვიათესი და გამონაკლისი შემთხვევებია, ხოლო თუკი ასეთი რამ ხდება, მსგავსი რამ მხოლოდ ძალზე არგუმენტირებულად შეიძლება მოხდეს. რაც შეეხება ნეოლიბერალურ ამერიკას, აშშ-ში, კაპიტალისტური შერეული ეკონომიკის ქვეყანაში, ეკონომიკის 86,4% [108] - კერძო სექტორის ხელშია, ასევე, კერძო სექტორს ეკუთვნის ფაქტიურად ეკონომიკის უდიდესი ნაწილი და ბუნებრივი მონოპოლიებიც ძირითადად - კერძო სექტორის საკუთრებაა. ამ მომენტით ამერიკა - დასავლეთ ევროპისაგან ძირითადად თითქმის რადიკალურად განსხვავდება, თუმცა ბოლოდროინდელი, ობამას რეფორმების შედეგად, ჯანდაცვის, განათლებისა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროებში, აშშ-ც უფრო „მემარცხენე“ და სოციალურად ორიენტირებული გახდა უკვე დღესდღეობით. ასევე საინტერესოა, რომ საფრანგეთს- შერეული ეკონომიკა აქვს, კერძო და სახელმწიფოს ექტორების ერთობით, მაგრამ სახელმწიფო სექტორის წილი - მაინც შემცირებადია. გერმანია - სოციალური საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყანაა - ასევე უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო სექტორის წილით. შვედეთში, ბუნებრივი მონოპოლიების დიდი ნაწილი - კერძო კომპანიების საკუთრებაშია, თუმცა, ასევე დიდი წილი - სახელმწიფო საკუთრებაში. ამ ქვეყანას - შერეული ეკონომიკა აქვს, კერძო და სახელმწიფო სექტორების ნამდვილი თანხმობითი ერთობით. ნორვეგიაც, ასევე შერეული ეკონომიკის ქვეყანაა - კერძო და სახელმწიფო სექტორების უმნიშვნელოვანესი ბალანსით. ბუნებრივი მონოპოლიების უდიდესი უმრავლესობა ამ ქვეყანაში - სახელმწიფოს კუთვნილებაა და სახელმწიფო-საჯარო სამსახურში დასაქმებულთა რაოდენობით, ნორვეგია - მსოფლიოში ლიდერი ქვეყანაა. ფინეთიც - შერეული ეკონომიკის მქონეა. კანადაც, ასევეა. ავსტრალია - საბაზრო ეკონომიკის ქვეყანაა, სადაც ძირითადად - კერძომფლობელობის ქვეშაა მთელი რიგი სფეროები, თუმცაღა, ყველაზე მკაფიოდ - ტელეკომუნიკაციების სფერო. მაგრამ ცხოვრების დონით ეს ქვეყანა - ერთ-ერთი ყველაზე სასურველი საცხოვრებელი ქვეყანაა - თუმცა კანადასთან ერთად. რაც შეეხება დიდ ბრიტანეთს, იგი ნაწილობრივ რეგულირებადი საბაზრო ეკონომიკის მქონეა. სტაბილური და თანამედროვე ეკონომიკის მქონე ქვეყანა - შვეიცარია, მსხვილი საერთაშორისო კორპორაციების ტერიტორიული მასპინძლობით გამოირჩევა და თავისუფალი სავაჭრო ქვეყნის სტატუსი გააჩნია. იაპონია - უმსხვილესი საბაზრო ეკონომიკის ქვეყანაა, რომელიც ცხოვრების სტანდარტების (მშპ) მიხედვით, მესამე ადგილზეა მსოფლიოში - აშშ-სა და ჩინეთის შემდეგ [109]. ეს უკანასკნელი კი - სახელმწიფო კაპიტალიზმის მქონეა, რომელიც წარმოადგენს საბაზრო ეკონომიკისკენ ორიენტირებულ სახალხო-სოციალურ და საბოლოოდ, შერეული ეკონომიკის სისტემას.

ვ) „ლიბერალური“ შრომის კოდექსი - უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ საქართველოს „ნაციონალურ“ შრომის კოდექსს „ლიბერალურს“ ექსკლუზიურად მხოლოდ მისი ავტორი - საქართველოს მაშინდელი ხე-

ლისუფლება უნოდებს[110], საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ჩათვლით. რეალურად კი, აღნიშნული კოდექსი დისკრიმინაციულად, მხოლოდ დამსაქმებელთა ინტერესებიდან გამომდინარეობდა და მათ სასარგებლოდ ამარტივებდა მათ ურთიერთობებს დასაქმებულებთან. „ნაციონალური“ რეფორმის შედეგად, Heritage Foundation-ისა და სხვა ანალიტიკური ცენტრების მიერ საქართველოს შრომის კოდექსი იქნა იმჟამინდელი სახით აღიარებული, როგორც მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური - დამსაქმებელთათვის (დოკუმენტმა მნიშვნელოვნად შეამცირა სწორედ დამსაქმებელთათვის - დასაქმებულთა დაქირავების და სამუშაოდან გათავისუფლების ხარჯები), ხოლო, როგორც ერთ-ერთი ყველაზე არალიბერალური - დასაქმებულთათვის[111]. თუმცა, ამ მონაცემებს სრულიად საპირისპირო და სხვაგვარი ინტერპრეტაციით წარმოგვიდგენენ დღემდე მაშინდელი ქართული სამთავრობო ვებ-გვერდები და მასმედია[112].

ზ) შეღავათიანი სავაჭრო-სავაჭრო რეჟიმები- საქართველოს სავაჭრო-სავაჭრო ბრუნვა 2003 წლიდან ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა, რასაც ქვეყნის ლიბერალური და ნეოლიბერალური სავაჭრო პოლიტიკაც უწყობდა ხელს. საქართველოშია მოქმედებს შეღავათიანი სავაჭრო რეჟიმები:

- თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი - დსთ-ს ქვეყნებთან და თურქეთთან (2008 წლის 1 ნოემბრიდან);

- „უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი“ (MFN) - მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრ ქვეყნებთან;

- პრეფერენციების განზოგადებული სისტემა (GSP) - აშშ-სთან, კანადასთან, იაპონიასთან, შვეიცარიასა და ნორვეგიასთან;

- GSP+ - ევროკავშირთან (7200 სახეობის პროდუქციაზე) 2005 წლიდან.

საქართველომ 33 ქვეყანასთან გააფორმა ხელშეკრულება ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ, ხოლო 32 ქვეყანასთან - ინვესტიციების ურთიერთდაცვისა და წახალისების თაობაზე. დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოები ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების (FTA) მოლაპარაკებათა დაწყების შესახებ.[113]

ამერიკული სათესლე ხორბლის საქართველოში შემოტანა და ქართული სოფლის მეურნეობის კრიტიკული მდგომარეობა - ნეოლიბერალური პოლიტიკის ნაწილი და შედეგი

სურსათის უვნებლობა დღეს ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთ ყველაზე პრობლემურ საკითხს წარმოადგენს. საქართველოს მოსახლეობას ნაკლებად აქვს ინფორმაცია, თუ რამდენად უვნებელ, ხარისხიან და ეკოლოგიურად სუფთა საკვებს მიირთმევს. არადა, დღეს მთელ მსოფლიოში სურსათს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. მით უფრო, მას შემდეგ, რაც ბოლო წლებში გენმოდირიცირე-

ბული პროდუქციის მასშტაბები გაიზარდა. არც ისე დიდი ხნის წინ კი, საქართველოში მომრავლებულ უხარისხო პროდუქტებს, მაღალი ალბათობა არსებობს იმისა, რომ სწორედ გენმოდირეცირებული ამერიკული ხორბალი შეემატა.

ფერმერთათვის დიდი ხნის წინ დაპირებული ჯერ - 2000 ტონა „ჯაგერის“ ჯიშის ამერიკული სათესლე ხორბალი ჩვენს ქვეყანაში წინამორბედი ხელისუფლების დროს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დავალებით, ს.ს. „სოფლის მეურნეობის კორპორაციამ“ ჩამოიტანა. როგორც ცნობილია, ხორბლის თესლი კანზასსა და ოკლაჰომაში იქნა შექმნილი. „ჯაგერი“ უმაღლესი ხარისხის „ელიტის“ ხორბლის პირველი რეპროდუქციაა, ამიტომ მაღალ მოსავალს იძლევა, ჰექტარზე - 3-4 ტონას, რაც ქართული და რუსული ჯიშის ხორბლის მოსავლიანობას ბევრად აღემატება („ელიტური“ ჯიშების ხორბლის თესლი კი 5 ტონა მოსავალს იძლევა).[114]

როგორც იმჟამად სოფლის მეურნეობის სამინისტროში განაცხადეს, „ჯაგერი“ გვალვას კარგად იტანს და ხორბლის დაავადება - ჯანგას მიმართ გამძლეობითაც გამოირჩევა.[115] აქამდე საქართველოში ადგილობრივ, ქართული ჯიშის ხორბალთან ერთად, რუსეთსა და უკრაინიდან შემოტანილი ხორბალი ითესებოდა. ფერმერების აზრით, ყველაზე გამძლე და პოპულარული - რუსული ხორბლის ჯიშები გამოდგა, მაგრამ მოსავლიანობა დაბალია და ხარისხიც ყოველწლიურად უარესდება.[116]

1 კგ. ამერიკული სათესლე ხორბალი 1 დოლარი ღირს, რასაც დაზღვევის ხარჯიც ემატება, დაახლოებით, 5-10 ცენტი. მიუხედავად იმისა, რომ ფერმერებს ფასი ეძვირებოდათ, მეტი მოსავლის მიღების იმედით, რისკზე წავიდნენ.

სოფლის მეურნეობის ყოფილი მინისტრის, ბაკურ კვეზერელის მიხედვით, აღნიშნული პროგრამა მნიშვნელოვანი იყო საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის. [117]

„ქრისტიან-დემოკრატიული“ პარტიის ერთ-ერთი ლიდერის, მაგდა ანიკაშვილის აზრით, ამერიკიდან საქართველოში გენმოდირეცირებული სათესლე ხორბლის შემოტანა მოხდა. „ქრისტიან-დემოკრატიული“ პარტიის მოსაზრებით, ეს მიუღებელია, რადგან გენმოდირეცირებული თესლის დათესვა ადგილობრივი ენდემური ჯიშების გადაშენებას უწყობს ხელს.[118]

ძალზე საინტერესო გახლავთ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების ყოფილი მინისტრის, ნინო ჩხობაძის მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც, თესლის მწარმოებელი ე.წ. მულტინაციონალური კომპანიები, რომლებიც აწარმოებენ გენმოდირეცირებულ პროდუქციას, გასაღების ბაზარს ეძებენ, ასეთი ბაზარი კი, როგორც ჩანს, საქართველოში აღმოაჩინეს.[119]

უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი, შეიძლება გარდუვლად ითქვას, წინასწარგაცნობიერებულად ზიანის შემცველი მოქმედება საქართველოს იმჟამინდელი ხელისუფლების მხრიდან, როგორცაა, გენმოდირეცირებული

საქონლის შემოტანა ჩვენს ქვეყანაში, „სუფთა წყლის“ ნეოლიბერალური პოლიტიკის ნაწილი გახლდათ, რაც უფრო მეტად ნიშანდობლივია, რომ სწორედ ამერიკიდან მოხდა, ანუ ნეოლიბერალური გლობალიზაციის (ან, „ამერიკანიზაციის“) მთავარი სუბიექტიდან.

საერთოდ კი უნდა შევნიშნოთ, რომ გენმოდისციკრებული პროდუქტების მომხმარებელი კომპანიების შავი სია სხვადასხვა ბეჭდურ თუ ვირტუალურ მედიაში ოფიციალურად და ღიადაა გამოქვეყნებული [120], და ზოგადად ამ თემის არა მხოლოდ მსოფლიო, არამედ, საქართველოს მასშტაბითაც აქტუალურობის გამო, მისი გაცნობა, ბუნებრივია, ქართული საზოგადოებისთვისაც უაღრესად მნიშვნელოვანია.

ზემოგანხილულ თემატიკასთან მიმართებაში საინტერესოა თავად სოფლის მეურნეობის სამინისტროს იმჟამინდელი პოლიტიკის ანალიზიც, რისთვისაც მნიშვნელოვან საფუძველს ქმნის იმგვარი დოკუმენტის განხილვა და გააზრება, როგორცაა მოცემული დროის „სოფლის მეურნეობის სამინისტროს სტრატეგიული ხედვა“. აღნიშნული სტრატეგიული დოკუმენტი განსაზღვრავდა საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების მიმართულებებსა და პრინციპებს, რომლის მიხედვითაც აგრარულ პოლიტიკაში მთავარი როლი კერძო სექტორს ენიჭებოდა, რაც ამ პოლიტიკის ამომავალ პრინციპს წარმოადგენდა. შესაბამისად, სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიზანი გახლდათ ხელსაყრელი ბიზნეს-გარემოს შექმნა და კერძო ინვესტიციების წახალისების უზრუნველყოფა. ნეოლიბერალური პოლიტიკის განმახორციელებელი სამინისტრო იმედოვნებდა, რომ ამ ინვესტიციათა უმეტესი წილი მიმართული იქნებოდა აგრარულ ექსპორტზე, რომლის უკიდურესი პრიორიტეზაციისა და, ზოგადად, სასოფლო-სამეურნეო სექტორში საბაზრო მექანიზმების დანერგვის მიზნით, სამინისტროს მიაჩნდა, რომ არაკონკურენტუნარიანი კულტურების წარმოებიდან ამოღების შედეგად, განთავისუფლებული მიწის რესურსები შესაძლოა გამოყენებული ყოფილიყო უფრო მაღალი ღირებულების და საექსპორტო პოტენციალის მქონე კულტურების მოსაყვანად (მაგალითად, ჩაის ძველი პლანტაციების ჩანაცვლება ახალი წარმატებული საექსპორტო საქონლით - თხილით, დაფნის ფოთლით, მოცვით და ა.შ.). სტრატეგიულ ხედვაში აღნიშნულია, რომ სამინისტრო ხელს შეუწყობდა სოფლის საოჯახო მეურნეობების შემოსავლიან საქმიანობებში ჩართვას, სოფლად სიღარიბის დაძლევის მიზნით. ხოლო, შემდგომ პრიორიტეტს კი, თუნდაც დეკლარაციის დონეზე, წარმოადგენდა საქართველოს მოქალაქეთათვის ბაზარზე ხელმისაწვდომი და უვნებელი სურსათის მიწოდება. პირველადი და გადამამუშავებელი აგრარული წარმოების განვითარების თვალსაზრისით, სამინისტროს როლი მდგომარეობდა აგრარული სექტორის საჭირო ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფაში. [121]

ამავდროულად, სოფლის მეურნეობის იმ კრიზისული მდგომარეობიდან გამომდინარე (რომელიც მომავალში, უფრო მეტად პროგნოზირებადი გახლდათ, რომ არა თუ მოგვარდებოდა, არამედ, უფრო გაღრმავდებოდა კიდევ,

თანაც შეუქცევად, სწორედ - ნეოლიბერალური პოლიტიკის გაგრძელების პირობებში), რაც საქართველოს მცირემინიანობასთან და შესაბამისად, მოსავლის, უპირველეს ყოვლისა, საექსპორტო კუთხით - არაპროდუქტიულობასთან, წარმოების ტექნოლოგიური საშუალებების მოძველებულობასა და მათი მოდერნიზაციის სირთულეებთან, ასევე, ქართული აგრარული წარმოების, პირველ რიგში - საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის საკმაოდ დიდ სირთულეებთან გახლდათ დაკავშირებული, რა პრობლემაც ცალსახად, საბაზრო ეკონომიკასა და, შესაბამისად, საექსპორტო საქონელზე გოტალური ფოკუსირების გამო, საქართველოს წინამორბედი ხელისუფლების - ნეოლიბერალური პოლიტიკის შედეგი იყო (არასაექსპორტო საქონლის წარმოების სტიმულირებისა და სახელმწიფოს მიერ მისი შესაბამისი სუბსიდირების შემთხვევაში, საქართველოს სოფლის მეურნეობა, რომელიც, ჩვენი ქვეყნის ტრადიციული აგრარულობიდან გამომდინარე, მისი ერთ-ერთი საძირკველია, ბუნებრივია, გაცილებით უმტკივნეულოდ გადალახავდა ამ კრიზისს, რომელიც მას არც ექნებოდა, ან, ყოველ შემთხვევაში, ამ მასშტაბით არა, რომ არა აღნიშნული - ნეოლიბერალური პოლიტიკა), საქართველოს წინამორბედ ხელისუფლებას, ევროკავშირის ოფიციალური შეფასებით, სოფლის მეურნეობის განვითარების არათანმიმდევრული სტრატეგია ჰქონდა[122]. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მაშინდელი მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობის თითქმის ნახევარი, 2,1 მილიონი ადამიანი - სოფლად ცხოვრობს, ხოლო დასაქმებულთა აბსოლუტური უმრავლესობაც - სოფლის მეურნეობის ამა თუ იმ დარგში საქმიანობს, მაშინ, როცა სოფლის მეურნეობის წილი ქვეყნის ეკონომიკაში სულ რაღაც 7%-ს შეადგენდა.[123]

დასაქმების რადიკალური ნეოლიბერალური სოციალური პოლიტიკა საქართველოში – დისკრიმინაცია ასაკობრივ ნიადაგზე

საქართველოში ნეოლიბერალური პოლიტიკის დამკვიდრების შემდეგ, ანუ, დაახლოებით – 2004 წლიდან, საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების ცალსახა და არც თუ მთლად კანონიერი გადანყვეტილებით, აქტიურად ხორციელდებოდა რადიკალურად დისკრიმინაციული დასაქმების პოლიტიკა, განსაკუთრებით – ასაკობრივ საფუძველზე, რაც გულისხმობდა 45-55 წელს გადაცილებული ადამიანების მასობრივ განთავისუფლებას, უპირველეს ყოვლისა, საჯარო სამსახურებიდან და ასევე, კერძო კომპანიებიდან, სადაც ახალგაზრდა დაქირავებულ მუშახელზე ყოველთვის ისედაც განსაკუთრებული მოთხოვნაა - ნეოლიბერალური საბაზრო ეკონომიკის პირობებში ადამიანთა კომოდიფიკაციის ზრდის ფონზე, კონკურენციის სულ უფრო და უფრო გაახალგაზრდავების ფეტიშიზაციის შესაბამისი მოთხოვნებიდან გამომდინარე.

გარდა იმისა, რომ ქვეყნის სპეციფიკიდან გამომდინარე, გაეროს და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის რეკომენდაციების გათვალისწინებით, შრომისუნარიან ადამიანთა დასაქმების ზედა ასაკობრივი ზღვა-რი არ გახლავთ დაწესებული, რადგანაც საპენსიო ასაკის მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობა ზოგადად საკმაოდ მაღალია, და მიუხედავად იმისა, რომ საერ-

თოდ ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის დასაქმებისა და უმუშევრობის შეფასება ხორციელდება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მეთოდოლოგიის და არა საქსტატის მიერ, საქართველოს დასაქმების „ნაციონალური“ პოლიტიკა ყოველივე ზემოაღნიშნულს ისევე იგნორირებას უკეთებდა, როგორც ადამიანთა შრომითი უფლებების დამცველ საერთაშორისოდ აპრობირებულ ინსტიტუციას – პროფკავშირებს და მათ როლს ადამიანთა შრომითი უფლებების დაცვაში საქართველოში; და ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის, რომ უპირველეს ყოვლისა, დემოკრატიის უნივერსალურად აღიარებული ძირეული ფასეულობის, ზოგადად ადამიანის უფლებათა (მათ შორის, ცხადია, იმგვარ საბაზისო უფლებათა, როგორიცაა შრომის, სოციალური დაცვის, სიცოცხლისა და ბედნიერების უფლებები) დაცვის კუთხით ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებდა საქართველოს ნეოლიბერალური ხელისუფლების – მძაფრად დისკრიმინაციული და სოციალურად ანტი-სამართლებრივი დასაქმების პოლიტიკა (რაც შრომის, ასევე საშინლად დისკრიმინაციულ კოდექსშიც დაუფარავად და ნათლად იყო ასახული), რომლის ლოგიკურად გასამართლებლად ვერავითარ არგუმენტად ვერ გამოდგება 45-55 წელს გადაცილებულ და ჯერ კიდევ საპენსიო ასაკს (საპენსიო ასაკი ქალთათვის – 60 წელია, ხოლო მამაკაცებისათვის – 65 წელი) არმიღწეულ ადამიანთა მასობრივად უმუშევრად და შესაბამისად, საზოგადოებრივად სრულიად უსარგებლოდ და უფუნქციოდ ქცევისათვის (რაც ეკონომიკურად და სოციალურად მათი სრულიად დაუცველად ჩამოყალიბების, მათთვის სხვადასხვა ფსიქოლოგიური და ჯანმრთელობის პრობლემების ხელოვნურად გაჩენის გარდა, მათ ფაქტობრივ და სრულ მარგინალიზაციას იწვევდა) მათი საბჭოთა განათლება, თუ ჯერ კიდევ ამგვარი მენტალობა, რაც, შესაძლოა, სრულიად გასაგებია კიდევ, რომ ვერ პასუხობს დღევანდელი ეფექტური შრომითი საქმიანობისათვის საჭირო თანამედროვე სტანდარტებს. ჯერ ერთი, რომ სამუშაოებიდან განთავისუფლების ზემოაღნიშნულ კამპანიას ძალზე დიდი რაოდენობით სრულიად არაკორუმპირებული და მაღალი დონის პროფესიონალი შეენირა და სახელმწიფოს მხრიდან გამოსავალი მათი თუნდაც პროფესიული გადამზადება და სულაც არასრულ სამუშაო განაკვეთზე დასაქმება იქნებოდა, და მეორეც, დაუშვებელი იყო საზოგადოების ერთ-ერთი საკმაოდ მრავალრიცხოვანი ნაწილის, თუნდაც საბჭოთა მენტალიტეტის მქონე ან ნებისმიერ მდგომარეობაში მყოფი ადამიანების სრული იგნორირება და მათთვის ყოველგვარი საარსებო საშუალების მისაწვდომობის ოფიციალური ჩამორთმევა. საქმე იმაშია, რომ ამასთან, ეს ასაკობრივი კატეგორია არ გახლდათ არც საპენსიო ასაკის და, მაშასადამე, მათ სახელმწიფო არც პენსიებით არ უზრუნველყოფდა, თუნდაც მინიმალური და არარეალური თანხებით, და ჩვენი სახელმწიფო ასევე, არც უმუშევართა შემწეობას არ გასცემდა. ამ ფონზე მაშინდელი ხელისუფლების რიტორიკა, რომ ეს ადამიანები თავიანთი შვილების იმედად უნდა ყოფილიყვნენ, მით უფრო სიყალბედ ყდერს, რომ მასობრივად არც შრომისუნარიანი ახალგაზრდა ასაკის ადამიანებისათვის არ გახლდათ თუნდაც საარსებო მინიმუმისათვის სამყოფი დასაქმება ხელმისაწვდომი, რაც ქვეყანაში მზარდი ელიტური კორუფციის გაუგონარი მასშტაბებით იყო განპირობებული. ამდენად, იმჟამად შექმნილი ვითარება, განსაკუთრებით – 45-55

წელს გადაცილებულ ადამიანთა არსებობასთან დაკავშირებით, აბსოლუტურად წარმოუდგენელი პრეცედენტი გახლდათ. აქ აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ აღნიშნულ ასაკობრივ კატეგორიაში მყოფი ზოგიერთი ადამიანის მაღალი დასაქმებისა და სოციალური სტატუსის საკითხი პირდაპირ გადიოდა მათ პირად მიკუთვნებულობაზე პოლიტიკური და მამასადამე, ხშირად, ფინანსური ელიტისადმი, რაც თითქმის სრულიად ურთიერთგანმაპირობებელი იყო ჩვენი ქვეყნის მაშინდელ რეალობაში. უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი მომენტიც, რომ ქართულ ნეოლიბერალურ დასაქმების პოლიტიკას ანალოგი თანამედროვე, თვით ყველაზე ნეოლიბერალურ ეკონომიკურ სისტემებშიც კი არ ჰყავს, მათ შორის, არც ამ მხრივ იმგვარ კლასიკურ ქვეყანაშიც, როგორც – აშშ-ა.

ზემოთ ხაზგასმული ასაკობრივი კატეგორიის ადამიანთათვის დასაქმების რეალური ხელმისაწვდომობის კუთხით, კრიტიკული მდგომარეობისგან განსხვავებულ ვერსიას გვთავაზობდა, მართალია, არასიცოცხლისუნარიანი, მაგრამ ფორმალურად საქართველოში უმუშევრობის პრობლემის დასაძლევად მიღებული ე.წ. სახელმწიფო პროგრამები, რომლებიც ოფიციალურად - 45-55 წელს გადაცილებულ ადამიანებზეც ვრცელდებოდა; ეს მეთოდები ძირითადად გამოიყენებოდა სტრუქტურული უმუშევრობის დროს (მაშინდელი მონაცემებით, უმუშევრობის მაჩვენებელი საქართველოში 16,3% იყო[124]). მაგალითის სახით შეგვიძლია მოვიყვანოთ 2007-2008 წლების დასაქმების პროგრამა[125], რომელიც 25-60 წლის ასაკის ადამიანებზე იყო გათვლილი. თუმცა აღნიშნულმა პროგრამამ ვერ უზრუნველყო მოსახლეობის სათანადოდ კვალიფიცირება. დაპირებული სტიპენდიის აღებით, მოსახლეობის ნაწილს დროებით შეუძლებუქდა სიღარიბე, თუმცა სამსახური ვერ იშოვეს და უმუშევრობა კვლავ პრობლემად დარჩა.

ამიტომ, ზოგადად საჭიროა კვალიფიკაციის ამალღების უფრო რეალური პროგრამების შემუშავება, რათა უმუშევრებს გადამზადების შედეგად გრძელვადიანი დასაქმების საშუალება მიეცეთ. ამ მხრივ მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო გადადგმული თბილისის მერიის მხრიდან. ეს უკანასკნელი ნებისმიერ მოქალაქეს (23 წლის ასაკიდან) აძლევდა შანსს, სახლთან ახლოს, გამგეობის სტრუქტურულ ერთეულებში, უფასოდ შეესწავლა ინგლისური ენა და კომპიუტერი. სწავლის წარმატებით დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებულებს სერტიფიკატები გადაეცათ. მათი მონაცემები თბილისის მერიაში არსებულ დასაქმების მსურველთა ერთიან ბაზაში აღირიცხა.

საქართველოში, განსაკუთრებით იმჟამინდელი უმუშევრობის გამომწვევ მიზეზებს შორის შეგვიძლია გამოვყოთ:

- ფართომასშტაბიანი ნეოლიბერალური გლობალიზაციის პროცესი;
- საქართველოს წინამორბედი ხელისუფლების რადიკალური, „ჯუნგლური თვითგადარჩენის“ პრინციპზე დამყარებული ნეოლიბერალური პოლიტიკური კურსი;

- გარკვეული სახის სფეროებში აქტიური სამუშაო ძალის კვალიფიკაციის დაბალი დონე;
- ეფექტური დასაქმების სააგენტოებისა და სამსახურების არარსებობა;
- შრომითი ბაზრის მონეობის მაშინდელი არასწორი პოლიტიკა;
- ეფექტური პროფკავშირების არარსებობა;
- მზარდი ურბანიზაცია და სხვ.

აღნიშნული პრობლემის გადაჭრამდე საჭიროდ მიგვაჩნია:

- უმუშევრობის რაოდენობრივი მაჩვენებლის დადგენა;
- მარეგულირებელი პოლიტიკის მიზნების განსაზღვრა;
- გრძელვადიანი, ეფექტიანი სტრატეგიის შემუშავება უმუშევრობის აღმოსაფხვრელად.

უმუშევრობა დღედე მეტად აქტუალური პრობლემაა, რომლის დაძლევაში მთელმა სახელმწიფომ, როგორც ხელისუფლებამ, ასევე, მთლიანად საზოგადოებამ, ერთად უნდა მიიღონ გადამჭრელი ზომები. ჩვენი ღრმა რწმენით, მთავრობის ვალთა საჭირო რეფორმებისა და ღონისძიებების (საგადასახადო სისტემის მართლაც რომ - ლიბერალიზაცია, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით; ხარჯების ეკონომია; დაბალმწარმოებლური დარგების სახელმწიფო სუბსიდირება; მცირე ბიზნესის ხელშეწყობა; განათლების სფეროს სახელმწიფო მხარდაჭერა; კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა; საპენსიო კანონმდებლობის სრულყოფა; უმუშევართა შემწეობების გაცემა; ნახევარგანაკვეთიანი სამუშაო ადგილების შექმნა; ინფორმაციის მობილურობა შრომის ბაზარზე) გატარება, რათა ხელი შეეწყოს ეკონომიკის და, ამ შემთხვევაში, დასაქმების პოლიტიკის წარმატებას. საზოგადოებამ კი, თავის მხრივ, უნდა იგრძნოს პასუხისმგებლობა ქვეყნის წინაშე, ისინი უნდა იყვნენ პატიოსნები და მომთხოვნები, როგორც მომუშავეს, ასევე დამსაქმებლის როლში.

ბიზნესმენტა, სხვა მენარმეთა და უბრალო მოქალაქეთათვის ქონების ჩამორთმევა - ექსპროპრიაცია

როგორც ჩვენი საზოგადოებისათვის საყოველთაოდ ცნობილია, საქართველოს რევოლუციურმა ხელისუფლებამ (მართალია სახელმწიფოს სახელით, თუმცა, როგორც მალევე გამოირკვა, არა სახელმწიფომ, და ეს ძალზე მნიშვნელოვანია) ხელისუფლებაში მოსვლისთანავე დაიწყო და 2004-2007 წლებში აქტიურად აწარმოებდა მთელ რიგ ქართველ და უცხოელ ბიზნესმენტა, სხვადასხვა მენარმეთა თუ უბრალო მოქალაქეთა მფლობელობაში არსებული

ქონების პირდაპირ და ღია ჩამორთმევას, ან წართმევას, რომლისთვისაც ტერმინ „ექსპროპრიაციის“ დარქმევა ნამდვილად გაგვიჭირდება, ყოველ შემთხვევაში, ტრადიციული „მემარცხენე“ ან თუნდაც საბჭოური გაგებით, რადგანაც ასეთ შემთხვევაში სახეზე იქნებოდა სახელმწიფოს, და არა ხელისუფლებაში მყოფი ადამიანების მიერ მდიდარ მავანთა მფლობელობაში არსებული, ხშირ შემთხვევაში უკანონოდ დაგროვებული ქონების კონფისკაცია, რომელიც უკვე მომდევნო ეტაპზე, ანუ კონფისკაციის შემდეგ დაექვემდებარებოდა ნაციონალიზაციას ანუ განსახელმწიფოებრივებას. მაგრამ, ჩვენს შემთხვევაში და წარსულ რეალობაში ეს უკანასკნელი ნამდვილად არ გახლდათ ასე, არამედ, თუნდაც ექსპროპრიაციის შემდეგ, ძირითადად სწორედაც რომ აბსოლუტურად უკანონოდ ჩამორთმეული ქონება, როგორც წესი, არა სახელმწიფოს, არამედ, სხვა კერძო პირთა, როგორც წესი, იმჟამად ხელისუფლებაში მყოფ პოლიტიკოსთა, მათთან დაახლოებულ ბიზნესმენტთა თუ მაშინდელი მთავრობის წევრთა ნათესავებისა და ახლობლების ხელში გადადიოდა, რაც, ცხადია, ძალზე შორს დგას ექსპროპრიაციის „მემარცხენე“ სულისკვეთებისგან და პრაქტიკულად - რადიკალური ნეოლიბერალური განუკითხაობა (თანაც ძალზე „ქართული“ მოვლენა), სადაც „მართალი“ ყოველთვის უფრო მდიდარი და ძალაუფლების მქონეა და, სადაც კანონებსა და სამართალს მხოლოდ პირობითი, ფორმალური, და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, შერჩევითი სახე შეიძლება ჰქონდეს.

მაშინდელ ქაოტურ და „ჯუნგლურ“ ქართულ ნეოლიბერალურ რეალობაში, რომელიც მართლაც განსაკუთრებით წააგავდა მაგალითად, აშშ-ში კაპიტალიზმის დამკვიდრების სანყის ფაზას, ე.წ. ველურ კაპიტალიზმს, მაგრამ, რა თქმა უნდა, ამ ყოველივეს „ქართული“ მარაზმატიკული, სხვათა შორის, ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში გამოწრთობილი არალეგალური „დელეცობითა“ და უკანონობით „დამშვენებული“, ნამდვილად არ გახლდათ მარტივი თითქმის განუსაზღვრელი ძალაუფლებით მოსარგებლე, ასევე საოცრად ქაოტური, თავისი პოლიტიკური კურსით არც ისე თანმიმდევრული ან უკვე ყოფილი ხელისუფლების ქმედებათა ადეკვატური შეფასება. თუმცა, მიუხედავად ურთიერთინააღმდეგობრივი და ხშირად ურთიერთგამომრიცხავი მოქმედებებისა, მაინც შესაძლებელია თუნდაც გარკვეული პირობითი ტერმინოლოგიით აღვნიშნოთ და, მაგალითად, მაშინდელი მთავრობის მიერ სხვადასხვა ადამიანებისათვის ქონების არც ისე იშვიათ შემთხვევებში - სრულიად უსამართლოდ და უკანონოდ ჩამორთმევას, ან წართმევას - „მოკლევადიანი ექსპროპრიაცია“ ვუნოდოთ, ისიც - შეიძლება ითქვას, რომ ძალზე პირობითად, რადგანაც ექსპროპრიაციის სრული პროცესი ფაქტობრივად არცერთ შემთხვევაში - ბოლომდე არ იქნა განხორციელებული, ანუ არცერთი, თუნდაც „ექსპროპრირებულად“ მიჩნეული ქონება სახელმწიფო საკუთრებაში აღარაა და აღარაა ნაციონალიზებული, თუკი, რა თქმა უნდა, ოდესმე მაინც ყოფილა აღნიშნული ქონება ნამდვილად სახელმწიფოსათვის გადაცემული, ანუ - ექსპროპრირებული.

შექმნილ ვითარებაში ერთი რამ კი ნამდვილად გახდა ცხადი, კერძოდ ის, რომ, მაშასადამე, ხელისუფლებაში მოსვლის სანყის ეტაპზე თუკი „მემარცხ-

ენე“ მიდგომის რაიმე ჩანაფიქრი მაინც ჰქონდა წინამორბედ მთავრობას და თუკი, მართლაც უკანონოდ დაგროვებული ქონება ჩამოართვა განსაკუთრებით იმისწინა ხელისუფლების დროს დაწინაურებულ მდიდარ მავანთ და ეს ჩამორთმეული ქონება სახელმწიფო საკუთრებაში თუკი მაინც გადასცა, ცხადია, რომ ამგვარი, ერთგვარად რადიკალური „მემარცხენე“ და შესაძლოა, უფრო აქტუალურად რომ ვთქვათ, „ბოლშევიკურად“ სამართლიანი პოლიტიკური დისკურსი შემდგომ არათუ არ გაგრძელებულა, არამედ, საბოლოოდ, რადიკალური ნეოლიბერალური სახე მიიღო. სხვაგვარად, სამწუხაროდ, ვერაფრით შევაფასებთ მენარმეთა თუ უბრალო მოქალაქეთათვის სხვადასხვა ქონების - იძულების წესით სრულიად უკანონო ჩამორთმევას, ყველასათვის კარგად ცნობილი - ადამიანთა საკუთარი საცხოვრებელი სახლებიდან თუ ბინებიდან, ასევე სრულიად უკანონო გამოდევნას (თანაც, დაზარალებულთათვის ხშირად - ყოველგვარი კომპენსაციის გარეშეც კი) თუ ქონების იძულების წესით სრულიად უკანონოდ ჩამორთმევას მესაკუთრეთათვის, რისი ჩამონათვალის ნაწილს საჯარო სივრცეში პირდაპირ ახმოვანებდა მაგალითად, იურისტი, „კანონი ხალხისთვის“ ასოციაციის ხელმძღვანელი, ზაქარია ქუცნაშვილი თავის ინტერვიუში [126], ჟურნალ „თბილისელებში“ - 2010 წლის 3 მარტს, რომელიც თავისი ორგანიზაციის ფარგლებში აწარმოებდა კამპანიას სახელწოდებით - „სამართლიანობის აღდგენისათვის“, რომლის ერთ-ერთი ნაწილი - სწორედ უკანონოდ ქონებაჩამორთმეული პირებისათვის ქონების დაბრუნება გახლდათ.

ჩვენს მსჯელობას რომ თანმიმდევრულად გავყვეთ, კარგად უნდა გავანალიზოთ და ადეკვატური სახელდება მოვახდინოთ მაშინდელი ხელისუფლების მიერ წარმოებული „მაქინაციური“, როგორც ზემოთაც უკვე გაირკვა, თავისი არსით სრულიად ნეოლიბერალური და თანაც, ფაქტობრივად, „ჩრდილოვანი“ ან ხშირად, კრიმინალური პოლიტიკისა; მაშასადამე, 2004-2007 წლებში მთავრობა პირდაპირ და ღიად, ხოლო 2008 წლიდან კი შენიღბულად და არაპირდაპირ ახორციელებდა სხვადასხვა სოციალური კატეგორიის ადამიანთა (მსხვილ ბიზნესმენტთა, წვრილ მენარმეთა თუ უბრალო მოქალაქეთა) არ აქვს მნიშვნელობა, კანონიერად თუ უკანონოდ შექმნილი ქონების ჩამორთმევას (ქონების წართმევის არაპირდაპირ და ძალზე ეფექტურ ფორმებს შორის ყველაზე გავრცელებული იყო: საწარმოსათვის მაგალითად, გადასახადების ან ჯარიმების უკანონოდ დარიცხვა, რითაც, კოსმიური თანხების გადახდის ხშირ შემთხვევაში სრული უუნარობის გამო, მენარმეებს აიძულებდნენ დაეთმოთ თავიანთი წილები ან საწარმოები; ასევე, არსებობდა ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური გზა - ბიზნესის მიზანმიმართული გაკოტრება და შემდგომ, ამავე ბიზნესის გამკოტრებელი ხელისუფლების მიერ წარმოება, რასაც მაგალითად, საწარმოსთვის ასევე გადასახადების ან ჯარიმების უკანონოდ დარიცხვით ან საგადასახადო კონტროლის სამი მექანიზმიდან ერთ-ერთის, ყველაზე ხშირად, სახელმწიფო დაკვირვების კონტროლიდან - საკონტროლო შესყიდვისა და ინვენტარიზაციის არჩევით იწყებდნენ, რაც უკავშირდებოდა, უპირველეს ყოვლისა, საწარმოს დალუქვას და თუმცა, კანონით განსაზღვრული გახლდათ, რომ დალუქვას არ უნდა მიეყენებინა ზიანი მენარმე-სუბიექტის საქმიანობისათვის, მაგრამ მისი ვადა არ იყო განსაზღვრული, და საწარმოს ორი

ან მეტი თვის განმავლობაში ლუქავდნენ, რა პერიოდშიც ის კარგავდა თავის კლიენტს და რალაც პერიოდის შემდეგ რომც დაბრუნებულიყო კიდევ სანარმო საქმიანობაში, ბაზარზე დიდი სეგმენტი მას უკვე დაკარგული ექნებოდა და, ბუნებრივია, ყველაფერი თავიდან უნდა დაეწყო. აღნიშნული კურსის გასატარებლად, მაშინდელმა ხელისუფლებამ სცადა კანონების მათ ინტერესებთან შესაბამისობაში მოყვანაც. მაგალითად, მოქმედი კანონმდებლობით, პატიმართა ანდერძებსა და რწმუნებულებებს ამონმებდა და ნოტარიუსის უფლებებით სარგებლობდა ციხის უფროსი (ასევე, გემზე - გემის კაპიტანი, ხოლო საავადმყოფოში - საავადმყოფოს ხელმძღვანელი), რაც თავისთავად, ლოგიკას მოკლებული ნამდვილად არ იყო (ცხადია, ხანდაზმულ პატიმრებს (მათი რიცხვი განსაკუთრებით დიდი იყო წინა ხელისუფლების ძირითადად პირადი მოტივებით სხვადასხვა სოციალურ საფეხურზე მდგომ ადამიანთა დაპატიმრებების გამო), გემზე მომუშავეებს და ავადმყოფებს ნოტარიუსის მომსახურება შესაძლოა დაუყოვნებლივაც, ანუ, ადგილზე დასჭირვებოდათ, რისთვისაც წესით, ასევე, გარედან ნოტარიუსის შემოყვანის უფლებაც უნდა ჰქონოდათ სამართლიანობისათვის), მაგრამ, 2009 წელს კანონში შესული ცვლილებით, სასჯელაღსრულების დანესებულებათა დირექტორებს ეს უფლებები აღარ მიენიჭათ, თუკი მათ ხელი არ მიუწვდებოდათ ელექტრონული სანოტარო რეესტრის ბაზაზე, რაც, გარდა იმისა, რომ მთელი ქვეყნის მასშტაბით ინარმოებდა და მისი შემონმების საშუალებაც იქნებოდა (დადებითი მომენტი), მეორეს მხრივ, საშუალებას აძლევდა მაშინდელ ხელისუფლებას - გაეგობუნებთ კონფიდენციალური ინფორმაცია, ანუ, ვინ ვის და რაში ენდობოდა, ვინ ვის რა მიჰყიდა, რა აჩუქა ან უანდერძა და ა.შ. ამით წინამორბედი ხელისუფლება საქმეს იმარტივებდა და თუკი ნახავდა, მაგალითად, რომ მავანი მავანს ენდობა, პირველ მავანზე ინფორმაციის მოსაძიებლად მეორე მავანის ოფისს გატეხდნენ, მაგალითად, და იქ იპოვნდნენ მათთვის საინტერესო მასალებს; ანუ, ხელისუფლებას ამ შემთხვევაში ნოტარიუსის გარეგანაც აღარ მოუწევდა საქმეში და მისი ინფორმაციის გაცემაზე თანხმობის თუ დაუთანხმებლობის გარეშეც, რისი უფლებაც ნოტარიუსს აქვს - არ გასცეს კონფიდენციალური ინფორმაცია, თუ გარიგება არაა საეჭვო, იმჟამინდელი ხელისუფლება კარგად მოახერხებდა ინფორმაციის პირდაპირ მიღებას. კიდევ ერთი ინფორმაცია საკანონმდებლო სფეროდან; 2008 წელს შეტანილ იქნა ცვლილება სამენარმეო საქმიანობის შესახებ კანონში და თუკი ცვლილებამდე, როცა სამენარმეო რეესტრში აღირიცხებოდა ესა თუ ის სანარმო, ფიქსირდებოდა მისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, დაფუძნების თარიღი, დირექტორის ვინაობა და დამფუძნებელთა მონაცემები, 2008 წლიდან ამოგდეს ინფორმაცია დამფუძნებელთა თაობაზე, რითაც რეალურად ჩრდილში გადაიტანეს ქონების წართმევა-ჩამორთმევის, ქონების ოჯახის ნევრებსა და ახლობლებზე გადაცემის საკითხები, თუმცა შემდეგ დაფიქრდნენ და მიხვდნენ, რომ თუ ამას გაასაიდუმლოებდნენ, ეს ინფორმაცია მათთვისაც გასაიდუმლოებული დარჩებოდა. ამიტომაც, კანონში შეიტანეს ცვლილება, რის მიხედვითაც, ყველა შპს-ს დირექტორი ვალდებული იყო, წლის ბოლოს, დეკემბრის ბოლო დეკადაში წარმოედგინა ცნობა სამენარმეო რეესტრში, ხომ არ

მოხდა რაიმე ცვლილება იმ წლის განმავლობაში დამფუძნებელ-პარტნიორთა შორის; ანუ მაშინდელმა მთავრობამ დაიტოვა უფლება, თვითონ ყოფილიყო ინფორმირებული, მოქალაქე კი - არა და ეს უკანასკნელი რომ დაინტერესებულიყო მაგალითად, ვინაა ამა თუ იმ ტელევიზიისა თუ რომელიმე საწარმოს მესაკუთრე, მაშინდელი ამონაწერი ამას ვერ შეიტყობდა.[127] ამ ყოველივეს შესახებ ინფორმაცია დაწვრილებითაა გადმოცემული ზაქარია ქუცნაშვილის ზემოხსენებულ ინტერვიუში;[128]) და შემდგომ, საქმე ეხება სუბიექტის(ების) ფორმალური თუ არაფორმალური ტენდერის, ან პირდაპირი საშუალებებით ძირითადად - საკუთარი გარემოცვის წევრთათვის გადაცემას ან რაიმე საფასურის სანაცვლოდ (ეს გარიგებებიც მხოლოდ მონაწილეთა პირად ჯიბეებს მოიცავდა), ან ყოველგვარი საფასურის გარეშე. როგორც უკვე ზემოთაც აღვნიშნეთ, კლასიკური ექსპროპრიაციის შემთხვევა იქნებოდა ის, რომ მხოლოდ უკანონოდ შექმნილი ქონება ჩამოერთმია, ისიც სახელმწიფოს და არა ხელისუფლებაში მყოფ კერძო პირებს, - მფლობელთათვის და ისიც, მხოლოდ - სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემით და არა კვლავ საპრივატიზაციოდ ან იმჟამინდელი მთავრობის გარემოცვის წევრთაგან პირდაპირი დაპატრონებით. ასე, რომ ტერმინი „მოკლევადიანი ექსპროპრიაცია“ ზემოთ დალზე პირობითად ვახსენეთ წინა ხელისუფლების იმ ქმედებათა თეორიული დაშვების აღსანიშნავად, თუკი მათ ხელისუფლებაში მოსვლის სანყის ეტაპზე მაინც, სწორედ - უკანონოდ დაგროვილი ქონება ჩამოართვეს მავანთ და მისი ნაციონალიზაცია მოახდინეს შემდგომ, ანუ, „მემარცხენულად“ ან საბჭოურად მოიქცნენ, რისი მაგალითებიც, ობიექტურად რომ გავიაზროთ, ნამდვილად ძალზე რთული გასახსენებელია ჩვენი უახლესი ისტორიიდან - სხვადასხვა, განსაკუთრებით ფასადური, მხოლოდ ვიზუალური ასპექტების მიუხედავად, სხვათაშორის იმავე - საბჭოთა კავშირისგან განსხვავებით, თუმცა ეს კიდევ ცალკე ანალიზის საკითხია. ასე, რომ ფორმით გარკვეული მსგავსებების მიუხედავად, რეალურად არავითარ „მემარცხენეობასთან“ ჩვენს მაშინდელ ხელისუფლებას კავშირი, ცხადია, რომ არც არასდროს ჰქონია, გარდა - არჩევნებისწინა საკმაოდ „მემარცხენული“, ოღონდ - პოპულიზმისა; და თუკი წინა ხელისუფლების რაიმე „მემარცხენულ“ ნაბიჯს ან ქმედებას წავაწყდებით სადმე შემთხვევით, ესეც ძირითადად პრაქტიკულად მხოლოდ მათი პოლიტიკური ოპონენტების მიერ ანგაჟირებული და მსხვილი საარჩევნო ქულების მომტანი პოპულარული საკითხებია, როგორიცაა პენსიების ოდნავი ზრდა, თუ ა.შ.

დღემდე ჩვენს ქართულ რეალობაში ძალზე მნიშვნელოვანი კითხვა ისმის იმასთან დაკავშირებით, თუ რა შეიძლება დაერქვას ყოველგვარი სოციალური სტატუსის მიუხედავად ადამიანთა კუთვნილი, კანონიერი გზით შექმნილი ქონების ჩამორთმევასა, რომელსაც კიდევ ერთხელ რომ აღვნიშნოთ, ექსპროპრიაციას ვერაფრით ვუნოდებთ, და გასხვისებას ან საკუთარი გარემოცვის წევრებს შორის რედისტრიბუციას, გარდა - უმაღლესი ხელისუფლებით მოსარგებლე პირების მიერ, რბილი ნათქვამი იქნებოდა - უფლებამოსილების გადაჭარბებისა და ბოროტად გამოყენებისა, თუმცა კანონის ენაზე, რა თქმა უნდა, აღნიშნულიც სახეზეა, თუმცა არა მხოლოდ, და ასევე, თავისუფლად შეგვიძლია ვუნოდოთ ჯგუფური ორგანიზებული დანაშაული, აბსოლუტუ-

რად უკანონო და შეუწყნარებელი კრიმინალი, რომელსაც საფუძველშივე მხოლოდ ნეოლიბერალური ფესვები და განშტოებები აქვს. ნინამორბედი ხელისუფლების ამგვარი მასობრივი დანაშაულების მოტივები სხვადასხვა სოციალური კატეგორიის ადამიანებთან მიმართებაში, სხვადასხვა შემთხვევაში განსხვავებული იყო; ზოგ შემთხვევაში მავანი ან პოლიტიკური ოპონენტი გახლდათ, ზოგისადმი პირადი ანგარიშსწორების, ბიზნეს-ინტერესების ფარული კონფლიქტისას კონკურენტის და ა.შ. თავიდან მოშორების სურვილი და სხვ. არსებობდა. დაშვების მეთოდით რომ შევაფასოთ, თუნდაც ექსპროპრიაცია რომ განეხორციელებინა მთავრობას რომელიმე უკანონოდ შექმნილი ქონების, მისი შემდგომი გასხვისება, თუნდაც ღია და გამჭვირვალე ტენდერით ან აუქციონით - თავისთავად ზოგადად სამართლიანობისა და კანონიერების ჩარჩოებში ნაკლებად ჯდება, აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ უკვე გამორიცხავს ტერმინ ექსპროპრიაციის გამოყენებას - არა განსახელმწიფობრიობის, არამედ, გასხვისების გამო. ხოლო, არაექსპროპრირებული ქონების - ნებისმიერი ფორმით ჩამორთმევა, თავისთავად, ცალსახად - კრიმინალია. ანუ, ორივე შემთხვევაში, მეტ-ნაკლებად საქმე გვაქვს ან ნეოლიბერალურ დანაშაულთან ან, სულ მცირე, უკანონობასთან და უსამართლობასთან მანაც.

ცხრილი 1. საქართველოს „ნაციონალური ხელისუფლების პოლიტიკა - საქართველოს სხვადასხვა სოციალური სტატუსის მქონე საქართველოს მოქალაქეთა ქონების პირდაპირი თუ არაპირდაპირი ჩამორთმევისა და შემდგომი გასხვისების შესახებ

ნინამორბედი ხელისუფლების „პოლიტიკა“	კლასიკური განსაზღვრება	არსებული მდგომარეობა
შევარდნაძის დროინდელი კორუმპირებული პოლიტიკოსებისა თუ ბიზნესმენთა უკანონოდ დაგროვებული ქონების ჩამორთმევა და სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემა	ექსპროპრიაცია და ნაციონალიზაცია	<p>I ეტაპი: არასრული „მოკლევადიანი ექსპროპრიაცია და ნაციონალიზაცია“ (სოციალურად ორიენტირებული ქცევა)</p> <p>II ეტაპი: სრული ნაციონალიზაცია - პრივატიზაცია ან არაფორმალური რედისტრიბუცია (ნეოლიბერალურად ორიენტირებული ქცევა) (ნეოლიბერალიზაცია)</p>

<p>სხვადასხვა სოციალური სტატუსის მქონე მოქალაქეთა კანონიერი გზით დაგროვებული ქონების ჩამორთმევა და სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემა</p>	<p>უკანონო ექსპროპრიაცია და ნაციონალიზაცია</p>	<p>I ეტაპი: უკანონო და არასრული, „მოკლევადიანი ექსპროპრიაცია და ნაციონალიზაცია“ (შესაძლოა ასე მოხდა.) (ადგილობრივი დანაშაულებრივი ნეოლიბერალური ქცევა)</p> <p>II ეტაპი: უკანონო სრული ნაციონალიზაცია - უკანონო პრივატიზაცია ან უკანონო არაფორმალური რედისტრიბუცია (შესაძლოა ასე მოხდა.) (ორმაგად დანაშაულებრივი ნეოლიბერალური ქცევა) („ჩრდილოვანი“, არალეგალური ნეოლიბერალიზაცია)</p>
<p>სხვადასხვა სოციალური სტატუსის მქონე მოქალაქეთა უკანონოდ და / ან კანონიერად დაგროვებული ქონების ექსპროპრიაციოდ ჩამორთმევა და ფორმალური თუ არაფორმალური გასხვისება და / ან რედისტრიბუცია</p>	<p>არალეგალური კონფისკაცია და უკანონო პრივატიზაცია ან უკანონო რედისტრიბუცია</p>	<p>I ეტაპი: კრიმინალური ქმედება (რადიკალური „სოციალური“ ხასიათის აქტი)</p> <p>II ეტაპი: ორმაგად კრიმინალური ქმედება (კრიმინალური ნეოლიბერალიზმის ავტონომიური სახესხვაობა)</p> <p>(ქართული კრიმინალური ნეოლიბერალიზაცია)</p>

ნაშრომის მოცემულ ნაწილში, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ თავად - **ევროკავშირთან სავიზო რეჟიმისა და ვაჭრობის გამარტივებისკენ საქართველოს სწრაფვა (ევროპული ინტეგრაციისკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯები)**, ისევე, როგორც **ატლანტიკური ინტეგრაციისკენ ჩვენი ქვეყნის „მიდრეკილება“** - სწორედ რომ ნეოლიბერალური პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია, რადგანაც, მიუხედავად თავად ევროპული სახელმწიფოებრივი სისტემების უპირატესად - სოციალურად ორიენტირებული (და არა დომინანტურად ნეოლიბერალური) ხასიათისა, ევროპა საერთაშორისო პოლიტიკურ და ეკონომიკურ არენაზე - ტრადიციულად ნეოლიბერალურ აშშ-სა და მსოფლიოს სხვა ნეოლიბერალ ლიდერებთან ერთად - ერთი ბანაკიდან პოზიციონირებს.

საქართველოს საზოგადოების მიზანმიმართული ინტერნაციონალიზაცია - „ამერიკანიზაცია“ და უცხოელთათვის განსაკუთრებული პრივილეგიების მინიჭება საქართველოში - ტიპიური ნეოლიბერალური პოლიტიკური კურსი თუ მხოლოდ ევროატლანტიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა?

ის, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული, კარგად ცნობილი არასამთავრობო არამომგებიანი ორგანიზაცია - სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის (CSS) ოფიციალურ ვებ-გვერდზე ორგანიზაციის მისიად „სოციალურ მეცნიერებათა მკვლევართა და პრაქტიკოსთა მაღალკვალიფიციური ახალი თაობის მომზადება და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობა“[129] გამოცხადებული „საქართველოს ინტერნაციონალიზაციის პირობებში“[130], მხოლოდ ლოგიკურად გამართულ და 21-ე საუკუნის სამოქალაქო ღირებულებებზე ორიენტირებულ აკადემიურ განაცხადად იქნებოდა აღსაქმელი, რომ არა თავად ამ ცენტრის რიგ დამფუძნებელთა ვინაობა და მათი პირდაპირი, უშუალო კავშირი საქართველოს იმჟამინდელ სახელისუფლებო პოსტებთან თუ თავად ფიგურებთან[131].

ხოლო, რაც ეხება ევროატლანტიკური ან, უფრო სწორად, ატლანტიკური ინტეგრაციის ბუნების გარკვევას ნეოლიბერალური პერსპექტივიდან, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, განსხვავებით ევროპული ინტეგრაციისაგან, რასაც ფაქტობრივად, ნეოლიბერალურ პოლიტიკასთან პირდაპირ მაინც ვერ დავაკავშირებთ, საქართველოს ან ნებისმიერი სხვა ქვეყნის ინტეგრაციული სწრაფვა ნატო-სა თუ აშშ-სკენ, გარდა აშშ-სა თუ თავად ნატო-ს პოლიტიკური ბანაკის თვითონ ნეოლიბერალური ბუნებისა, კლასიკურად ეხმიანება ნეოლიბერალურ პოლიტიკურ დისკურსს.

უცხოელთათვის განსაკუთრებული პრივილეგიების მინიჭებასთან დაკავშირებით უკანასკნელი ათწლეულის საქართველოში, პირველ ყოვლისა, უნდა განვიხილოთ ე.წ. უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობა, რაც „სახელმწიფოში მცხოვრები იმ პირების უფლება-მოვალეობათა ერთ-

ბლიობაა, რომლებსაც სახელმწიფოს მოქალაქეობა არ აქვთ.“[132] სახელმწიფოთა საერთაშორისო სამართლებრივი მდგომარეობის შედეგად ჩამოყალიბდა უცხოელთა რეჟიმის ორი სახე: 1) ეროვნული რეჟიმი - უსმ-ის გათანაბრება ადგილობრივ მოქალაქეთა მდგომარეობასთან; 2) უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი - უცხო სახელმწიფოს მოქალაქისათვის ისეთ უფლებათა მინიჭება, რომლებითაც ამ სახელმწიფოში სხვა სახელმწიფოს ყველაზე მეტი უფლების მქონე მოქალაქენი სარგებლობენ. მაგალითად, თუ საფრანგეთში ყველაზე პრივილეგირებული უფლებებით ინგლისის მოქალაქენი სარგებლობენ, ხოლო იტალიას საფრანგეთთან დადებული აქვს ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს უპირატესი ხელშეწყობის პრინციპს, საფრანგეთში მცხოვრებ იტალიელებზეც გავრცელდება ყველა ის უფლება, რომლებიც იქ ინგლისის მოქალაქეებს აქვთ. უფრო მეტიც, თუ რამდენიმე ხნის შემდეგ ინგლისელთა უფლებები საფრანგეთში უფრო გაფართოვდა, იქ ავტომატურად გაფართოვდება იტალიელთა უფლებებიც; 3) სპეციალური რეჟიმი - იგი გულისხმობს ხელშეკრულების ძალით უცხოელებისათვის განსაკუთრებულ უფლებათა მინიჭებას, მაგალითად, უცხო შეიარაღებული ძალების ბაზებისა და მათი პირადი შემადგენლობისათვის; 4) პრივილეგირებული რეჟიმი - უცხოელს ენიჭება მეტი უფლება, ვიდრე ადგილობრივ მაცხოვრებლებს აქვთ. ეს რეჟიმი დღეს იშვიათი მოვლენაა, წინათ კი იგი „კაპიტულაციების რეჟიმის“ სახით ახლო და შუა აღმოსავლეთში მყოფი ევროპისა და ამერიკის ქვეყნების მოქალაქეთათვის ძირითადი რეჟიმი გახლდათ. დიპლომატიური პრივილეგიებისა და იმუნიტეტის მქონე პირები უსმ-ის არცერთ ამ კატეგორიას არ განეკუთვნებიან. აღნიშნული რეჟიმის ძირითადი სახეებია - პირველი ორი. საერთაშორისო სამართალში განასხვავებენ მატერიალური და ფორმალური ნაცვალგების პრინციპს. პირველ შემთხვევაში უცხოელებს მათ ადგილსამყოფელ სახელმწიფოში ენიჭებათ ზუსტად ისეთივე უფლებები, როგორც მინიჭებული აქვთ ამ სახელმწიფოს მოქალაქეებს უცხოელთა სახელმწიფოში. უფრო ფართოდ გამოიყენება ფორმალური ნაცვალგება ამ რეჟიმის მოცულობის დაზუსტების გარეშე, ოღონდ იმ პირობით, რომ ასევე მოექცევა ამ სახელმწიფოს მოქალაქეებს უცხოელთა მშობლიური ქვეყანა. ნაცვალგების პირობა განისაზღვრება როგორც შიდასახელმწიფოებრივი სამართლით, ასევე საერთაშორისო ხელშეკრულებებით. თუ როგორ იყენებს უცხოეთის სახელმწიფო ნაცვალგების პრინციპებს, დაზარალებული სახელმწიფო უფლებამოსილია, დარღვევის მიმართ გამოიყენოს რეტორსია, ანუ „სამაგიეროს მიზღვა“ და თვითონაც ანალოგიურად შეზღუდოს თავის ტერიტორიაზე ამ სახელმწიფოს მოქალაქეთა უფლებანი. ადგილობრივ მოქალაქეებთან უცხოელთა გათანაბრება ხდება უფლებათა მხოლოდ ძირითად სფეროში. უცხოელები მოკლებულნი არიან ისეთ პოლიტიკურ უფლებებს, როგორებიცაა: აქტიური და პასიური ხმის უფლება, პოლიტიკური პარტიის შექმნის ან რომელიმე პარტიის მუშაობაში მონაწილეობის მიღების უფლება. უცხოელი თავისუფალია სამხედრო სამსახურისგან და მასთან დაკავშირებული საბეგრო-საგადასახადო ვალდებულებებისაგან, თუმცა ზოგიერთი ქვეყანა

ასეთ გამონაკლისებს არ ითვალისწინებს. რაც შეეხება სხვა გადასახადებს, მათ ყველა უცხოელი უნდა იხდიდეს, თუ საერთაშორისო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული (ამას ითვალისწინებს ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ ხელშეკრულება). უცხოელი არ წყვეტს კავშირს თავის სახელმწიფოსთან, რომელიც მოვალეა, დაიცვას თავისი მოქალაქის უფლებები საზღვარგარეთ. 1990 წლის დეკემბერში გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო და ხელმოწერისათვის გახსნილად გამოაცხადა „საერთაშორისო კონვენცია ყველა მიგრანტისა და მათი ოჯახის წევრთა დაცვის შესახებ“. საქართველოში უცხოელებს ისეთივე უფლებები და თავისუფლებები აქვთ და ისეთივე მოვალეობანი აკისრიათ, როგორც საქართველოს მოქალაქეებს, თუ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით საამისოდ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. უცხოელთა ეს უფლებამოვალეობანი გარანტირებულია: საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს კანონით „უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ (კანონის მე-5 თავისა და განსაკუთრებით, მისი 27-ე მუხლის მიხედვით, საქართველოში უცხოელთა უფლებები და მოვალეობები განსაზღვრულია საქართველოს მოქალაქეთა უფლებების თანაბრად. აღნიშნული კანონი მიღებულია 2005 წლის 27 დეკემბერს, ხოლო ძალაშია - 2006 წლის 1 ივნისიდან. ამ კანონის თანახმადაც, არავითარი განსაკუთრებული უფლებები და არც უპირატესობები უცხოელებს არ აქვთ მინიჭებული[133]) და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით, აგრეთვე საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით და ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით. უცხოელები საქართველოში თანასწორნი არიან კანონის წინაშე მათი წარმოშობის, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, რასის, ეროვნული კუთვნილების, სქესის, განათლების, ენის, რელიგიის, პოლიტიკურ თუ სხვა შეხედულებათა, საქმიანობის სფეროს თუ სხვა გარემოებათა მიუხედავად. საქართველო იცავს თავის ტერიტორიაზე მყოფ უცხოელთა სიცოცხლეს, პირად ხელშეუხებლობას, მათ უფლებებსა და თავისუფლებებს; საქართველო თავის მოქალაქეებს იცავს მის ფარგლებს გარეთ. ჩვენს ქვეყანაში უცხოელთა უფლებამოსილებების აღსრულება არ უნდა ინვევდეს საქართველოს სახელმწიფო ინტერესების შელახვას, საქართველოს მოქალაქეთა და სხვა პირთა უფლებების შეზღუდვას, მათი კანონიერი ინტერესების უგულვებელყოფას. იმ სახელმწიფოების მოქალაქეთა მიმართ, სადაც საქართველოს მოქალაქეთა უფლებებსა და თავისუფლებებს განზრახ შეზღუდავენ, საქართველო დაანებს ადეკვატურ შეზღუდვებს.[134] კანონი განსაზღვრავს საქართველოში მუდმივად და დროებით მცხოვრები უცხოელების სტატუსს, მათ შესაბამის უფლებამოვალეობებს, საქართველოში მათი შემოსვლისა და საქართველოდან გასვლის წესებს. უცხოელი მოქალაქეები და საქართველოში დროებით მყოფი ის პირები, რომლებსაც მოქალაქეობა არ აქვთ, ვალდებული არ არიან, იმსახურონ საქართველოს შეიარაღებულ ძალებში. ხოლო ის პირნი, რომლებიც საქართველოში მუდმივად ცხოვრობენ და მოქალაქეობა არ აქვთ, სამხედროვალდებულად მიიჩნევიან საქართველოს

კანონმდებლობით დადგენილი წესით.[135] როგორც თუნდაც ზემოაღნიშნულიდან ამკარად დავინახეთ, უცხოელებს საქართველოში ოფიციალური კანონმდებლობით არავითარი განსაკუთრებული უფლებები და პრივილეგიები არ ჰქონდათ მინიჭებული. აქ ცალსახად ნათქვამია, რომ უცხოელთა უფლებები ჩვენს ქვეყანაში არ უნდა ზღუდავდეს ადგილობრივ მაცხოვრებელთა უფლებებს, არ უნდა ლახავდეს მათ კანონიერ ინტერესებს და ა.შ. ესე იგი, როგორც ვხედავთ, ადგილობრივ მაცხოვრებთა თანაბარი უფლებები ენიჭებათ პრაქტიკულად საქართველოში უცხოელებს. ქვეყნის წინაშე სამხედრო ვალდებულება კი, მოქალაქეების გარდა, მხოლოდ მუდმივად მცხოვრებ არამოქალაქეებს აქვთ, ხოლო იმ სახელმწიფოთა მოქალაქეების მიმართ, რომლებიც საქართველოს მოქალაქეთა უფლებებს წინასწარ შეზღუდავენ, მათ საქართველოც მსგავს შეზღუდვებს დაუწესებს.

უცხოელ მოქალაქეთათვის „ნაციონალური“ საქართველოს მიერ პრივილეგიების მინიჭებასთან მიმართებაში - აღსანიშნავია, რომ „თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ“ კანონში არსებული ჩანაწერის მიხედვით, ამგვარ ინდუსტრიულ ზონაში დასაქმებული საქართველოს მოქალაქე საშემოსავლო გადასახადს იხდის, ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქეები ამ საგადასახადო ვალდებულებისგან გათავისუფლებულნი არიან.[136]

საზგასმით უნდა ითქვას, რომ ზოგადად „საქართველოს საგადასახადო კოდექსი“ და ჩვენი ქვეყნის სხვა რელევანტური კანონმდებლობა უცხოელთათვის არავითარ კონკრეტულად განსაზღვრულ ან საგადასახადო (მაგალითად, კანონის საფუძველზე უცხოელთა განთავისუფლება გადასახადებისაგან) ან სხვა ტიპის სპეციალურ სამართლებრივ შეღავათებს არასდროს ითვალისწინებდა.[137]

2010 წლის მაისში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში პროექტ „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“ ფარგლებში კანადურ კომპანიასა და საქართველოს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრს შორის ხელი მოეწერა ხელშეკრულებას თანამშრომლობის შესახებ. ხელშეკრულების თანახმად, ორგანიზაცია „ფუთპრინტის“ („Footprints Recruiting Inc“) მოხალისეობრივი პროგრამა, უცხოელებთან უშუალო კონტაქტის გზით ინგლისური ენის სწავლების გაძლიერების მიზნით, საქართველოში 10 000 ინგლისურენოვანი მასწავლებლის[138] ჩამოყვანას ითვალისწინებდა. როგორც ქართველმა ისტორიკოსმა და განათლების დარგის ექსპერტმა, სიმონ ჯანაშიამ განაცხადა www.ick.ge-სთან ინტერვიუში, ინგლისურენოვანი მასწავლებლების საქართველოში მოგზაურობა ჩვენს სახელმწიფოს 10 მილიონი ლარი დაუჯდა, მაშინ, როცა ბიუჯეტში აღარაფერი იყო გამოყოფილი ეთნიკური უმცირესობებისათვის ქართული ენის სწავლებაზე.[139] „თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ“ კანონის გარდა, იმგვარი კანონმდებლობა, როგორიცაა „უცხოელი ტურისტებისათვის საქართველოს ტერიტორიაზე ტურისტული მომსახურების პაკეტის მიწოდებისას დღგ-სგან განთავისუფლება ჩათვლის

უფლებით “[140] პრაქტიკულად ერთადერთია, რომელიც უცხოელებს და ისიც, მნიშვნელოვანია, რომ ტურისტებს, შეღავათებს აძლევს ტურისტული მომსახურების პაკეტის მათთვის გადაცემისას „დღგ“-სგან განთავისუფლების შესახებ.

ზემოაღნიშნულ საკითხებთან მიმართებაში, დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ საქართველოში უცხო ქვეყნის მოქალაქეთა აქტიური, ორგანიზებული ჩამოყვანა, მათი ლოკალური ინტეგრაცია და საგანმანათლებლო-საზოგადოებრივ, სხვადასხვა პროფესიულ თუ მაღალუნეებრივ და ან სხვა სტრუქტურებში კონტინგენტური სახით საქართველოს „ნაციონალური“ მთავრობის მიერ ჩარევა თუ ამ უკანასკნელის მიზანმიმართული ინტერნაციონალური საკადრო პოლიტიკა, უცხოელთათვის დაწესებული სხვადასხვა ტიპის სპეციალური შეღავათები (მაგალითად, მათი გადასახადებისაგან ყველასათვის ცნობილი ფაქტობრივი, თუმცა, სამართლებრივად და კანონმდებლობის მიხედვით არც თუ მთლად გამყარებული, და ამ მხრივ, მხოლოდ ნაწილობრივი განთავისუფლება) და ან პრიორიტეტულად უცხოელთა დასაქმების პოლიტიკა, რაც, როგორც ჩანს, მათ დამჭირავებლებსაც ისევე აძლევდათ ხელს, როგორც თავად აქ დასაქმებულ უცხოელებს (რადგანაც ისინი საქართველოში დასაქმებით, ხშირად სწორედ საკუთარ ქვეყნებში აღწევნ თავს უზრუნველყოფენ და, ამას გარდა, ჩვენს ქვეყანაში მათ გადასახადებს ფაქტობრივად არ ახდევინებდა საქართველოს იმუამინდელი ხელისუფლება), ეს გახლდათ, შეიძლება ითქვას, საქართველოს ხელოვნური ინტერნაციონალიზაციისათვის ხელის შეწყობის ნეოლიბერალური პროექტის ნაწილი.

სხვადასხვა საწარმოებში, კერძო, თუ უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფო დაწესებულებებში, სამინისტროებში, უნივერსიტეტებში და სხვადასხვა უწყებებში, ასევე თუნდაც მშენებლობებზე და ა.შ. მომუშავე უცხოელთა ხელფასების განსხვავება (მათ შეფარდებით, ზოგადად მაღალი და ხშირ შემთხვევაში, საოცრად მაღალი ხელფასები აქვთ) ადგილობრივ მომუშავეთა ხელფასებისაგან ხშირ შემთხვევაში რადიკალური იყო. ეს პოლიტიკა, რომელსაც საქართველოს მაშინდელი ხელისუფლება აწარმოებდა და მისი წამხედურობით, კერძო კომპანიების იგივე პოლიტიკა, ადგილობრივი მოსახლეობის, საკუთარი სახელმწიფოსა და საზოგადოების არნახული დისკრიმინაციისა და ჩაგვრის პირდაპირი გამოხატულებაა. მაგალითად, იმუამად ფორმალურად კერძო ტელეკომპანია რუსთავი 2-ის მიერ მოწვეული და დაქირავებული ერთ-ერთი ამერიკელი ქორეოგრაფის ხელფასი გასართობი შოუს - „ჯეობარის“ წევრთა ცეკვაში მომზადებისათვის რამდენიმე ათასი დოლარი გახლდათ, მაშინ, როცა მათ ადგილობრივ კოლეგებს, ისევე, როგორც ყველა სხვა პროფესიის ჩვენს თანამემამულეებს, პრაქტიკულად „გროშებს“ უხდიან.[141] იგივე მდგომარეობა გახლდათ და, ბუნებრივია, უფრო მეტიც კი, სახელმწიფო უწყებებში, სამინისტროებში და სხვ. აღნიშნული პოლიტიკა ერთგვარად ძალიან ჰგავს თანამედროვე ამერიკელთა წინაპრების, კონკისტადორების თუ სხვა, თანდათან გამდიდრებული ევროპელი კოლონიალისტების მიერ ამერიკის მკვიდრი მოსახლეობის - ინდიელთა

შევიწროვების, ჩაგვრისა თუ დევნის პოლიტიკას, მხოლოდ - აშკარა მასობრივი მკვლელობის გარეშე, რასაც ინდიელთა შემთხვევაში ჰქონდა ადგილი.

რელიგიური გაერთიანებების შესახებ კანონი, როგორც ნეოლიბერალური ინტერესებით შეპირობებული რეფორმატორული ღონისძიება - საქართველოს საზოგადოების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის ნაწილი

რელიგიური გაერთიანებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირად დარეგისტრირების შესახებ კანონი, რომელიც „სამოქალაქო კოდექსში“ იქნა შეტანილი ცვლილებების სახით, 2011 წლის 6 ივლისიდან შევიდა ძალაში. „სამოქალაქო კოდექსში“ შეტანილი ცვლილებებით, რელიგიურ გაერთიანებებს შეუძლიათ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დარეგისტრირდნენ. ეს უფლება არ ზღუდავს რელიგიური გაერთიანებების უფლებას, დარეგისტრირდნენ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებად, აგრეთვე ეწეოდნენ საქმიანობას, როგორც არარეგისტრირებული კავშირი. რელიგიური გაერთიანებების რეგისტრაციას ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, რომელიც უფლებამოსილია საჯარო სამართლის იურიდიულ პირად დაარეგისტრიროს საქართველოსთან ისტორიული კავშირის მქონე რელიგიური მიმდინარეობა ან ის რელიგიური მიმდინარეობა, რომელიც ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში კანონმდებლობით მიჩნეულია რელიგიად. ერთი იურიდიული კაზუსი, რომელიც თან ახლდა აღნიშნული კანონის მიღებას (ყველა რელიგიური გაერთიანების კანონის წინაშე უთანასწორობასა და მათ მიმართ დისკრიმინაციულ ხასიათზე რომ არაფერი ვთქვათ), გახლავთ ის, რომ საჯარო სამართლის იურიდიულ პირად რეგისტრირებულ რელიგიურ გაერთიანებაზე არ ვრცელდება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონი და ამ გაერთიანებათა რეგისტრაციის მიმართ მოქმედებს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეგისტრაციისთვის დადგენილი წესი[142].

რელიგიური გაერთიანებების რეგისტრაციის შესახებ კანონი - საქართველოს საზოგადოების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის ნაწილად შეგვიძლია განვიხილოთ (კონკრეტულად ჩვენი ქვეყნის შემთხვევაში, რელიგიური უმცირესობები ხშირად ეთნიკურ უმცირესობებთანაც იგივედება, რადგანაც ეს ორი კომპონენტი საქართველოს სინამდვილეში მაინც, ხშირად - ურთიერთგანმაპირობებელია.), მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, რათქმა უნდა, საუბარია - რელიგიური პლურალიზმის მიმდებლობა-ხელშეწყობაზე, განსაკუთრებით, ახალი სექტების მომრავლების ფონზე საერთოდ მსოფლიოში, მითუმეტეს, მის ცივილიზებულ ნაწილში, საიდანაც ვრცელდებიან ისინი უკვე დანარჩენ მსოფლიოშიც, მათ შორის, საქართველოშიც.

საქართველოს წინამორბედი პარლამენტის მიერ აღნიშნული კანონის მიღებამ საზოგადოებაში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია; დაინერა უამრა-

ვი სტატია და მოენყო საპროტესტო გამოსვლები, რასაც სრულიად სამართლიანად უწოდა თეოლოგმა ვასილ კობახიძემ „ფსევდორელიგიურ-ფსევდოპატრიოტული ისტერია და აჟიოტაჟი“ [143]. თუმცა, აღსანიშნავია, რომ თავად რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებს ამაზე კომენტარი თითქმის არ გაუკეთებიათ, მაგრამ ვინც გამოხატა პოზიცია, მათი უმრავლესობა ძირითადად კმაყოფილი დარჩა ამ კანონის მიღებით. [144]

საბოლოოდ კანონის მიღებით აღშფოთებული მართლმადიდებელი მრევლის ნაწილისა და მისი მოწინააღმდეგე პოლიტიკური ჯგუფების დამოშმინება წმინდა სინოდმა მოახერხა. მისი გადაწყვეტილებით, მთავარ პრობლემად დასახელდა კანონის საჯარო განხილვის გარეშე მიღება (მიუხედავად იმისა, რომ მაშინდელ მთავრობასა და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის სისტემატურად ხდებოდა ამ საკითხზე საუბარი, ეს ინფორმაცია საზოგადოებისთვის ნაკლებად იყო ცნობილი.). კანონის მიღების შემდეგ, იურისტები სრულიად სამართლიანად მსჯელობდნენ იმაზე, თუ რამდენად გახდა შესაძლებელი ამ კანონის მეშვეობით რელიგიური თანასწორობის არსებობა. „კანონი, იმის გარდა, რომ რელიგიურ გაერთიანებებს აძლევს საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად რეგისტრაციის საშუალებას, ამის გარდა სხვას არაფერს სთავაზობს. რეალურად, შინაარსობრივად, ამ კანონმა არაფერი არ მისცა რელიგიურ უმცირესობებს. საჯარო სამართლის შესახებ კანონი არ გავრცელდება რელიგიურ გაერთიანებებზე. რეალურად მათზე იმოქმედებს კანონი არასამეწარმეო იურიდიული პირების შესახებ; რაც ნიშნავს იმას, რომ ეს გაერთიანებები იმუშავებენ ზუსტად ისე, როგორც ადრე მუშაობდნენ, მხოლოდ ექნებათ საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი. ჩვენი აზრით, რელიგიური თანასწორობისთვის ეს საკმარისი არ არის.“ - განაცხადა „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ იმჟამინდელმა თავმჯდომარემ, თამარ ჩუგოშვილმა. [145]

ძალზე მნიშვნელოვანია აღინიშნოს და ხაზი გაესვას იმ ფაქტს, რომ პრაქტიკულად ყველა ტიპის უმცირესობა - ეთნიკური, კულტურული, პოლიტიკური (თუმცა, პრინციპში მხოლოდ ფორმალურად), ასევე, სექსუალური და, მათ შორის, რელიგიური უმცირესობანი და აქედან გამომდინარე, ეთნიკური, კულტურული, ფორმალურად, მაგრამ მაინც - პოლიტიკური, სექსუალური თუ რელიგიური პლურალიზმი, თუნდაც ზერელებ და მხოლოდ იდეოლოგიური არსებობის ფორმით, ნამდვილად არ უშლის ხელს ნეოლიბერალიზმს, ხოლო ეკონომიკურად კი - მისთვის ამგვარი პლურალიზმი, ისევე, როგორც ზოგადად ყოველგვარი მრავალფეროვნება - მხოლოდ მომგებიანია, რადგანაც ეს ყოველივე მისთვის ახალი მოთხოვნილებების და, შესაბამისად, ახალი ბაზრების გაჩენის და, მამასადამე, თავად გლობალური „მარკეტის“ გაფართოების შესაძლებლობაა; ნეოლიბერალიზმი ხომ ნებისმიერ, თუნდაც კონტრკულტურულ ჯგუფს, აღარაფერს ვამბობთ - სუბკულტურულ ჯგუფებზე, თავის სამიზნე ჯგუფად აქცევს (ახდენს მათ „კომოდიფიკაციას“) და არათუ მათ ნებისმიერ სპეციფიკურ მოთხოვნებზე პასუხობს შესაბამისი პროდუქციით, არამედ, ახალ-ახალ სხვა სპეციფიკურ მოთხოვნათა

აღძვრაზეც გამუდმებით მუშაობს (ახდენს მათი სურვილების დაუსრულებელ დეტალურ კულტივაციას, „კომოდიფიკაციას“ და კომერციალიზაციას), რაც კვლავ ახალი პროდუქციის მიწოდების შესაძლებლობას აჩენს და ასე უსასრულოდ. სწორედ ეს გახლავთ, თუნდაც ლოკალურად და თუნდაც - გლობალურად, ნეოლიბერალური ბაზრის მუშაობის თითქოსდა უსასრულო და, თუნდაც აქედან გამომდინარე, ძალზე ძლევამოსილი მექანიზმი.

ნეოლიბერალიზმის მიმართებაში რელიგიასთან, უმნიშვნელოვანესია - ეკუმენიზმის განხილვაც, რომელსაც სწორედ ქრისტიანული მრწამსი უდევს საფუძვლად. ეკუმენიზმი პრაქტიკულად გლობალიზაციის ერთგვარ ანალოგადაც კი შეგვიძლია მივიჩნიოთ ქრისტიანობაში და პირობითად მას „ქრისტიანული გლობალიზმიც“ შეგვიძლია ვუწოდოთ.

ნეოლიბერალიზმისა და სხვადასხვა, მათ შორის, რელიგიური პლურალიზმის ურთიერთმიმართების განხილვასთან ერთად, აუცილებლად უნდა ვიმსჯელოთ ნეოლიბერალიზმისა და დომინანტური რელიგიის - მართლმადიდებლობის რთული და ურთიერთგამომრიცხავი ურთიერთობის საკითხზე საქართველოში. ამ მხრივ ძალზე საინტერესო სტატია გახლავთ „ნეოლიბერალიზმი და მართლმადიდებლობა“, რომელიც 2011 წლის 22 მარტს დაიბეჭდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ [146].

უნდა აღინიშნოს, რომ დაპირისპირება ნეოლიბერალიზმსა და მართლმადიდებლობას შორის გახლავთ სტრატეგიული, შეიძლება ითქვას რომ, ანტაგონისტურიც კი, რომელიც, ლოგიკური პროგნოზების მიხედვით, დროთა განმავლობაში კი არ შემცირდება, არამედ, სულ უფრო და უფრო გაღრმავდება და ეს ნავარაუდევია, რომ გაგრძელდება მანამ, სანამ რომელიმე მხარე საბოლოო გამარჯვებას არ მიაღწევს. სამომავლოდ, მოსალოდნელია მივიღოთ ან ქრისტიანულ ეთიკაზე დაფუძნებული სახელმწიფო, ან ისეთივე ეკლესია, რომელიც ევროპული ანალოგების მსგავსად, ნეოლიბერალური სახელმწიფოს „სასულიერო განყოფილებად“ იქნება გადაქცეული და ნებისმიერ რამეს „აკურთხებს“, მათ შორის, მართლმადიდებლობისათვის ტრადიციულად მიუღებელ ერთსქესიან ქორწინებებსაც კი.

ფაქტობრივად, უნდა ითქვას, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გამოსვლა ეკუმენისტური „ეკლესიათა მსოფლიო საბჭოდან“ თანამედროვე კონტექსტში იკითხება, როგორც ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის აშკარა პროტესტი - გლობალიზაციისა და ნეოლიბერალური პოლიტიკისადმი. თავად ეკუმენიზმის მკაცრი კრიტიკაც - ჩვენი ეკლესიის მხრიდან, ამ პროტესტიდან მოდის. თუმცა, კიდევ ერთხელ შეგვიძლია ცივილურად განვასხვაოთ ამ ყოველივეს ფონზე - ეკუმენიზმის პოზიტიური სულისკვეთება (ქრისტიანული მრწამსის მქონე ეკლესიების ერთობისკენ სწრაფვა) და ტენდენციები - გლობალიზაციისა თუ ნეოლიბერალიზმის არსობრივი მოტივაციისაგან, თუმცა აღნიშნული არ გამორიცხავს იმას, რომ ეკუმენიზმის (ან ნებისმიერი სხვა რამის) თუნდაც ყველაზე კეთილშობილ

ზრახვებსა და შედეგებს შეუძლებელია, რომ რეალობაში ნეოლიბერალიზმი ან თვით ყველაზე „შავ-ბნელი“ ძალა ან ძალები იყენებდნენ.

უმცირესობათა უფლებების დაცვის აქცენტირება (ევროატლანტიკური ინტეგრაციის ნაწილი) - ნეოლიბერალური პრაქტიკა?

კლასიკური ნეოლიბერალური თეორიის დამოკიდებულება უმცირესობათა ჯგუფების მიმართ პირდაპირ პოვებს ასახვას ნეოლიბერალიზმის ერთ-ერთი „მამის“, მილტონ ფრიდმანის ფუნდამენტურ ნეოლიბერალურ ნაშრომში - „კაპიტალიზმი და თავისუფლება“, სადაც ავტორი, ჯერ კიდევ 1962 წელს, მიიჩნევს, რომ კონკურენტული კაპიტალიზმი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია - უმცირესობათა ჯგუფებისათვის, იმდენად, რამდენადაც არაპიროვნული „სამარკეტო“ ძალები, ფრიდმანის მოსაზრებით, იცავენ ადამიანებს მათ ეკონომიკურ საქმიანობებში დისკრიმინაციისაგან - იმის საფუძველზე, რაც მათ შრომით პროდუქტიულობასთან არაფრით არაა დაკავშირებული.[147]

ახალგაზრდა ქართველ „მემარცხენეთა“ ერთი ჯგუფის, სახალხო პატრიოტული მოძრაობის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული სტატია სახელწოდებით, „რატომ უწყობს ხელს ნეოლიბერალიზმი ეთნო შოვინიზმს“[148], გელა ბანძელაძის ავტორობით, ძალზე საინტერესოა ჩვენთვის ნეოლიბერალიზმისა და უმცირესობების, კერძოდ კი, ეთნიკური უმცირესობების ურთიერთმიმართების კუთხით, მხოლოდ ეთნიკური შოვინიზმის ხელშეწყობისა და ნახალისების კუთხით - ნეოლიბერალიზმის მხრიდან.

„ხოგაის მინდის“ სტატია „რატომ სჭირდება დღეს პატრიოტიზმი მემარცხენეობას“[149], რომელიც ნეოლიბერალიზმის ფაქტობრივად ერთადერთი ადეკვატური და სამართლიანი ალტერნატივის - სოციალისტური იდეოლოგიის - თანამედროვე საქართველოში განვითარებისა და წარმატებისათვის, სოციალურთან ერთად - ნაციონალური საკითხის სათანადო წარმოჩენისა და სამოქალაქო პატრიოტიზმის ჩამოყალიბების ბუნებრივ აუცილებლობას ეხება, უმცირესობათა უფლებების დაცვას, ნებისმიერ შემთხვევაში, მაინც მეორეხარისხოვნად მიიჩნევს - საერთოდ „მემარცხენე“ იდეოლოგიისა და მისი მიმდევრებისათვის, იმგვარი მასობრივი სოციალური პრობლემების მოგვარების აუცილებლობის ფონზე, როგორც, მაგალითად, მასიურად „მშიერი და ღატაკი ხალხი, გაზულუქებული ელიტა და სხვა უმნიშვნელოვანესი სოციალური პრობლემებია“[150].

უნდა აღინიშნოს, რომ უმცირესობათა უფლებების დაცვისადმი ამგვარი დამოკიდებულება ნეოლიბერალიზმის სანინაალმდეგო, „მემარცხენე“ იდეოლოგიისა და ამ ძალების მხრიდან, არ გახლავთ აღნიშნული საკითხისადმი უნივერსალური მიდგომა ყველა მემარცხენისათვის, და განსხვავებულ დამოკიდებულებებს, მათ შორის, ჩვენის აზრით, „მემარცხენე“ პოზიციებიდან ყველაზე ჯანსაღს, რომელსაც მთელი რიგი სოციალ-დემოკრატები

თუ სოციალისტები იზიარებენ, რომ უმცირესობათა უფლებების დაცვა „მემარცხენეობის“ ისედაც თანდაყოლილი და მისი ორგანული ნაწილია, რომელზეც, შესაძლოა, ცალკე აქცენტირებაც კი არ იყოს საჭირო სოციალისტების ზოგადად ნებისმიერი ტიპის უსამართლობასთან, ჩაგვრასა და დისკრიმინაციასთან ბრძოლის გამო, დანვრილებით ქვემოთ კიდევ შევხებით.

ზემოთ უკვე გაჟღერებული დებულების გამომხატველია ახალგაზრდა ქართველი სოციალისტ-მემარცხენის, ლევან აბაშიძის სტატია „სოციალისტურად“ და „ლიბერალურად“ განწყობილი ქართველი მემარცხენეები“ [151], რომელიც ეხება - ლიბერალიზმისა (ავტორის განმარტებით, პრაქტიკულად, „მემარჯვენე“ რაკურსის ერთგვარად გამაკეთილშობილებელი და ფაქტობრივად, მისი მალეგიტიმირებული იდეოლოგიისა) და სოციალისტების (სოციალური თანასწორობის, სოლიდარობისა და კეთილდღეობის იდეალების იდეოლოგიის) რადიკალური სხვადასხვაობის დემონსტრირებას. აბაშიძე მკვეთრად მიჯნავს ამ ორი იდეოლოგიის საბაზისო შეხედულებებს. ასევე, სტატიაში ეჭვქვეშაა დაყენებული ტერმინ „მემარცხენე ლიბერალიზმის“ საერთოდ - „მემარცხენე“ ხასიათი და, ავტორის აზრით, ის სრულიად „ასხამს წყალს“ „მემარჯვენე“ დისკურსის „ნისქვილზე“ საკუთარი არამკაფიოობის გამო. ხოლო, იმის ხაზგასასმელად, რომ ე.წ. სოციალისტი (ან რადიკალი) „მემარცხენეები“ ასევე თავისთავად იზიარებენ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების თუ დემოკრატიის (სხვა) პრინციპების საფუძვლიანობას და მიიჩნევენ მათ საბაზისოდ - (ადამიანის) სოციალურ უფლებებთან ერთად, რაც, აბაშიძის მოსაზრებით, თავისთავად ისედაც ადამიანის უფლებების ნაწილია, ისევე, როგორც იდენტობის პოლიტიკისა, მაგალითად, სექსუალური უმცირესობების უფლებების საკითხები, ანუ იმის ხაზგასასმელად, რომ „სოციალისტი მემარცხენეები“ ამ ყოველივეს ისედაც აღიარებენ და ემხრობიან, სულაც არ არის საჭირო, ავტორის აზრით, ტერმინ „ლიბერალის“ გამოყენება საერთოდ - „მემარცხენეობასთან“. ლევან აბაშიძე, აქედან გამომდინარე, ეჭვქვეშ აყენებს ზოგადად - ქართველ „მემარცხენე ლიბერალთა“ არსებობის ლოგიკურობას, თავად ამ ტერმინის გამოყენების სისწორეს და მის აუცილებლობას მაშინ, როცა არსებობენ შესაბამისი „მემარცხენე“ სოციალისტი ჯგუფები, რომლებიც ნებისმიერ მტკივნეულ თემას მოიცავენ თავის იდეოლოგიურ დისკურსში.

ასევე ყურადსაღებია ჩვენთვის, ქართველი სოციალ-დემოკრატების ლიდერის, პროფესორ გია ჟორჟოლიანის სტატია „თანასწორობის იდეა და თანამედროვე ქართული საზოგადოება“ [152], რომელშიც უმცირესობათა საკითხი ძალზე საინტერესოდაა წარმოჩენილი; კერძოდ, კი აქ საუბარია სოციალური „უმცირესობის“ (თანამედროვე ქართული საზოგადოების პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ელიტა) და „უმრავლესობის“ (ჩვენი ქვეყნის ლატაკი უმრავლესობა) ურთიერთმიმართებაზე საქართველოსა და სხვა პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში, რაც, უპირველეს ყოვლისა, საერთოდ ეჭვქვეშ აყენებს თავად ამ ტერმინისათვის „უმცირესობა“, სოციალური მეცნიერებების მიერ მინიჭებულ, აპრიორულად - „ჩაგრულ მდგომარეო-

ბაში მყოფის“ შინაარსს (ცნება „უმცირესობა“ სოციალურ მეცნიერებებში გამოიყენება ადამიანთა იმ კატეგორიების აღსანიშნავად, რომლებიც სოციალური (საზოგადოებრივი) ძალაუფლების მცირე პოზიციებს ფლობენ[153]). გია ჟორჯოლიანის მიერ თანამედროვე ქართული რეალობის აღწერილი სურათის საპირისპირო სქემა უკანასკნელი ათწლეულის ცივილურ ევროპასა და ნაწილობრივ ამერიკაშიც, რომელსაც სტატიის ავტორი ნეოლიბერალიზმის ერთადერთ სამართლიან ალტერნატიულ მოდელად (სოციალიზმი) მიიჩნევს საქართველოსა და მისი საზოგადოების ნორმალური და ჰარმონიული განვითარებისათვის, გახლავთ „თანასწორობის“ ორი ვერსიის ჰარმონიული სინთეზის, ანუ ნამდვილი თანამედროვე ლიბერალური დემოკრატიის (ლიბერალური კომპონენტის - „თანასწორობის“ მოქალაქეობრივი და პოლიტიკური უფლებების არსებობის აუცილებლობისა და სოციალ-დემოკრატიული ან სოციალისტური კომპონენტის - „თანასწორობის“ სოციალური ასპექტის, ანუ, ფაქტობრივად, „თანასწორობის“ ზემოხსენებულ მოქალაქეობრივ და პოლიტიკურ უფლებათა რეალიზაციის შესაძლებლობის უზრუნველყოფა, შერწყმა) მაგალითი.

ფაქტობრივად, ზემოგანხილული სტატიის სულისკვეთებას აგრძელებს ახალგაზრდა ქართველი ფილოსოფოსის, მწერლისა და პუბლიცისტის, ირაკლი კაკაბაძის სტატია „პოსტ-ჰომო სოვეტიკუსი და მრავალხმოვანი პარადიგმა“[154]. აღნიშნული პუბლიკაცია ნეოლიბერალიზმის ყველაზე დიდ შეცდომებსა და დანაშაულებებს განიხილავს საერთოდ, და, ასევე, შეიცავს პოსტ-კომუნისტურ, თანამედროვე საქართველოში ნეოლიბერალიზმის სოციალისტური ალტერნატივის კიდევ ერთი, მეტად საინტერესო ფორმის - „მრავალხმოვანი პარადიგმის“ შესახებ მსჯელობას, რომელიც, ავტორის აზრით, უნდა დაემყაროს სოციალურ სოლიდარობას.[155] აქ უმცირესობების, განსაკუთრებით, სხვადასხვა იდენტობრივ უმცირესობათა უფლებები - ხშირად იმავე ნეოლიბერალური პოლიტიკის განმახორციელებელთა პირადი ინტერესების სფეროა, რადგანაც არც თუ იშვიათად, ამა თუ იმ უმცირესობათა ჯგუფის წევრები, თავად არიან ნეოლიბერალური მმართველობის სადავეებთან და თვითონ წარმოადგენენ სხვადასხვა უმცირესობებს, თუ, თავად ამგვარი ნეოლიბერალთა ელიტარული ჯგუფი (ან უბრალოდ, მმართველი პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური კლასი) - ზოგადად, რაოდენობრივ უმცირესობას თავისთავად მაინც, უკვე წარმოადგენს. ამ ვერსიის მიხედვით, ნეოლიბერალი „უმცირესობათა“ ჯგუფების წარმომადგენლები - თავად არიან ექსპლუატატორები და სასტიკი ნეოლიბერალი მჩაგვრელები. ამასთან, ზოგი ქვეყნის კი, კერძოდ, „დასავლეთის“ სახელმწიფოთა უმრავლესობის ასევე, კონკრეტულად - ეთნიკური უმცირესობები, რაოდენობრივად მსოფლიოში - უმრავლესობას წარმოადგენენ, და ამდენად, „უმცირესობებისა“ და „უმრავლესობის“ საკითხი, წინამორბედი სტატიის ვარიანტისა არ იყოს, ისევე, როგორც თავად „უმცირესობათა“ ჯგუფების „ჩაგრული“ სტატუსიც, თუ მათი უფლებებისათვის მაინცდამაინც გამორჩეულად ბრძოლა - ამგვარი ცალსახა და გამორჩეული საჭიროების საკითხი, ლოგიკურად, თითქოს აღარაა.

ირაკლი კაკაბაძის კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი სტატია გახლავთ „ნეო-ლიბერალიზმის კრიტიკა ოცდამეერთე საუკუნეში“ [156], სადაც ძირითადი თემატიკის კონტექსტში ასევე, საუბარია ნეოლიბერალიზმის, როგორც უმრავლესობისთვის ყველაზე მჩაგვრელი და უსასტიკესი მსოფლიო წყობის, სოციალისტურ ალტერნატივაზეც. ხოლო, რაც ეხება უმცირესობათა უფლებების თემას, ირაკლი კაკაბაძე პუბლიკაციაში აღნიშნავს, რომ მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან ამ კუთხით ბრძოლა - ლიბერალიზმის მეტად პოზიტიური დამსახურებაა, თუმცა ამასობაში ლიბერალებს კლასობრივად დაჩაგრული უმრავლესობის უფლებები ავინყდებათ და ამგვარი, უმრავლესობის კლასობრივი ჩაგვრის თემა ზოგადად - პრაქტიკულად, სრულიად ტაბუირებულია თანამედროვე დასავლურ მედიაში. ამასთან, სტატიაში ერთგვარი მინიშნებაა ირაკლი კაკაბაძის მიერ სხვა პუბლიკაციებში გააჟღერებულ საყვედურზე - უმცირესობების და სხვადასხვა იდენტობების, თუ თვითონ - იდენტობის პოლიტიკის მიმართ, რომ პირველყოვლისა, თავად უმცირესობათა ჯგუფები, თუ მათი ერთეული წარმომადგენლები ხშირად დღეს უკვე ძალმომრე ნეოლიბერალების სახით წარმოგვიდგებიან სხვადასხვა მმართველი ელიტების შემადგენლობებიდან, ხოლო, ამას გარდა, 21-ე საუკუნის იდენტობის პოლიტიკა ოფიციალურად აძევებს კლასობრივ საკითხს თავისი თემატიკიდან, რაც, ავტორისა და ჩვენი მოსაზრებითაც, სრულიად გაუმართლებელი, უსამართლო და მიუღებელია! მოცემულ სტატიაში ჩილეს და პინოჩეტის მაგალითზეა ნეოლიბერალიზმი ყოველმხრივ დაგმობილი, მყარი და ფაქტობრივად ყოვლისმომცველი შესაბამისი არგუმენტაციის წარმოდგენით.

კვლავ ირაკლი კაკაბაძის ერთი არაჩვეულებრივი წერილის განხილვაზე უნდა შევჩერდეთ, რომლის სახელწოდებაცაა, „მარქსის ქართველი აჩრდილი/ბურჟუა ლიბერალების კრიტიკა მარცხნიდან“ [157]. იგი წარმოადგენს დომინანტური ბურჟუა ლიბერალიზმის კრიტიკას - „მემარცხენე“ პოზიციიდან, მათ შორის, საქართველოს მაგალითზეც. ირაკლი კაკაბაძეს აქვს კონკრეტული პრეტენზია უმცირესობათა უფლებებზე დღეს განსაკუთრებით პოპულარული აქცენტირებისადმი, მაშინ, როცა ჩვენი ქვეყნის და მთელი მსოფლიოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა, მთელი მოსახლეობის დაახლოებით - 80% სრულ სილატაკეშია, ბუკვალურად - პურის ფული არ აქვს, ავადდება და კვდება. ამ ფონზე საუბარია სხვადასხვა უმცირესობებზე, ხოლო 21-ე საუკუნის, და ვითომ პროგრესული, უმცირესობათა მოძრაობის ამოსავალი „იდენტობის პოლიტიკის“ დისკურსიდან მთლიანადაა გამოდევნილი - კლასობრივი ჩაგვრისა და ექსპლუატაციის თემა. [158]

კიდევ ერთი საინტერესო პუბლიკაცია გახლავთ ლიტერატურათმცოდნის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის, ზაალ ანდრონიკაშვილის სტატია სახელწოდებით, „შემობრუნების წერტილი“, რომელიც საბჭოთა და პოსტ-საბჭოთა საზოგადოებრივი და პოლიტიკური აზროვნების შეფასებას მოიცავს, სადაც სხვადასხვა საინტერესო

სიმბოლოები და იმგვარი საკვანძო საკითხებია განხილული, როგორცაა მაგალითად, ბელადის ფიგურის მოთხოვნილება - დავით აღმაშენებლის, წმინდა გიორგისა და პრომეთეს სიმბოლოების ანალიზის მიხედვით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სრულიად სამართლიანადაა შეფასებული ნეოლიბერალური ეკონომიკური კონცეფციის პროგრესული დანიშნულება პოსტ-საბჭოთა საქართველოს მოდერნიზაციის გზაზე, რაც ქართველთა ევროპეიზაციისა და „გადემოკრატიულებისთვისაა“ აუცილებელი, მაგრამ ავტორი არავითარ კრიტიკას ნეოლიბერალიზმის არც ეკონომიკური და არც პოლიტიკური მოდელისა, - არ იძლევა, პირიქითაც კი. რაც შეეხება უმცირესობების საკითხს, ამ მხრივ სტატიაში მხოლოდ ეროვნულ უმცირესობებზეა საუბარი და, კერძოდ, უფრო აქტიურად - ზოგადად საქართველოს მასშტაბით და განსაკუთრებით, მის კონფლიქტურ რეგიონებში მოსახლლე აფხაზებსა და ოსებზე. ავტორის სრულიად სამართლიანი შენიშვნით, საჭიროა მათი ინკლუზიურობისა და ინტეგრაციისათვის ხელშეწყობა თავად ქართული მთავრობისა და საზოგადოების მხრიდან - ჩვენს ისედაც მრავალეთნიკურ სოციუმში. ანდრონიკაშვილი მართებულად აკისრებს მთავარ პასუხისმგებლობას ზოგადად, ქართულ მხარეს - კონფლიქტური სიტუაციების გამო, თუმცა, ბუნებრივია, სეპარატისტთა პასუხისმგებლობის წილსაც აღიარებს[159], მაგრამ ქართველთა პასუხისმგებლობა, რასაკვირველია, უფრო დიდად მიიჩნევა, და უნდა მიიჩნეოდეს რეალურად ამ მხრივ, რადგან ქართველები, როგორც ეთნიკურად, ასევე, პოლიტიკურად - ქვეყნის მოსახლეობისა და სახელმწიფოს დომინანტური ელემენტი ვართ, და ამდენად, ჩვენი სახელმწიფოებრივი პოზიციებიდან გამომდინარე, რა თქმა უნდა, ეს სრულიად ბუნებრივია!

ჟურნალისტ ხათუნა პაიჭაძის სტატიამ „თუ სომხურს პრივილეგიას მივანიჭებთ, აზერბაიჯანულმა და ბერძნულმა რა დააშავა?!“ [160] ჩვენი ყურადღება განსაკუთრებით მიიპყრო; კერძოდ, სტატია ეხება საქართველოს მიერ ევროსაბჭოში განევრიანებისთანავე აღებულ ვალდებულებას, ხელი მოაწეროს ევროპულ ქარტიას რეგიონული და უმცირესობათა ენების შესახებ, რაც ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვის მხრივ, თითქოს ბუნებრივად წინგადადგმული ნაბიჯია, მაგრამ სინამდვილეში ეს ქარტიაც, ისევე, როგორც სხვა მსგავსი ვალდებულებები და ამ ტიპის საერთაშორისო დოკუმენტები, მკვეთრად ასახავენ ნეოლიბერალური მმართველობის ინტერესებს, სადაც არაა გამორიცხული, რომ იგულისხმებოდეს, სხვათაშორის, „დაყავი და იბატონეს“ პრინციპის მუშაობა. ეს აზრი ჩნდება იქიდან, რომ აღნიშნული ქარტია პრაქტიკულად, სეპარატიზმის ნასახალისებლად შესანიშნავ წინაპირობას წარმოადგენს; დოკუმენტის ნაწილში სრულიად კანონზომიერად და სამართლიანად აღნიშნულია მოწოდება მასზე ხელმოწერი სახელმწიფოებისადმი, რომ მათ უნდა უზრუნველყონ რეგიონული და უმცირესობათა ენების დაცვა, მათი ხელშეწყობა განვითარებისათვის, ადგილობრივ და რეგიონალურ სასამართლო და საჯარო-ადმინისტრაციულ ორგანოებში აღნიშნულ ენებზე სამართალწარმოება და ამ ენების უპირატესი გამოყენება, ხოლო, რაც მართლაც დამაფიქრებელია და ამკარად

აჭარბებს კანონზომიერებას, გახლავთ ის, რომ, საჭიროების შემთხვევაში, ქარტიის მიღებისთვის მოსამზადებელი ტრენინგის მასალებით (ოსლოს რეკომენდაციები, კოპენჰაგენის დოკუმენტის 35-ე პუნქტი) განსაზღვრულია „ისეთი გარემოს შექმნა, რაც ხელს შეუწყობს ეროვნულ უმცირესობებს, მონაწილეობა მიიღონ საჯარო საქმეებში თავიანთ ენაზე, რაც შეიძლება გაკეთდეს ადგილობრივი ან ავტონომიური მმართველობის შექმნის გზითა და უმცირესობების ისტორიულ და ტერიტორიულ მდგომარეობასთან შესაბამისობით.“[161] ქარტიის რატიფიცირება საქართველოს ჯერ არ მოუხდენია და ამას არც ჩქარობს, თუმცა ამგვარი ვალდებულება, შეიძლება ითქვას, დაუფიქრებლად და საზოგადოების დაუკითხავად თავის თავზე აიღო საქართველოს წინამორბედმა ხელისუფლებამ, მსგავსად, ვენის კონვენციის შესრულებისა, როცა საქართველო ასევე დაუფიქრებლად და უპირობოდ დათანხმდა - მესხეთელი თურქების ჩამოსახლებას.

ძალიან საინტერესო სტატიაა ე.წ. ანტაგონისტის - „Artes Neoliberalis“[162], სადაც, ლიბერალიზმსა და ნეოლიბერალიზმს შორის განსხვავებასთან მიმართებაში, აღნიშნულია, რომ ლიბერალიზმი - თავის ტიპიურ ლიბერალურ „მემარჯვენე“ შეხედულებებთან ერთად, რომლებიც თავისუფლებას და დემოკრაციას, ადამიანის უფლებებისა და კერძო საკუთრების ხელშეუხებლობას ეხება, ეს ყოველივე ამავე დროს ადამ სმიტისა (კლასიკური ლიბერალიზმის „მამა“) და ლეონარდ ჰობსჰაუზის („ლიბერალიზმის მესამე ფაზის“ წარმომადგენელი) შეხედულებებით, „მემარცხენეობის“ კუთხითაა ასევე საინტერესო (მდიდართაგან საკმაოდ დიდი საზოგადოებრივი ხარჯების გაღების მომხრე იყო სმიტი, ხოლო ჰობსჰაუზი „სრულ თავისუფლებას“ - „სრულ თანასწორობაში“ ხედავდა[163]). კლასიკური, მართლაც რომ თავისი არსით - „ლიბერალური“ (ანუ, „ჭეშმარიტი“) ლიბერალიზმისაგან განსხვავებით, ნეოლიბერალიზმი - მხოლოდ მდიდართა, სამხედრო რეჟიმების შემთხვევაში - სამხედროთა (მაგალითად, ჩილეში - პინოჩეტის სამხედრო დიქტატურის დროს (თუმცა, პინოჩეტზე ამ სტატიაში საუბარი არაა)), მათთან დაახლოებულ პირთა და მათზე დამოკიდებულ ინტელექტუალთა უმცირესი ფენის ინტერესებში შედის, კერძოდ, მათ ეკონომიკურ, სოციალურ, პოლიტიკურ და სამართლებრივ კეთილდღეობას ემსახურება და საზოგადოების უმრავლესობისათვის - მტრული იდეოლოგიაა, რომელსაც მხოლოდ ქვეყნების ეკონომიკური ნგრევა (ასეა, მაგალითად, - პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში), მასობრივი უმუშევრობა და სიღატაკის ზრდა მოსდევს მთელს მსოფლიოში. ხოლო, უმცირესობების კუთხით, სტატიაში ძალზე საინტერესო მომენტია, როცა საუბარია არატრადიციული ქორწინების, ზოგ შემთხვევაში, - აკრძალვის მომხრეობის შესახებ ნეოლიბერალური პოლიტიკის მიერ, რაც, ცოტა არ იყოს, წინააღმდეგობაში მოდის ზოგადად ნეოლიბერალიზმის განმარტებასთან თუნდაც - „ვიკიპედიის“ (Wikipedia) მიერ[164], რომლის მიხედვითაც, საერთოდ უმცირესობების უფლებებისადმი ნეოლიბერალიზმს პოზიტიური დამოკიდებულება აქვს, კერძოდ, ნეოლიბერალური თავისუფალი ეკონომიკური ურთიერთობების პრიმატის დროს - უმცირესობების მიმართ გაუცხოების პრობლემა მცირდ-

ება იმიტომ, რომ მათი იდენტობა ეკონომიკური საქმიანობის პირველხარისხოვნების გამო ნეოლიბერალიზმში, უმნიშვნელო ხდება მათი ამ ეკონომიკური საქმიანობისას.

საინტერესო და ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ საქართველოს რესპუბლიკური პარტია, - დანარჩენი პოლიტიკური პარტიებისგან განსხვავებით, უმცირესობათა უფლებების დაცვაზეც ორიენტირდება, გარდა სხვა დემოკრატიული პრინციპების გაზიარებისა და მათი რეალიზებისათვის ბრძოლისა.

და ბოლოს, კიდევ ერთ უმნიშვნელოვანეს თემას უნდა შევეხოთ, როგორც ნეოლიბერალიზმის, ასევე მისი ალტერნატივის - სოციალიზმის, და საერთოდ, ნებისმიერი ცივილიზებული მხარდაჭერის კუთხით, რაც დაკავშირებულია ქალთა, როგორც - სოციალური და პოლიტიკური უმცირესობის (საქართველოსა და მთელს მსოფლიოში), უფლებების დაცვასთან. 2010 წლის 26 მარტს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა „საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ“ [165], რაც, თავისთავად, უკვე ძალზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გახლავთ საქართველოში ქალთა უფლებების, უპირველეს ყოვლისა, სამართლებრივი დაცვისათვის.

განათლების ნეოლიბერალური რეფორმა

ყოფილი სკოლის მასწავლებელი, სასკოლო სახელმძღვანელოების თანავეტორი და გამომცემელი, კერძო სკოლის დამფუძნებელი და უბრალოდ სკოლის მოსწავლეთა მშობელი - ბაკურ სულაკაური თავის ერთ-ერთ წერილში „განათლების რეფორმის შესახებ“ [166], სასკოლო განათლების „ნაციონალურ“ რეფორმაზე წერდა, რომ განათლების სისტემის რეფორმირებაზე საუბარი ჯერ კიდევ 1990-იანი წლების შუა ხანებში, უფრო სწორად კი, მეორე ნახევარში დაიწყო, როდესაც მსოფლიო ბანკმა გამოყო 60 მილიონი დოლარი - საქართველოში განათლების რეფორმის დასაგეგმად და განსახორციელებლად. სწორედ აღნიშნულ პერიოდში, სავარაუდოდ - 1998 წელს, შეიქმნა პირველი პროექტები და დაისახა გეგმა - რეფორმების განხორციელების მიმართულების შესახებ. სამწუხაროდ, 2004 წლამდე ვერ მოხერხდა ვერცერთი არსებითი ცვლილების განხორციელება სისტემაში, რასაც სულაკაური სრულიად ბუნებრივად მიიჩნევს, რადგანაც, მისი თქმით, სისტემის შიგნით სათანადო ნების არსებობის შემთხვევაშიც კი, ეს იქნებოდა შეუძლებელი - ქვეყანაში არსებული ზოგადი სიტუაციიდან გამომდინარე, რომელშიც, თუნდაც, მარტო მაღალ დონეზე მყოფ ღია კორუფციას - უზარმაზარი „წვლილი“ მიუძღოდა. [167]

ბაკურ სულაკაური სასკოლო განათლების სისტემის ცალკეული კომპონენტების უკანასკნელი წლების მდგომარეობას ძალზე საინტერესოდ ახასიათებს იმ კუთხით, თუ, რა შეიცვალა იმპერიოდში გატარებული რეფორმების შედეგად, რომელთა შორისაც საშუალო განათლების ნეოლიბერალიზაციის მიმართულებით ჩვენთვის საყურადღებოა: 1. სკოლების დაფინანსების ახალი - სკოლებს შორის კონკურენციის მაკულტივირებელი

ნეოლიბერალური სისტემა, 2. ახალი ნეოლიბერალურად ორიენტირებული სასწავლო შინაარსი და სახელმძღვანელოები, რომლებიც ასევე სასწავლო გეგმის საკითხთანაც იყო დაკავშირებული, რაც პოლიტიკური სკანდალის თემადაც იქცა, მაგალითად, სკოლიდან აგიოგრაფიის ამოღების თემა და 3. კერძო სკოლების აქტიური სახელმწიფო ნახალისების საკითხი. [168]

მნიშვნელოვანია ასევე წინა ხელისუფლების კიდევ ერთი ნეოლიბერალური ინიციატივა, რომელიც სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლებისათვის სტატუსის შეცვლას გულისხმობდა - საჯარო სამართლის იურიდიული პირების ნაცვლად მათი - არამომგებიანი კერძო სამართლის პირებად გარდაქმნის შესახებ. როგორც ცნობილია, საჯარო სამართლის იურიდიული პირი სახელმწიფო კონტროლს ექვემდებარება (ეს კი კონფლიქტში მოდიოდა ნეოლიბერალურ მოდელთან), რაც მისი საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტიანობისა და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას გულისხმობს. არამომგებიანი კერძო სამართლის პირის სტატუსმა კი, უნივერსიტეტებისათვის შესაძლებელი გახადა - თავად დაეგეგმათ და განეხორციელებინათ სხვადასხვა ოპერაცია იმ საკანონმდებლო რეგულაციების გარეშე, რომლითაც, ჩვეულებრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირები ხელმძღვანელობენ.

აღსანიშნავია, რომ ამგვარი, არსით „წმინდა წყლის“ ნეოლიბერალური ცვლილება, ნეოლიბერალური იდეოლოგიისა და პრაქტიკისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახლდათ სწორედ - განათლების სფეროში, და ის მიმართული იყო ჩვენს საზოგადოებაში, მართალია - საბჭოთა პერიოდში, მაგრამ არცთუ უსაფუძვლოდ ჩამოყალიბებული, რწმენის წინააღმდეგ, რომ განათლების განვითარებაში სახელმწიფოს როლი შეუცვლელია.

ნეოლიბერალური ლოგიკით, რეფორმებამდე სახელმწიფო გახლდათ - მონოპოლისტი, მესაკუთრე და სერვისის მიმწოდებელი. ის ადგენდა წესებს და თავადვე ზრუნავდა სერვისის ხელმისაწვდომობაზე. ახალ - ნეოლიბერალურ მოდელში კი სახელმწიფო მონოპოლისტი აღარ იყო, შეიქმნა კონკურენტული გარემო და კერძო სექტორი განვითარდა. იქ, სადაც რეფორმა წინ გახლდათ წასული, სახელმწიფოს ორი ფუნქცია დარჩა - რეგულირება და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა [169]. ის, თუ, თუნდაც ამგვარი ნეოლიბერალური ლოგიკის მიხედვით, რამდენად კონკურენტუნარიანი და არამონოპოლისტური გარემო შეიქმნა ამ რეფორმების შედეგად საქართველოში, ნამდვილად დიდი კითხვის ნიშნების ქვეშ დგას, ოღონდ, ამ შემთხვევაში, სახელმწიფოს მხრიდან ნამდვილად არ მოხდა ამგვარი ყოველი სფეროს, პრაქტიკულად, - აბსოლუტური მონოპოლიზაცია, არამედ ამ ღონისძიებათა ავტორებმა, „გაუგებარი“ მიზეზის და ნამდვილად ცნებათა ელემენტარული აღრევის გამო, თავი რატომღაც „სახელმწიფოსთან“ გააიგივეს, რაც თავისთავად - სრული აბსურდია და ხელისუფლებაში ყოფნისა და მასში თუნდაც მაღალი ხარისხით მონაწილეობის სტატუსი ამას - ვერ ამართლებს. სწორედ ამგვარი ცრუმარქვიობა თუ უხეში შეცდომა იყო აღ-

ბათ, იმის მიზეზი, რომ ხელისუფლების სადავეებთან ყოფნისას პიროვნული ქონებრივი „ნინსვლა“ თუ ასევე პიროვნული სფეროთა კონტროლი, „სახელმწიფოს“ მხრიდან მონოპოლიზაციად რომ აღიქმებოდა, რაც თავად მონოპოლისტებსაც, ბუნებრივია, მშვენივრად აძლევდა ხელს, რადგან „სახელმწიფო“ - მაინც უპიროვნოა და თანაც საბჭოთა ტოტალიტარულმა წყობილებამაც კარგად ამოსვარა იგი ტალახში; ანუ, მარტივია - უპიროვნო და ისედაც გალანძღული „სახელმწიფოს“ სახელით ნებისმიერი საზოგადოებრივად „სარისკო“ და „არცთუ სასარგებლო“ მოქმედებების ჩადენა; ტერმინი „სახელმწიფო“ ხომ რეალურად, საკმარისზე მეტად იქნა - დისკრედიტირებული! (თუმცა, რამდენად სამართლიანად თუ უსამართლოდ, ან რამდენად შესაძლებელია საერთოდ, რომ - უპიროვნო რამ იყოს კერძო პირთა ნამოქმედარზე სინამდვილეში პასუხისმგებელი, ამაზე ფაქტიურად არავინ სწუხს.)

ძალზე მნიშვნელოვანი გახლავთ **ნეოლიბერალიზმის კულტურული ასპექტების განხილვა საქართველოში**, რაზეც შეგვიძლია ვიმსჯელოთ - შრომის კულტურის, სურვილის კულტურის, ოჯახის ტრანსფორმაციის, ფემინიზმისა და მულტიკულტურალიზმის, მასკულიზმის ნართმევისა და უკან მიყიდვის, ირაციონალობის „ჩახუტებისა“ [170] და უმდაბლეს საერთო დენომინატორამდე „დაშვების“ [171] ნეოლიბერალური ნახალისებისა და მხარდაჭერის სახით ჩვენს ქვეყანაში - საქართველოს წინა ხელისუფლების ნეოლიბერალური კურსის ფარგლებში, რაც სრულიად შეესაბამებოდა ნეოლიბერალიზმის აშშ-სა და მსოფლიოში ჯერ კიდევ დომინანტურ ტენდენციებსა და იმ ერთგვარ „დაკვეთებს“, რომლებსაც მსგავსი სისტემის შექმნა-განმტკიცების თაობაზე იღებენ ხოლმე საერთოდ - მთავარ საერთაშორისო „აქტორთაგან“ (მსოფლიო ნეოლიბერალ ლიდერთაგან), განსაკუთრებით იმგვარი განვითარებადი ქვეყნები (და მათი მთავრობები), რომელთა შორისაცაა სწორედ - საქართველო.

საქართველოში ნეოლიბერალური იდეოლოგიის ან ტენდენციების მქონე პოლიტიკურ პარტიებად შეგვიძლია მივიჩნიოთ:

- „საქართველოს ნეოლიბერალური პარტია“ (დაარსდა 2002 წელს და გაუქმდა 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ) [172];
- „საქართველოს ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (დაარსდა 2001 წელს და მმართველი პარტია გახლდათ 2004-დან - 2012 წლამდე) [173];
- „საქართველოს რესპუბლიკური პარტია“ (დაარსდა 1978 წელს) [174];
- „საქართველოს ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“ (დაარსდა 2008 წელს) [175];
- „საქართველოს გზა“ (დაარსდა 2006 წელს) [176];

- „ახალი მემარჯვენეები „(ახლები)““ (დაფუძნდა 2001 წელს)[177];
- „ქართული პარტია“ (დაარსდა 2010 წელს)[178];
- „მრენველობა გადაარჩენს საქართველოს“ (დაფუძნდა 1999 წელს)[179];
- „ეროვნული ფორუმი“ (შეიქმნა 2006 წელს)[180].

საქართველოში მოქმედ **ნეოლიბერალურ კანონმდებლობად**, რომელიც ეფექტური, სტაბილური და გრძელვადიან პერსპექტივაზე გათვლილი, ზემოგანხილული ნეოლიბერალური იდეოლოგიისა და პოლიტიკური კურსის განსახორციელებლად - ერთ-ერთი ყველაზე ფუნდამენტური სეგმენტი და პრაქტიკულად, მოცემული სისტემის მალეგეტიმირებელი გახლდათ ჩვენს ქვეყანაში, შეგვიძლია მივიჩნიოთ: **პრივატიზაციის, საგარეო ვაჭრობის, კავშირგაბმულობის, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ინოვაციების და ტურიზმის შესახებ** იმჟამად მოქმედი **საქართველოს ეკონომიკური და საფინანსო კანონმდებლობა**, განსაკუთრებით - „**საგადასახადო კოდექსი**“ და სხვა **საგადასახადო კანონმდებლობა**, ხოლო **სოციალური დაცვის, შრომისა და ჯანდაცვის შესახებ** მოქმედი **საქართველოს კანონმდებლობა**, ამ მხრივ, ჩვენთვის ყველაზე საგულისხმო იყო პირველ რიგში - „**საქართველოს შრომის კოდექსი**“.

ნეოლიბერალიზმის ერთადერთ სამართლიან, ღირსეულ და განვითარების მძლავრი პოტენციალის მქონე **ალტერნატივად**, როგორც გლობალურად, ასევე - საქართველოშიც, მიგვაჩნია - „**მემარცხენე**“ პოლიტიკა და კერძოდ - **სოციალიზმი**, რომლის საუკეთესო და ერთგვარ იდეალურ შესაძლო ვარიანტად - სკანდინავიური სოციალისტური, ან სოციალ-დემოკრატიული მოდელი შეგვიძლია წარმოვიდგინოთ.

IV თავის სჰოლიო:

1. <http://ka.wikipedia.org/wiki/>, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 31.01.2012.
2. <http://ka.wikipedia.org/wiki/>, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 31.01.2012.
3. <http://ka.wikipedia.org/wiki/>, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 31.01.2012.
4. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=4921>, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 31.01.2012.
5. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=4921>, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 31.01.2012.
6. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=4921>, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 31.01.2012.
7. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=5465>, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 31.01.2012.

8. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=5465>, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 31.01.2012.
9. <http://ka.wikipedia.org/wiki/>, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 31.01.2012.
10. <http://ka.wikipedia.org/wiki/>, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 31.01.2012.
11. <http://ka.wikipedia.org/wiki/>, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 31.01.2012.
12. <http://azrebi.ge/index.php?m=734&newsid=225>, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 31.01.2012.
13. <http://meskhi.net/t-point.htm>, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 31.01.2012.
14. <http://meskhi.net/t-point.htm>, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 31.01.2012.
15. <http://tooantagonist.blogspot.com/>, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 31.01.2012.
16. <http://tooantagonist.blogspot.com/>, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 31.01.2012.
17. <http://tooantagonist.blogspot.com/>, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 31.01.2012.
18. <http://tooantagonist.blogspot.com/>, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 31.01.2012.
19. <http://tooantagonist.blogspot.com/>, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 31.01.2012.
20. <http://tooantagonist.blogspot.com/>, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 31.01.2012.
21. <http://en.wikipedia.org/wiki/Mammon>, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 31.01.2012.
22. <http://tooantagonist.blogspot.com/>, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 31.01.2012.
23. <http://tooantagonist.blogspot.com/>, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 31.01.2012.
24. <http://tooantagonist.blogspot.com/>, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 31.01.2012.
25. <http://tooantagonist.blogspot.com/>, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 31.01.2012.
26. <http://tooantagonist.blogspot.com/>, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 31.01.2012.
27. <http://tooantagonist.blogspot.com/>, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 31.01.2012.
28. <http://tooantagonist.blogspot.com/>, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 31.01.2012.
29. <http://tooantagonist.blogspot.com/>, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 31.01.2012.
30. <http://tooantagonist.blogspot.com/>, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 31.01.2012.
31. <http://european.ge/?id=200>, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 29.01.2012.
32. <http://european.ge/?id=200>, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 29.01.2012.
33. <http://european.ge/?id=200>, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 29.01.2012.

77. <http://european.ge/?id=239>, უკანასკნელად იქნა გადამონმეებული - 29.01.2012.
78. <http://european.ge/?id=239>, უკანასკნელად იქნა გადამონმეებული - 29.01.2012.
79. <http://european.ge/?id=239>, უკანასკნელად იქნა გადამონმეებული - 29.01.2012.
80. <http://european.ge/?id=239>, უკანასკნელად იქნა გადამონმეებული - 29.01.2012.
81. <http://european.ge/?id=239>, უკანასკნელად იქნა გადამონმეებული - 29.01.2012.
82. <http://european.ge/?id=239>, უკანასკნელად იქნა გადამონმეებული - 29.01.2012.
83. <http://european.ge/?id=239>, უკანასკნელად იქნა გადამონმეებული - 29.01.2012.
84. <http://european.ge/?id=240>, უკანასკნელად იქნა გადამონმეებული - 29.01.2012.
85. <http://european.ge/?id=240>, უკანასკნელად იქნა გადამონმეებული - 29.01.2012.
86. <http://european.ge/?id=240>, უკანასკნელად იქნა გადამონმეებული - 29.01.2012.
87. <http://european.ge/?id=240>, უკანასკნელად იქნა გადამონმეებული - 29.01.2012.
88. <http://european.ge/?id=240>, უკანასკნელად იქნა გადამონმეებული - 29.01.2012.
89. <http://european.ge/?page=debates&id=101>, უკანასკნელად იქნა გადამონმეებული - 29.01.2012.
90. http://www.facebook.com/note.php?note_id=209159092453778, უკანასკნელად იქნა გადამონმეებული - 31.01.2012.
91. <http://european.ge/index.php?id=129>, უკანასკნელად იქნა გადამონმეებული - 29.01.2012.
92. <http://european.ge/615/>, უკანასკნელად იქნა გადამონმეებული - 9.02.2012.
93. http://www.unm.ge/index.php?sec_id=75&lang_id=GEO, უკანასკნელად იქნა გადამონმეებული - 31.01.2012.
94. http://www.unm.ge/index.php?sec_id=75&lang_id=GEO, უკანასკნელად იქნა გადამონმეებული - 31.01.2012.
95. http://www.unm.ge/index.php?sec_id=75&lang_id=GEO, უკანასკნელად იქნა გადამონმეებული - 31.01.2012.
96. <http://www.tavisupleba.org/content/article/24399961.html>, უკანასკნელად იქნა გადამონმეებული - 31.01.2012.
97. <http://www.tavisupleba.org/content/article/24399961.html>, უკანასკნელად იქნა გადამონმეებული - 31.01.2012.
98. <http://www.tavisupleba.org/content/article/24399961.html>, უკანასკნელად იქნა გადამონმეებული - 31.01.2012.
99. <http://banksandfinance.ge/politics/print:page,1,2810-de-vaali.html>, უკანასკნელად იქნა გადამონმეებული - 31.01.2012.

100. <http://banksandfinance.ge/politics/print:page,1,2810-de-vaali.html>, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 31.01.2012.
101. <http://banksandfinance.ge/politics/print:page,1,2810-de-vaali.html>, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 31.01.2012.
102. <http://www.economy.gov.ge/?category=11&lang=geo>, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 31.01.2012.
103. <http://www.economy.gov.ge/?category=11&lang=geo>, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 31.01.2012.
104. <http://www.economy.gov.ge/?category=11&lang=geo>, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 31.01.2012.
105. <http://www.economy.gov.ge/?category=11&lang=geo>, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 31.01.2012.
106. <http://www.civil.ge/geo/article.php?id=15610>, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 31.01.2012.
107. <http://www.epn.ge/?p=78738>, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 31.01.2012.
108. <http://en.wikipedia.org/wiki/Privatization>, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 31.01.2012.
109. <http://en.wikipedia.org/wiki/Privatization>, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 31.01.2012.
110. <http://www.economy.gov.ge/?category=11&lang=geo>, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 31.01.2012.
111. <http://webcache.googleusercontent.com/search?q=cache:59SoZvJVP5sJ:gtuc.ge/ka/rightofemp/16-internati/25-ilo-report=2&hl=ka&ct=clnk&gl=ge>, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 31.01.2012.
112. <http://www.economy.gov.ge/?category=11&lang=geo>, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 31.01.2012.
113. <http://www.economy.gov.ge/?category=11&lang=geo>, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 31.01.2012.
114. <http://banksandfinance.ge/society/print:page,1,1674-xorbali.html>, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 24.01.2012.
115. <http://banksandfinance.ge/society/print:page,1,1674-xorbali.html>, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 24.01.2012.
116. <http://banksandfinance.ge/society/print:page,1,1674-xorbali.html>, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 24.01.2012.
117. <http://banksandfinance.ge/society/print:page,1,1674-xorbali.html>, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 24.01.2012.

118. <http://www.ambebi.ge/meditsina/21317-frthkhilad-qfrankenshteinis-sakvebiq.html>, უკანასკნელად იქნა გადამონმეებული - 31.01.2012.
119. <http://www.ambebi.ge/meditsina/21317-frthkhilad-qfrankenshteinis-sakvebiq.html>, უკანასკნელად იქნა გადამონმეებული - 31.01.2012.
120. <http://forum.ge/?f=43&showtopic=34115252&st=0>, უკანასკნელად იქნა გადამონმეებული - 31.01.2012.
121. <http://webcache.googleusercontent.com/search?q=cache:BcqwgymHc6oJ:www.ruralassociation.ge/geo/strategy.php&cd=8&hl=ka&ct=clnk&gl=ge%20>, უკანასკნელად იქნა გადამონმეებული - 5.02.2012.
122. <http://7days.ge/index2.php?newsid=5282>, უკანასკნელად იქნა გადამონმეებული - 5.02.2012.
123. http://geostat.ge/?action=page&p_id=427&lang=geo, უკანასკნელად იქნა გადამონმეებული - 5.02.2012.
124. http://geostat.ge/?action=page&p_id=145&lang=geo, უკანასკნელად იქნა გადამონმეებული - 5.02.2012.
125. http://www.government.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=95&info_id=2488, უკანასკნელად იქნა გადამონმეებული - 5.02.2012.
126. http://tbiliselebi.ge/index.php?mas_id=2852&rubr_id=1&jurn_id=9, უკანასკნელად იქნა გადამონმეებული - 5.02.2012.
127. http://tbiliselebi.ge/index.php?mas_id=2852&rubr_id=1&jurn_id=9, უკანასკნელად იქნა გადამონმეებული - 5.02.2012.
128. http://tbiliselebi.ge/index.php?mas_id=2852&rubr_id=1&jurn_id=9, უკანასკნელად იქნა გადამონმეებული - 5.02.2012.
129. <http://ucss.ge/geo/aboutUs/>, უკანასკნელად იქნა გადამონმეებული - 5.02.2012.
130. <http://ucss.ge/geo/aboutUs/>, უკანასკნელად იქნა გადამონმეებული - 5.02.2012.
131. <http://ucss.ge/geo/aboutUs/>, უკანასკნელად იქნა გადამონმეებული - 5.02.2012.
132. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=7127>, უკანასკნელად იქნა გადამონმეებული - 5.02.2012.
133. http://www.mfa.gov.ge/index.php?sec_id=99&lang_id=GEO, უკანასკნელად იქნა გადამონმეებული - 5.02.2012.
134. http://www.mfa.gov.ge/index.php?sec_id=99&lang_id=GEO, უკანასკნელად იქნა გადამონმეებული - 5.02.2012.
135. http://www.mfa.gov.ge/index.php?sec_id=99&lang_id=GEO, უკანასკნელად იქნა გადამონმეებული - 5.02.2012.
136. <http://commerciant.ge/old/index.php?pg=nt&id=13878&ct=18>, უკანასკნელად იქნა გადამონმეებული - 5.02.2012.

137. <http://www.mof.ge/4203>, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 5.02.2012.
138. <http://www.mes.gov.ge/content.php?id=865&lang=geo>, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 5.02.2012.
139. <http://ick.ge/ka/videogallery/3214-2010-10-18-13-59-33.html>, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 5.02.2012.
140. <http://www.mof.ge/News/2011/2883>, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 5.02.2012.
141. <http://pfd.ge/files/Economic%20Development/Paper%20Competitiveness%20GEO.pdf>, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 5.02.2012.
142. <http://www.sciencelib.ge/node/1925>, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 5.02.2012.
143. <http://netgazeti.ge/GE/64/opinion/5655/.htm>, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 5.02.2012.
144. http://www.tribuna.ge/index.php?option=com_content&task=view&id=3898&Itemid=75%200, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 5.02.2012.
145. http://gardabaniherald.blogspot.com/2011/09/blog-post_15.html, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 5.02.2012.
146. <http://www.open.ge/index.php?m=12&y=2011&art=3442>, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 5.02.2012.
147. <http://en.wikipedia.org/wiki/Neoliberalism>, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 5.02.2012.
148. http://webcache.googleusercontent.com/search?q=cache:NU0Q_t2T9gkJ:www.patriots.ge/&cd=9&hl=ka&ct=clnk&gl=ge, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 5.02.2012.
149. <http://european.ge/index.php?id=168>, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 29.01.2012.
150. <http://european.ge/index.php?id=168>, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 29.01.2012.
151. <http://www.sdd.ge/ge/?p=907>, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 5.02.2012.
152. <http://european.ge/?page=debates&id=143>, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 29.01.2012.
153. <http://european.ge/?page=debates&id=143>, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 29.01.2012.
154. <http://european.ge/index.php?id=129>, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 29.01.2012.
155. <http://european.ge/index.php?id=129>, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 29.01.2012.
156. <http://www.shokoladi.ge/content/neoliberalizmis-kritika-ocdameerte-saukuneshi>, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 5.02.2012.

157. http://www.facebook.com/note.php?note_id=209159092453778, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 5.02.2012.
158. http://www.facebook.com/note.php?note_id=209159092453778, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 5.02.2012.
159. <http://meskhi.net/t-point.htm>, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 31.01.2012.
160. <http://www.kvirispalitra.ge/politic/547-qartia-naghmi.html>, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 6.02.2012.
161. <http://www.kvirispalitra.ge/politic/547-qartia-naghmi.html>, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 6.02.2012.
162. <http://tooantagonist.blogspot.com/>, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 31.01.2012.
163. <http://tooantagonist.blogspot.com/>, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 31.01.2012.
164. <http://en.wikipedia.org/wiki/Neoliberalism>, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 6.02.2012.
165. http://www.parliament.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=69&kan_det=det&kan_id=4106, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 6.02.2012.
166. <http://azrebi.ge/index.php?m=734&newsid=89>, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 6.02.2012.
167. <http://azrebi.ge/index.php?m=734&newsid=89>, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 6.02.2012.
168. <http://azrebi.ge/index.php?m=734&newsid=89>, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 6.02.2012.
169. <http://www.tabula.ge/article-2564.html>, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 6.02.2012.
170. http://rationalrevolution.net/articles/capitalism_culture.htm, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 6.02.2012.
171. http://rationalrevolution.net/articles/capitalism_culture.htm, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 6.02.2012.
172. <http://www.tavisupleba.org/content/article/1524140.html>, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 6.02.2012.
173. <http://www.unm.ge/>, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 6.02.2012.
174. <http://republicans.ge/>, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 6.02.2012.
175. <http://www.cdm.ge>, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 6.02.2012.
176. www.twg.ge, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 6.02.2012.
177. <http://www.newrights.org.ge/>, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 6.02.2012.

178. <http://ka.wikipedia.org/wiki/>, უკანასკნელად იქნა გადამონმეზული - 6.02.2012.
179. <http://ka.wikipedia.org/wiki/>, უკანასკნელად იქნა გადამონმეზული - 6.02.2012.
180. www.forumi.ge, უკანასკნელად იქნა გადამონმეზული - 6.02.2012.

გამოყენებული ლიტერატურისა და სხვა წყაროების სია

1. Thorsen, D., Lie, A., "What is Neoliberalism?", Department of Political Science, University of Oslo, 1980, pp 10-72.
2. www.iccwbo.org, უკანასკნელად იქნა გადამონმეზული - 30.05.2009.
3. Peters, C., A Neoliberal's Manifesto, The Washington Monthly, May 1983, pp 8-18.
4. Klein, E., Interview with Charles Peters, A Neoliberal Education, The Washington Monthly, May 2007.
5. Cohen, J.N., "The Impact of Neoliberalism, Political Institutions and Financial Autonomy on Economic Development, 1980–2003" Dissertation, Department of Sociology, Princeton University. Defended June 2007. pp 62-100.
6. Williamson, J., "What Washington Means by Policy Reform" in John Williamson, ed. Latin American Adjustment: How Much Has Happened? (Washington, DC: Institute for International Economics, 1990, pp 50-67.
7. Cohen, J.N., Centeno, M., "Neoliberalism and Patterns of Economic Performance" Annals of the American Academy of Political and Social Science, 2006, 606(1), pp 32-67. DOI:10.1177/0002716206288751.
8. Rapley, J., Globalization and Inequality: Neoliberalism's Downward Spiral. Boulder: Lynne Rienner, 2004.
9. In Pursuit of Happiness Research. Is It Reliable? What Does It Imply for Policy?, The Cato institute. April 11, 2007."The mission of the Cato Institute is to increase the understanding of public policies based on the principles of limited government, free markets, individual liberty, and peace."
10. Chapter2: Economic Freedom and Peace, Economic Freedom of the World 2005.
11. Friedman, M., Capitalism and freedom, The University of Chicago. ISBN 0226264211, 2002, pp 8-21.
12. Hayek, F., The Road to Serfdom, University Of Chicago Press; 50th Anniversary editio, ISBN 0226320618, 1944, p. 95.
13. Prasad, M., The Politics of Free Markets: The Rise of Neoliberal economic Policies in Britain, France, Germany, & The United States, Chicago: University of Chicago Press, 2004, pp 23-27.
14. Kumar, R., "Right to Education Bill" Radical Notes, February 2, 2009, pp 4-15.

15. Тема №12, Либеральная и Социал-демократическая идеология, 30-е октября, 2002 г. ст. 2-3.
16. "ნეოლიბერალური პროექტი საქართველოსათვის", საქართველოს ნეოლიბერალური პარტია, თბ., 2002 წ. გვ. 4.
17. George, S., Global Exchange, Global Economy; A Short History of Neo-Liberalism; Twenty Years of Elite Economics and Emerging Opportunities for Structural Change, Conference on Economic Sovereignty in a Globalising World, Bangkok, 24-26 March 1999, pp 3-20.
18. <http://web.inter.nl.net/users/Paul.Treanor/neoliberalism.html>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 31.05.2009.
19. <http://blogs.worldbank.org/developmenttalk/node/595>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 16.09.2011.
20. <http://therealnews.com>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 16.09.2011.
21. http://www.tgsnopec.com/uploadedFiles/Shared_Files/PDFs/ProductionDataHandout.pdf, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 16.09.2011.
22. <http://hdr.undp.org/en/statistics/?gclid=CPWOyMCwoasCFYy-zAodxx6sFg>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 16.09.2011.
23. <http://www.presage.tv>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 7.02.2012.
24. <http://ka.wikipedia.org/wiki/>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 31.01.2012.
25. <http://azrebi.ge/index.php?m=734&newsid=225>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 31.01.2012.
26. <http://meskhi.net/t-point.htm>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 31.01.2012.
27. <http://tooantagonist.blogspot.com/>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 31.01.2012.
28. <http://en.wikipedia.org/wiki/Mammon>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 31.01.2012.
29. <http://european.ge>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 29.01.2012.
30. <http://www.shokoladi.ge/content/neoliberalizmis-kritika-ocdameerte-saukuneshi>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 31.01.2012.
31. http://www.facebook.com/note.php?note_id=209159092453778, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 31.01.2012.
32. <http://www.unm.ge>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 31.01.2012.
33. <http://www.tavisupleba.org/content/article/24399961.html>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 31.01.2012.
34. <http://www.economy.gov.ge>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 31.01.2012.
35. <http://www.civil.ge/geo/article.php?id=15610>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 31.01.2012.

36. <http://www.epn.ge/?p=78738>, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 31.01.2012.
37. <http://en.wikipedia.org/wiki/Privatization>, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 31.01.2012.
38. <http://webcache.googleusercontent.com/search?q=cache:59SoZvJVP5sJ:gtuc.ge/ka/rightofemp/16-internati/25-ilo-report&cd=2&hl=ka&ct=clnk&gl=ge>, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 31.01.2012.
39. <http://www.ambebi.ge/meditsina/21317-frthkhilad-qfrankenshteinis-sakvebiq.html>, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 31.01.2012.
40. <http://forum.ge/?f=43&showtopic=34115252&st=0>, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 31.01.2012.
41. <http://webcache.googleusercontent.com/search?q=cache:BcqwgymHc6oJ:www.ruralassociation.ge/geo/strategy.php&cd=8&hl=ka&ct=clnk&gl=ge%20>, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 5.02.2012.
42. <http://7days.ge/index2.php?newsid=5282>, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 5.02.2012.
43. http://www.government.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=95&info_id=2488, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 5.02.2012.
44. http://tbilisebi.ge/index.php?mas_id=2852&rubr_id=1&jurn_id=9, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 5.02.2012.
45. <http://ucss.ge/geo/aboutUs/>, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 5.02.2012.
46. http://www.mfa.gov.ge/index.php?sec_id=99&lang_id=GEO, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 5.02.2012.
47. <http://commerciant.ge/old/index.php?pg=nt&id=13878&ct=18>, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 5.02.2012.
48. <http://www.mes.gov.ge/content.php?id=865&lang=geo>, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 5.02.2012.
49. <http://ick.ge/ka/videogallery/3214-2010-10-18-13-59-33.html>, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 5.02.2012.
50. <http://pfd.ge/files/Economic%20Development/Paper%20Competitiveness%20GEO.pdf>, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 5.02.2012.
51. <http://www.sciencelib.ge/node/1925>, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 5.02.2012.
52. <http://netgazeti.ge/GE/64/opinion/5655/.htm>, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 5.02.2012.
53. <http://www.tribuna.ge>, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 5.02.2012.
54. http://gardabaniherald.blogspot.com/2011/09/blog-post_15.html, უკანასკნელად იქნა გადამონმებული - 5.02.2012.

55. <http://www.open.ge/index.php?m=12&y=2011&art=3442>, უკანასკნელად იქნა გადამონმეზული - 5.02.2012.

56. <http://en.wikipedia.org/wiki/Neoliberalism>, უკანასკნელად იქნა გადამონმეზული - 5.02.2012.

57. http://webcache.googleusercontent.com/search?q=cache:NU0Q_t2T9gkJ:www.patriots.ge/&cd=9&hl=ka&ct=clnk&gl=ge, უკანასკნელად იქნა გადამონმეზული - 5.02.2012.

58. <http://www.sdd.ge/ge/?p=907>, უკანასკნელად იქნა გადამონმეზული - 5.02.2012.

59. <http://www.shokoladi.ge/content/neoliberalizmis-kritika-ocdameerte-saukuneshi>, უკანასკნელად იქნა გადამონმეზული - 5.02.2012.

60. http://www.facebook.com/note.php?note_id=209159092453778, უკანასკნელად იქნა გადამონმეზული - 5.02.2012.

61. <http://www.kvirispalitra.ge/politic/547-qartia-naghmi.html>, უკანასკნელად იქნა გადამონმეზული - 6.02.2012.

62. http://www.parliament.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=69&kan_det=det&kan_id=4106, უკანასკნელად იქნა გადამონმეზული - 6.02.2012.

63. http://rationalrevolution.net/articles/capitalism_culture.htm, უკანასკნელად იქნა გადამონმეზული - 6.02.2012.

64. <http://www.tavisupleba.org/content/article/1524140.html>, უკანასკნელად იქნა გადამონმეზული - 6.02.2012.

65. <http://republicans.ge/>, უკანასკნელად იქნა გადამონმეზული - 6.02.2012.

66. <http://www.cdm.ge>, უკანასკნელად იქნა გადამონმეზული - 6.02.2012.

67. www.twg.ge, უკანასკნელად იქნა გადამონმეზული - 6.02.2012.

68. <http://www.newrights.org.ge/>, უკანასკნელად იქნა გადამონმეზული - 6.02.2012.

69. <http://ka.wikipedia.org/wiki/>, უკანასკნელად იქნა გადამონმეზული - 6.02.2012.

70. <http://ka.wikipedia.org/wiki/>, უკანასკნელად იქნა გადამონმეზული - 6.02.2012.

71. www.forumi.ge, უკანასკნელად იქნა გადამონმეზული - 6.02.2012.